

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

12 ოქტომბერი 2007

№21 (47)



იაპონური ძიებანი ქართული მატრიანესთვის  
როგორ უყვარდათ საქართველოში  
გურამ პეტრიაშვილის ლექსები  
ედგარ კერეთის ნოველები  
ტურნიეს იდეათა სარკე  
იყავი ეზრა პაუნდი

## შინაარსი

<b>ერი და გადისწერა</b>	<b>2</b>	<b>იოსებ ჭუმბურიძე როგორ უყვარდათ, როგორ მოგვდნენ და როგორ კვდავოდნენ საქართველოში (შთაბეჭდილება)</b>
<b>გამოსაშვება</b>	<b>5</b>	<b>მურმან ჯგუბურია იყავი უხრა პაუნდი</b>
<b>არღვა</b>	<b>7</b>	<b>გურამ ოდიშარია პრეზიდენტის კატა</b>
<b>აოუზი</b>	<b>18</b>	<b>გურამ პეტრიაშვილი ფრთამოტახილი არნივი და სხვა ლექსები</b>
<b>ასინტიკა</b>	<b>24</b>	<b>მიშელ ტურნიე იდეათა სარკე</b>
<b>უსწოთის სწორვაიდან</b>	<b>26</b>	<b>ნანა ადამია ორიოდე სიტყვა ჰიორდერლინის პოეზიაზე</b>
	<b>28</b>	<b>მაია ჯალიაშვილი თავზახელაღებული მებრძოლი საკუთარ თავთან (სტივენ კრეინი)</b>
<b>ღებამტური სდა</b>	<b>30</b>	<b>როსტომ ჩხეიძე ეკლიანი და პატარა გზა</b>
<b>მწერალი და ისტორია</b>	<b>38</b>	<b>გრიგოლ აბაშიძე რას დალადავენ წყაროები („ლაშარელას“ გარშემო)</b>
<b>როგორ ვითხოვოთ კლასიკას</b>	<b>45</b>	<b>ეკა ჩიკვაძე თვითმეცნება – ქრონოტოპის განმსაზღვრელი (მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით)</b>
<b>ღიალოგი</b>	<b>49</b>	<b>იაკონური ძიებაები ქართული მათიანესათვის (ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება ჰიროტაკე მადეა)</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>52</b>	<b>მარი სადღობელაშვილი „ბერმუდის სამკუთხედი“ – თანამედროვე ქართლის მათიანე</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>54</b>	<b>სიტყვები მდებრობითი ფიქრებით (ნინო თარხნიშვილის მინიატურების წარდგინება)</b>
<b>უსწორი ნოველა</b>	<b>58</b>	<b>ედგარ კერეთი ორი ნოველა</b>
	<b>61</b>	<b>ზოია ფირზადი ყვავილები გადასაფარებლის შუაგულში</b>
<b>აინტოლა</b>	<b>62</b>	<b>მანანა მიქაძე ოდნავი შვება რომ ვიბრძნო</b>
<b>მოუნიკა</b>	<b>63</b>	<b>დაკარგული მომავალი</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 93) 65-93-68

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭიძი საბეჭიძი „ომეგა თეგი“  
საბეჭიძი, თბილისი, სარაჯიშვილის 17  
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ვაცუხისკა ხოსუკაი, ილუსტრაცია „ძიძის ნაამბობებისათვის“  
მაია ჯალიაშვილი, ბაბუა ალუდაურის ფოტოგრაფია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 26 ოქტომბერს

იოსებ ჭუმბურიძე

# როგორ უყვარდათ, როგორ ომობდნენ და როგორ კვდებოდნენ საქართველოში

## შთაბეჭდილება

ქართულ სცენაზე, როგორც იქნა, კვლავ გამოჩნდა პატრიოტული წარმოდგენა – მარჯანიშვილის თეატრში „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ დაიდგა.

ამ თეატრს პატრიოტული მუხტის ნაკლებობას, ზოგადად, ვერ დასწამებ, თუმცა ისიც მწარედ გვახსოვს (სულ ახლო წარსულიდან), მის სცენაზე ქართულ დროშას იატაკის ჯოხზე წამოცმულ ტილოდ რომ წარმოსახავდნენ და სამშობლოს სადიდებელ სიმღერასაც პაროდულ სტილში ასრულებდნენ.

ცხადია, ეს ყოველივე ვერ გვაგინებდა (უფრო შორს რომ არ წავიდეთ) **თემურ ჩხეიძის** „ჯაყოს ხიზნებს“ და „ჰაკი აძბას“, **დავით ანდლუაძის** „გრაალის მცველს“ – ეროვნული ტკივილებით გამსჭვალულ ბრწყინვალე სპექტაკლებს...

... მარჯანიშვილელთა დასის ხელმძღვანელად **ლევან ნულაძის** მოსვლამ იმედით კი განგვანყო, მაგრამ ეს იმედი რეჟისორულ დონეს უფრო უკავშირდებოდა, ვიდრე პატრიოტულ სულისკვეთებას. ახალგაზრდა რეჟისორის ნიჭიერების ამბავი კარგად ვუნწყოდით, მაგრამ პიროვნულად ბოლომდე არ გვცნობია. ნერვის ყველა ძაფი რომ რეჟისორისა ჰქონდა, ეს ვიცოდით, ახლა ისიც დავინახეთ, რომ „წვეთი სისხლის არ არის მასში არაქართული“.

სხვაგვარად, ასეთ სპექტაკლს ვერ დადგამდა!

პატრიოტული წარმოდგენა! – ეს უდიდესი სირთულე და პასუხისმგებლობაა. რეჟისორმა ბენვის ხიდზე ფრთხილად და ოსტატურად უნდა იაროს, რათა ფეხი არ დაუცდეს, ყალბ პათეტიკაში არ გადავარდეს, ლოზუნგების ტყვეობაში არ აღმოჩნდეს.

დღეს (დღეს!) ძალიან ძნელია, დაუჯერო მსახიობს, რომელიც სცენიდან ამას ამბობს: „თუ ჩემი სამშობლო უნდა დაიღუპოს, ვალდებული ვარ, მეც მისი ბედი გავიზიარო“.

როცა სიმონ ბაგრატიონის ამ სიტყვებს მსახიობი **დიმიტრი ტატიშვილი** წარმოთქვამს, მათს გულწრფელობაში ოდნავი ეჭვის შეტანაც შეუძლებელია.

ასეა მაშინაც, როცა მსახიობი **გია ბურჯანაძე**, გენერალ კოტე აფხაზად გარდასახული, არაჩვეულებრივი სიმტკიცით და სიმშვიდით ამბობს, რომ სიხარულით კვდება სამშობლოსათვის.

ასეთი ბუნებრიობის და დამაჯერებლობის მიღწევა დიდ რეჟისორულ და აქტიორულ ოსტატობას მოითხოვს.

ორივე შემთხვევაში გეუფლება სრული რწმენა იმისა, რომ სპექტაკლის შემდეგ, მართლაც შეიძლება პირდაპირ ომში წასვლა და სიკვდილის არაფრად ჩაგდება.

ეს სპექტაკლი არის იმაზე, თუ როგორ ომობდნენ და კვდებოდნენ საქართველოსთვის.

ეს სპექტაკლი არის იმაზე, თუ როგორ უნდა ვომობდეთ და ვკვდებოდეთ საქართველოსთვის.

ეს წარმოდგენა, უპირველესად, ახალგაზრდებმა უნდა ნახონ.

საბედნიეროდ, ასეც არის.

ამ უაღრესად დრამატულ, ზოგჯერ კი ტრაგედიამდე ამაღლებულ სპექტაკლში მხოლოდ ომი და სიკვდილი არ არის.

ეს წარმოდგენა იმასაც გვიჩვენებს, თუ როგორ უყვარდათ საქართველოში.

როგორ უყვარდათ ერთმანეთი ქაქუცას და მასთან შეფიცულებს – მეგობრული სიყვარულის იშვიათი მაგალითი.

როგორ უყვარდათ ერთმანეთი ქაქუცა ჩოლოყაშვილს და ნინო მეღვინეთუხუცესს, სიმონ ბაგრატიონს და ქეთევან მეღვინეთუხუცესს, გლეხის ბიჭს ბადურას და გლეხის გოგოს მაროს – ამაღლებული სიყვარულის ულამაზესი სცენები! ესეც აუცილებლად უნდა ნახონ ჩვენმა მოზარდებმა, კინალამ დავწერე თინეიჯერებმა-მეთქი, თუმცა, არა უშავს, ერქვათ თუნდაც თინეიჯერები, ოღონდ ნახონ და გაიგონ რაინდული სიყვარულის არსი.

\*\*\*

ქაქუცა ჩოლოყაშვილი უკვე გახმაურებული სპექტაკლია. ყოველ წარმოდგენაზე ყველა ბილეთი იყიდება.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქმედება იწვევს უკუქმედებას. ეროვნული ნიჭილიზმის უტიფრად თესვამ, ჩანს (მადლობა ღმერთს!), საპირისპირო შედეგი გამოიღო – გაალიზიანა და გამოაფხიზლა მინავლებული პატრიოტული სულისკვეთება.

„მთესველნი“, ცხადია, ამას არ ვარაუდობდნენ.

ხომ ვამბობდი, რომ საჭირო და აუცილებელია პატრიოტული სპექტაკლები! – მითხრა თეატრმცოდნე **ნათელა არველაძემ**, ვინც ამას, წლების განმავლობაში, მართლაც, დაულაღავად მოგვიწოდებდა, თეატრებს, რეჟისორებს მოუწოდებდა, ქართულ სცენას თავის უპირველეს დანიშნულებას შეახსენებდა.

ერთი კი მიკვირს: ჯერჯერობით, ვერსად ვიხილე ქალბატონი ნათელას რეცენზია „ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“.

სხვათა შორის, არც სხვა ცნობილ თეატრმცოდნეთა ხმა მესმის.



არადა, ეს სპექტაკლი სწორედ რომ სანატრელი მასალაა პროფესიული განსჯა-ანალიზისთვის – დრამატურ-გით, რეჟისურით, სცენოგრაფიით, აქტიორული შესრულებით, კოსტიუმებით, მუსიკალური გაფორმებით...

თეატრმცოდნეები კი, რატომღაც არ აქტიურობენ.

სამაგიეროდ, აქტიურობენ ბულვარული ჟურნალები, რომლებმაც ასეთ სერიოზულ სპექტაკლშიც იპოვეს თავიანთი საკბილო და იერიში მაინცდამაინც იმაზე მიიტანეს, რაც ამ წარმოდგენაში პრინციპულად მნიშვნელოვანია. იმდენი მოახერხეს, რომ რეჟისორს – ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური პერსონაჟის (გეო სუმიჩი) ეროვნების ხაზგასმაზე ხელი ააღებინეს.

საბედნიეროდ, ხსენებულ პერსონაჟს მსახიობი **დავით ხურცილავა** იმდენად ოსტატურად განასახიერებს, რომ ეროვნებას ისედაც ადვილად გამოიცნობ, მაგრამ არა მგონია, ბულვარული ჟურნალისტისთვის ეს დიდი შეღავათი იყოს.

ქართულ სცენაზე, ძლივს, ძლივს აეხსნა ტაბუ მწარე სიმართლეს. ლევან წულაძემ პირდაპირ თქვა, თუ, მეტწილად, ვინც მეშვეობით ანადგურებდა ბოლშევიკური რუსეთი საუკეთესო ქართულ არისტოკრატას, უშუალოდ ვის ეპყრა ხელთ სიკვდილის ცელი, ან გნებავთ, დანა – ნაღდი და უტყუარი. ყვითელმა პრესამ კი ესეც სათავისოდ და ჩვენდა საზიანოდ გამოიყენა.

ისე კი, ახია ლევან წულაძეზე – ამკარად ჩანს, რომ რეჟისორს ხიბლავს ის ინტერესი, მის მიმართ ყვითელი პრესა რომ იჩენს (მდარე სატელევიზიო გადაცემებშიც ხალისით მონაწილეობს), არადა, მან კარგა ხანია მიაღწია იმ დონეს, ამგვარ სისუსტეებს რომ აღარ უნდა ავლენდეს.

პირადად, მისი ნიჭის ერთ-ერთ თაყვანისმცემელს, ის მირჩვენია, სტურუასადმი მიბაძვა დააბრალონ – ეს გარეგნული თუ პიროვნული იმიჯის შექმნის თვალსაზრისით, ხოლო რაც რეჟისურას შეეხება, არა მგონია, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ საამისო საფუძველს იძლეოდეს. შესაძლოა, ზოგიერთმა ეპიზოდმა სულ სხვა რეჟისორთა სპექტაკლები მოგვაგონოს, მაგალითად, მისი პედაგოგის, **მიხეილ თუმანიშვილის** (და ეს ხომ ბუნებრივია) „ჩვენი პატარა ქალაქი“ – უფრო სიყვარულის რომანტიკული სცენებით.

შესაძლებელია, ზოგჯერ, **თემურ ჩხეიძის** „ჰაკი აძბა“ და „ბახტრიონი“ გაგვასხენდეს. არა მხოლოდ ცალკეული ფრაზებით („ნინ წყალი, უკან მენყერი“), არამედ უფრო სერიოზული დეტალით – ცნობილ ხალხურ ლექსზე

შექმნილი მელოდიის გამოყენებით: „მაკვდია, ბეჩავო იერემო“.

აქ კი ერთი აუცილებლად უნდა შევნიშნოთ.

თუმცა, მეუხერხულება კიდევ და გაკვირვებულიც ვარ: შეუძლებელია, ლევან წულაძე ვერ ხვდებოდეს, რომ ამ დიდებული სიმღერის ტექსტი აბსოლუტურად არ ესადაგება სრულიად არაბეჩავ ქაქუცა ჩოლოყაშვილს. მას არც სილარიზის ჯოხი დაუგდია და ვერც „მინანი დაილოცებთან“ იმისთვის, რომ „შიშველნი დაუმალნა ხორცნი“.

სხვა საკითხია, რომ თვითონ ტექსტი და სიმღერა, **ლელა თათარიძის** უბადლო შესრულებით, მართლაც ტრაგიკულ ჟღერადობას, სულისშემძვრელ სიმძაფრეს სძენს სპექტაკლის ფინალს და სამი მოქმედების განმავლობაში განცდილ ემოციათა შთამბეჭდავ კულმინაციად გვევლინება.

მესმის, ძნელია შევლიო ასეთ მარგალიტს, მაგრამ რა ვუყოთ ხსენებულ შეუსაბამობას?

\*\*\*

მე რომ თეატრმცოდნე ვიყო, ცალკე სტატიას მივუძღვნიდი ამ სპექტაკლში განსახიერებულ როლებს. წარმომიდგენია, როგორ ელოდებიან ამას თვითონ მსახიობები, რომელთაც ყურადღების მიქცევა და შექება უდავოდ დაიმსახურეს.

ეს ახალგაზრდებსაც ეხება და ძველგაზრდებსაც. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ ყოფილი „სარდაფელები“ და „ძველი“ მარჯანიშვილები უკვე სრულ უნისონში არიან და ბოლომდე „ერთ ენაზე ლაპარაკობენ“, მაგრამ საშემსრულებლო მანერის არცთუ ადვილად შესამჩნევი განსხვავებულობა სპექტაკლის მთლიან ქსოვილს ვერაფერს აკლებს. ამ ქსოვილს ერთნაირად უხდება **ალეკო გენაძის** პერსონაჟის (ავქესენტი) ტრადიციული კოლორიტულობაც და დავით ხურცილავას მიერ უფრო თანამედროვე ხერხებით გაცოცხლებული პირსისხლიანი ბოლშევიკის სახე. **თემურ კილაძის** პერსონაჟს ისევე ზუსტად ახასიათებს აჩემებული ფრაზა („მუნდირს არ ვარცხვენ“), როგორც **ირაკლი ჩოლოყაშვილის** გმირს – სიმონიკო ჩოლოყაშვილს („ჩემი ძმა“). ერთი გაქნილ და დაუნდობელ რუს ჯალათს წარმოგვიდგენს, მეორე კი წრფელი სიყვარულით ანთებულ ქართველ ძმას. ორივე – შესაშური ოსტატობით.

მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რისი ალუნიშნაობაც, უბრალოდ, შეუძლებელია.

მაგალითად, ამ სპექტაკლში პირველად დავინახე და ვირწმუნე **მარლენ ეგუტიას** გამორჩეული სამსახიობო



გია ბურჯანაძე (კოტე აფხაზი) და ნიკა თავაძე (ქაქუცა ჩოლოყაშვილი)

ნიჭი. გარდასახვა, რომელსაც ის აღწევს, საერთოდ, ძალიან იშვიათია.

არც **გია ბურჯანაძე** მახსოვდა, აქამდე, ესოდენ ბუნებრივი და დამაჯერებელი. ძუნწი შტრიხებით, არაჩვეულებრივი შინაგანი სიმშვიდით, სრულიად ძალდაუტანებლად ძერწავს იგი ილია ჭავჭავაძის ღირსეული დისწულის სახეს. ასეთი სიმშვიდე და ძალდაუტანებლობა მხოლოდ ჭეშმარიტ ოსტატობას და პროფესიონალიზმს ახლავს. თანაც, ასეთ დამაჯერებლობას ვერ მიაღწევ, თუ თვითონაც ბევრი რამ არ განათესავებს ისტორიულ პერსონაჟთან.

აშკარაა, რომ გია ბურჯანაძე თანდათან ყალიბდება მსახიობ-მოქალაქედ, მსახიობ-მამულშვილად, რაც ჩვენს დროში ასე სანთლით საძებარი გაგვიხდა.

მართალია, ზოგჯერ (ტელეგადაცემებში!), „ძველ ცოდვებს“ შეახსენებენ ხოლმე („სად იყავით მაშინ, როცა „მხედრონი“ დათარეშობდა?“), მაგრამ მთავარი მაინც შეცდომების გათვალისწინება (ჭკვიანები შეცდომებზე სწავლობენ) და ადრე თუ გვიან პიროვნებად, მოქალაქედ შედგომაა.

შეუძლებელია, შეუმჩნეველი დარჩეს **ზურა ბერიკაშვილის** გარდასახვაც. თანაც ვის განასახიერებს – თვით ექვთიმე თაყაიშვილს! და ახერხებს იმას, რომ რაიმე სერიოზული პრეტენზია არ გვიჩნდება.

... შეუძლებელია, არ შეაქო ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც ამაღლებელი სინრფელით და უშუალოდ განასახიერებენ ქაქუცას მეგობრებს – **როლანდ ოქროპირიძე** (საშა სულხანიშვილი), **ბექა გოდერძიშვილი** (ელიზბარ ვაჩნაძე), **ზვიად სხირტლაძე** (ლელი ჩიქოვანი), **ვასილ ძონენიძე** (მალაქია მაისურაძე), **თემო ქამხაძე** (ბადურა)...

შეუძლებელია, არ აღნიშნო, როგორი ბუნებრივობით თამაშობს ირაკლი ჩოლოყაშვილი ქაქუცას ძმის როლს, როგორ წარმოგვიდგენს ძმის მიმართ ძმის სიყვარულს. მისი ფრაზა-რეფრენი („ჩემი ძმა“) მაყურებელში იმგვარ ემოციას აღძრავს, რისთვისაც ადამიანები თეატრში დადიან, რითაც ხელოვნება სიხარულს გვანიჭებს.

შედარებით რთულია მთავარ გმირზე ანუ მის განმასახიერებელ მსახიობზე საუბარი. რასაც ის აღწევს, ამის დაუფასებლობა დიდი უმადურობა იქნებოდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის როლის შემსრულებელს ყველაზე რთული ამოცანა აქვს და ყველაზე მეტი მოეთხოვება. რას ვიზამთ, ძნელია მონომახის (ეროვნული გმირის) ქუდი, რომელიც **ნიკა თავაძის** თავს აშკარად მოუხდა.

პრეტენზიების სრულად გამორიცხვა კი, აქ, შეუძლებელია.

\*\*\*

პრეტენზია – რა საშიში სიტყვაა. მეშინია, ჩემს შთაბეჭდილებებსაც „რეცენზიის“ პრეტენზია არ გაუჩნდეს.

არადა, რამდენი რამ რჩება უთქმელი.

შეუძლებელია, არაფერი ვთქვათ დრამატურგზე, ვის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა: ზღვა მასალისგან გამოერჩია ყველაზე საჭირო და აუცილებელი, გაქცეოდა შაბლონს და სტერეოტიპს, ლოზუნგებს და პათეტიკას...

**გურამ ქართველიშვილმა** ეს, უდავოდ, შეძლო. ვფიქრობ, სხვა თვისებებთან ერთად, ფრაზის (თხრობის) ლაკონიზმმაც უშველა.

მან მრავალმხრივად გვიჩვენა ქაქუცა ჩოლოყაშვილი – მეზრძოლი, მეგობარი, მოქვიფე, შეყვარებული... გვიჩვენა ზოგჯერ პირდაპირი, ზოგჯერ ირიბი ხერხებით.

... ავესენტი უამბობს რუსის გენერალს (**აკაკი მესაბლიშვილი**), თუ როგორ გააბა მახეში ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სიღნაღის პოლიციის უფროსი კირაკოზოვი. აქ უკვე გამოჩნდა ქაქუცას, როგორც მეზრძოლის, ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი.

... ილიას მკვლელობის შემდეგ, ნოე ჟორდანიას (**დავით დვალისვილი**) ფილიპე მახარაძეს (**ვაჟა გელაშვილი**) ამუ-

ნათებს, ეს იმის შედეგია, ილიას ტალახს რომ ესროდითო. ნიგნიერი მკითხველი აქ უსათუოდ აიჯავრება, მაგრამ დრამატურგი მის პრეტენზიას გზას მყისვე მოუჭრის. ფილიპე მახარაძე მიუგებს, ილიასთვის ტალახის სროლა არც თქვენ დაგიკლიათო.

ეს ერთი ფრაზა უკვე საკმარისია ნოე ჟორდანიას, და, საერთოდ, ქართული სოციალ-დემოკრატიის დასახასიათებლად.

... შეუძლებელია, საკადრისი პატივი არ მიაგო სპექტაკლის მხატვარს (**შმაგი სავანელი**) და კოსტიუმების შემქმნელს (**ანა კალატოზიშვილი**). სცენოგრაფია აქ ურთულეს კონსტრუქციებსაც გულისხმობს. სცენაზე ვხედავთ ეტლს, ხიდს, ვაგონს... ისმის ზარბაზნების ქუხილი, მაგრამ თვალსა და ყურს არაფერი ეხამუშება, რადგან ყველაფერი წმინდა ესთეტიკის ჩარჩოებშია მოქცეული და მაღალ მხატვრულ გემოვნებას დამორჩილებული.

შეუძლებელია, არ შეაქო კომპოზიტორი (**ნიკა მაჩაიძე**) და მუსიკალური გამფორმებელი (**ზურაბ გაგლოშვილი**).

ეს ის შემთხვევაა, როცა მუსიკა ორგანულად ერწყმის სპექტაკლის მთლიან ქსოვილს, მის დრამატულ ნერვს, ემოციურ მუხტს აძლიერებს.

\*\*\*

საინტერესოდ იკვრება სპექტაკლის ქარგა, კარგად მოძებნილი პროლოგით და ეპილოგით. თავშიც და ბოლო-



მარლენ ეგუტია (კალე)

## ერი და ბედისწერა

შიც ფრანგი პოლკოვნიკის და ფრანგი ჟურნალისტის დიალოგს ვისმენთ. პროლოგში ქართველთა სიმამაცეზე და თავისუფლებისადმი დაუოკებელ სწრაფვაზე საუბრობენ. ეპილოგში კი პოლკოვნიკი ჟურნალისტს ამას ეუბნება: „ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედარს ქართველი ხალხი ფრანგულ მინაში დიდხანს არ დატოვებს, რადგან სამშობლოსათვის გაღებული მსხვერპლი უკვალოდ არ იკარგება“.

ჭეშმარიტად!

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი დღეს, უკვე, ქართულ მინაშია.

\*\*\*

კინალამ გამომრჩა ის, რისი აღუნიშნაობაც, ასევე, შეუძლებელია: მსახიობი **ჯემალ მონიავა** ჩინებულად ასრულებს ფრანგი პოლკოვნიკის როლს – ახერხებს იმას, რომ, ფაქტობრივად, მხოლოდ საუბარი (უპირატესად, სახობო ფრაზები) ბუნებრივად და დამაჯერებლად კადემოგვეს. მისი გარდასახვაც შთამბეჭდავია, რაც კადემოფრო დასაფასებელია იმის გათვალისწინებით, რომ მსახიობი სპექტაკლში მეორე როლსაც თამაშობს – ჩვეული ინტელიგენტურობით წარმოგვიდგენს თავად ილია მელვინეთუხუცესს – აქ გარდასახვა მაინცდამაინც არც დასჭირვებია.

ესეც უნდა ითქვას: ფრანგ პოლკოვნიკთან დიალოგს სახიერად წარმართავს **ზაზა იაკაშვილი** (დიუგე), ვინც ქმედებაში სიტყვის გადატანას ბუნებრივად ახერხებს.

და კიდევ: უსამართლოდ დამეჩაგრა „სუსტი სქესი“, რომელიც ამ სპექტაკლში სუსტად სულაც არ გამოიყურება. განსაკუთრებით გამოვყოფდი **ლელა ბებურიშვილს** (ნინო), **ბარბარე დვალისშვილს** (ქეთევანი), **გვანცა კანდელაკს** (მარი) და **თეონა ქოქრაშვილს** (გიმნაზისტი გოგონა).

\*\*\*

ცნობილია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჭლეტით გარდაიცვალა.

შენ ტყვია არ მოგეკარება, რადგან რჩეული ხარ, – ეუბნებოდა მას კოტე აფხაზი.

ტყვია მართლაც არ მიკარებია, სამაგიეროდ, ვერაგი სენი მოერია.

მედიცინაში სრული უმეცარი ვარ, მაგრამ ეს შეუვალად მჯერა: ჭლეტს სამშობლოზე დარდი აჩენს.

და აჩენს არა მხოლოდ უცხოებაში (გავიხსენოთ **პავლე ინგოროყვა** და **პაოლო იაშვილის** სიტყვები: – „და მერე დარდო წარსულ დიდების“).

და ვაი მას, ვისაც ამის საშიშროება არ ემუქრება.

ასეთი ფიქრიც სპექტაკლიდან გამომყვა...

## გამოსმაურება

მურმან ჯგუზურია

# იყავი ეზრა პაუნდი

ძვირფასო როსტომ,

ჩირად არ ღირს თავის ქებაო. ნათქვამია, და ეს შენ მთელი სიგრძე-სიგანით მოგეხსენება, რასაც გვიდასტურებს შენი შესანიშნავი წერილის ბოლო-სიტყვა:

„ნუ იქნებით ეზრა პაუნდიო, – ჩემთვის მაინცდამაინც ეს რჩევა უნდა გაეზიარებინათ. ღირდა კი ნეტა მეხუთე-ხარისხოვანი მწერლის გულისათვის საუკეთესო მწერლის აჩრდილის შენუხება?!“

შენ გამოთქვი შენი საკუთარი აზრი (როგორც ყოველთვის), რუსი პოეტის – გრიბოედოვის განსასვენებელთან დაკავშირებით, რასაც უკვე გამოეხმაურნენ ბატონი ერეკლე ხატისკაცი და ქალბატონი ნინო გ.

გასწავლიან, ჩემო უმცროსო კოლეგავ, იმას, რაც ნასწავლი და შესისხლბორცებული გაქვს.

შენ ღმერთმა გიბოძა საოცარი ნიჭი და უნარი, გამოავლინო ავი დრო-ჟამისაგან მივიწყებული ჭეშმარიტი მამულიშვილები და საჩინო გახადო მათი ცხოვრება და ნამოღვაწარი.

აქ არ შევუდგები შენი წერილისა და საპასუხო რეპლიკების მოკლე შინაარსის გადმოწერას, რადგანაც, „ჩვენი

მწერლობის“ ერთგულ მკითხველს (მკითხველი კი, შენდამი რწმუნებულ ჟურნალს ამერ-იმერში თმასავით ხშირი მოეპოვება), ეს, ჩემგან შეუხსენებლადაც კარგად მოეხსენება.

აქვე მინდა მკითხველს შევახსენო ერთი ეპიზოდი ჩემი პოემიდან („ეკატერინე ჭავჭავაძე“), რაც ამ რამდენიმე წლის წინათ ცალკე წიგნადაც გამოიცა, და, რამაც, იქნება, მცირედენი სინათლე მაინც შეიტანოს დავა-კამათში.

ამ ეპიზოდის სათაურია „ნინო“.

ცნობილია მასწავლებლისა და მოწაფის ურთიერთობა. გრიბოედოვი ასწავლიდა პატარა ნინო ჭავჭავაძეს პიანინოზე დაკვრას. მუსიკის სიყვარული ნორჩ ასულს მასწავლებლის სიყვარულში გადაეზარდა, რაც, ასევე განაპირობა, მასწავლებლის ასაკმა და ცოდნა-გამოცდილებამ, თორემ ისინი რომ ერთმანეთის შესაფერი არ იყვნენ, ამას, დიდი ლარი და ხაზი არ უნდა.

**და როს ითხოვეს ხელი ასულის, დასხდნენ მშობლები ფიქრში წასული და გადანყვიტეს, ეთქვათ უარი და თხოვნას შორით თუმც მოუარეს, ეს ნინოს უნდა გადაეწყვიტა და... სატრფოს ყელზე ჩამოეკიდა, – მაესტროს, პოეტს, მოძღვარს, რაც გინდა დავარქვათ ანი... ხანი გავიდა და დაიწერეს ჯვარი კიდევაც, აქ, რა თქმა უნდა, ქორწილს სჭირდება აღწერა წვრილი, როგორც წესია, მაგრამ მივიდნენ რა ეკლესიას,**

საქმრომ დაკარგა ფერი რატომღაც  
და მღვდელმა ლოცვაც კი მიატოვა,  
მაგრამ გადურჩა იგი ციებას,  
თუმც იგონებდა და ნანიებდა  
ამ ამბავს მერეც, ფიქრი მეჭველი  
განაძო თურმე, და ჰა, ბეჭედი  
უნდა მოარგოს თითზე ფერიას,  
მაგრამ, თუმც ძნიად დასაჯერია,  
მას გაუვარდა უცებ ბეჭედი,  
თითქოს ამბობდეს ბედი: შეჩერდი!  
და ერთხელ კიდევ ასწონ-დასწონე,  
მაგრამ ვით თქმულა, ძალად მაცხონე  
არის სოფელი ხოლმე წყეული  
და გადიშალა კვლავაც ჩვეული...

გრიბოედოვი როდესაც მოჰკლეს,  
რომ არ ვთქვა ბევრი და გითხრათ მოკლედ,  
ასეთი ხმები ისმოდა ირგვლივ:  
უბედო იყო, ცხადია, იგი.  
გახსოვთ ბეჭედი? ციება გახსოვთ?  
ჩვენ ხოლმე კაცის ცხოვრებას ვაქსოვთ  
ყოვლად უჩინო ნიშანში, რითაც  
ჩვენი მიხვედრის შექება გვინდა,  
თითქოს წინდანინ ვიცოდეთ, რაიც  
მოჰყვება ამ დღეს, ვითარცა მაისს  
მოსდევს ივნისი, ან ავდარს - დარი,  
თუმცა ყოველი ეს ცაში არის  
გადაწყვეტილი. გათავდა. მორჩა.  
წაიღო დარდმა ასული ნორჩი.  
შევიდა სენაკს, ჩაკეტა კარი.  
არ გაიკარა ახლოსაც არვინ.  
სტკიცა უარი მთხოვნელებს მტკიცე,  
და დაემდურა მამიდებს, ბიძებს,  
სცვლიდა მშობლებთან ხანდახან სიტყვას,  
თუმცა სიტყვებით ვით უნდა ითქვას,  
რასაც ის გრძნობდა, ფიქრობდა რასაც.  
ალარ მიაჩნდა ან კაცად კაცად,  
სწერდა ხანდახან დაიას წერილს,  
იყო წერილი კვლავ სევდის ფერი.  
და სული მხოლოდ იმიტომ ედგა,  
რომ მანდილოსნებს შეეგრძნოთ მეტად,  
რა ერთგულება სჭირდება გვირგვინს,  
როცა ქართველ ქალს ედგმება იგი.

გამეორება ცოდნის დედააო:  
ეზრა პაუნდი ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან რო-  
ბერტ ფროსტმა გამოიყვანა. დაიდგა სკამი საავადმყოფოს  
დერეფანში და არ წამოდგა, ვიდრე პოეტი არ გააყოლეს.  
პუშკინმა ჩაინიშნა, არზრუმში მოგზაურობისას გრი-  
ბოედოვის ნემტს წავანყდიო. მეტი ღერი სიტყვა არ დას-  
ცდენია კოლეგა-მწერლის შესახებ.

ლერმონტოვმა „бежали робкие Грузины“-ო, ასეთი  
ეპითეტი მოგვაკერა. რუსთაველი არ ექნებოდა ნაკითხუ-  
ლი, ცხადია: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მა-  
მაცისაგანო“ რომ გვითხრა.

იმავე პუშკინმა ასე დაახასიათა ჩვენი მარადი მეზობე-  
ლი: „Пойди ты, прочь, ты мне не сын, ты трус, ты раб,  
ты Армянин!“ და მიუხედავად ამისა, მისი ერთი პოემა  
(„ევგენი ონეგინი“) ოთხგზის ვთარგმნეთ. თუმცა რუსებს  
დღემდე არა აქვთ თარგმნილი მეზობელი პოლონელი პო-  
ეტის (მიცკევიჩის) პოემა („Дяды“) თავიდან ბოლომდე.

აგერ, ახლახან, ცნობილმა რუსმა პოეტმა - იური კუზ-  
ნეცოვმა შავით თეთრზე გამოიყვანა: „На глазу мелкает  
пятнишко, злое пятнишко – Кавказ! не журишь, ты, моя  
родная, как-нибудь его сморгнешь!“ – ხომ ხედავთ, ძვირ-  
ფასო მკითხველებო, რა წერტილუკად ვეჩვენებით ამ შეჩ-  
ვენებულს. მაგრამ ამავე პოეტმა ასეთი რამეც თქვა: „Я  
Знамя, и народы подо мною!..“ სახელმწიფო დროშაზე  
უკეთესი რა უნდა ითქვას!

პოლიტიკა სხვა არის და სხვა არის მწერლობა.

ნუ იქნებით ეზრა პაუნდიო, განამუხებენ; მაგრამ ეზრა  
პაუნდი მხოლოდამხოლოდ პოლიტიკოსი (თუნდაც, ფა-  
შისტის) ხომ არაა. იგი, უპირველესად, პოეტია და განსაც-  
ვიფრებელი ლექსების ავტორი. ერეკლე ხატისკაცს უნდა  
ეთქვა: ნუ იქნებით პოლიტიკოსი ეზრა პაუნდიო, რაც ასე  
თუ ისე გასაგებს (მისაღებს) გახდიდა მის მსჯელობას.  
მაგრამ შენ, როსტომ ჩხეიძე, არა ხარ და არც გახდები ეზ-  
რა პაუნდის იმ დროებითი გუნება-განწყობის (გნებავთ,  
მსოფლმხედველობის) გამზიარებელი. უცთომელი კი ვი-  
ნაა ამ ცისქვეშეთში. თავად მაცხოვარმაც კი დაიჩივლა  
ანაზადად, რაც ყველამ იცის, თუმცაღა, ერთი ნობელიანტი  
მწერლის (სარამაგოს) მინიშნებით, მაცხოვარი გულის-  
ხმობდა არა მამა-ლმერთს, არამედ - საკუთარ მამას, რო-  
მელმაც ჩვრებში გამოხვეული თავისი პირმშო გადამალა.

იყავი ეზრა პაუნდი, ჩემო ძვირფასო როსტომ!

თუკი ინებებს, რედაქციას ვთხოვ, ეს ჩემი წერილი ამ  
სათაურით გამომიქვეყნოს.

კვირას, 14 ოქტომბერს

ლიტერატურულ არტ კაფე  
„ქარავანში“

გაიმართება შეხვედრა

შოთა იათაშვილთან

დასაწყისი 15 საათზე  
ფურცელაძის 10

ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს

ლიტერატურულ არტ კაფე  
„ქარავანში“ გაიმართება  
დავით ჩიხლაძის პერფორმანსი

„ჩინეთი არ არსებობს“

დასაწყისი 15 საათზე  
ფურცელაძის 10

გურამ ოდიშარია

## პრეზიდენტის კატა

49

– ვინორ, შენი გაგრაზე დაწერილი წიგნიდან ყველაზე მეტად იცი, რა დამამახსოვრდა? – ჰკითხა ვიანორ ფაჩულისას, – პრინციის დროს, ცხრაას რვაში, ვირები რომ ჰყოლიათ დანომრილი. მაინც საიდან გამოქექე: *Исключаются из списка два осла №8 и №11. Из которых один пропал, а второй разбился о камни, сорвался со скалы.* მაინც რა არის სიტყვა? იმ დროს დაწერილს ახლა განვიცდი – კლდეს მომწყდარი ვირი ხომ შემეცოდა, ალბათ, მ, მაგრამ არანაკლებ 11-იც.

თუ ოდესმე წიგნი დავწერე, ალბათ, მის თავებს დავნომრავ. დანომრილი თავები მირჩევნია სახელშერქმეულს. თან არც თავი უნდა იყოს დიდი და არც წიგნი. იმ ვირებსაც მოვიხსენიებ.

50

მიხეილ თემუროვიჩი ერთხელ ბოშების სასამართლოზე ვნახე. ბოშებს გულშემატივობდა.

ერთმა ბოშამ – კუკუნამ საწყობიდან ბაქოს კონდიციონერი მოიპარა. დარბაზში ყველაზე აქტიური კუკუნას დედა – ფონდა იყო. კუკუნას ტოლა მილიციელებსაც რატომღაც *дядя*-თი მიმართავდა.

– *Дядя, скоро кончится это всё?*

კუკუნას სამი წელი მიუსაჯეს.

გამოაცხადა თუ არა მოსამართლემ განაჩენი, მისი მიმართულებით გაფრინდნენ ჭიქები, ბოთლები, ხელჯოხები. ზოგიერთმა ბოშამ ფეხსაცმელიც გაიძრო და ისიც მოსამართლეს ესროლა.

ფონდამ ხუთივე ქვედაკაბა აინია და მოსამართლეებს უკანალი მიუშვია. შემდეგ კუკუნას შესძახა:

– *Кукуна, сынок, ты как пил коньяк, так и будешь пить, а эти педарасты судьи пусть мою минджу посасут.*

– *Бог не фраер!* – ყვიროდნენ ბოშები.

– *Сухуми город без фраеров!* – ილიმებოდა მიხეილ თემუროვიჩი.

51

მოსკოვიდან დიდი მინისტრები ესტუმრნენ. სამი მინისტრი იყო, თანაც სამთავე დიდი. ხომ არსებობენ შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი მინისტრები? რომლებიც კი არიან მინისტრები, მაგრამ არ არიან „დიდები“.

დიდ მინისტრებს ინგლისში კარგად ცნობილი ინგლისელები ახლდათ. ხუთი ინგლისელი ახლდათ, მაგრამ ცნობილი, იქ, ინგლისში ძალიან ცნობილი ინგლისელები.

„ამრაში“ დაპატიჟა სტუმრები, ორმოც კაცზე გააშლევინა სუფრა საბანკეტო დარბაზში. რა თქმა უნდა, ქალაქის თავკაციც იქ იყო – ღირსეული დიმიტრი ხვარცკია.

შუა ქეიფში სოხუმი ყანწით დალოცა:

– ჩვენ დღეს სოხუმის მერი ბატონი ხვარცკია დიმიტრი ანდრეევიჩი გვესწრება. ის დამემომნება, რომ ამ დღეებში მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგებმა სოხუმში, მდინარე ჩალბაშისა და ზღვის შესართავთან, თიხის ფირფიტები აღმოაჩინეს, რომელთა მიხედვით დადგინდა, რომ სოხუმი 3.517 წლის წინათაც სოხუმი ყოფილა.

დიმიტრი ხვარცკია გაშრა – არც გათხრები ყოფილა იმხანად და, შესაბამისად, არც ფირფიტები აღმოუჩენიათ. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ განაცხადა, სოხუმი და ბაბილონი ერთად შენდებოდაო.

სულ ცოტა ხანში, ორი სადღეგრძელოს შემდეგ კი:

– საბოლოოდ დადასტურებულია, რომ სოხუმის მშენებლობა ბაბილონის მშენებლობას 23 წლითა და 9 თვით უსწრებდა.

ინგლისელებმა სულ „ბრავო“ და „ბრავო“ იძახეს.

მოსკოველმა მინისტრებმა კი – „მალადეც“ და „მალადეცო“.

სუფრის ბოლოს სტუმრები სოხუმის 5.000 წლის საიუბილეო ზეიმზე დაპატიჟა. ორიოდე წელში ჩავატარებთ, ყველას წინასწარ გეპატიჟებათ ქალაქის მერიო.

დიმიტრი ხვარცკიას თავი არ აუნწევია.

მეორე დღეს დაურეკა:

– დიმიტრი ანდრეევიჩ, მგონი, გუშინ ზედმეტი კი მომივიდა, მაგრამ თუ ძმა ხარ, ნუ გეწყინება. ისე, თუ აკვირდები, ძალიან უხდება უძველესი ისტორია სუფრას. გარდა ამისა, ხედავ, დიმა, რა საინტერესოა ეს ცხოვრება?!

52

იმ დღეს წვიმა განსაკუთრებული მონდომებით ამომებდა ქალაქის ქუჩების წყალგამტარიანობას, მოედნებისა და პარკების, სანაპიროს საკანალიზაციო სისტემას. წვიმის წყალი ზოგან ისე დაგუბდა და ადიდა, რომ მანქანებს მოტორი ჩაუქრო, შუა ქუჩაში გააჩერა, ქალებსა და კაცებს ფეხსაცმელები გაახდევინა და უახლოეს მაღაზიებამდე თუ თავ-თავიანთ სახლებამდე, მუხლებამდე წყალში სიცილ-სიცილით ატარა.

მთელი დღე ჯაზმენივით ბრახუნობდა წვიმა კრამიტის, შიფერის, თუნუქის, ბეტონის სახურავებზე, გიჟურად იმხიარულა.

ჩვენ სოხუმის მთაზე, ფუნიკულიორის რესტორანში ვისხედით. აივნიდან ქალაქი სათამაშო ქალაქს ჰგავდა. იმ სიმალიდან, გარდა ამისა, ასე გვეჩვენებოდა, თითქოს ზღვა ამოყირავებულაო. რაც მეტს ვსვამდით, მეტად გვეჩვენებოდა ამოყირავებული.

გარედან გრილი სისველე შემოდოდა.

წვიმა მომწვანო-მოცისფრო ფერისა იყო და მსუბუქი ნისლივით ეფინებოდა ზღვასა და ქალაქს, აერთიანებდა ქალაქის მცენარეების სიმწვანესა და შენობების სითეთრეს, ზღვის სილურჯეს. ადგილს უცვლიდა ფერებს, ლალობდა.

ლუკიჩიც ჩვენთან იყო, კაცი-ფრინველი. ის ლუკიჩი, შინ ასი მომღერალი ჩიტი რომ ჰყავდა.



შემდეგ პირდაპირ წვიმიდან რესტორანში კუკუნა შემოვიდა, ბოშა კუკუნა. მას გრძელი, ყავისფერი საწვიმარი ლაბადა ეცვა და იატაკზე სველ ნაფეხურებს ტოვებდა.

ჩვენს მაგიდასთან შეჩერდა მისი სველი ნაკვალევი.

– აი, კიდევ ერთი ჩემი მეგობარიც გვეწვია, – თქვა მიხეილ თემუროვიჩმა, – დაბრძანდი, კუკუნა.

კუკუნა დაჯდა. მანამდე წვიმასავით დამძიმებული ლაბადა გაიხადა და კარებთან, კაუჭზე დაკიდა.

მაგიდის თავზე შამპანურის შუშუნა სურნელი იდგა.

არ ვამბობ, ვინ იყო თამადა, თვითონაც ხვდებით.

ლუკის გალიით იმ დილით ფუნქციონირის ტყეში დაჭერილი ორი წითელგულა ახლდა.

გალია მაგიდის შუაგულში იდგა. წითელგულები კაუჩუკის ბურთებით დახტოდნენ და ხანდახან უსტვენდნენ კიდევ.

– არა, მამაშენს არ უნდა ეომა, – ეუბნებოდა ის კუკუნას, – რა ბოშის საქმეა ომი? ბოშის სამშობლოა მშვიდობა. რა უნდა ბოშას ამ პოლიტიკურ საძაგლობებში, კუკუნა?! შენ არასოდეს იომო, რაც უნდა მოხდეს, არ იომო! ეს შენი საქმე არ არის! მაძლევ სიტყვას?!

კუკუნამ არამარტო მას, ყველას მოგვცა სიტყვა, რომ არასოდეს გაეკარებოდა ომს, რომ მისი სამშობლო მშვიდობაა, „ბრიტვა“, „ლილა“, „უჟაჩკა“...

კუკუნას ერთდროულად მომღიმარი და მომტირალი სახე ჰქონდა, თანაც უცნაურ გუნებაზე გახლდათ იმ დღეს. ჯერ იყო და, ქსოვილის თეთრი ხელსახოცები ჰაერში ააფრიალა და რამდენიმე წამით მაგიდის თავზე გააჩერა, შემდეგ მაგიდაზე მდგარი კონიაკის ორი სასებო ბოთლი მზერით გააჩოჩა და ყრუდ მიუჭახუნა ერთიმეორეს. ამით კინალამ გულები დაგვისხეთქა – ვაითუ, ბოთლები გატყდნენო.

კონიაკის შეტყუებული ბოთლები საზღვაო ჭოგრიტს დაემსგავსა, სწორედ იმ ჭოგრიტს, რომლის წყალობითაც ჩვენ იმ დღეს შინაგანი მზერით მეტად უშორეს სივრცეებს ვჭვრეტდით.

როდესაც კუკუნამ ხელის აქნევით, ხუთი მეტრის სიშორეზე, ბერძნულ ფარდებს ცეცხლი წაუკიდა, ჩვენ დელიკატურად ვაგრძნობინეთ, რომ საკმარისი იყო ყოველივე ეს და ცეცხლიც ასევე დელიკატურად ჩავაქრობინეთ.

შემდეგ ოფიციალტ გოგონას ყველაზე დიდი ფუჟერი მოვატანინეთ, შამპანურით გავაპიპინეთ და კუკუნას, როგორც შემოსწრებულს, „საჯარიმო“ დავალევივით, რათა როგორმე დაგვემშვიდებინა მისი ჯადოქრობა.

– ეს წვიმის ბრალია, წვიმაში იცის ხოლმე ასე კუკუნამ, წვიმაში კარგად გამოსდის ასეთი რამეები, – სიამაყით გადახედა მეგობარს მიხეილ თემუროვიჩმა და წვიმის სადღეგრძელო წარმოთქვა.

და მან ადღეგრძელა მსოფლიოს წვიმები. წვიმები, რომლებიც იყვნენ, რომლებიც არიან და რომლებიც მოგვევლინებია. ადღეგრძელა ჟგლეით, მძიმე წვიმები და მარაოსავით მსუბუქი წვიმები, ხანგრძლივი და ხანმოკლე წვიმები, ათი ათასობით კვადრატული კილომეტრისა და სულ რამდენიმე კვადრატული მეტრი ფართობის მქონე წვიმები, ლამის წვიმები და დღის წვიმები, თბილი და ცივი წვიმები, ისტორიული წვიმები, მომავალი თაობების წვი-

მები, მაღალი და დაბალი წვიმები, ცისფერი, წითელი, მწვანე, თეთრი, ყვითელი, მუქი წვიმები, მხიარული და სევდიანი წვიმები, ზღვებისა და ოკეანის წვიმები და უდაბნოს წვიმები, წვრილი და მსხვილი წვიმები, ტყეების, მწვერვალების, მინდვრების წვიმები, ქალაქებისა და სოფლების წვიმები, ავსტრალიისა და აფრიკის, ამერიკის, აზიის, ევროპის... წვიმები, ხმამაღალი და მოჩურჩულე, მოჩხუბარი და მოგალობე, მოშრიალე და მოკვიფნე წვიმები, შეყვარებულთა წვიმები, ბავშვთა წვიმები, ქალური წვიმები, მამაკაცური წვიმები, მოხუცთა წვიმები, მოხეტიალე და აბორიგენი წვიმები, სტუმრისა და მასპინძლის წვიმები, მონატრების წვიმები, ფაცხის კვამლში შებოლილი წვიმები, ზღვისპირა ქალაქების „სიფონი“ წვიმები, ფუძიამაზე და პირამიდებზე, ინკების ქალაქებზე და ნიუ-იორკზე გადმოღვრილი წვიმები, რუსეთის ველებისა და კავკასიის მთაგრეხილების წვიმები, სასახლეებისა და ქოხების წვიმები, ყვავილების წვიმები, თოვლის წვიმები, თევზების წვიმები...

და მერე ასეთი რამ თქვა:

– როდესაც დიდი ხნის განმავლობაში არ მოდის წვიმა და გვალვა ნათესებს ანადგურებს, არგენტინის ერთ-ერთი ტომის წევრები, რომლებიც თავს იაგუარებს უწოდებენ, დიდ შეჯიბრებას აწყობენ, რიტუალურ შეჯიბრებას. ადამიანი-იაგუარები ვეებერთელა კეტებით ებრძვიან ერთმანეთს. მათი რწმენით, რაც მეტი სისხლი დაიღვრება, მით უფრო ადრე და მით უფრო მეტი მოვა წვიმა. მოვა წვიმა, რომლებიც ყანებს დაარწყულებს და ის ყანები მე-როდეს დააპურებენ კაცობრიობას. იაგუარები თავს მსოფლიოს გადამრჩენებლად მიიჩნევენ.

ჩვენ, ყველანი, ფეხზე წამოვდექით და ადამიანი-იაგუარების სადღეგრძელო ბოლომდე დავლიეთ, შამპანურის წვეთიც არ ჩავგიტოვებია ჭიქებში. მერე კონიაკის ბოთლებიც გავხსენით.

ვილაცამ იკითხა – იაგუარები ერთმანეთს თუ კლავენო. არაო, მიიღო პასუხად, მხოლოდ აზიანებენ ერთმანეთს და მათი ჭრილობები ღვთიურ ჭრილობებად ითვლებო. რაც მთავარია, მათი შეჯიბრების შემდეგ მართლაც მოდის წვიმაო.

წითელგულები უსტვენდნენ.

სალამოვდებოდა და დროგამოშვებით ზარმაცად ამთქნარებდა რესტორნის კარი.

ხან ვილაც გადიოდა, ხანაც შემოდებოდა ვილაც. უფრო – შემოდებოდა.

ერთ-ერთმა შემოსულმა თქვა, წვიმამ ქალაქში თითქმის ყველა ქუჩა დაფარა და უკვე მანქანების უმრავლესობას მოტორი ჩაუქროო.

კუკუნამ კი ესა თქვა – ხვალ ავტოპროფილაქტიკებში კარგ ფულს გააკეთებენო.

როდესაც, გვიან ღამით, წვიმამ გადაიღო, ლუკის წითელგულები გავაშვებინეთ.

## 53

მეგობრებთან გატარებული დღე შესანიშნავად გასრულდა.

მაგრამ იმ საღამოს მაინც დააკლდა:

ორი სირჩა „Столичный“,

ფლირტი უცნობ და მსვენებელ ქალთან მდინარე ჩიპილპეტას სიახლოვეს...

და კიდევ – ერთი ნაღვლიან-ფრანგული მელოდია.

54

ის საკითხები, რომლებიც მოსკოვში, სსრკ-ს კომუნისტური პარტიის მექაში – ცენტრალურ კომიტეტში განიხილებოდა, მერე სულ რამდენიმე დღეში აუცილებლად უნდა გარჩეულიყო უკლებლივ ყველა, ყველაზე მცირე, თუნდაც სამკაცრიან პარტორგანიზაციაში.

ასე შემოდიოდა მოსკოვი ყველა ქალაქში, დაბაში, სოფელში, ასე გარდაისახებოდა ის დედამიწის ერთ მეექვსედად და ეფინებოდა სრულიად საბჭოეთს.

სსრკ მოსკოვი იყო.

მოსკოვი – სსრკ.

ცკ ლებულობდა ძალზე მასშტაბურ დადგენილებებს ყველაზე მნიშვნელოვან და, ამავე დროს, ასევე მასშტაბურ საკითხებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის, საბინაო მშენებლობის, შიდა პარტიული დისციპლინის განმტკიცების, ახალგაზრდებთან მუშაობის, კაპიტალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული ქმედითი ზომების გაუმჯობესების შესახებ და ასე შემდეგ.

ცკ საიდუმლო და ფრიად საიდუმლო დადგენილებასაც ლებულობდა. საიდუმლო დადგენილებების განხილვა ხანდახან ნებადართული იყო პარტორგანიზაციებში. და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ქვეყანაში ერთადერთი პარტიის წევრების მნიშვნელოვან სხვებისათვის (უპარტიოებისათვის) გამორჩეული და იდუმალი გაეხადათ. გამორჩეულობა და იდუმალება რიდისა და მოწინებულის შიშის გარეშე კი ხომ შეუძლებელი იყო. მოკლედ, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო უმთავრესი. ეს ჩინებულად იცოდა პარტიამ და მეთოდურად აუმჯობესებდა და ამტკიცებდა დასახულ კურსს.

რაც შეეხება ფრიად საიდუმლო დადგენილებებს, მათ მხოლოდ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების პარტორგანიზაციების თავკაცები ეცნობოდნენ. ამით პარტია ხაზს უსვამდა სწორედ მათ – პირველ კაცთა გამორჩეულობასა და იდუმალებას სხვა გამორჩეულთა და იდუმალებით მოსილთა შორის. ხალხში პირველები გაათმავებული რიდითა და, ზემოთ უკვე ორგზის ნახსენები, მოწინებულის შიშით სარგებლობდნენ.

პირველი მაინც პირველი იყო. და დღესაც ასეა, ხომ?! სხვები კი სხვები არიან.

წარღვნამდელია ეს ფორმულა.

იყო საიდუმლო გადაწყვეტილებები, რომლებიც მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების ცკ-ების პირველებს უნდა ცოდნოდათ, ან მხოლოდ ცკ-ის ბიუროს.

თქვენ წარმოიდგინეთ, იყო საიდუმლო გადაწყვეტილება, რომელიც არავინ, არავინ, არავინ არ იცოდა, გარდა საკავშირო ცკ-ის პირველისა. ამ გადაწყვეტილებას, როგორც წესი, თვითონ ლებულობდა ის – პირველი.

ასე რომ, ცკ-ის პირველ მდივანს ლამის ნახევარღმერთის ადგილი ეჭირა კომუნისტური პირამიდის მწვერვალზე.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი მრავალფეროვან და მრავალმნიშვნელოვან საკითხებს იხილავდა, მას არასოდეს

განუხილავს შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხი. მაგალითად, ისეთი, როგორცაა თხის ქურდობა.

მოსკოვს არ განუხილავს. სოხუმმა კი განიხილა.

განიხილა თავის ბიუროზე – კომპარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე. ბიურო პატარა ცკ იყო, მისი ალიკვალი.

„ოოო, ბიურო ისეთია, რომ... იქ შეიძლება შევიდეს კაცი და გამოვიდეს ნეხვი, ან ნეხვი შევიდეს და გამოვიდეს კაცი... ისეთია ბიურო, ოოო!“ – ამ ფრაზას ხშირად იმეორებდნენ ბიუროს წევრები, ან ბიუროს წევრობის კანდიდატები, ან ის კომკავშირელები, რომლებიც ბიუროს წევრობაზე ოცნებობდნენ.

ახლა რაც შეეხება ხსენებულ ანუ თხის ქურდის საკითხს:

ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მეზობელმა მეზობელს თხა მოპარა. ერთიცა და მეორეც პარტიულები იყვნენ. ასე რომ, დაზარალებულმა კომუნისტმა გლეხმა დამზარალებელ კომუნისტ გლეხს რაიკომში უჩივლა. რაიკომმა არც აცია, არც აცხელა და ორდინარული გადაწყვეტილება მიიღო – თხის ქურდი კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და, გარდა ამისა, დაავალა დაზარალებულისათვის მოპარული თხის ასაკისა და წონის, ანუ, როგორც დადგენილებაში იყო ჩანერილი, „ანალოგიური თხის“ ყიდვა.

ამ ამბავმა მიხეილ თემუროვიჩის ყურამდე მიაღწია. არც ერთი ოჩამჩირელი იყო მისი ნაცნობი და არც მეორე. მიხეილ თემუროვიჩი ამ ამბავმა ძალიან დააინტერესა. ეს რა საინტერესო რამეაო, თქვა.

„საინტერესო“ საკითხი განსახილველად საოლქო კომიტეტის ბიუროზე გაატანინა. თხის ქურდობა ასე ჩამოიქნა – „ოჩამჩირის რაიონში პარტიული დისციპლინის დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით“.

საოლქოს მეორე მდივანი – დამიანე გოგოხია შეეცადა, მიხეილ თემუროვიჩისათვის გადაეთქმევინებინა განზრახვა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიხეილ თემუროვიჩი ხანდახან უჯერებდა დამიანე გოგოხიას. საქმეში ჩახედული ადამიანები, ძველი პლეადის კომინისტები, ამბობდნენ: გოგოხია კომუნისტურად მუშაობს, ბლაჟბას კი ვერაფერი გავუგეთო.

ბიუროზე ოჩამჩირის რაიკომის პირველმა მდივანმა მოკლე ინფორმაცია გააკეთა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და რამდენჯერმე გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ოჩამჩირის რაიკომმა ობიექტური და პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო პარტიის რაიონული ორგანიზაციის შემტყვევლის მიმართ. ამიტომაც ის დაისაჯა, გაირიცხა პარტიის რიგებიდან და, გარდა ამისა, პარტიამ მას (ანუ შემტყვევენს) დააკისრა მოპარული შინაური ცხოველის ასაკისა და წონის, ანუ ანალოგიური შინაური ცხოველის ყიდვა შეურაცხყოფილი კომუნისტის სასარგებლოდ, მისადმი მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის აღდგენის მიზნით. გარდა ამისა, მიანიშნა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მატერიალური ზარალის აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ მორალურისა – თითქმის წარმოუდგენელიო.

– რომელ საათზე იქნა თხა მოპარული? – ჰკითხა მიხეილ თემუროვიჩმა რაიკომის მდივანს.

– ასე, სალამოს ხუთი ან ექვსი საათი იქნებოდა.  
 – მე როგორც ვიცი, დაზარალებული მაშინ შინ არ იმყოფებოდა.  
 – დიახ, მიხეილ თემუროვიჩი, შინ არ იმყოფებოდა.  
 – მერე?..  
 – გისმენთ... მიხეილ თემუროვიჩი  
 – მერე ის თუ იცით, რომ კაცს, რომელიც თქვენ პარტიდან გარიცხეთ, სტუმარი ეწვია?  
 – დიახ, სტუმარზე ლაპარაკია ჩვენებაში.  
 – მერე?..  
 – გისმენთ... მიხეილ თემუროვიჩი,  
 – ჩვენებაში... მერე რა, პატივი არ უნდა ეცა სტუმრისათვის? სტუმარი ხომ ღვთისაა? თანაც ისეთი სტუმარი მოუვიდა, მარტო შემწვარი ქათმით და ღომით ვერ გაიხსნისათვის... ჰოდა, თხა უნდა დაეკლა, ოთხფეხა, ორფეხა კი არა, ოთხფეხა. მარტო სახაჭაპურე სტუმარი არ იყო, თხით პატივსაცემი კაცი იყო...

– ...  
 – თხა მას არ ჰყავდა, მეზობელი კი შინ არ ბრძანდებოდა, ჰოდა, ადგა და მეზობლის თხა დაუკლა, პატივი სცა სტუმარს, წინაპართა ტრადიცია გააგრძელა, სტუმართმოყვარეობის ტრადიცია... ოჩამჩირის რაიკომმა კი რა ქნა? ასეთი კაცი პარტიდან გარიცხა. რისთვის? სტუმარს რომ პატივი სცა, იმისათვის? მეზობელი შინ არ იყო? რა მოხდა მერე? ჩვენ, ყველანი, ხომ ერთ ოჯახად ვცხოვრობთ რესპუბლიკაში? დღეს თუ მე თხა არა მყავს და სტუმარი მომივიდა, მეზობლის თხით გავეუმასპინძლდები, ხვალ კი მეზობელს მოუვა სტუმარი და ჩემს თხას დავუკლავთ. ასე არ არის, ამხანაგებო?

გალიმებულ-შეცბუნებული ბიუროს წევრები თავის ქნევით დაეთანხმნენ.  
 – თქვენ, ოჩამჩირეში, ცუდად გქონიათ საქმე, წინაპართა სტუმართმოყვარეობის წმინდათანმინდა ტრადიციები დაგვიწყნიათ და იმ ტრადიციების გამგრძელებელ კაცს, ჭეშმარიტ კომუნისტ გლეხს, ჩაგრავეთ. ეს სიბეცეა, ახლომხედველობაა. განა ამას გვასწავლის ჩვენი პარტია? ასეთი რამ შეიძლება, სხვა პარტიამ ვილაც-ვილაცებს ასწავლოს, მაგრამ ჩვენი?.. პარტიისათვის უცხოა ასეთი დამოკიდებულება. განა ამაზე არ წერს ლენინი?.. ვლადიმერ ილიჩი?..

აქ მიხეილ თემუროვიჩმა ვერა და ვერ გაიხსენა, რას წერდა ლენინი თხის ქურდების დასაცავად.  
 – დამიანე ვლადიმეროვიჩი, განა თქვენთან, გალშიც, ასე არ ხდება, როცა სტუმარს უნდა სცეს პატივი კაცმა? ის კი არადა, მეგრელების ამბავი რომ ვიცი, მეზობლის თხას იმავე მეზობლის ცხენით წამოიყვანდნენ, რათა სტუმრისთვის რაც შეიძლება სწრაფად ეცათ პატივი და სუფრის მოლოდინში არ დაეღალათ. ასე არ არის, დამიანე ვლადიმეროვიჩი?

დამიანე გოგოხიამ თავი ჩაქინდრა.  
 ბიურო მდუმარედ და უსიტყვოდ ეთანხმებოდა პირველს.  
 – შემომაქვს წინადადება, რომ კომუნისტს, რომელმაც სოფელს ღირსება შეუნახა და სანაქებოდ მიიღო სტუმარი, მოვეუსნათ ოჩამჩირის რაიკომის სასჯელი და აღვად-

გინოთ პარტიის რიგებში. დღეს, ამხანაგებო, ასეთი ადამიანების დეფიციტი გვაქვს, მათ მხარში უნდა ამოვუდგეთ, თორემ ხვალ რა პასუხს გავცემთ მომავალ თაობებს? ეს ხომ მათ უნდა გააგრძელონ წინაპართა ტრადიციები?

ბიურო უსიტყვოდ დაეთანხმა წინადადებას.  
 – გარდა ამისა, მის მეზობელს და არა „დაზარალებულს“, როგორც თქვენ ამბობთ, თხა ოჩამჩირის ხელმძღვანელობამ უნდა უყიდოს, რა თქმა უნდა, რაიონის ბიუჯეტიდან. ვინმე ხომ არ არის წინააღმდეგი, ამხანაგებო? წინააღმდეგი არავინ არ იყო, არც თავი შეუკავებია ვინმეს.

55

მამო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყოს სახელი შენი, მოვიდეს სუფევა შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.

პური ჩვენი არსობისა მოგვეცე ჩვენ დღეს და მოგვიტევე ჩვენ ცოდვანი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუღუტევებთ ცოდვებს სხვებს.

და კიდევ – დაგვიფარე და დაგვეხმარე, მამო ჩვენო, მე, ჩემს ოჯახს, ჩემს ქალაქს, ჩემს ქვეყანას! დაგვეხმარე და დაგვიფარე! და თუ არ არის საჭირო ეს და არ არის სასურველი და თუ ჯერ არ გსურს შენ ეს, მაშინ სხვას მაინც დაეხმარე, მამო, სხვის ოჯახს, სხვის ქალაქს, სხვის ქვეყანას!

56

კავკასიის მთებს გაუმარჯოს! უპირველესად იმიტომ, რომ რალაც სხვანაირები არიან ისინი.

სხვა მთების შუაგულში რომ დადგები და ასე მიესალმები მათ: გამარჯობა! როგორა ხართ? იმ მთების ექო ასე გამოგეპასუხებათ:

– გამარჯობა... გამარჯობა... როგორა ხართ... როგორა ხართ...

აბა, დადექით კავკასიის შუაგულში და დაიძახეთ:

– გამარჯობა! როგორა ხართ?

ჰოდა, ახლა მიაყურადეთ!

თქვენ გაიგონებთ:

– გამარჯობა... გამადლობთ, არა გვიშავს... გამადლობთ, არა გვიშავს... თვითონ როგორ ბრძანდებით, ჩემო ბატონო... ოჯახში ხომ ყველანი კარგადა გყავთ... მოგვიკითხეთ ყველანი... მოგვიკითხეთ...

პრეზიდენტის კატა

მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმის კარკასის აგების საიდუმლოებას დღესაც ეძებს. კითხვაზე – თუ როგორ წარმოიქმნა პირველი უჯრედი, პასუხები ჯერაც სხვადასხვანაირია.

ქსოვილთა გაერთიანების შედეგად მიიღება ახალი – გარდამავალი ფორმები. ესენია სომატური ფორმები, იგივე ქიმერები. მცენარეული ფორმები პირველადია – თუ ფოტოსინთეზი არ წარიმართა, არც სიცოცხლე იქნება

დედამინაზე. არც სხვა პლანეტაზე. ცხოველური ფორმები შემდეგ იყო.

აფხაზეთში იოსებ კაპანაძე და მიხეილ ბლაჟუბა ორგანიზმის კარკასის აგების გამოცანაზე მუშაობდნენ. ისტორიკოსი ვიანორ ფაჩულიაც მათი გულშემატკივარი და მესაიდუმლე იყო.

ციტრუსები კლასიკურ მცენარეებად ითვლება. მათ სწორედ ციტრუსებით დაიწყეს თავიანთი პირველი ცდები.

და გახსნეს კიდევ საიდუმლო. ორგანიზმის კარკასის აგების საიდუმლო. ორი კომპონენტი შემაერთებულ ქსოვილს ქმნის. ორგანიზმს სანყისს აძლევს ერთი უჯრედი, რომელიც შემდეგ იყოფა ორად და წარმოშობს ინიციალურ ტეტრადას. უჯრედები აგებენ კარკასს, ლებულობენ პირამიდის ფორმას. პირამიდის პირველი უჯრედი მცენარეებში გულის გულს წარმოშობს, ცხოველებში კი – ძვლის ტვინს. სხვა უჯრედები მერე წარმოიქმნებიან. მცენარეებში – მერქანი, ცხოველებში – ძვალი. ცხოველებში ძვლის შემდეგ ხორცია.

ტრიფოლიატზე დაამყნეს ლიმონი. უჯრედები გაერთიანდნენ, შეერწყნენ ერთმანეთს. ასევე მიიღეს გარდამავალი ნაყოფი ფორთხლისა და ციტრონის შეჯვარებით.

მიხეილ თემუროვიჩი მრავალწლიან მცენარეთა მსხმოიარობის დაჩქარების თემაზეც მუშაობდა. გადაიცვამდა თეთრ ხალატს და მორჩა! – სხვა ყველაფერი ავინყდებოდა თავისი მცენარეების გარდა. ყველაფერი თვითონ უნდა ენახა, შეემონებინა, შეედარებინა, მერამდენეჯერ შეესწავლა. სოსო კაპანაძესთან ერთად საათობით იკეტებოდა ლაბორატორიაში.

თავიანთ შრომებს განსასჯელად სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ გენეტიკოსთა კონფერენციებს თავაზობდნენ.

ერთხელ, ეს იყო ოთხმოციან წლებში, მიხეილ თემუროვიჩი ამერიკაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ორი დღის დაგვიანებით ჩავიდა. სანამ ათას

ხუთასკაციან აუდიტორიას თავიანთ მეცნიერულ კვლევაზე დანერულ სტატიას გააცნობდა, დაგვიანებისთვის ყველას ბოდიში მოუხადა:

– გზად გერმანიაში გავიარე, იქ ქალაქი გალე მოვიანხულე. ჩვენც გვაქვს ქალაქი გალი და ამიტომაც დავინტერესდი გალეთი. გალეში ვირის ქანდაკება დგას. ჩემმა მე-

გობარმა აკადემიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ ბორბალს კი აქვს მილიარდობით ტონა ტვირთი გადატანილი, მაგრამ ვირს, არც მეტი, არც ნაკლები, თორმეტჯერ მეტი. ისე, სხვათაშორის, ბორბალი კავკასიელებმა გამოიგონეს შუმერებთან ერთად, ეს ჩემი მოხსენების შესავალი იყო, ახლა კი, მოდით, ჩვენს ახალ აღმოჩენაზე ვისაუბროთ.

კონფერენციის მონაწილე მეცნიერებმა გულიანად იცინეს და შემდეგ გაორმაგებული ყურადღებით უსმენდნენ მის ახალ მოსაზრებებს.

კარგი ორატორი იყო. როგორც სოსო კაპანაძემ მითხრა – მან, ჯერ კიდევ ტომირიაზევის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტმა, სწორედ თავისი ორატორული ნიჭით მოხიბლა სტალინი.

ერთ-ერთი კონფერენციიდან აფხაზეთში ცნობილი მეცნიერი ბერგანი ჩამოიყვანა. ბერგანი იენის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა.

მცენარეთა ქიმიკებს აგროვებდა. ქიმიკების უზარმაზარი კოლექცია ჰქონდა. მათ, ვინც აფხაზეთში კარგად იცოდა ბერგანის ფასი, არ ეგონათ, რომ მიხეილ თემუროვიჩი შეძლებდა ბერგანის ჩამოყვანას. მან კი ჩამოიყვანა. სოჭის გავლით ერთად ჩამოვიდნენ, მანქანით.

ჩვენ ბერგანთან ერთად მეტად სერიოზულ საკითხებზე უნდა ვიმსჯელოთო და თავდაპირველად „მერხეულში“ დაპატიჟა ბერგანი, მეორე დღეს – „ამრაში“, მესამე დღეს კი – „ემერაში“. ბერგანმა – მოხიბლული ვართ თქვენით და თქვენი აღმოჩენითო. „მერხეულში“ ორგანიზმის კარკასზე ისაუბრეს, „ამრაში“ – გლობალურ დათბობაზე, „ემერაში“ – გრეიფრუტ „ვაშინგტონის“ პლანტაციებზე. აქვე მოგახსენებთ, რომ „ვაშინგტონს“ ორი ჩვეულებრივი



მხატვარი მზია დედანაშვილი

ფორთოხლის ძალა, ანუ სარგებელი აქვს. აფხაზეთში კი შესაძლებელია ერთ ჰექტარზე 120 ტონა „ვაშინგტონის“ მიღება, 37 ტონა ფორთოხლის ნაცვლად.

ბერგანი ომამდე ორიოდე წლით ადრე ჩამოვიდა აფხაზეთში. ომამდე ერთი წლით ადრე კი მიხეილ თემუროვიჩმა ჩააკითხა სტოკჰოლმში ნობელის პრემიის კომიტეტის შტაბ-ბინას. შვედეთის მეცნიერებათა აკადემიაშიც იყო და სამეფო საზოგადოებაშიც. მათი აღმოჩენა საერთაშორისო აღიარების თუ არა, საერთაშორისო ყურადღების ღირსი მაინც უნდა გამხდარიყო. ამისათვის საჭირო გახდა მათი ნაღვანარის აღფრედ ნობელის პრემიაზე წარდგენა. მხოლოდ ნობელი! მხოლოდ ის! ასე გადანყვიტა მიხეილ თემუროვიჩმა. სოხუმელებს ამისათვის ყველაფერი მზად ჰქონდათ: ბალზამირებული უჯრედები, ქიმიკატები კოლექცია (მათ შორის ყველაზე ყურადღასღები ტრიფოლიატისა და ლომონის ქიმერა იყო), სხვადასხვა პრეპარატები, პუბლიკაციები. განაცხადს წარდგენა და რამდენიმე რეკომენდაცია უნდა დართოდა, სპეციალურ კომისიას პლანტაციები უნდა მოენახულებინა.

იქნებ დინამიტის მეფის მიერ მშვიდობისა და პროგრესისათვის დანებებული პრემია მისი დაარსებიდან ოთხმოცდამეათე და მეასე წლისთავების შუალედში მათაც ღირსებოდათ.

მეგობრებთან ერთად ნობელზე ოცნებობდნენ და თან: – მოსკოვში პერიოდულად ხვდებოდა პროფესორ ლევან გუგუშვილს – ლეგენდარული დემიხოვის მონაფეს. დემიხოვი და გუგუშვილი ცხოველების ორგანოთა გადაწვევაზე მუშაობდნენ. მათ ლაბორატორიაში ორთავა, სხვა ძაღლისგულა თუ სხვა ძაღლისფეხა ძაღლები დაიარებოდნენ. მიხეილ თემუროვიჩს აინტერესებდა მათი საქმიანობა, მაგრამ ცხოველები ექსპერიმენტებისთვის არ ემეტებოდა.

– შინ გველიც ჰყავდა, მთელი ორი წელიწადი. შემდეგ ტყეში გაუშვა. ისე, ყველას უკრძალავდა გველის მოკვლას. ყოველდღე, შინ თუ სამსახურში, თვითონ უყვარდა მცენარეების მორწყვა. გამოჩნდებოდა თუ არა სამსახურში, მტრედები პირველები ხვდებოდნენ, ფეხდაფეხ დაყვებოდნენ. მტრედებისა და ჩიტებისთვის ჯიბეში ან პარკში ყოველთვის ჰქონდა პურის ან ფუნთუშის ნატეხები. სოსო კაპანაძემ მას ვაჟა-ფშაველას მინდია შეარქვა. ხანდახან რესტორნიდან ნამოსვლის წინ ოფიციალტს საჭმლის ნარჩენებს ქალაქში გაახვევინებდა და მანანნალა ძაღლებსა და კატებს აპურებდა. ერთხელ ქუჩაში ნაპოვნი ლეკვი მოიყვანა, გამოზარდა, ინსტიტუტის ცენტრალური შენობის სარდაფში ეზოდან ხვრელი გამოუჭრა და იქ დაასახლა.

– დროგამოშვებით ზინაიდა ნიკოლაევენას აკითხავდა: გვიან ლამემდე იხსდნენ და საუბრობდნენ, ჩაის სვამდნენ, ხანაც – ყავას. ზინაიდას შვილის მკვლელებს (თუ მკვლელს) ვერა და ვერ მიაგნეს. ეჭვმიტანილი გაგრელები და გუდაუთელები უდანაშაულონი აღმოჩნდნენ. ისინი გაათავისუფლეს. ზინაიდა ნიკოლაევენაზე მისი ქალიშვილი და ვალერის მეგობარი – რომა ზრუნავდნენ. რომა მეზობლად ცხოვრობდა. ქალის სულიერ ტკივილს ფიზიკურიც დაემატა – დასუსტდა, ხელ-ფეხი დაეხუთა, რევმატიზმმა სძლია. მისთვის ძვირადღირებული წამლები მოჰ-

ქონდა, ზოგი სააფთიაქო სამმართველო ნაშოენი, ზოგიც – საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი, მაგრამ ვერც ის წამლები შეელოდნენ. ერთხელ დიდი, ნითური კატა მოუყვანა, უთხრა, ამერიკაში რომ ვიყავი, ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ მაჩუქა, მკურნალი კატაა, მსოფლიოს ყველა კატის ჯიბეებიდან გამოყვანილი. ძალიან დიდი ბიოველი აქვს, ყველაფერს მკურნალობს, უპირველესად, გულსა და სისხლძარღვებს, ნერვებს, სახსრებს, ღვიძლს, კუჭს, ნწევას ანესრიგებს, აბსოლუტურად ყველაფერს, გვერდიდან არ მოიშორო, თან ნახე, როგორი თვინიერია, ქაფშია უყვარს შენსავით, კიდევ – ბენჯე ხელის ხშირი გადასმაო. უბრალო კატას კენედები როგორ გააჩერებდნენ, ჯონ ფიცჯერალდ კენედის კატაა, სპეციალურად მისთვის გამოყვანილი. ხანდახან შეგიძლია ჯონი დაუძახო, ხან – ჯონ ფიცჯერალდი, ხან კიდევ სრულად – ჯონ ფიცჯერალდ კენედო.

– ფილტვებს მკურნალობდა, მაგრამ ყველამ როდი იცოდა ამის შესახებ. მხოლოდ რამდენიმემ. მათ შორის სოსო კაპანაძემ. 1968 ფილტვების კიბოს დიაგნოზი დაუდგინეს. მკურნალობდა ხალხური მედიცინით, სვამდა წამალს – „კოლხუმი“, რომელიც მისთვის კივივიდან ჩამოჰქონდათ. „კოლხუმი“ შხამს „კოლხიციანს“ შეიცავს.

– ერთხელ ინსტიტუტში ახალგაზრდა, შავკოლგოტიკიანი, მინი-კაბიანი ქერა ქალი მოიყვანა. სოსიკ, ლაბორანტად გააფორმე, შენს ლაბორანტებზე უჭკუო როდია, თან, დარწმუნებული ვარ, ნობელის მიღებაში უდიდეს დახმარებას გაიმინვესო. სოსომ ქვა ააგაო და თავი შეუშვირა. მაშინ ვერშემდგარი ლაბორანტისათვის წყალგაყვანილობის სისტემის ინსტრუქტორის ვაკანტური ადგილი გამოძებნა. მეცნიერებას მსხვერპლი სჭირდება, სოსოს კი ეს კარგად არ აქვს გააზრებულიო.

– ბავშვებთან მეგობრობდა. ერთხელ ინსტიტუტის ეზოში ფეხბურთის მოთამაშე თერთმეტ ბიჭს თერთმეტი ბურთის საყიდელი ფული მისცა, ბურთი დაგძველებიათო.

– ზაფხულში, დილაობით, მეგობრებთან ერთად ზღვაზე დადიოდა. იქ, დახურულ პლაჟზე, თავისი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი ქოლგით, გასახდელი კაბინით. ერთხელაც იქ, ქოლგის ქვეშ მონებივრეს, შეატყობინეს – შენი უმცროსი ქალიშვილი გათხოვდა, სახლიდან გაიპარაო. როცა გაიგო სიძის გვარი, შექსპირის გმირივით აბობოქრდა – ოჰ, ეს წყეული მეგრელები, ჩემი ასიმილირება განიზრახეს, ხედავთ, როგორ გამოყვავართ წონასწორობიდან, ჩემს კვლევებს ამუხრუჭებენო! ვიანორ ფაჩულიასა და სხვებს წაყოლაზე უარი უთხრა, სოსო წამოვიდეს, მან ჩემი „ფსიხები“ კარგად იცისო. ნახევარ საათში მათი „ვოლგა“ სიძისა და ქალიშვილის სამყოფელს მიადგა. ქალიშვილის შემდეგ რამდენჯერმე გადაკოცნა სიძე – შვილებო, აბა, აირჩიეთ, სად გინდათ თაფლობის თვე გაატაროთო?!

– ვინორ, – ეუბნებოდა ვიანორ ფაჩულიას, – ჩვენ ხან რომელიღაც მცენარე, ხანაც რომელიღაც ცხოველი ვიყავით ადრე; აი, გუშინწინ დათვის ქონით რომ დამზილე, მთელი ღამე დათვი ვიყავი; ისე, ვგრძნობ, ოდესღაც კამეჩიც ვიყავიო. სწამდა, რომ გვანდრაში ზაფხულიც სხვაგვარი იყო და ზამთარიც. მე გვანდრის ზამთარში გვან-



დრის ზაფხულს ნაბადივით მოვიხურავ და ისე მძინავს, მის ზაფხულში კი მის ზამთარს ვსვამ ჩაციებული შამპანურივით, ნება-ნებაო. აქ იმ ერბო-კვერცხსაც, მეგობრებთან ერთად რომ ვწვავ, კვანტურ-ტალღოვანი სინათლე აქვს, ზღვის ვიბრაციაო.

- რაც არ უნდა შეუძლოდ ყოფილიყო, ლამაზი ქალის დანახვისას წელში გაიმართებოდა - ამ ქალის მხოლოდ შემოხედვაც მსხნელიაო.

- ხანდახან ზღვისპირას, მინდორში ან ტყეში, ზურგზე დანევებოდა და ცას ახედავდა - მკურნალობსო, ცასა და მინაზე იტყოდა. დედამინა ზურგს უმაგრებდა, ცა - გულს.

- ნებისმიერ დროს შეეძლო გამოეძახა თავისი ბავშვობა. ნებისმიერ დროს შეეძლო ცოცხლებისა და გარდაცვლილების გამოხშობა. მათზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს იმ წუთას ერთნიც და მეორენიც მის გვერდით იდგნენ. ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის დიდ სხვაობას ვეღარ ხედავდა. ნებისმიერ დროს შეეძლო ერთდროულად ყოფილიყო ქალაქშიც და სოფელშიც, მოკლედ, სოფელ-ქალაქში, ორ ქვეყანაში, ორ პლანეტაზე.

მისი გამონათქვამებიდან:

- ადამიანებს ძერწავენ თავიანთი მტრები. დიდება მათ და სიყვარული! მაგრამ მე რომ არა მყავს ისინი?

- კაცის სიტყვები ისე უნდა მოსინჯო, როგორც ოქროს სინჯავენ ძველ ფილმებში.

- სამყარო ერთ ოთახში ეტევა, ოკეანე - ერთ ნვეთში. ჩვენ ვიბადებით მოგზაურობით. ვმოგზაურობთ სივრცეებს შორის? ეს ნიშნავს - ვიბადებით სივრცეებს შორის. ამიტომაც მიყვარს გემიც, მანქანაც, მატარებელიც. ჩემს მანქანაში ყოველთვის წინ ვჯდები, მძღოლის გვერდით. საერთოდ, ადამიანი უფრო ხშირად იბადება, იშვიათად კვდება, მაგრამ ყველამ როდი იცის ეს.

- ღმერთს მაშინ ვხედავ, როდესაც ადამიანურ ურთიერთობებში ვმოგზაურობ.

- მთელი ჩვენი ცხოვრება შეთქმულებაა ახალშობილების წინააღმდეგ. ნახეთ, როგორ ვცდილობთ მათ შემოტყუებას ჩვენს სამყაროში - საჩხარუნებლებით, ჭრელ-ჭრელი სათამაშოებით, სალამურებით, ფერად-ფერადი ბუშტებით. როგორ მოვურთავთ ხოლმე ნაძვის ხეებს, როგორ ვულამაზებთ დაბადების დღეებს, როგორ ვაჩვენებთ ჩვენს სიცრუეს.

- სული და გულია მთავარი, თორემ ბოროტი სახე და კეთილი სახე ერთდაიგივე სახეა.

- დიდებულია ის, რაც არ არსებობს, მაგრამ გვაქვს.

მისი შედარებებიდან:

- არის კაცი, ვისაც ორმეტრიანი მზერა აქვს, არის კაცი, ვისი მზერაც ათასკილომეტრიანია.

- არის საღამო, რომელიც აპატარავეს მუსიკას.

- არის წვიმა, რომელიც ფუნთუშასავით ალბობს ქალაქს.

- გულზე მეფინება შავი ზღვის ერთდროულად ბებერი და ნორჩი, მარად კეთილი ნისლი.

ერთხელ თურმე:

- მითხრა მიხეილ თემუროვიჩმა: ეს ბუზი რომ მოკალი, რომელი ქარხანა შექმნის ანი იმ ბუზს, რომელი ფაბრიკაო. რამდენ ბუზს მოკლავ, იმდენი ძირმაგარა ამოგსვლოდეს უკანალზე; არ გაბედო და არასოდეს მოკლა არც ტარაკანა, არც გველი, არც ხვლიკი, არც თავიკი...

- მითხრა - ეს რა უბედურებაა: გუშინ ქუჩაში უცნაური ხალხი შემხვდა, სამნი იყვნენ, მივესალმე, არ მიპასუხეს. მე მინდოდა, ისინი ჩემი ყოფილიყვნენ, მცირედით მაინც, მაგრამ მათ არ უნდოდათ ეს, მათთვის უცხო ვიყავიო.

- ინატრა: ღმერთო, სხვისი ინდოეთის ძებნაში ჩემი ამერიკა მაპოვნინაო.

- დავურეკე და, ვიდრე ხმას ამოვიღებდი, მიცნო - გამარჯობა დიმიტრი ანდრეევიჩო. როგორ მიცანი-მეთქი? უფულო კაცებს სიჩუმითაც ვცნობო, გაიცინა.

- ერთ სუფრაზე ერთმა კაცმა ჩვენს საერთო ნაცნობზე „ვოზდუხტრესტიაო“, თქვა. მიხეილ თემუროვიჩი აილენა, - როგორიც უნდა იყოს, კაცზე არასოდეს თქვა ასე, მითუმეტეს, ის კაცი ახლა ჩვენთან არ არისო.

- გაგრამი ყოფნისას გვითხრა: გაგრა ისეთი ლამაზია, აქ მეცნიერებაზე ვერც ფიქრობ, ხელი გეშლებო.

- გაიხსენა: სკოლაში, დაფაზე, ჩემმა გეოგრაფიის მასწავლებელმა ასე დანერა კოლუმბის სახელი და გვარი - ქრისტ ეფორე კოლუმბი. მას შემდეგ კოლუმბი ჩემთვის ქრისტეფორე კი არა, ქრისტ ეფორეა.

- რესტორანში მთვრალ და მოჩხუბარ დებოშიორს უთხრა: შენ, რა, ჩემი ცოლის წყევლას გამოყევი, დღევანდელ საღამოს რომ გვიმნარებო?! გაავებული მთვრალი მისკენ შემოტრიალდა, მაგრამ როდესაც იცნო, ხელები დაუშვა და რესტორნიდან გავიდა.

- გვანდრამი, მის ეზოში ვისხედით. ზღვა ხმაურობდა, იჭმუნებოდა, სადღაც ისმოდა მატარებლის ხმა, ცაზე ღრუბლები და მზე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ყიოდა მეზობლის მამალი, სამზარეულოში დუღდა ჩაიდანია, ახველებდა ქუჩაში გამველი მოხუცი, ჩვენ ვსვამდით აჩადარულ ღვინოს. ის ათასგვარ ამბებს გვიყვებოდა,

ამბობდა,

რომ

სიყვარულმა შეიძლება რელიგიაც და პარტიულობაც კი შეგაცვლევინოს. მოჰყავდა ინგლისის მეფის - ჰენრი VIII-ს მაგალითი, როდესაც მან ანა ბოლენზე იქორწინა. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ მეფეს ანაზე გული გაუცივდა. ანა ჯერ ციხეში ჩასვეს, შემდეგ თავიც მოკვეთეს,

ამბობდა,

რომ

ყველაზე სექსუალური „ზმიკაა“, რადგანაც მან არა მარტო მოდაში, სექსშიც მოახდინა გადატრიალება,

რომ

შეჭერეზადას ზღაპარი დედოფალია ზღაპრებს შორის,

რომ

ადამიანი სიცოცხლის ყველაზე უცნაური სახეობაა დედამინაზე და საკმაოზე მეტად გაძლიერებული სიცოცხლის სხვა 10 მილიონ სახეობის შორის,

რომ

იტალიელებს საამაყოდ ვენეციის პორტიც ეყოფათ, რომ

მსოფლიოში ყველაზე დიდი შეცდომის ავტორმა – ქრისტე ეფორე კოლუმბმა ამერიკასთან ერთად ევროპას პომიდორი, კარტოფილი და ბანანიც აღმოუჩინა, და, რომ

გვანდრაში ჩვენ სწორედ კოლუმბის მიერ განყოფილ სუფრას ვუსხედით. და იმ სუფრას აჩადარულ ღვინოს ვამატებდით და კიდევ – ინდურ ჩაის, აფრიკულ ყავას, ბერძნულ ნიგოზს, ჩეხურ ლუდსა და სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკაში გამოცხობილ ტორტს,

და იმ დღესაც, როგორც ხშირად და, ალბათ, როგორც ყოველთვის, მთელი სამყარო ჩვენთან იყო და ჩვენც ვიყავით სამყაროსთან.

57

ტამიშის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი. ისტორიის მასწავლებელმა ოთხი ხუთოსანი მოსწავლე საახალწლოდ ლენინგრადში წაგვიყვანა, ისტორიულ ადგილებს, „ავრორას“, მუზეუმებს გაჩვენებთო.

ის ახალი წელი არასოდეს დამავინყდება.

მოულოდნელად, ლენინგრადში ბლაჟბას შევეფეთეთ. ის და ჩემი მასწავლებელი თანაკლასელები ყოფილან. ბლაჟბას ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა – ამ საღამოს სასტუმროს რესტორანში გელიო, უთხრა მასწავლებელს; ეს ბავშვები აუცილებლად მომიყვანე, გაბედე და არ მოსულხარო. გამომშვიდობებისას ერთხელ კიდევ გადაგვიკიცნა ყველანი, ერქარებოდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ფეშენებლურ „ასტორიაში“ ამოვყავით თავი. სტუმრად უნგრელი და რუმინელი ნაცნობები ჰყავდა.

ცოტა რომ შეთვრა, ჩვენი მასწავლებელი სტუმრებს აფხაზეთის განათლების მინისტრად წარუდგინა, ჩვენ კი – პარიზში, როგორც თვითონ თქვა – პლანეტარული მნიშვნელობის კონკურსში გამარჯვებულ ვუნდერკინდებად გამოგვაცხადა.

ელდა გვეცა, მაგრამ რას ვიზამდით?

ბლაჟბამ, ამ ინფორმაციით ერთდროულად გახარებულ-გაოცებულ სტუმრებს დამატებით აცნობა, ამ ბავშვებმა ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა და ისტორია მეცნიერებათა კანდიდატების დონეზე იციან და, გარდა ამისა, თავისუფლად ლაპარაკობენ – აფხაზურად, მეგრულად, რუსულად, ქართულად, სომხურად, ბერძნულად, თურქულად, ძველებრაულად, ძველიაპონურად, ტაილანდურად, მაკედონურად და აფრიკის ერთ-ერთი ტომის – ურდუს დიალექტზეო.

ლუკმა ყელში გაგვეჩხირა. მასწავლებელმა კინალამ დატოვა სუფრა.

– ნახეთ, რა საინტერესო ბავშვებია, ამათ ექნებათ ევროტიკური ცხოვრება, ცხოვრება კი არა დღესასწაულიო, – იმეორებდა.

სტუმრებმა სუვენირები გვაჩუქეს, ხელით გვამონებდნენ, მართლა ჩვეულებრივი ბავშვები ვიყავით თუ არა.

შემდეგ მიხილ თემუროვიჩმა ტელევიზორში ამინდის პროგნოზს მოკრა თვალი. ტელევიზორი აცხადებდა, შავი

ზღვის სანაპირო ზოლში დიდი თოვლი მოვიდა, გზებზე ნანილობრივ შეფერხდა მოძრაობაო.

უმალ ტელეფონი ითხოვა. მაგიდასთან მიართვეს. სოხუმში სასწრაფო ტელეფონოგრამა გაავზავნა – საოლქო კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში.

ახლაც კარგად მახსოვს ტელეფონოგრამას შინაარსი:

„გავიგე, აფხაზეთში დიდთოვლობაა. საერთოდ, თოვლი შესანიშნავი მოვლენაა, მაგრამ დიდი და ხანგრძლივი თოვლი – არა. ამასთან დაკავშირებით ვავალებ რაიკომებს და რაიალმასკომებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, აფხაზეთის მთელს მოსახლეობას, რომ ყველა ღონე იხმარონ, რათა გამოაზამთრონ მგალობელი ფრინველები, უზრუნველყონ საკვებითა და თავშეფარით. მათი სიკვდილი დიდი დანაკლისი იქნება აფხაზეთისათვის. ორ დღეში ჩამოვალ, თქვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგებს ადგილზე პირადად შევამოწმებ. მიხეილ ბლაჟბა“.

58

ყველა უბედურ კაცს გაუმარჯოს, უშველოს ღმერთმა და ხელი მოუმართოს!

არის ერთი სახანძრო თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია სულ რამდენიმე წამში ტბიდან თუ დიდი წყალსაცავიდან თავისი მუცელა-ავით ათეულობით ტონა წყალი ამოხაოს და შემდეგ, ხანძრის ეპიცენტრში, ასევე სულ რამდენიმე წამში, ჩამოიღვაროს ის წყალი.

იმ თვითმფრინავს ტყის ხანძრების ჩასაქრობად იყენებენ.

როდესაც წყლის მარაგს იღებს, თვითმფრინავი თითქმის „ჯდება“ კიდევ წყალზე. ძალზე მძლავრია, ოთხმოტორიანი, ჩემი თვალთ მინახავს.

შარშან, აგვისტოში, კანადის ტყეებს დიდი ხანძარი გაუჩნდა. რითი, რა საშუალებით არ აქრობდნენ ხანძარს, მაგრამ მაინც მთელი კვირა იწვოდა ტყეები.

კანადაში მაშინ ის თვითმფრინავი „მუშაობდა“.

ერთ-ერთი შევსებისას, თვითმფრინავმა ტბაში მყოფი მყვინთავიც „ამოხაპა“ და რამდენიმე წუთის შემდეგ ის საცოდავი წყალთან ერთად ზედ შუაგულ ცეცხლში ჩაუშვა.

იმ კანადელი მყვინთავის სახით ყველა უბედურ კაცს გაუმარჯოს!

59

ეკალიპტების კორომში, ბესლეთისა და ზღვის შეერთების ადგილას, ოლენდრის ბუჩქებქვეშ, უპატრონო ნითური კატა იპოვნა. აიყვანა და გულში ჩაიხუტა, ეფერა და კოცნა.

კატა მწვანე თვალს ნაბავდა, შეუსვენებლივ კრუტუნებდა, თავს მკერდზე ადებდა და სახეს ულოკავდა. ისე იქცეოდა, თითქოს მისი ძველი ნაცნობი ყოფილიყო.

სოსომ უთხრა – დააკვირდი, როგორ გგავსო.

ვიანორმა – კატა ასე საოცრად რომ კნაოდეს, პირველად მესმისო.

იმანაც – გასაკვირი აქ არაფერია, თქვენც კარგად დააკვირდით და მიხვდებით, რომ ბედისწერამ განსაკუთრებულ კატას შეგვახვედრა, ესაა და ესო.

განსაკუთრებული კატა შინ ნაიყვანა და შამპუნით დაბანა.

რამდენიმე დღეში კატა თავის ძველ მეგობარს, ჩემს მეზობლად მცხოვრებ ზინაიდა ნიკოლაევნას აჩუქა. ზინაიდა ნიკოლაევნას სახსრები ჰქონდა დახუთული და ნახევარ წელზე მეტი სანოლიდან ვერ დგებოდა.

– ზინაიდა ნიკოლაევნა, მკურნალი კატა მოგიყვანე, სპეციალურად გამოყვანილი ჯიშია. თვითონ ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ მაჩუქა. შეგიძლია ასეც შეარქვა – ჯონ ფიცჯერალდ კენედი, ან უბრალოდ – პრეზიდენტის კატა დაუძახე.

„ჯონ ფიცჯერალდ კენედის“ და „პრეზიდენტის კატას“ ისე წარმოთქვამდა. თითქოს რომელიღაც ჯაზური კომპოზიციის ტექსტს მღერისო.

მოგვიანებით ზინაიდა ნიკოლაევნაც სწორედ ისევე წარმოთქვამდა „ჯონ ფიცჯერალდ კენედის“ და „პრეზიდენტის კატას“. ზინაიდა ნიკოლაევნას ძალიან სწამდა მისი. წარმოუდგენლად ძალიან.

– გვერდიდან არ მოიშორო პრეზიდენტის კატა, ნახე, როგორი მოალერსეა.

ზინაიდა ნიკოლაევნა პრეზიდენტის კატას არ იშორებდა.

ერთი თვის შემდეგ ზინაიდა ნიკოლაევნა კატასთან ერთად ჯერ ეზოში, მერე ქუჩაში, შემდეგ კი პიონერთა პარკშიც დასეირნობდა.

ჯონ ფიცჯერალდ კენედის კატა! ო, როგორ ჟღერდა.

60

ახლა, მოდით, ის ფრინველები, ის ძუძუმწოვრები, ის მწერები ვახსენოთ, რომლებმაც ვერ მოახერხეს და თავი ნოეს კიდობანს ვერ შეაფარეს.

მათ შორის იყო კამეჩი, მაგრამ კამეჩი იხსნა იმან, რომ მან ნოეს სახელი ამოიბღავლა:

– ნნ – ო – ეე, ნნ – ო – ეე!..

კიდობანი ის-ის იყო, წყალში უნდა შეცურებულიყო, როდესაც ნოეს კამეჩის ნნ – ო – ეე შემოესმა.

და მან შეიყვანა კიდობანში კამეჩი.

სხვები კი წარლენას შეეწირნენ. შეიძლება იმიტომაც, რომ მათ არ იცოდნენ, როგორ ამოებღავლათ, ეგალობათ, ეჭიკჭიკათ, ელმუვლათ, ეძახათ ნნ – ო – ეე.

ვახსენოთ ისინი – მაშინ უბედურები, დღეს კი იმათსავით ბედნიერები, რომლებიც არასოდეს დაბადებულან.

61

მოსკოვში, ტიმირიაზევკაში სწავლებისას, ერთი რუსი მეგობარი მყავდა – ვასილი კუზმიჩი, მეცნიერი იყო, ჩრდილოეთ პოლუსს იკვლევდა და ამიტომაც ხშირად დახეტიალობდა ჩრდილოპოლუსელთა სხვადასხვა ექსპედიციასთან ერთად.

კარგად მოგეხსენებათ, ჩრდილოეთში ექსპედიცია გზას ძაღლებშებმული მარხილებით მიიკვლევს. თითოეული მარხილის ძაღლებს თავიანთი წინამძღოლი ჰყავთ. წინამძღოლს, იმისათვის, რომ წინამძღოლი გახდეს, რამდენიმე შებრძოლება უწევს ძაღლებთან, ხანდახან სამკვდრო-სასიცოცხლოც.

ერთ-ერთი ექსპედიციის დროს ვასილი კუზმიჩის მარხილის ძაღლებს ბურანი წინამძღოლობდა. ბურანი ახალ-

გაზრდა, შავბუნციანი, გულთეთრა და მკერდგანიერი ძაღლი იყო. ვასილს გამორჩევით უყვარდა ბურანი. ძაღლმა კაცის ენა არ იცოდა, თორემ ყველაფერს აგებინებდა ვასილს.

რაც უფრო უახლოვდებოდა ექსპედიცია პოლუსს, მით უფრო მძვინვარებდა ყინვა – ყოველდღე თითო-ოროლა ძაღლი ეწირებოდა სიცივეს. დილით მკვდარ ძაღლს ხსნიდნენ ჯაჭვს და სხვა ძაღლით შეცვლიდნენ. მკვდარს იქვე ტოვებდნენ... და მარხილები გზას განაგრძობდნენ.

წინამძღოლი, რა თქმა უნდა, სათავეში ედგა მარხილს, მას ჯაჭვზე წყვილ-წყვილად მიბმული ძაღლები მიჰყვებოდნენ. ღამითაც არ იძინებდნენ ძაღლები – წინამძღოლი ჯაჭვის თავში იწვა, მის უკან კი, თოვლში, ორ-ორად ჩანოლილი ძაღლები ისვენებდნენ.

თანდათანობით მძლავრდებოდა ყინვა, მატულობდა დაღუპული ძაღლების რიცხვიც.

ერთ ღამეს, როდესაც ყინვა თითქმის გაუსაძლისი გახდა, ვასილი კუზმიჩი შემფოთდა, შეეშინდა – ბურანი არ გაიყინოსო. წინამძღოლი ჯაჭვიდან ახსნა, კარავში შეიყვანა და ძელზე თოკით მიაბა. თვითონ უმალ ჩაეძინა – სიცივისა და მთელი დღის სიარულისაგან გადაღლილს.

როდესაც გაეღვიძა, ძელზე ჩამოკონწიალებული თოკის ნაგლეჯს ჰკიდა თვალი – ღამით ბურანს თოკი გადაელრღნა და გაქცეულიყო.

გარეთ გავარდა ვასილი კუზმიჩი, ხედავს – ბურანი კვლავ თავის ადგილზე წევს – წინამძღოლის ადგილზე, მარხილის თავში, დრუნჩი თავებში აქვს ჩარგული და კაცისკენ არც იყურება, განაწყენებულია მასზე. ძაღლებიც თავ-თავიანთ ადგილზე იმყოფებიან – ორ-ორად წვანან თოვლში.

ატირდა მაშინ ვასილი კუზმიჩი, მიხვდა, დამნაშავე იყო ბურანის წინაშე – წინამძღოლს რომ კარავში გაეთია ღამე, მეორე დღეს ძაღლები მას არ გაიკარებდნენ, არ იგუებდნენ, არ ჩაუდგებოდნენ ბურანს კვალში, არ დაიჭიმებოდა მათი ჯაჭვები გიტარის სიმებივით, ადგილიდან არ დაიძვრებოდა მარხილი.

ძაღლები ბურანს არ აპატიებდნენ კაცის კარავში გატარებულ ღამეს, სხვა წინამძღოლს შეარჩევდნენ.

მოდით, ჩვენს, ადამიანებს შორის მყოფ ყოველ იმ წინამძღოლს გაუმარჯოს, რომლებიც ცოტათი მაინც ჰგავს ბურანს! დამერწმუნეთ, ერთი, ორი ან დიდი-დიდი, სამი კაცის სადღეგრძელოა ეს! მეტის არა!

62

ოცდაათკაციანი დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნეს, მოზამბიკში უნდა ჩაგვეტარებინა შეხვედრები, მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო. საბჭოთა კავშირი აფრიკაში მოკავშირეებს ეძებდა. ხანდახან პოულობდა კიდევაც. თუმცა ძალიან დიდი ფული უჯდებოდა ეს.

დიდმა ცეკამ დამავალა:

– ნადი, მიხეილ თემუროვიჩ, მოზამბიკში, ნაიყვანე ეს ხალხი და კარგი ამბებით დაბრუნდიო.

ოდესიდან გემით გავემგზავრეთ. გავცურეთ: შავი, ეგეოსის, ნითელი ზღვები და ინდოეთის ოკეანეში შევე-

დით. მერე მოზამბიკის სრუტით თვითონ მოზამბიკს მივა-  
დექით და ღუზა მაპუტუს პორტში ჩავუშვიტ.

მე იქ ერთი ტომი მაინტერესებდა ძალიან – ტუკუს  
ტომი. ოფიციალურ შეხვედრებს რომ მოვრჩით, მასპინ-  
ძლებს ვთხოვე, ერთი საათით მაინც ეჩვენებინათ ტუკუე-  
ლების საცხოვრებელი ადგილები.

მაჩვენეს კიდეც.

როდესაც მთელი ჩვენი დელეგაცია ხალხური შემოქ-  
მედების კონცერტს ესწრებოდა, მე მომცრო გემით წამიყ-  
ვანეს მდინარე სავესა და ოკეანის შესართავისაკენ, იქ,  
სადაც ტუკუს ტომი ცხოვრობს. გემზე ერთი იტალიელი  
მღვდელიც იმყოფებოდა, მისიონერი, სახელად ანტონიო.  
მამა ანტონიო.

ტუკუს ტომი თევზაობით ირჩენს თავს. თევზაობის  
საინტერესო რიტუალი აქვთ – თავდაპირველად, სამი კა-  
ცი ნავით შედის სრუტეში, მაგადასკარისკენ მიცურავს,  
იჭერს მხოლოდ ერთ, ერთადერთ თევზს, ჩასვამს წყლით  
სავსე დიდ ჭურჭელში და ნაპირს უბრუნდება. თევზის იმ  
სახეობას ბარამბას უწოდებენ. მოზრდილი ბარამბა სამი-  
დან შვიდ კილოგრამამდე იწონის.

მერე დაჭერილ ბარამბას ტუკუელები საგანგებო აუზ-  
ში უშვებენ და ერთი კვირა სულ გამორჩეულ საჭმელს აძ-  
ლევენ.

ერთი კვირის შემდეგ კი, იმავე სამ კაცს, უკვე გვარიან-  
დად გასუქებული, ნასიამოვნები ბარამბა წყლით სავსე  
ჭურჭლით კვლავ ოკეანეში მიჰყავს და უშვებს.

გაშვების წინ ამას ეუბნებიან: გადაეცი შენს ოჯახს,  
შენს ნათესაობას, შენს სამეგობროს, შენს სამეზობლოს,  
ყველას, ყველას, ყველას, რომ კარგად იყავი ჩვენთან, სა-  
ნაპიროზე, უთხარი, რომ ხვალ, მზის ამოსვლისას, აქ მოვ-  
ცურდებით ბევრი ნავით, ყველას ნავიყვანთ და ყველას  
ისეთივე დიდ პატივს ვცემთ, როგორც შენ.

მეორე დღეს, მზის ამოსვლისას, ოცდაათამდე ნავით  
მიცურავენ კიდეც იმ ადგილას და, მართლაც, იმდენ ბა-  
რამბას იჭერენ, რომ მათი ნავები ძლივს იტევს.

ნადავლი კარგა ხანს ჰყოფნით, გარკვეული დროის  
შემდეგ კვლავ მეორდება იგივე – ის გამორჩეული სამი კა-  
ცი კვლავ მიცურავს ოკეანეში ბარამბას დასაჭერად...

მე და მამა ანტონიო ვესაუბრეთ მეთევზეებს. ისინი  
ბარამბათი გავვიმასპინძლდნენ. თევზი კოცონზე შეგვინ-  
ვეს, გვითხრეს, დაჭერილ ბარამბას სჯერა ჩვენი, მერე  
მას სხვები უჯერებენ, სხვებს სწამთ მისი. და ჩვენც  
გვწამს, რომ მომავალში ჩვენი ურთიერთობა ასე გაგ-  
რძელდება, ჩვენი ღმერთი და ბარამბას ღმერთი მეგობ-  
რები არიანო.

ტრაპეზის შემდეგ კოცონთან ილოცეს. იალო, – შესძა-  
ხა ერთმა (რაც მათ ენაზე ერთს ნიშნავს). იალო! – გაიმე-  
ორეს სხვებმა. ოილი, – შესძახა პირველმა (რაც მათ ენაზე  
ორს ნიშნავს). ოილი! – გაიმეორეს სხვებმა. მერე კვლავ:  
იალო!... იალო! – გაიმეორეს სხვებმა. ოილი!... ოილი!... –  
გაიმეორეს მლოცველებმა. ასე ლოცულობდნენ ისინი და-  
ახლოებით ათი წუთი.

ეს ჩვენი მთავარი ლოცვააო, – გვითხრეს მათ.

არა, მთავარი ლოცვა „მამაო ჩვენოა,“ – შეეკამათა  
ტუკუელებს მამა ანტონიო და მთელი ერთი საათი ას-  
ნავლიდა ლათინურად „მამაო ჩვენოს“ ტექსტს. ჩემდა

გასაოცრად, მათაც ძალიან სწრაფად ისწავლეს „მამაო  
ჩვენო“.

უკვე ღამე იყო, როდესაც ჩვენმა გემმა იქაურობა და-  
ტოვა. მე და მამა ანტონიო გემბანზე ვიდექით. უცებ უცნა-  
ური ხმები გავიგონეთ. ოკეანეს დავეხედეთ და რას ვხედავთ,  
ორი მაპუტუელი წყლის ზედაპირზე მორბის, წყალზე მოტყ-  
ყაპუნობს. დედას გვეცივებით, წყალზე მოტყაპუნობდნენ.

– მამაო, ლოცვის ტექსტის დასასრული დაგვაგინყდა,  
„მოგვიტევენ ჩვენ ცოდვანნი ჩვენი“.... მერე რა ვთქვათ,  
როგორ უნდა დავასრულოთ ლოცვა? – მორბოდნენ გემ-  
ბანის გასწვრივ.

– არ გინდათ, არ გინდათ დასასრული... ისევ ისე ილო-  
ცეთ, თქვენებურად, თქვენი მთავარი ლოცვა! ისევ ისე:  
იალო! ოილი!... – შესძახა ძალზე აფორიაქებულმა, გახა-  
რებულმა და უზომოდ გაოცნებულმა მამა ანტონიომ.

მოდით, ახლა ჭეშმარიტი მორწმუნეები ვადლეგრძე-  
ლოთ!

ღმერთს უყვარს ისინი!

იალო!..

ოილი!..

### 63

ეგეოს მარმარილოსი არგონავტების შთამომავალი  
იყო. როდესაც ისტორიის აბოპოქრებულ-ამღვრეული,  
ბერძნულორნამენტიანი ზვირთები მიიქცნენ, როდესაც  
დიოსკურია სამუდამოდ ჩაიძირა ზღვაში და მის ადგილას  
ნახუმმა დაიწყო აღმოცენება, ეგეოს მარმარილოსის წი-  
ნაპირი აქაფებული ტალღებით ალოკილ ქვიშიან ნაპირზე  
გამორიყული დარჩა, მარტოდმარტო, ქაფშიის სუნით  
გაჟღენთილი და მიუსაფარი.

მაგრამ არ დაბნეულა – ადგილობრივებს მშენებლო-  
ბის რამდენიმე საიდუმლო ასწავლა, თვითონ კი მიწის-  
მზომელობას მიჰყო ხელი.

ის იყო და ის, მისი ნაგრამის თითქმის ყოველი მესამე  
წევრი მიწისმზომელი გახდა.

ეგეოს მარმარილოსიც მიწისმზომელი იყო. მის მოდ-  
ემას შავი ზღვის სანაპირო, მთები და ველები იმდენჯერ  
აქვს გადაზომილ-გადმოზომილი, მანძილს იქიდან სამყა-  
როს დასასრულამდე მათი მიწის საზომი ფარგალი ასჯერ  
მაინც დაფარავდა.

ეგეოს მარმარილოსის ნამდვილი სახელი და გვარი დი-  
მიტრი ხიონიდი იყო. მისი ბიძაშვილი ნიკო ხიონიდი ქა-  
ლაქში ცნობილი ფოტოგრაფი გახლდათ. სწორედ მისი  
წყალობით გახდა ხიონიდების გვარი ვიზუალურადაც  
ცნობილი. ნიკოს ფოტოსალონში გადაღებულ ათიათასო-  
ბით სურათს მარჯვენა ქვედა კუთხეში რუსულად ეწერა  
„Фото Хиониди“.

ეგეოს მარმარილოსს კი ეგეოს მარმარილოსი მიხელი  
თემუროვიჩმა შეარქვა. უმრავლესობაც სწორედ ამ სახე-  
ლითა და გვარით იცნობდა, სახელითა და გვარით, რო-  
მელშიც ხმელთაშუა ზღვის ორი – ეგეოსისა და მარმარი-  
ლოს ზღვების ამაყი და ღამაზი, საზღვაო აღმებვიით ლა-  
ლად მოფრიალე სახელები იყო გაერთიანებული, ზღვე-  
ბის, რომლებიც დასაბამიდან სიყვარულით ელაშუენებოდ-  
ნენ საბერძნეთის ფეხისგულეებსაც და მთლიანად – მის  
ანტიკურ სხეულს.

ეგეოს მარმარილოსს მოსწონდა, რომ ის ეგეოს მარმარილოსი იყო, მაგრამ არ მოეწონა თავისი ისტორიული სამშობლო, სადაც დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა და, სამოცდაათიანი წლების ბოლოს, სტუმრად ჩავიდა, მოინახულა ნათესავები და ისევ, საბჭოთა კავშირის უმკაცრესი სასაზღვრო კანონების გამო, დიდი გაჭირვებით დაბრუნდა სოხუმში.

– სხვა ქვეყანა დამხვდა, – ხელი ჩაიქნია ეგეოს მარმარილოსმა მეგობრებთან შეხვედრისას, – სხვა ხალხია, სხვა წესები აქვთ. წარმოიდგინეთ, წინასწარ თუ არ შეუთანხმდი, ნათესავი სტუმრადაც არ მიგიღებს, დრო არასოდეს ყოფნით, შეიძლება, ერთი ჭიქა ღვინოც არ დაგალევიან. მე კი ძველი სოხუმელი ვარ და ასეთი რამეები ჩემთვის გაუგებარია. აი, წარმოიდგინეთ, სოხუმში ვინმეს ვეწვიო და იმან არ მიმიღოს, დღევანდელი დღე დაგეგმილი მაქვსო... ან არ მაქეიფოს.

ეგეოს მარმარილოსი დურგალიც იყო და რამდენიმე წელი გულრიფშის საცდელი მეურნეობის სადურგლოში მუშაობდა. იმ მეურნეობის დირექტორი, ასევე რამდენიმე წელს, მიხეილ თემუროვიჩი გახლდათ. და სწორედ იმ დროს და იქ გაიცნეს ერთმანეთი.

გაცნობა ასე მოხდა: ეგეოს მარმარილოსმა და კიდევ ერთმა დურგალმა – ოთარ კიზირიამ მეურნეობის გარდაცვლილი, პენსიაზე გასული თანამშრომლისთვის კუბო შეკრეს, აუჩქარებლად რანდავდნენ, აშალაშინებდნენ, ლაკით ლებავდნენ, თითქმის მთელი სამი დღე მოანდომეს. შემდეგ არაყი სვეს გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად და პატივსაცემად, თუმცა ცოტა მეტი კი მოუვიდათ, თითო-თითო ბოთლი „სტოლიჩნი“ დალიეს. უკვე ღამე იყო, როდესაც კუბო გარდაცვლილის სახლისკენ წაასვენეს. გზად პატარა მდინარე უნდა გაევლოთ – ჩიპილეტა. ჩიპილეტა სადურგლოს სიახლოვეს მოედინებოდა. ეგეოს მარმარილოსმა ჩიპილეტას ხიდურაზე რაღაცას წამოკრა ფეხი და დურგლებს კუბო მდინარეში გადაუვარდათ.

ნაილო კუბო ჩიპილეტამ ზღვისკენ, ცოტა ხანს კი სდივის ოსტატებმა, მაგრამ ვერ დაენივნენ.

ეს ამბავი მიხეილ თემუროვიჩს რომ უთხრეს, კარგა ხანს იცინა, მერე ბუღალტერს დურგლებისთვის ერთი თვის პრემიები გამოანწერინა – მოდით, დავანამუსოთ და ანი კუბოებს არ დაკარგავენო.

ორმოცისთვის ეგეოს მარმარილოსმა და ოთარ კიზირიამ იმ კაცის საფლავისთვის, რომლის კუბოც დაეკარგათ, ქვა გამაზადეს. გულდაგულ იმუშავეს, არ დაუღვეიათ, ქვაზე კოხტად ამოკვეთეს წარწერა და მერე ის წარწერა ოქროსფრადაც ამოღებეს. ისე შრომობდნენ, როგორც მომნანი ქრისტიანებს ეკადრებოდათ.

ოლონდ ესაა, შეეშალათ და ქვა სხვის საფლავზე ჩააბეტონეს. მიხეილ თემუროვიჩმა ერთხელ კიდევ კარგა ხანს იცინა

და ერთხელ კიდევ გამოუწერეთ პრემია – იმედია, ანი მაინც ჭეშმარიტად დავანამუსებთ და საფლავის ქვას, ვისაც საჭიროა, იმას დაუდგამენო. თანაც დაამატა – ხომ ხედავთ, ამ ამბავში ალკოჰოლი არაფერ შუაში ყოფილა, ისინი ხომ ფეხილები იყვნენო.

ამის შემდეგ უფრო ახლოს გაეცნო ეგეოს მარმარილოსს, ჯერ ჩიპილეტას ნაპირზე ისაუბრეს, მერე სადურგლოში თითო-თითო ბოთლი იზაბელა დალიეს პროფესორ სოსო კაპანაძესთან ერთად და საბოლოოდ დამეგობრდნენ.

ერთხელაც სანადიროდ წავიდნენ. ოლონდ მიხეილ თემუროვიჩი არ ნადირობდა, თოფიც არ წაუღია, ტყეში დასეირნობდა მხოლოდ.


ვერც სხვებმა ინადირეს, იმიტომ, რომ მათ მონადირე ძალებს ერთმანეთი შეუყვარდათ. ორი „ფიატით“ იყვნენ წასულები. ერთი ძალღი ერთი მანქანის საბარგულში ჰყავდათ ჩაკეტილი, მეორე – მეორისაში. როდესაც სანადირო ადგილს მიუახლოვდებოდნენ, ორივე ძაღლს საბარგულიდან უშვებდნენ. ეცემოდნენ ძაღლები ერთმანეთს და ისეთ სექსს აჩაღებდნენ, თქვენი მოწონებულნი. მთელი დღე ასე გრძელდებოდა, ვერაფრით დააშორეს ერთიმეორეს.

არა, ისე, ერთი კურდღელი კი მოინადირეს მაინც. გოჯომ მოკლა ის კურდღელი, ძველმა ფეხბურთელმა. როდესაც კურდღელი შესანვავად რესტორანში მიიტანეს, მზარეულმა მის უკანაღში დაგრაგნილი ქალაღი იპოვნა. „მე მომკლა გოჯომ. კურდღელი“. – ეწერა ქალაღზე.

თურმე ეგეოს მარმარილოსს მოკლული კურდღელი იმ დილით ბაზარში ეყიდა და წარწერაც თავისი ხელით ჩაენიკნიკებინა. შემდეგ კი ყველაფერი თავისთავად მოხდა – ეგეოს მარმარილოსმა კურდღელი ბუჩქში „ჩასვა“ და ცოტა ხანში იმ ბუჩქს გოჯოც მიაყენა.


ერთი ამბავი ატყდა რესტორანში, გოჯო მოსაკლავად გამოეკიდა ეგეოს მარმარილოსს, მაგრამ სხვებმა თოფი წაართვეს და შვიდი სადღეგრძელოს შემდეგ შეარიგეს კიდევ ერთმანეთს.

მოგვიანებით ეგეოს მარმარილოსი კვლავ მიწისმზომლის ფარგალს დაუბრუნდა, მაგრამ მიხეილ თემუროვიჩთან არ შეუწყვეტია მეგობრობა. გიყვარდეთ და სცემდეთ პატივს, ჩემი მეგობარიო, – ამყდა აცნობდა სხვებს ეგეოს მარმარილოსს და მხარზე ხელს უტყავაუნებდა, – გარდაცვლილის სასახლე მდინარეს გააყოლა, მოხუცი კაცის საფლავის ქვა მოხუცი ქალის საფლავზე დადგა. საოცარი კაცია. მისი წინაპარი დიოსკურიას აშენებდა, და იმანაც – დიოსკურია ზღვას გაატანა იმიტომ, რომ შეეშალა და თითქმის ზედ ზღვაზე ააშენა. ჰოდა, ისეთი ქალაქის წართმევის შანსს ზღვა როგორ გაუშვებდაო.



(დასასრული შემდეგ ნომერში)





**გურამ პეტრიაშვილი**

გვხვები ძმურად!

1

**ძმაცაცები**

მოფრინდა, მხარზე დამაჯდა ჩემი ძმაცაცი ბელურა.  
ორივეს – კაცსაც და ჩიტსაც სვანური ქული გვეხურა.

ისიც ცქმუტავდა ხალისით და არც მე ვგავდი ვალიანს, თვალს ვაყოლებდით ორივე ქალებსა ლამაზხალიანს.

ორივე წვიმას ველოდით-ცის წყალსა ნათელიანსა, რომ ნაწვიმარზე მთებისკენ გავდევნებოდით ნიავსა.

ერთად ვუცქერდით ქაშუეთს, ერთად გვიძგერდა გულები. არ გვჭირდებოდა სიმდიდრე და ჭუჭყიანი ფულები.

ვესალმებოდით ნაცნობებს სიხარულითა დიდითა და ვამაყობდით ორივე: ის – კაცით, მე კი – ჩიტითა.

**ციცინათლა**

ამ ლამაზის საიდუმლო,  
მგონი, უკვე ვიცი:  
მას გვიგზავნის, როცა გვხვდავს  
    ლმერთი განსაცდელში.  
ერთს გაიფრენს ჩუმი მღერით :  
    ციმ-ციმ,ციმ-ციმ,ცი-ცი. . .  
და, ჰა, უკვე მომლიმარნი  
    ჩვენც ვციმციმებთ ბნელში . . .

**ბაჭია**

მოირბინა პანანინა ბაჭიამ...  
იასამანს დაუსკუპდა წინ.

ისე მოსწონს ბუჩქი ყვავილოვანი,  
ალარ უნდა, რომ წავიდეს შინ...

შინ კი დედა ელოდება სანყალი.  
წუხს, რომ სადღაც მოუკლავენ შვილს.

ოლონდ ნახოს, არც კი ეტყვის საყვედურს,  
ტკბილებს აჭმევს, სტაფილოს და ხილს...

ზის ბაჭია ბუჩქთან აყვავებულთან.  
ლმერთი ჰფარავს სილამაზის წინ...  
მშვიდად, დედავ, მალე დაგიბრუნდება  
და გრილ სურნელს მოიყოლებს შინ .

**ამბავი**

*წუხელის ბიჭი დაბადებულა...  
ანზორ აბულაშვილი*

გუშინ სალამოს თურმე მეჯლისზე  
ამბავი მოხდა უმაგალითო:  
ქალი მისულა უყელსაბამო,  
უბრილიანტო, უმარგალიტო,

უმანქანო და უმდიდრულქურქო,  
უსაყურო და უსამაჯურო,  
უქმრო, უშვილო და ულიმილო,  
უჯამაგირო, უსამსახურო...

მისულა ქალი მალალ დარბაზში  
და არხეინი შეძრულა ხალხი:  
ცისფერ-ვარდისფერ მათს გარემოში  
კაბა ქალისა შეჭრილა თალხი.

მერე ისეთი რამე მომხდარა,  
კინალამ ყველა გადარეულა:  
ქალს დიდი ცრემლი ჩამოჰვარდნია  
და ცრემლი კაცად გადაქცეულა.

ქალს დაუნყია ცრემლკაცთან ცეკვა  
და კაცის მკერდზე დაუდევს თავი...  
ქალს ეცვა კაბა, როგორც ვთქვით, თალხი  
და კაცსაც სცმია სამოსი შავი.

გაშეშებული მდგარა სუყველა...  
გაშტერებოდა სუყველას თვალი,  
ლამაზი იყო სანახაობა:  
როგორ ცეკვავდა ცრემლკაცთან ქალი.

ისე ლამაზი, ისე ლამაზი...  
წამოუვიდა ყველას ცრემლები. . .  
გაქრა დარბაზი და ირგვლივ გაჩნდა  
აყვავებული თეთრად ტყემლები. . .

და ყვავილების იმ თეთრ ღრუბელში  
ცეკვით აფრინდა ის წყვილი თალხი. . .  
ძირს დარჩა უცებ დაბრძენებული  
უნინ ცრემლების არმცოდნე ხალხი. . .

\* \* \*

ეს ერთი კითხვა მანუხებს,  
დამალა კითხვამ ამანო:  
ნეტავ მერცხლების ენაზე  
რა გქვია, იასამანო?

**ორნი**

წინწკალი ეტყვის ნაპერწკალს:  
– უნდა მერიდო, ძამია!  
თუ შეგეხები, გაქრები,  
ჩაივლის შენი ჟამია...

ნაპერწკალს გაელიმება:  
– არ გიფიქრია განაო,  
მე კი გავქრები, მაგრამ შენც,  
რომ გავციოლებ თანაო...

**მეფე და მლილი**

მეფის პორტრეტზე მლილი დაცოცავს,  
მლილს მომცრო მლილი სურათებს უღებს.  
მსხვილი – მეფეა, მიტომაც მომცრო  
ელაქუცება, ულოკავს ნულებს.

– „მეფეო, ახლა წარბთან შეჩერდით,  
კობტად დოინჯი შემოიყარეთ.  
უჰ, როგორ ჰგავხართ, დაუშვით ხელი,  
მეორე – თავზე შემოიხარეთ.

არის! ახლა კი ულვაშთან მიდით.  
მის ულვას სწავრავს თქვენი ულვაში!  
მე რომ ეს ფოტო არ გადამელო,  
მეყოლებოდა თავი კრულვაში.

არის! ახლა კი თვალთან მიბრძანდით.  
გულმა ძალუმად დამინყო ძგერა!  
ბევრად ბასრი ჩანს თვალები თქვენი,  
როცა აქვია ამ მეფის მზერა.

ახლა კი ტუჩის კუთხესთან მიდით.  
კადრში იქნება ღიმილი ორი.  
და, რა თქმა უნდა, თქვენი სჯობია,  
მეფეც ღიმილშიც არა გყავთ სწორი...“

ლოლავდნენ... მათ კი, ეგონათ, ვართო  
შთაგონებული სულების წვაში...  
მამის პორტრეტი მოჰნატრებოდა  
და შემოვიდა დარბაზში ვაჟი.

ძლიერ უყვარდა ვაჟს ეს პორტრეტი:  
მზერა, ღიმილი, ნაოჭი, ღილი...  
უმზერს დიდ მეფეს... და უცებ ჰხედავს:  
პორტრეტზე ორი დაცოცავს მლილი.

ვაჟმა აიღო ძველი გაზეთი,  
საგულდაგულოდ რვაჯერ გაკეცა...  
... და მოსთქვამს მლილთა მემატინე:  
– „ეჰ, ჩვენი მეფე ბედმა ჩაკეცა!“

სინამდვილეში გაზეთმა ძველმა  
ზედ დაასრისა პორტრეტს მლილები:  
მათი მლილური ვითომზრები,  
ვითომპოზები, ვითომლილები...

რამდენიც გინდა უღე სურათი,  
მლილი დარჩება ისევე მლილად,  
ბოლოს და ბოლოს გაზეთი ძველი  
თავში მოხვდება საკადრის წილად!

და შეგვიძლია არ შევანუხოთ  
არცა რუსთველი, არცა ილია,  
ისედაც ცხადი არის რადგანაც:  
მეფე მეფეა, მლილი მლილია.

**ჭრიჭინა და სხვაები**

*აკაკის მიბაძვით*

აჭიანურე ჭრიჭინავ,  
ეგ შენი ჭიანურიო,  
ახარე, ვისაც ახარებ,  
მლანძღველთ არ უგდო ყურიო.

ემდურებიან სანყლები  
თავისსა ბედისწერასო,  
თვითონ რომ ვერა მღერიან,  
ბრაზობენ სხვისსა მღერასო.

მაგათ ბრაზობას, ძამიავ,  
უბრალოდ, შური ჰქვიაო.  
იას უცქერენ, შურობენ –  
რატომ არა ვარ იაო,

ცაში გაიფრენს ფრინველი –  
რატომ არა მაქვს ფრთებიო,  
ციცინათელა ციმციმებს –  
მე რად ვერ ავენთებიო...

ბევრმა იფიქრა მაგათზე:  
რა ვუყოთ საცოდავებსო.  
იყვნენ, რაც ღმერთმა დაჰბადა,  
რატომ იკლავენ თავებსო.

სად ჩნდება, საიდან მოდის,  
ნეტავ, ეს მძიმე სენიო...  
მეც ვიფიქრე და, ცხადია,  
რომ ვერც მე ამოვხსენიო...

ისევ სიმღერა უშველით,  
სჯობს შენ დაგიგდონ ყურიო...  
აჭიანურე ჭრიჭინავ,  
ეგ შენი ჭიანურიო...

\* \* \*

ჩემო იებო, თქვე ბუტიებო,  
ცისკენ რალატომ არ იხედებით?  
განა ცას თქვენთვის ცუდი უნდოდა?  
გეფერებოდათ წვიმის წვეთებით...

თქვენ მოგეჩვენათ, გაგწუნათ ვინმემ?  
წვიმა გესხურათ ზეცის ბანიდან,  
რომ ვილაც ბილნთა ბინძური მზერა  
ჩამოერეცხა თქვენი ტანიდან.

შევიტყე, გინდათ ქოლგების ყიდვა,  
რადგანაც მზისა განუხებთ შუქი.  
მზეთუნახავი თქვენ ის გგონიათ,  
მზის მწველი სხივი არ მოჰხვდა თუკი?

იცხოვრეთ, როგორც ღმერთმა დაგბადათ,  
ნუ შეიბორკვით იჭვის ხუნდებით.  
წვიმამ გაგბანოთ, მზემაც დაგხედოთ,  
ნუ გეშინიათ, არ გახუნდებით...

**პაპელა**

ვისი ლამაზი ფიქრი ხარ,  
ჩემს ბალში შემოფრენილი?  
ათინათები ელავენ  
შენს ფრთებზე შემორჩენილი.

რას მეუბნები ფარფატით,  
მაგ აღმა-დაღმა ფრენითა,

უკან რად დაგდევ ბავშვივით,  
გალაღებული შენითა?

**მამა-პვილი**

თოვლში მიდის კობტა გოგო,  
(თოვლი სულმთლად ახალია),  
მიაბიჯებს სკოლისაკენ,  
მიაბიჯებს, რა ხანია...

სწავლა უკვე დაწყებულია,  
გოგონა კი აგვიანებს.  
ფენს გადადგამს, მობრუნდება,  
ნეტავ თოვლში რა წკრიალებს?

შებრუნდება, კვლავ წინ წავა  
და კვლავ ესმის ის წკრიალი...  
და მოჰბეზრდა კობტა გოგოს  
წარამარა ეს ტრიალი.

გაჩერდა და ფიქრობს ახლა:  
– „რა წკრიალებს, რაა ნეტავ?“...  
მე კი ვდგავარ შორიახლო  
და საოცარ სურათს ვხედავ:

გოგოს ყველა ნაფეხურში  
დგას ლამაზი ლურჯი ვარდი  
და ელვარებს ისე ნაზად,  
როგორც შვილზე მამის დარდი...

მოიხედა გოგომ ისევ  
და მყის გაქრა ვარდი ყველა.  
იდგა გოგო. იდგა, იდგა  
და მერე გზა გააგრძელა.

უკან აღარ იხედება,  
მიდის გოგო ცქრიალითა  
და მის ყოველ ნაფეხურში  
ვარდი ჩნდება წკრიალითა.

მიდის თოვლში, ბრწყინავს თოვლი  
ფაფუკი და არამკვრივი...  
და გოგონას მისდევს უკან  
უუგრძესი ვარდთა მწკრივი.

გოგოს ლურჯი ჰხურავს ქუდი  
და ლურჯია ყველა ვარდი...  
და ელვარებს ისე ნაზად,  
როგორც შვილზე მამის დარდი.

**სურათი**

ჩამოჰყრანტალებს საყდარსა  
ყორანი ყორნის შვილიო.

საყდარში იწვის სანთელი,  
დაბლა ჩამოსწვთს ცვილიო.

ხატის წინ ქალი ლოცულობს,  
ხელში უჭირავს ჩვილიო,  
ღვთიშობელს თვალში უბრწყინავს  
ცრემლი ღამაზი, თბილიო.

უშველის, შვილსა მოურჩენს,  
იცის, რაც არის შვილიო.  
ჩვილს ძილში გაელიმება,  
გამოუჩნდება კბილიო...

ბნელს შეერევა ყორანს,  
ავი ყორნისა შვილიო:  
– „ტყუილად დავიყრანტალე,  
გამომივიდა ტყვილიო!“...

\* \* \*

სიზმრად საქართველოს  
გულად მიძგერია,  
ცხადში – სიმღერები  
მისი მიმღერია...  
მხოლოდ ერთი მინდა  
და სხვა არაფერი :  
ჩემი კოლხეთი და  
ჩემი იბერია!

\* \* \*

*მერაბ ბერძენიშვილს*

ცა ისევ გადაგვიშავეს  
ყვავებმა, ავად შავებმა,  
ნაჭრებმა ბნელი ღამისა,  
ყორნების ნათესავებმა.

რას დაგვტრიალებთ, ყვავებო,  
ავის რისი ხართ ნიშანი,  
რომელი უბედურების,  
ჭირისა რომელისანი?

ვერ გაძლა ბედი მუხთალი  
ქართველთა ჯიშის სისხლითა.  
რაც დაგვრჩა აინონების  
რამოდენიმე მისხლითა...

მაგრამ გეშლებათ, ყვავებო,  
თქვენი თუ გგონავთ არჩივი.  
კიდევაც ამოფრინდება,  
ცაზედ, ქართული არჩივი!

– „ვერ დაგვძლევს ბედი ტიალი! –  
ხმიანებს გული მისანი, –

კიდევაც დაიზრდებიან  
ალგეთს ლეკვები მგლისანი!“

\* \* \*

*ლადო ასათიანს*

ჰეი, ქართულო სიტყვებო,  
ღამაზებო და კარგებო,  
არასდროს დასაავინყებო,  
არვისგან დასაკარგებო!

ნეტავ ათას წელს მაცოცხლა,  
რომ გავძლე თქვენი ალერსით,  
ხან მძივებივით ასხმით და  
ხან ერთმანეთზე ალესვით.

ხან ვარსკვლავებად მბრწყინავნი,  
ხან პატარძლებად მორთულნი,  
რომელი ღმერთის შვილები  
საიდანა ხართ მოსულნი?

ქართულმა მთებმა დაგზადეს,  
თუ ციდან წვიმად მოხვედით,  
ანთუ კლდეების ნაჟურნი  
ბროლის მდინარედ მოხვედით?

თქვენს მალალ, ნათელ ტაძარში  
ვარ მუხლმოყრილი მლოცველი,  
თქვენი მსუბუქი ფეფების  
ნატერფალების მკოცნელი.

\* \* \*

ბედნიერება სულ უბრალო  
რამაა, ძმაო :  
ქართულ სოფელში ცხოვრობდე და  
იყო ქართველი,  
ქართულ სკოლაში დადიოდნენ  
შენი შვილები,  
ქართველი გყავდეს სოფლისა და  
ქვეყნის მმართველი.

2

\* \* \*

საოცარი სპექტაკლია,  
საოცრადვე თავდებაო :  
სცენა სევდით ავსებული  
ლურჯ იებად ყვავდებაო,  
აინთება დედის გული,  
ცაში ავარსკვლავდებაო.

\* \* \*

მდელოზე დაბადებული,  
ია ენძელას ელოდა.  
არ უხაროდა ნიავი,  
მდელო არ უჩნდა მდელოდა...  
უკვირდა :„როგორ არ ვკვდები  
ტიალი, უენძელოდა ?!“...

\* \* \*

იასამანის სიზმარო,  
მე დამესიზმრე რადაო?  
გინდოდა, გადაგექციე  
ყვაველთა მეგობრადაო?  
ჭიამაიად ვიქეცი.  
დედამ მეძებოს სადაო?

\* \* \*

ფერადფერადო, ფუმფულავ,  
ტურფა მაისის გულოო!  
მოგიწყენია, ჭირიმე,  
ვარდების თაიგულოო .  
არ გინდა, კობტა გოგონა  
პატრონად დაიგულოო?

\* \* \*

ნიავო, ფთილა ნისლისა  
რად არ აჩუქე იასა?  
დიდებულსა და ტურფასა,  
მაგრამ სუსტსა და ჩიასა...  
დემალვოდა ლამაზი  
ავსა, ოხერსა ჭიასა.

\* \* \*

ბაბუს დარგული შავსხალა  
აუჰ! რა ძაან დიდია!  
ეს საქანელა მამაჩემს  
აქ ჩემთვის დაუკიდია.  
ჩემგან ბაბუს გულამდე  
მამა გზაა და ხიდია.

\* \* \*

მოშხუი, შავო ისარო,  
თან გველივითა ნივიო...

შავად მოარღვევ ჰაერსა,  
სიკვდილის შავი სხივიო...  
ვერაფერს მიზამ, მიფარავს  
დედის ცრემლების მძივიო.

### „ნიწნასულს“

შენ ჩვენ გვინოდებ ჩამორჩენილებს,  
ამერიკულ გემს ჩამორჩენილი?  
ემაგ უბადრუკ სულს ასაზრდოებს  
სხვათა ნაცოხნი და მორჩენილი.  
ემიგრანტი ხარ შენს სამშობლოში,  
მკვდართა სიაში გამორჩენილი !

\* \* \*

ჩამოვარდნილა ვარსკვლავი,  
ჩამოჰყოლია შუქიო.  
თავს დასტრიალებს ლამაზად  
ფარვანეების ბუქიო.  
აქეთ იჩქარის მერანი  
და მოჰყავს მზეჭაბუკიო.

\* \* \*

გაუგრძელდებათ ქეიფი  
მგელიკასა და მგელოსა.

ღვინოს სმენ კარდანახულსა,  
სუფრა ჰფენია მდელოსა...  
გამოსტოვებსლა ვინ ბრიყვი  
სათქმელსა სადღეგრძელოსა?!

### ორი ლექსი ჯალათზე

#### თავი

ჯალათი გვიან ბრუნდება სახლში...  
და ვიდრე კარის კლიტეებს აღებს,  
იხსენებს მსხვერპლის სისხლიან ქოჩორს  
და თან, რატომღაც, გაცვეთილ ნაღებს.  
შევა. ამთქნარებს. ხელს არ დაიბანს.  
მშვიდად მიირთმევს ნამცხვარს და ნაღებს...

#### ბოლო

აუცილებლად იქნება ის დღე!  
ჯალათს სინდისი დაუნწყებს ქავილს.  
ქუჩაში გავა ფეხარეული,  
წავა, იყიდის სანთელს და ყვაველს,  
წაიღებს ბოლო მსხვერპლის საფლავზე  
და იქ მოჰყვება ტირილს და ბლავილს...



\* \* \*

ზეიმს მიეზა დიდი ზეიმი.  
ბუქნავს ონოფრე, როკავს თინია...  
დავკალით ჩვენი ხარი წიქარა,  
ზედ წავაკალით ნიშას ღვინია...  
რუს-იანკურა გვაქებს თამადა:  
– „მაღაღეც! იეს! კაი ღვინია!“

**ფრთამოტიხილი არნივი**

მიდის, ფრთა მისთრევეს მინაზე,  
მძიმედ მიაღვამს ნაბიჯებს.  
მაინც ქუხს, მაინც არნივობს,  
მაინც ამაყად აბიჯებს.  
ფეხს ადგამს ეკალს და შუშას,  
ღველფსაც არ გადააბიჯებს.

\* \* \*

რომ არ მიყვარდეს ჩუქურთმა  
დიდისა ნიკორწმინდისა  
და მაღლიანი სანთელი,  
გამარღვეველი ბინდისა,  
წინ განა გამიძღვებოდა  
ეს დროშა ფერად შინდისა?!

**3**

\* \* \*

ისე პანია იყო ის ნერგი,  
ბელურამ წამში დაუთვალა  
ფოთოლი  
ყველა .

\* \* \*

ეჰ, ანგელოზო !  
ციდან ლალად ჩამოფრენილი  
როგორ მიხვდები,  
რა ძნელი იყო  
ამ მწვერვალზე  
ამოცოცება. . .

\* \* \*

ალბათ დავბერდი,  
თორემ რატომ  
დამდის ცრემლები,  
როცა ვკითხულობ

ამ უბრალო საბავშვო ამბავს :  
ინგილო გოგომ ერეკლე მეფეს  
ქლიავი როგორ გადმოაყარა. . .

**ქართული მამიდა**

ჯერ ვერავისგან ვერდახატულო,  
საგანგებოდ არგათხოვილო  
და ძმისშვილებზე გადაგებულო,  
ქართველო ქალო!  
ვიცი, დაო, ვერც მე დაგხატავ  
და მხოლოდ ეს  
მინდოდა მეტყვა:  
მეამაყება, რომ მეცა ვარ  
იმ ერის შვილი,  
ვისი გულის მშვენებამაც  
შენ გაგაჩინა!

\* \* \*

ეჰ, როგორა მშურს, ბოშებო, თქვენნი:  
რადგან არა გაქვთ,  
ვერც წავართმევენ  
სამშობლოს  
ლამაზს!

\* \* \*

დიდგორისაკენ მიდის ლაშქარი...  
და ახოვან მეომრებს შორის  
მიაბიჯებს  
ცამეტიოდე წლის ყმანვილი,  
სახლიდან ჩუმად გამოპარული...  
მან კარგად იცის,  
რომ დღეს მოკვდება,  
განგმირული სელჯუკის შუბით...  
მაგრამ დღევანდელ გამარჯვებას  
დაერქმევა მისი სახელიც.

\* \* \*

თვალწინ ხშირად წარმომიდგება  
სევდიანი ობოლი ბავშვი.  
და სიზმრებშიც  
ხშირად მას ვხედავ...  
მერე კი, როცა დაფიქრდები,  
გამაშეშებს უეცრად აზრი,  
რომ იმ საბრალო სევდიან ბავშვად  
შენ მესიზმრები,  
სამშობლოვ ჩემო!

მიშელ ტურნიე

# იდეათა სარკე

## სიამოვნება და სიხარული

ღმერთმა ადამიანი საკუთარი თავის ხატად შექმნა, გვეუბნება ბიბლია. ამ ღმერთის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. ის კი დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოქმედია. ასე რომ, ადამიანი დაბადებითვე მონოდებულა შემოქმედებისათვის. იყო ადამიანი, ნიშნავს ქმნიდე. ცხოვრება შემოქმედების გარეშე ჩაღადაც არა ღირს, რადგან მოკლებულია იმ ღვთაებრივ ნაპერწკალს, ადამიანურ ყოფას აზრს რომ ანიჭებს.

მაგრამ როგორ შემოქმედებაზე აქ საუბარი? შემოქმედების ათასგვარი სახე არსებობს, ყველაზე შთამბეჭდავით დაწყებული ყველაზე მოკრძალებულით დამთავრებული. ადამიანს შეუძლია შეღებოს ოთახი, დარგოს ყვავილი, დახატოს სურათი, დაწეროს სიმფონია გუნდისათვის ან კიდევ ჩამოაყალიბოს ერი. შეუძლია ამქვეყნად მოავლინოს და გაზარდოს ბავშვი, რაც ყოველგვარ სხვა შემოქმედებას აღემატება, მაგრამ ამავე დროს ყველაზე საპასუხისმგებლოცაა.

ყოველგვარ შემოქმედებით პროცესს სიხარულის განცდა ახლავს თან, რაც შემოქმედებითი აქტის ოდენ ემოციური ასპექტია. შემოქმედებითი ღვწის ყოველგვარი სხვა ჯილდო, ფული იქნება ეს თუ პატივი, პირობითი, მეორეხარისხოვანი და შემოქმედის სულს არ ეკარება. მხოლოდ სიხარულია მისთვის ბუნებრივი, შინაგანი განცდა. ბიბლიაც სხვას არაფერს გამოხატავს შესაქმნის ყოველი დღის მინურულს: „დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო“.

სულ სხვაა სიამოვნება. თუ სიხარული შემოქმედებით პროცესს ამშვენებს, სიამოვნება განადგურების ერთ-ერთი სახეობის – მოხმარების თანამგზავრია. კონდიტერი, როცა ნამცხვრის რეცეპტს იგონებს და აცხობს, სიხარულს განიცდის. მე კი, როცა მშობი და ამ ნამცხვარს მივირთმევ – სიამოვნებას, და ნამცხვარიც აღარ არის.

ამიტომაცაა, რომ საზოგადოდ სიამოვნებას ამრეზით უყურებენ მორალისტები. საუკეთესო შემთხვევაში სიამოვნება ბუნების მიერ გამოგონილი ფანდია ცხოველთა სამყაროს შესანარჩუნებლად, ისევე, როგორც ტკივილი მათი განადგურებელი აგრესიის შესაკავებლად. მაგრამ სიამოვნებამ შეიძლება სახე იცვალოს და ისეთ მომაკვდინებელ ჩვევებს ახლდეს, როგორც ნარკოტიკული ინტოქსიკაცია ან ალკოჰოლია. საუბედუროდ, სიამოვნების ზიზღი, რომელსაც ზოგიერთ მისტიკოსთან ვხვდებით, ძალზე მიაგავს სიცოცხლის სიძულვილს და ასევე უბიძგებს ადამიანს თვითმკვლელობითი ქმედებებისაკენ (ხორცის მოკვდინება, მარხვები...).

თუმც არის ერთი სფერო, სადაც სიამოვნება და სიხარული ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული, ეს სექსუალობაა. ამიტომაც არის შეუდარებელი. სექსუალური ლტოლვა,

რომელიც მეორე ადამიანის წყურვილია, ბევრი რამით მიაგავს კანიალურ ლტოლვას. სხვისი სხეულის, სხვისი სუნის, ფარული ტემპერამენტის დაუოკებელი წადილი აშკარა ანთროპოფაგური ხასიათისაა და, თუ ადამიანი ამ დონეზე დარჩა, შეიძლება საღიზმამდეც დავიდეს. მაგრამ ეს გამანადგურებელი ლტოლვა შეიძლება შემოქმედებით აქტადაც იქცეს, თუ სექსუალური სიამოვნება შეუღლებით დაგვირგვინდა. რადგან ორი შეყვარებული ადამიანის შეხვედრა მათი თვისებების უბრალო შერწყმა კი არა, ახალი, ამაღლებული, წარმოდგენილად მდიდარი ცხოვრების დასაწყისია.

### ციტატა

ის, ვინც დარწმუნებულია, სავსებით დარწმუნებული, რომ მარადიული, უკვდავი რამ შექმნა, ისლა დარწმუნია ხოტბა შეასხას საკუთარ თავს და სახელზე მაღლა დააყენოს იგი, რადგან შემოქმედია, გაცნობიერებული აქვს ეს და ამით განცდილი ბედნიერება ღვთაებრივი ბედნიერებაა.

ანრი ბერგსონი

## სიყვარული და მეგობრობა

სიყვარულისა და მეგობრობის შედარებისას უპირატესობას სიყვარულს ანიჭებენ. სასიყვარულო გრძნობისაგან განსხვავებით მეგობრულ ურთიერთობას ზერელე, უღიმიამო, ნაკლებად სერიოზულად მიიჩნევენ. სიყვარულს მუდამ თეატრში, პოეზიასა თუ რომანებში განადიდებდნენ. განა მასთან შედარებით მეგობრობა შესაბრალისად არ გამოიყურება?

თუ უფრო ჩავუღრმავდებით, ბევრი რამ საკამათოდ მოგვეჩვენება. გაუზიარებელი მეგობრობა არ არსებობს. აი, ის უმთავრესი, რაც მათ განასხვავებთ. კაცს ვერ დაუმეგობრდები, თუ მას არ სურს შენთან მეგობრობა. გაზიარების გარეშე ის ვერ იარსებებს. სიყვარული კი პირიქით, საზრდოობს კიდევ გაუზიარებელი სიყვარულით გამოწვეული მწუხარებით. უიმედო სიყვარული ტრაგედიისა და რომანის მთავარი მასაზრდოებელია, „მიყვარს და ვუყვარვარ“ – ამბობს პოეტი – ბედნიერება იქნებოდა ერთი და იგივე პიროვნება რომ იგულისხმებოდეს. მაგრამ, საუბედუროდ, ასე იშვიათად ხდება!

სიყვარულსა და მეგობრობას შორის სხვა უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა – მეგობრობა პატივისცემის გარეშე არ არსებობს. თუ თქვენი მეგობარი უკადრის საქციელს სჩადის, მასთან მეგობრობას წყვეტთ. მეგობრობას ზიზღი კლავს, მაშინ, როცა შმაგი სიყვარული გულგრილია სატრფოს სიბრიყვის, სილაჩრისა თუ სიმდაბლის მიმართ. არამცთუ გულგრილია, არამედ პირიქით, მსუნაგად, ხარზად ენაფება და საზრდოობს კიდევ ამ უმდაბლესი მანკიერებებით, რადგანაც სიყვარული ექსკრემენტებითაც შეიძლება იკვებებოდეს.

მართლაც, ჩვენი თანამედროვე დასავლური საზოგადოება უკიდურესად არის გადახრილი სიყვარულისაკენ. განა შეიძლება გაბედო და მთელი ცხოვრება ამ ნუთიერ

ვნებაზე ააგო? ჯერ კიდევ ლა ბრიუერი აღნიშნავდა: დრო მეგობრობას ანმტიკიცებს, სიყვარულს კი ასუსტებსო, დი-ახ, დრო მართლაც სიყვარულის საზიანოდ მოქმედებს. უნინ სოციალურ, რელიგიურ თუ მატერიალურ მდგომარეობათა გავლენისწინებით ქორწინდებოდნენ და ამ უპირველესი პირობების შესრულების შემდეგ ისლა დარჩენოდან, ერთმანეთი შეეყვარებინათ. დღეს კი ყველაფერს „ერთი ნახვით შეყვარება წყვეტს“ – განქორწინებას ყოველთვის მოასწრებს კაცი. ერთგულებაც ამ თავბრუ-დაძვვევ ვნებას ემორჩილება. ბრიუიტ ბარდო ამბობდა: ყოველთვის ერთგული ვიყავი კაცისა, სანამ მიყვარდაო. შემდეგ? ჟიულ რომენი წერდა: „სიყვარულს ძალუძს მხოლოდ სურნელება მიმოაფრქვიოს იმ ადგილს, სადაც ფესვებს გაიდგამს მეგობრობა“.

**ციტატა**

ბედნიერი ქორწინება, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს, უარს ამბობს სასიყვარულო ურთიერთობებსა და მოთხოვნილებებზე და ცდილობს ის მეგობრობით შეცვალოს.

*მონტენი*

**შიში და კაეშანი**

„ჟანდარმის შიში გონიერების სანინდარია“. უდავოა, მაგრამ ეს ბრძნული ანდაზა ზიზლსაც გულისხმობს, რომელსაც მშიშარა ადამიანი იმსახურებს. ვინც ღირსეულად მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იქცევა, რომ დასჯისა ეშინია და, ეს რომ არა, ნებისმიერ უკადრის საქციელს ჩაიდენდა, არამზადაა და თავის არაერთ ნაკლს სილაჩრესაც უმატებს.

შიშს აღძრავს ადამიანი, ცხოველი, მტერი, რომელსაც ნათლივ ხედავ. ის დამამცირებელიცაა, რადგან მარცხის მომასწავებელია, დამფრთხალი კაცი იმთავითვე განწირულია. ამასთან, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მიზეზით. ის ემონება თავისზე ძლიერთ და მტრებს, რომელთა გარემოცვაშიცაა. მას ზოგჯერ ქვეშაფსიდაც ნარმოგვიდგენენ.

ცნობილ ნოველაში „შიში“ გი დე მოპასანი მიჯნავს შიშსა და კაეშანს. მის ეპოქაში სიენტიზმი ირწმუნებოდა, რომ იდუმალებას, როგორც უცოდინრობის ნაყოფს, დღითიდე საბურველს ხდიდა მეცნიერება, მეცნიერულად ყველაფრის ახსნა შეიძლებოდა და მხოლოდ ცრურწმენა აღმართავდა ჩვენ წინაშე ბნელს. და მაინც მოპასანი შიშის მიზეზს უხსოვარ შეუცნობადში ეძებდა. „თავზარდამცემ ძრწოლას მხოლოდ მაშინ განიცდი, როცა შიშს ოდნავ გარდასული საუკუნეებიდან მოყოლილი შფოთი ემატება“. – წერს იგი. ასე რომ, არსებობს ატავისტური შიში, რომელსაც ფესვები გაუდგამს ჩვენს გულებში მიძინებულ ძველთაძველ წარსულში და ჩვენთან ერთად მთელი ბებერი კაცობრიობა კანკალებს ამ იდუმალების წინაშე.

კაეშანი კი ბუნდოვანი, გამოუკვეთელი საგნის ხილვისას შემოგანვება, თუ შიშს მტრული გარემოცვა აღძრავს, კაეშანს მისი არარსებობა ბადებს. კაეშნის ყველაზე ბავშვურ ფორმას სიბნელე აღძრავს, თვითონ უკუნეთი და

არა მასში დაბუდებული ურჩხულები. მას თავბრუსხვევა მოჰყვება, რომელსაც ინვეს სიცარიელით გამოწვეული კაეშანი, და არა სახიფათო დაცემის შიში. „ამ უსაზღვრო სივრცეთა მარადიული დუმილი მზარავს“. პასკალის ეს ცნობილი ფრაზა კაეშნის სამ გამომწვევ წყაროზე – სიჩუმეზე, უსაზღვროებასა და მარადისობაზე – მიუთითებს. სიბნელეში ბავშვი თავის დასამშვიდებლად მღერის. ჟან კოკტო ჰყვება, რომ ამ წამალს რომ მიმართა, შემდეგ სიმღერის მისმიერვე გამოგონილმა სიტყვებმა აღუძრა შიში.

კაეშანი ადამიანს საკუთარ მარტობასთან ერთად თავისუფლებასა და ადამიანურ ღირსებასაც შეაგრძნობინებს. ის აზროვნებისა და კულტურის ნაყოფია. „ომი გამოუცხადოთ მასწავლებლებს, ყველა ჯურის ტრანსცენდენტალ პროფესორებს, ყველა იმ წიგნს, ადამიანური კაეშნის ველს რომ აფართოებს. დაუბრუნდეთ წინაპართა უდრტივნიველ სიმშვიდეს“ – ირონიულად გაჰკიოდა პიერ ლოტი. ცივილიზაცია დამცველი აფსკია, რომელიც გამშვიდებს, კულტურა კი კაეშნის მომგვრელი ფანჯარა, უსაზღვროებას რომ გადაჰყურებს.

მარტინ ჰაიდეგერისა და ჟან-პოლ სარტრისთვის კაეშანი არარას ამჟღავნებს, ისევე როგორც გულზიდვა არსებას გამოავლენს. მისტიკოსები მასში ვინრო ბჭეს ხედავენ, რომლის გადალახვითაც ღვთაებრივ უსასრულობას ეზიარები. იაკობ ბოემი წერს: „კაეშნითა და კაეშნის გადალახვით მარადიული ცხოვრება მალღდება არარაზე“. ჟორჟ ბერნანოსი კი: „შიშის დაძლევის ერთადერთი წამალი არსებობს – თავდავიწყებით მიენდო ღვთის ნებას“.

**მარჯვენა და მარცხენა**

მარჯვენა ხელი ჩვეულებრივ უფრო მარჯვეა, ვიდრე მარცხენა, თავისთავად მარცხიანი, ე.ი. მოუქნელი. ეს ვრცელდება მარჯვენა ხელით მომუშავე ადამიანებზე, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ. ტრადიციულად სიკეთე მარჯვნივაა, ბოროტება კი – მარცხნივ. მაგალითად, გოლგოთაზე კეთილი ავაზაკი ქრისტეს მარჯვნივაა გაკრული, ხოლო ბოროტი – მარცხნივ. უკანასკნელი მსჯავრის დროსაც რჩეულნი მამა ღმერთის მარჯვნივ მოხვდებიან, მსჯავრდებულნი – მარცხნივ.

1789 წელს გენერალური შტაბების პირველივე კრებაზე რიილისტები მაშინვე პრეზიდენტის მარჯვნივ დადგნენ, რევოლუციის მომხრენი კი – მარცხნივ. აქედან მომდინარეობს პოლიტიკური ტრადიცია, რომელიც დღემდე გრძელდება.

ვინ არის მემარჯვენე? ვინ არის მემარცხენე? მემარჯვენე კონსერვატორია, მას სჯერა ტრადიციული ღირებულებებისა და მათ დაცვას ცდილობს არეულობის მოსურნეთაგან. მემარცხენეს კი სჯერა პროგრესისა და მის მისაღწევად ებრძვის არსებულ წყობას, რომელსაც უსამართლოდ მიიჩნევს. მემარჯვენეთათვის სამოთხე წარსულშია და ყოველი დღე მას გვაშორებს. 89 წლის რევოლუცია მოუშუშებელი ჭრილობა იყო, მაგრამ თვით ვერსალში დაბანაკებული ლუი XIV, რომელიც პარიზსა და მის მოსახლეობას გამოექცა, მიიჩნევდა, რომ ჭია თვით ხილში იყო. უზადო იდეალის ძიებამ შეიძლება წმინდა ლუიმ-

დღე მიგვიყვანოს. დროის დინება რომ გარდუვალი და შეუქცევადია, ეს ერთგვარ პესიმიზმს ბადებს მემარჯვენეს სულში. ამგვარი პესიმიზმი პაროქსიზმს აღწევს ზოგიერთ მწერალთან, კერძოდ, იოსებ(ფ) მაისტრთან, ლეონ ბლოისა და ლუი-ფერდინანდ სელინთან. მათ მიაჩნიათ, რომ დროის დინებას აპოკალიფსური ბოლო ელის.

მემარცხენეს, კონდორსესავით მიაჩნია, რომ „ადამიანის სრულყოფისაკენ სწრაფვას საზღვარი არ გააჩნია“. მისი აზრით, კაცობრიობა ნელ-ნელა გამოდის უცოდინრობის წყვილიდან და ნათელი მომავლისაკენ ისწრაფის.

როცა მსჯელობენ თუ რა გავლენას ახდენს მემკვიდრეობითობა და გარემო ცოცხალ არსებაზე, მემარჯვენეობა უპირატესობას მემკვიდრეობითობას ანიჭებს, მემარცხენეობა კი – გარემოს. აქაც ჩანს მემარჯვენეობის პესიმიზმი, რომლისთვისაც მემკვიდრეობითობა გარდუვალი ფატალურობაა, და მემარცხენეობის ოპტიმიზმი, რომელიც მიიჩნევს, რომ გარემო შესაძლებელია ადვილად შეიცვალოს. როდესაც ერს ტოტალიტარული ხელისუფლება მართავს, თუ მემარჯვენეა, რასიზმს ქადაგებს, დაბალი რასის მოსასპობად გამანადგურებელ ბანაკებს აწყობს. თუ მემარცხენეა – „აღმზრდელობით“ ბანაკებს, რომლებიც საბოლოოდ ასევე მომაკვდინებელია. გადაჭრით ვერ ვიტყვით, მაგრამ ბიოლოგია უფრო მარჯვენა მხარეს იხრება, სოციოლოგია კი მარცხენა მხარეს.

ცერებრალური ფიზიოლოგია ასხვავებს მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროებს, მაგრამ რადგან მოგძო ტვინში მგრძობიარე ძაფები ერთმანეთშია გადახლართული, ყოველი ჰემისფერო მართავს ორგანიზმის საპირისპირო მხარეს. ასე რომ, სანაქებო მარჯვენა ხელი ტვინის მარცხენა ნაწილზეა დამოკიდებული.

„როდესაც შევედით, იგი მარცხენა ხელის ხატვით იყო გართული.

– რა ჯანდაბას აკეთებთ, ჟერიკო? – ჰკითხავს პოლკოვნიკი.

– როგორც ხედავ, ძვირფასო – უპასუხებს მომაკვდავი, – საკუთარი თავით ვსარგებლობ. ჩემი მარჯვენა ვერასოდეს მიიღებს ანატომიის ისეთ გაკვეთილს, რომელსაც სთავაზობს ჩემივე მარცხენა და, როგორც ხედავთ, ეგოისტიც ამით სარგებლობს.

მართლაც ჟერიკო ისე გახდა, რომ მის ხელზე კანქვეშ ისევე ადვილად შენიშნავდი ძვლებსა და კუნთებს, როგორც თაბაშირის მოდელებზე“.

„ჩემი მემუარები“  
ალექსანდრე დიუმა

ფრანგულიდან თარგმნა  
სოფიო ბენდიაშვილმა

უცხოეთის ცხოვრებიდან

ნანა ადამია

ორიოდე სიტყვა  
ჰიორდერლინის  
პოეზიაზე

ცნობილია, რომ ჰიორდერლინი შთაგონებული იყო შილერით; „კეთილშობილ ადამიანს“, „კეთილისმყოფელ მენტორს“ უწოდებდა. შილერის შემოქმედებამ დალი დაასვა ჰიორდერლინის ფაქიზ სულს, მის აზროვნებას. ჰიორდერლინი შილერის შემოქმედებაში ბუნების სრულყოფილებას ხედავდა. და ეს განწყობილება ორივეს პოეზიაში აისახა. მაინც რა მსგავსება და განსხვავება არსებობს პოეზიის გაგების საკითხში მათ შორის?! საამისოდ მოვუხმობ შილერის თხზულებას „მეამიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“. ამ თხზულებაში მსჯელობაა სულისა და გონის არსზე. პოეტურ რეფლექსიებზე, ლექსის ძირითად ნიშნებზე (ფორმებზე), ე.წ. ტრანსცენდენტურ პოეზიაზე.

თითოეული მათგანი ურთულეს პერიპეტეებს მოიცავს და ამის შესახებ გერმანელი პოეტებიც წერენ.

„ტრანსცენდენტური პოეზია“, – წერს ნოვალისი.  
„ესაა ტრანსცენდენტური სამყაროს სიმბოლური კონსტრუქციათა კანონები“.

შილერი და ჰიორდერლინი კრიტიკულად უყურებდნენ საზოგადოებრივ ყოფას, რამაც თავი იჩინა ორივე მათგანის ლირიკაში. შილერი იმდენად ახდენდა გავლენას ჰიორდერლინზე, რომ იგი მას საპყრობილედ ექცა. ჰიორდერლინმა ორი ლექსი მიუტანა შილერს გამოსაქვეყნებლად, ხოლო შილერმა ისინი გოეთეს გადასცა ავტორის ვინაობის დაუსახელებლად, რათა გოეთეს აზრი გაეგო მათ შესახებ, ანუ როგორც შილერი წერს: „ორიოდე სიტყვასაც“ ჰიორდერლინისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. გოეთე უკმაყოფილო არ დაუტოვებია იმ ორ ლექსს: („ყარბი“, და „ეთერი“). „ორივე ლექსი გამოხატავს, – წერს გოეთე – სათუთ, თვითკმარ ლტოლვას“-ო და ბოლოს ჩემი აზრით „ეთერი“ ურიგო არ იქნებოდა აღმანახში დაბეჭდილიყო, „ყარბი“ კი ჰორებში“.

შილერი გახალისდა, როცა გოეთემ მისი „მეგობარი და პროტეჟე“ „მთლად უყურადღებოდ“ არ დატოვა. შილერი ჰიორდერლინში ხედავდა მონათესავე სულს „გულახდილად, რომ გითხრათ, – წერს შილერი, – ამ ლექსებში მე დავინახე ჩემი ადრეული სულიერი პორტრეტის მრავალი შტრიხი და პირველად არ ხდება, ეს ავტორი ჩემს თავს რომ მაგონებს, მას აქვს მძაფრი სუბიექტურობა და ამასთან დაკავშირებული გარკვეული ფილოსოფიური აზრი და სიღრმე, მისი მდგომარეობა საშიშია, რადგან ასეთ ნა-

ტურებს ვერ დაეხმარები. ამასთან, მის უახლეს ლექსებში გარკვეული გაუმჯობესების დასაწყისს ვხედავ და მათ ადრეულ ნამუშევრებს ვუპირისპირებ. მოკლედ, ეს არის ჰიოლდერლინი". ასე ფარულად გაცნო შილერმა ჰიოლდერლინი გოეთეს. შილერს ძალიან აფიქრებდა ახალგაზრდა პოეტის ვერხვივით მთრთოლვარე სული. „მე თქვენს წინაშე ვდგავარ როგორც მცენარის ნერგი“. ვკითხულობთ ჰიოლდერლინის მიერ შილერისადმი მიწერილ ბარათში. ორივე შემოქმედის პოეზიაში, როგორც ჰიოლდერლინი ამბობს: „ინდივიდუალური ხასიათია და განცდა“, პოეტურად დამუხტული ხილვები. შილერისა და ჰიოლდერლინის შემოქმედებას პოეტური მისტირისაკენ, იდუმალეზისაკენ მივყავართ და ეს იდუმალეზა შემოქმედებაში ცხადდება. პოეტური მისტირია მინიური ყოფიდან გასვლაა, პოეზიაში თავგანწირვა და უზენაესში ხელახლა შობა, ესაა ინდივიდის შერწყმა აბსოლუტთან. შემდეგ – ისევ აღდგენა, ანუ გოეთესებურად თუ ვიტყვიტ მისსივე ფორმულით: „მოკვდი და იქმენ“.

ჰიოლდერლინისათვის პოეზია „ყველაზე უცოდველი საქმეა“. იგი საკუთარი თავიდან გამომდინარე მიიჩნევდა, რომ „აღამიანმა პოეტურად უნდა იცხოვროს ქვეყნად“. ჰიოლდერლინი, სიცოცხლეს აპოეტურებს და პოეზიას ცხოველყოფელს ხდის. მისი აზრით, პოეტურმა სტრუქტურამ უნდა შეცვალოს ცხოვრება.


ჰიოლდერლინის მკვლევარი როთი აღნიშნავს, რომ ჰიოლდერლინის ლექსის სუბიექტური საფუძველი მშვენიერი და იდეალური ცხოვრებაა. ჰიოლდერლინი მიიჩნევდა, რომ პოეზია თვით ცხოვრების თანამგზავრად უნდა გაეხადა ყველასათვის, რადგანაც პოეზია სამყაროს კანონებით სიმართლეს ღალადებს. შილერმა, თხზულებაში – „მეამიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“ – პოეზია ორ ნაწილად გაყო: მეამიტი და სენტიმენტალური, რომელთაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული შინაარსი მიანიჭა. „პოეტი“, ამბობს შილერი, „ან თვითონ არის ბუნება, ანდა მას ეძიებს, პირველ შემთხვევაში იგი მეამიტია, ხოლო მეორე შემთხვევაში – სენტიმენტალური“.

სენტიმენტალური პოეტი შილერის განმარტების თანახმად, ბუნებას „ეძიებს“, რათა დაკარგული სულები მთლად აღადგინოს – მეამიტი კი თვით ბუნებაა.

შილერთან პოეზიის მამოძრავებელ ღერძად წარმოგვიდგება რეალობა და იდეალი. ჰიოლდერლინთან სული მეამიტია და გონი – იდეალური ანუ ენტიმენტალური (ნაივუ-



ფრიდრიხ შილერი



ფრიდრიხ შილერი

რი – სულია და იდეალური – გონია). გონი შეესაბამება გრძნობას, რასაც შილერთან სენტიმენტალური ჰქვია.

ჰიოლდერლინი ლექსი გაჰყო სამ სახეობად: ლირიკული, ეპიკური და ტრაგიკული. მან მკვეთრად განსხვავებული შინაარსი მიანიჭა მის მიერ დანაწევრებულ სამ სახეობას. ჰიოლდერლინის დიალექტიკური ტრიადა განასხვავებს სამ მატერიალურ სფეროს, ეს სამი სფეროა: ნაივური სამყარო = ნაივური სამყარო გარე სამყაროა; ჰეროიკული სამყარო = ჰეროიკული შიდა სამყაროა; და იდეალური სამყარო = იდეალური მითიური სამყაროა.

ჰიოლდერლინის აზრით, „იდეალური ლექსი შეიძლება იყოს, შინაარსისა და გარეგნულ ფორმათა სხვადასხვაობის მიუხედავად, „ნაივური“ და არა „იდეალური“, ხოლო „ნაივური ლექსი თავისი მნიშვნელობით ჰეროიკულია“. ესაა ეპიკური ლექსი და „ჰეროიკული“ ლექსი თავისი მნიშვნელობით იდეალურია“.

აქაა „ინტელექტუალური თვალსაზრისი“ – ესაა წმინდა „სენტიმენტალური“ შილერთან, ხოლო ჰიოლდერლინთან – კი „იდეალური“.

ნაწარმოებში, საერთოდ თანმიმდევრული არც მხოლოდ ნაივური შეიძლება იყოს, არც მხოლოდ სენტიმენტალური.

შილერი აღნიშნავს, რომ „მეამიტური“ პოეზია – რეალისტურია, „მეამიტი“ ანუ რეალისტურ, კლასიკურ პოეზიას შილერი უმთავრესად ანტიკური ხანისათვის მიიჩნევს ნიშნულად, როცა სინამდვილე და იდეალი განუყოფელი იყო, ხოლო „სენტიმენტალური“ კი იდეალისტურია.

„მეამიტი“ უფრო ანტიკური პოეზიაა „ბუნებრივი პოეზიაა“, ანუ ფხიზელი გონი, ორივეს პოეზია უმაღლესი, უცნობი, მისტიკური და უსასრულოა. შილერი ამბობს: „ყოველგვარი პოეზიის შინაარსი, რა თქმა უნდა, უსასრულო უნდა იყოს – მხოლოდ ამიტომ არის პოეზია პოეზია. ის შეიძლება უსასრულო იყოს ფორმის მიხედვით. თავის საგანს ყველა განზომილებაში გამოსახავს“. შილერთან და ჰიოლდერლინთან პოეზიის ხატი წარმართულ-ქრისტიანული სულიერებითაა ნასაზრდოები.

აქვე მოვიტანთ ჰიოლდერლინის ლექსიდან ნაწყვეტს „ერთადერთი“.

„მოგეკედლე, ო, ქრისტე შენ./ თუმცა, ჰერაკლეს, ძმავ / ვცნობ, რომ / ძმაცა ხარ ევირისა, რომელიც / ეტლში აბამდა ვეფხვებს/ და ინდოეთამდე / განაგებდა / მზიარულ ღვთისმსახურებას / ვენახსა ყრიდა, და / აცხოვრებდა ხალხების რისხვას/.



ამ ლექსში ვხვდებით ბიბლიურ პლასტებს. ქრისტე აქ გვევლინება ჰერაკლესა და დიონისოს (ევირის, ევირი დიონისოს ზედმეტი სახელია, საკულტო შეძახილი) ძმად. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ნანარმოებში წინარე ქრისტიანობა მოიაზრება.

ჰიოლდერლინისათვის პოეზია „უპირველესყოვლისა“ და აგრეთვე მოვალეობაა. ორივე პოეტის პოეზია კოსმიური ერთიანობაა, ბუნებისა და ადამიანის შემრეგებლური სვლა. ისინი პოეზიით სამყაროს საიდუმლოებას ხსნიან. სამყარო მათ პოეზიაში ღვთიური მადლია.

როცა ვეხებით შილერისა და ჰიოლდერლინის პოეზიას, რარაც სულ სხვა „ტენდენციებს“ ვხვდებით. მნიშვნელობა ერთია, სენტიმენტალური ჰიოლდერლინთან, იდეალურია ანუ გრძნობა და არა იდეალისტური, რომელიც გონიდან მომდინარეობს. გონი მასთან ბუნებაა მბრძანებელი.

ჰიოლდერლინთან ვხვდებით, რომ „გრძნობა ლექსში იდეალურობას გამოხატავს, ვნება – მეამიტურს გამოხატავს, ხოლო ფანტასია – ენერგიულობას“. ჰიოლდერლინის ნააზრევში ვხედავთ, რომ ძირითად ტონსა და მხატვ-

რულ ხასიათს შორის, აგრეთვე მხატვრულ ხასიათსა და ზემოქმედებას შორის „განზავებულია“ ლექსის სუბიექტური საფუძველი – მშვენიერი და იდეალური ცხოვრება, რომელიც პოეტურად გარდაიქმნის. ჰიოლდერლინმა ლექსის სამი ფორმა წარმოგვიდგინა: ნაივური, ენერგიული, იდეალური.

ჰეროიკულ შიდა სულიერ სამყაროში წარმოდგენილია ინტელექტუალური, მორალური, სამართლიანი დამოკიდებულებანი. ჰეროიკული ლექსი იდეალური ლექსია. იდეალურ მითურ სამყაროში წარმოდგენილია რელიგიური დამოკიდებულება, ესაა – ფანტასია. ეს სამი მატერიალური სფერო შეიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ცნებებს: სინამდვილე, საჭიროება, შესაძლებლობა.

ჰიოლდერლინის ლექსის შუა ფორმაში – „ენერგიულობა“ – იგულისხმება პოეტური ენერგიულობა, რომელიც თავის არსით „პოეტური რელიგიურობაა“. ეს შუა ფორმა შილერთან საერთოდ არ არის.

ასე შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რა მსგავსება და განსხვავება ამ პოეტების შემოქმედებაში, ხოლო მათი პოეზიის სხვა ასპექტებს კი საგანგებო კვლევა საჭიროება.

მაია ჯალიაშვილი

# თავზახელაღებული მეგრძოლი საკუთარ თავთან

□

სტივენ კრინი

მიმზიდველი სტილი თხრობისა, ზუსტად მოხატული და გამოკვეთილი დეტალები, პერსონაჟთა სიტყვებში, ყესტებსა თუ მიმიკებში გამჟღავნებული ხასიათები, ცხოვრება თავისი ერთფეროვნებითა და მოულოდნელობებით – ზოგადად ასეთია სტივენ კრინის ნანარმოებთა კითხვისას მიღებული შთაბეჭდილება.

ეს შესანიშნავი ამერიკელი მწერალი, საკუთარ თავს თავზახელაღებულ მეგრძოლს რომ უწოდებდა, ცხოვრებაში პატიოსანი გზით იდეალების მისაღწევად მეგრძოლს, გავიცანი მოთხრობით „პატარძალი ჩავიდა იელოუ-სკაიში“, რომელიც დაიბეჭდა 2004 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემულ კრებულში „ათი ამერიკელი“. ედგარ ალან პოს, უილიამ ფოლკნერის, ჯერომ სელინჯერისა და ერნესტ ჰემინგუეის ხმამაღალ სახელთა გვერდით კრინი სულაც არ იჩრდილებოდა. პირიქით, გამოკვეთილად მოჩანდა. და რა იყო ასეთი ამ მოთხრობაში? ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი. აღწერილი იყო ერთი პროვინციული ქალაქი, ცხოვრების მონოტონური რიტმითა და ამ ფონზე ადამიანური სიტბოს გამოსხივებით. მოკლედ, პოლიციის

უფროსი ჯექ პოტერი წავიდა სან-ანტონიოში, იქ შეირთო ქალი და ახლა ბრუნდება მშობლიურ იელოუ-სკაიში. ტკბილად მთვლემარე ქალაქში მოულოდნელად ცნობილ ჩხუბისთავს სკრეტჩი უილსონს გადააწყდება, იარაღმარჯვებული, სასმელით გონებადაბნელებული მზად რომ არის კაცის მოსაკლავად, ჯექ პოტერთან კი ძველი ანგარიშიც აქვს გასასწორებელი; და უცებ გაისმის მშვიდი ფრაზა: ცოლი შევირთე. მეტოქეში ეს უწყინარი სიტყვები მესყუელ სულიერ ცვლილებას იწვევს. ადამიანური, პატარა სიხარული ქორწინებისა თრგუნავს მის სულში უნიდადავად გაჩენილ სიძულვილსა და ბოროტებას.

მწერალი კი ნოველას ასე ამთავრებს: „იგი არ იყო ნაზიარები რაინდულ წესებს, მაგრამ პირისპირ რომ ნააწყდა მისთვის უჩვეულო ვითარებას, აღმოჩნდა, რომ წარსულ დროთა პრერიების ნამდვილი პირშე ყოფილა. ძირს დაგდებული რევოლვერი აიღო და იქაურობას გაეცალა. მისი ნაბიჯები ძაბრისებრ კვალს ტოვებდნენ ღრმა ქვიშაში“.

ეს ქვიშა კი სიმბოლურად მკითხველის გულიცაა და ეს კვალი კი – მართლაც ღრმა შთაბეჭდილება.

სამწუხაროა, რომ სტივენ კრინის შემოქმედება მწერად არის თარგმნილი, თუმცა, რაც გადმოღებულია ქართულად, შესანიშნავია და დასაფასებელი. მთარგმნელებმა იშვიათი ოსტატობით გააცოცხლეს ქართულ ენაზე ამერიკელი მწერლის გულშიჩამწვდომი მხატვრული სამყარო. ხსენებული მოთხრობა და კიდევ ნოველა „ცისფერი სასტუმრო“ და „ომის ეპიზოდი“ ცილა თოფურიძემ თარგმნა, ლექსები ოთარ ჩხეიძემ, ნატო ჩხეიძემ ნოველა „ბრძოლის დასასრული“, ხოლო კრინის რამდენიმე პირადი წერილი და ესეი მის შესახებ პაატა და როსტომ ჩხიძემა თარგმნეს. ეს არის და ეს.

არადა, ეს მწერალი ნამდვილად გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს, ამაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს 2006 წელს გამოცემული რუსუდან ბერიძის წიგნი „სტივენ კრინი და ამერიკული სინამდვილე, რომელშიც შესა-

ნიშნავადა წარმოჩენილი ამ მწერლის ცხოვრება და შემოქმედება, გაანალიზებულია სტივენ კრეინის ქართულ თარგმანთა თავისებურებანი.

თარგმნას კვლავ ელის სტივენ კრეინის საქვეყნოდ აღიარებული ნაწარმოებები, მათ შორის, რომანები: „სიმამაცის ნითელი ნიშანი“ და „მესამე ია“, ნოველები: „ურჩხული“, „კანჯო“, „მუქინითური ძალი“, „ადამიანები უამინდობაში“, „პატარა პოლიკი“, „სამი უცნაური ჯარისკაცი“, „სიკვდილი და ბავშვი“ და სხვა. სტივენ კრეინი ბევრს წერდა ომის თემაზე. ომს ის მხოლოდ წიგნებიდან როდი იცნობდა, თვითონვე იბრძოდა რამდენიმე ფრონტზე, მათ შორის, ამერიკა-ესპანეთის ომში მონაწილეობდა, როგორც თავდაუზოგავი კორესპონდენტი.

სტივენ კრეინი ოცდაცხრა წლისა გარდაიცვალა (1871–1900). ეს ძალიან მცირე დროა იმისთვის, რომ მწერლობაში ბევრი რამ მოასწრო, თუმცა ლიტერატურამ ამის არა ერთი მაგალითი იცის. კრეინიც მათ შორისაა. მან XIX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურას თავისი კვალი დაატყო. კრეინმა ბევრი რამ ნახა, განიცადა და ამ შეგრძნებათა სიტყვიერი ხორცშესხმაც მოასწრო. დაუმთავრებელი რომანი დარჩა და კიდევ ბევრი რამ დასაწერი და განსაცდელი.

რა უცნაურია, თვითონ როგორც წერდა, მზად იყო, 35 წლისა გარდაცვლილიყო, მეყოფა, სიცოცხლე მწარე წუხილად არ ღირსო. არ უყვარდა სიცოცხლის შესახებ ბრძნული მსჯელობა და ცხოვრებაში ყველაზე ღირებულად სიკეთეს მიიჩნევდა. ცდილობდა, გარშემო მყოფთათვის მოწყალება და სიყვარული არ დაეკლო. 26 წლისა უკვე დაღლილად გრძნობდა თავს. მეგობარს წერდა: „გამარჯვებისადმი ყოველგვარი ინტერესი დავკარგე, რადგან მას ბრბო განსაზღვრავსო“.

საკუთარი პრინციპები რომ დაეცვა, წრფელი და უშეღავთო ბრძოლა სჭირდებოდა და მხოლოდ ერთი რამის ეშინოდა: კმაყოფილება! იმასაც მიხვდა, მსოფლიოსთან კი არ უნდა გაემართა ბრძოლა, არამედ საკუთარ თავთან. „მე შევებრძოლე ქვეყნიერებას და ვერაფერს მივაღწიე, ერთი გოჯითაც ვერ წავინიე წინ, ეგ არის, ამ მეორე ბრძოლას მივადექი—ეს ბრძოლა წლების განმავლობაში გრძელდება, ჩემი სამარის კარამდე, და მხოლოდ იმ დღეს გავიგებ, აღმოხდება თუ არა ლაღად სიტყვა გამარჯვება ჩემს ბაგეებს“.

სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძე სწორედ კმაყოფილებას მიიჩნევდა ქართველთა სენად, კმაყოფილებას, რომელიც გულგრილობაში გადადიოდა, და ეიმედებოდა, ახალი თაობა ამ მომაკვდინებელ სენს გადაურჩებოდა: „უმადლონი სჯერდებიან იმას, რაც არის, მაღლიანნი კი ძნელადო“.

სტივენ კრეინი, უპირველესად, საკუთარი თავით იყო უკმაყოფილო, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეშივე აღიარეს და გენიოსადაც მოიხსენიებდნენ, რაზეც კრეინი გულწრფელად წერდა, არა მგონია, ეს ეპითეტი ჩემს მიმართ მართებულად იხმარებოდეს, მე მხოლოდ ცხოვრების ზუსტად ასახვას ვცდილობო.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ტოლსტოის შემოქმედებას აფასებდა, თუმცა მქადაგებლურ სტილს უწუნებდა, ხელოვნება კათედრად არ უნდა იქცესო. მის ნაწერებში, მართლაც, იხატება უბრალო ამერიკელთა ყოველდღიური ცხოვრება, ტკივილითა და სიხარულით, ჭუჭყითა და სილამაზით. მას უყვარდა ადამიანი და ამიტომაც სითბოთი ხატავდა ომისა თუ მშვიდობის, სიყვარულისა თუ სიძულვილის წუთებში. სტივენ კრეინს ახალი ამერიკული რომანის დამწყებად ასახელებენ. მისი სამწერლო ოსტატობის თავყანისმცემელთა შორის იყვნენ უილიამ ფოლკნერი, ერნესტ ჰემინგუეი და შერვუდ ანდერსონი.

რუსუდან ბერიძის ნიგინი ქართველ მკითხველს სტივენ კრეინის მრავალფეროვან მხატვრულ სამყაროში შეუძლებდა. მკვლევარი წარმოაჩენს ამ მწერლის შემოქმედების თემატურ და სტილურ ასპექტებს, ანალიზებს, თუ რა მხატვრული ხერხებით ქმნის მწერალი პერსონაჟთა დაუვიწყარ სახეებს. რუსუდან ბერიძის და სხვა მკვლევართა დაკვირვებითაც, მიუხედავად მწერლის რეალისტური მანერისა, იგრძნობა ნათესაობა იმპრესიონიზმთან. დეტალების ზედმიწევნით ხატვით კრეინი ნატურალისტებსაც ნააგავს, მაგრამ მისი მოთხრობები თავს აღწევენ გულისგამანვრილებელ აღწერას და ცხოვრებას მკითხველს ცოცხლად შეაგრძნობინებენ.

ამის კიდევ ერთი დასტურია ნოველა „ბრძოლის დასასრული“. მთარგმნელი ჩასწვდა მწერლის გულისთქმას და შეძლო ნათარგმნი ტექსტისათვის შეენარჩუნებინა სისადავე, გარეგნული, ზედაპირული სიმშვიდე და გამოეცა ქვეტექსტებში ნაღმივით შეფარებული შემოფოთება. ომს, კაცთაკვლას ეჩვევიან ადამიანები. ნოველაში დოკუმენტური კადრებით ცვლის ერთმანეთს ომის რამდენიმესაათიანი ფრაგმენტი. ჩვეულებრივი, უბრალო ჯარისკაცები ერთ სურათში ლაღნი, სიცოცხლით სავსენი, მეორე სურათში მტრისგან თავს იცავენ. ავტომატები მათ ხელში, ერთი შეხედვით, სათამაშონი, სიკვდილს თესავენ. მკითხველის თვალწინ ილუპებიან ისინი, მშვიდად, უდრტვინველად, ბედს შეგუებულნი. ნოველა კი ასე მთავრდება: „ცოტა ხნის მერე მტრის ქვეითი ჯარის ყმანვილმა უმცროსმა ლეიტენანტმა თავის ერთგულ რაზმთან ერთად გაარღვია მხრჩოლავი გარემო, ზედ ზღურბლთან შეჩერდა, ამ სისხლისა და სიკვდილის კარიბჭესთან და მხრების აჩეჩვით უთხრა თავის სერჟანტს: „აფსუს, რა ბიჭები ჩავხოცეთ?!“

ვფიქრობ, ქართველი მკითხველისთვის, უახლესი ისტორიის გათვალისწინებით, განსაკუთრებით სულისშემძვრელად ჟღერს ეს სიტყვები. თითქოს ეს ნოველა ამერიკელ მწერალს კი არა, ქართველს დაენეროს. „რა ბიჭები ჩავხოცეთ?!“ ეს ცოდვისა და სინანულის იმ შეგრძნებას ბაძებს, რომელიც კათარზისს იწვევს.

ბრძოლა კი არასოდეს მთავრდება, თავზეხელაღებული ბრძოლა საკუთარ თავთან.



სტივენ კრეინი

როსტომ ჩხეიძე

## ეკლიანი და პატარა გზა

### ბრიზოლ რობაქიძე

ეს ტრაგედია წინა დღით ვიხილე სიზმრად. თვითონ ილიას აჩრდილი არ მომლანდებია, ანგელოსი გამომეცხადა და იმან მამცნო ის, რაც მეორე დღეს გაზეთებს უნდა დაედასტურებინა.

მწერლებს ნაკლებ უჯერებენ ასეთ სიზმრებს, ჰგონიათ, მათი წარმოსახვა ქმნის ზმანებათა სურათებს, რეალობაში ფანტაზია იჭრება და არარსებული სიზმარი მხოლოდ მხატვრულ ხერხადაა გამოხმობილი.

ანგელოზი მართლა ვიხილე, მოსალოდნელმა მკვლელობამაც თვალწინ ჩამიქროლა და კარდუს განცდაც პირველად აქ შემომეგზნო – ეს უკვე თვალი რომ ავახილე და რეალობას დავუბრუნდი.

თუმცა რეალობა ის უფრო იყო, ანგელოსს რომ მივჩიებოდი.

საქართველოში დაბრუნებულს სულ ის მესმოდა, მიხეილ წერეთელმა ისეთი სიტყვა წარმოთქვა დასაფლავებისას, მთელი ხალხი ააფორიაქა და აიყოლიაო.

სიტყვა კი არა, ცეცხლი იყო, – ამდენი წლის შემდეგაც ყოველთვის ასე გაიხსენებს ხოლმე გიგო დიასამიძე და იმგვარი გზნება მოსჩქეფს თვალთაგან, თითქოს ის ცეცხლი ახლაც ეკიდებო.

გლოვა და ვაება რომ ჩაივლიდა, ერის ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობა კიდევ ახლებურად წარმოიხსახებოდა.

ახლებური რას გულისხმობს?

წინამური მსხვერპლის სახეს შეიძენდა, მსხვერპლისა, რომლის საიდუმლოებაც სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა.

ამიტომაცაა, რომ წინამურის ველიდან ვლინდება დღითიდღე, კიდიდან კიდემდე, მთელი საქართველოს არეში ეს უხილავი და, ამასთან, ცხადზე უცხადესი ძალა – ქვეშეცნეული ვლინდება უშუალო ქმედებით.

ივანე ჯავახიშვილს ჰკითხეთ და ის დაგიდასტურებთ, ივანეს იმიტომ, რომ ყველაზე ღრმად იგი განიცდის ამ შინაგან გარდაქმნას.

არასოდეს მომწყინდება ამ თემაზე ფიქრი და ლაპარაკი.

ეს არის არსი და არსება ჩემი და ამიტომაც შევყურებ თვალდათვალ, რომ ყოველ ქართველში – რომელშიც ჯერაც ოდნავ ღვივის ცეცხლი კარდუს თესლისა – იღვიძებს საქართველო, იღვიძებს არა წილობით, არამედ ერთიანად, მთელი თავისი ბედით. არც ერთი მექმე ქართველი არ რჩება ახლა განზე განაპირებული, ყოველი მათგანის გზა ამიერიდან მიდის ამ მსხვერპლის ნიშნით.

მართალი ხარო, – დამეთანხმებოდა არჩილ ჯორჯაძე, როდესაც ილიაზე ათასგვარი მსჯელობისას წინამურზეც

ჩამოვარდებოდა სიტყვა და იმ ტრაგიკული დღის სიმბოლიკას ასეთნაირად გავიაზრებდი.

ბევრი მოსაზრება თუ დაკვირვება შემიმონმებია არჩილთან საუბრებისას, უფრო მირწმუნია თუ გადამიფასებია. მსოფლმხედველობაც და ლიტერატურულ-ფილოსოფიური გემოვნებაც ძალიან დამიხვენა მასთან შეხვედრებმა, რაკილა არანაირი დოქტრინით არა ყოფილა შემოზღუდული და მხოლოდ ჭეშმარიტებას ეძიებდა. სამშობლო ჭეშმარიტებას გაუიფიკა, ასე იწამა და კიდევ შეეწინა მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ სწრაფვას.

საუკეთესო მსმენელი გახლდათ, ეგაა, როდესაც ვიტყვოდი: ქართული კულტურის რენესანსი ახლა იწყება-მეთქი, – ღიმილი აეკიდებოდა სახეზე და თბილი ჰუმორი და ირონია უცნაურად შეეჟღინთებოდა ერთმანეთს: შენი დაბრუნებით იწყება ალბათო.

მე რა შუაში ვარ, უბრალოდ, დადგა ჟამი ჩვენი კულტურის რენესანსისა-მეთქი, – მოგერიებას ასე ვცდილობდი.

ახლა დადგა თუ სოლომონ დოდაშვილის დროსო, – ისევე იმ ღიმილით აგრძელებდა საუბარს და: ან დიმიტრი ყიფიანმა, ან ილიამ და აკაკიმ თუ ვაჟამ და იაკობ გოგებაშვილმა რაღა აკეთეს მთელი ცხოვრება, თუ შენს მოვლინებამდე ნიავიც არსად კრთოდა ჩვენს კულტურულ სინამდვილეში, ნუთუ ასე გაგვიხდა საქმე, აღორძინების დაწყებას ახლა შევაჩერდეთ იმედის თვალთო?!.

გადვიტანდი სხვა თემაზე სიტყვას, წავყვებოდით, წამოვყვებოდით და... კვლავ ვერ ვიკავებდი თავს: დადგა ჟამი ქართული რენესანსისა-მეთქი.

განა მე კი არ ვიყავ მოთაყვანე ამ სახელებისა, მაგრამ ეს ყოველივე მაინც წინა საფეხური გახლდათ უფრო ამალღებული სწრაფვისა, ის-ისაა რომ ისახებოდა და წარმართვა კი, ბედის განჩინებით, ჩემს მოვალეობად შექმნილიყო.

რა ვქნა – უფალმა ინება ასე, რომ მე მეზიდა ეს ტვირთი.

წინამურის მსხვერპლის საიდუმლოება და დიდი გარდამქმნელი ძალა მწერალთა და მეცნიერთაგან ყველაზე ღრმად ივანე ჯავახიშვილმა თუ შეიმეცნა, პოლიტიკოსთა შორისაც გამოუჩნდა ილიას ნამდვილი მემკვიდრე და მისი საქმის გამგრძელებელ-დამავგრძელებელი. ნოე ჟორდანიამ იდო თავს ეს უძნელესი და უკეთილშობილესი მისია და რეალობად აქცია ილიას ოცნება საქართველოს სახელმწიფოს ფენიქსისებრი აღდგენით.

ილიას მოსე წინასწარმეტყველად ესახებოდა საკუთარი თავი. მის „პოეტს“ ჩაუკვირდით, პოეტის სიმბოლიკის მისეულ გააზრებას, მეტაფორებში ბიბლიური პატრიარქის სახებამ თუ არ შემოგანათოთ.

მე ასე ვკითხულობ ამ ლექსს და სხვაგვარად ვერც თქვენ ნაიკითხავთ.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №20

დამონებული ერის ვინაობის აღდგენა და ხელახალი გამოყვანა ისტორიის სამზეოზე მართლაც მოსესებური ღვანლია და ამ ღვანლის აღმსრულებლად მოგვევლინა ქართველებს ნოე ჟორდანიას, მას გავეყავართ მსოფლიო ასპარეზზე და მისი ენერჯისა და მიზანსწრაფვის შემყურეთ ვის შეეპარება ეჭვი, ამიერიდან მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოვლენების შუაგულში რომ ვიტრიალებთ.

არ გინდათ ილიასა და ნოეს პოლემიკის გახსენება.

ამით ვითომ რა გნებავთ თქვათ – რაკილა ზოგიერთ დეტალზე, დიახ, სწორედაც დეტალზე ვერა თანხმდებოდნენ, სულიერი კავშირი არა ყოფილა მათ შორის?

დაფიქრდით და კიდევ დაფიქრდით: რასაც მთელი ცხოვრება შესწირა ილიამ და წინამურის ველზეც ასე გულშიშრად აღიმართა თავისი რწმენის დასაცავად, ნოემ დაადგა გვირგვინი.

თანამოაზრეობა სხვას რას ჰქვია, სულიერი შთამომავლობა და მემკვიდრეობა!..

ამიტომ იმ კამათს ჩამოესხენით და უპირველესად 1917 წლის ეროვნული ყრილობა გაიხსენეთ, რომლის უმთავრესი კვანძიც ერის ზეპიროვნული ბუნებიდან ამოზრდილიყო და ხელშესახებს ხდოდა იმ შთაბეჭდილებას, რომ ეს კვანძი აღარასოდეს განწყდებოდა.

განა ვინ იყო ამ კვანძის მთავარი შემოქმედი?

ნოე ჟორდანიას – ილიას მხრებზე წამომართული.

რაო, ილიას ნემსზეო?

მხრებზე, მხრებზე, ნემსზე კი არა.

ეექვ, არ ეშვებთ თქვენსას ნოეს სახელისა და ღვანლის დასამცირებლად, მაგრამ პირუთვნელი ისტორია ყველაზე უკეთ გამოიტანს მსჯავრს და სწორედ ისეთს, რასაც ამაოდ შეგავაგონებთ.

სიზმრად ხომ არ მომვლენია ანგელოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედს რომ მიმანიშნებდა?

რაც არ მინახავს, არც დავიჩემებ, ანგელოსი მაშინ ვიხილე, გაღვიძებისთანავე ცრემლი რომ მოვიწურე, რადგანაც გული უცნაური ძალით მიცემდა და ვერც აბურღული ფიქრი მატყობინებდა რაიმე სანუგეშოს.

## ილია ნაკაშიძე

ტექსტი შენ უნდა შეადგინო, – მითხრა თუ არა იაკობ გოგებაშვილმა, მაშინვე ყაბულს ვიყავ, მის დავალებას როგორ გადავიდოდი, თუმც მეოცა კია, იდეა მისი იყო, შედგენითაც ჩემზე უკეთ და ბევრად უკეთაც შეადგენდა და ჩემთვის რატომ უნდა მოენდო?

მერე მივხვდები, მერე...

ჯერ კი იაკობი რომ დაგვადგა თავზე „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში, სალაშიც არ ეთქვა, მაშინვე გულისწუხილი ვაგვიზიარა: ილიას მკვლელებს ჩამოხრჩობა რომ გადაუწყვიტა სასამართლომ, ნუთუ ამახ უდრტივინველად უნდა დავთანხმდეთო?..

მე და ივანე ელიაშვილიც ამაზე ვმსჯელობდით სწორედ და ასეც მოვახსენეთ, ოღონდ შეჯერებით კი ვერ შევეჯერებულებიყავით – აუცილებელი იყო თუ არა მკვლელები

ბის ჩამოხრჩობა. თვითონ ილია ხომ წინააღმდეგი გახლდათ სიკვდილით დასჯისა და სახელმწიფო სათათბიროში სიტყვაც წარმოთქვა სიკვდილით დასჯის აღსაკვეთად. მაგრამ... ჩვენ ხომ ილიები არ ვიყავით და შურისძიების წყურვილიც გვეკლავდა – დაე თოკზე მოქანავენი გვეხილა ის ავაზაკნი, ჩვენს სათაყვანო კაცს სიცოცხლე რომ მოუსწრაფეს. თანაც რა – ჩვენ ხომ არ მიგვისჯია მათთვის სიკვდილი, სასამართლომ გადაწყვიტა ასე და ვითომ თავი რატომ უნდა გამოგვედო განაჩენის შესაცვლელად?!

ასეც მოვახსენეთ იაკობს.

იტკიცა და რა იტკიცა.

– როგორ, ილიას ხსოვნას ოთხი ჩამოხრჩობილი კაცის ხსოვნაც აჩრდილივით უნდა სდევდეს უკან?.. განა ამისათვის იბრძოდა მთელი ცხოვრება სიკვდილის განაჩენის გასაუქმებლად, რომ მორჩილად შევხვდეთ სასამართლოს გადაწყვეტილებას და ილიას შარავანდმოსილ აღსასრულს სამსალის წვეთები გავუერიოთ?

ასე განერვიულებული არასოდეს მენახა. სახე ისე შეცვლოდა, ივანემ კიდევ გადმომილაპარაკა: მართლა იაკობია თუ ვინმე სხვაო.

– ნინო სად არის, ნინოო, – ჩემი მეუღლე მოიკითხა. ისე იყო აღელვებული, არც დაუნახავს, იქვე რომ იჯდა, სანერ მაგიდასთან. და ისიც მაშინვე რომ გამოეხმაურა, იაკობმა თავი დაიმორჩილა და შედარებით მშვიდად მიმართა:

– როგორც შენ იტყვი, ისე გადავწყვიტოთ – მოვიწონოთ სასამართლოს განაჩენი თუ საზოგადოებრივი აზრი ავიყოლიოთ და ხელახლა გამოვატანინოთ გადაწყვეტილება, სიკვდილით დასჯას პატიმრობით რომ შეცვლის.

და ჩვენ გადმოგვხედა:

– ყური კარგად დაუგდეთ, ქალის სიტყვა კანონი უნდა იყოს ასეთ შემთხვევებში.

ეტყობა, ეჭვი არ ეპარებოდა, ნინო ჰუმანურობას გამოიჩენს, სიკვდილის განაჩენი შეზარავს და დაუფიქრებლად მომემხრობაო.

ნინომ კი:

არ მემეტება სიცოცხლე ილიას მკვლელებისათვისო.

ნახდა და რა ნახდა იაკობი. მაშინვე დაივიწყა, ქალის სიტყვა კანონად რომ გამოაცხადა და შეეპასუხა:

– მამ თქვენ არ აფასებთ ილიას მცნებას? პატივს არ სცემთ იმის ანდერძს.

და გამწარებულმა ჩაილაპარაკა, აი, ასეა მთელი ქართველი საზოგადოებაო.

– მე მძულს ილიას მკვლელები, – არ დაუთმო ნინომ.

– მაგაში ვინ გაგამტყუნებს, მაგრამ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ილია და მისი სიტყვა გვეჯეროდეს.

და ჩვენ მოგვიბრუნდა:

– ხომ ხედავთ, საბოლოოდ მაინც ისე გამოდის ნინოს ნათქვამიდან, რომ ვერ შეეგუება, ილიას ხსოვნას ოთხი ჩამოხრჩობილი კაცის ხსოვნაც გაჰყვეს.

სულ სხვა რამ გამოდიოდა, მაგრამ შეპასუხება ველარ კვადრეთ, ნინომაც ხმა გაკმიდა და იაკობმა თავისი გეგმა რომ გაგვიზიარა: ყველაზე უკეთესი გზა ის იქნება, ოღონდ იშუამდგომლოს სიკვდილის განაჩენის შესაცვლელად, ილიას ქვრივს მაინც მეტ ანგარიშს გაუწევინ, ვიდრე

თუნდა ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებებსო, – ისე მხურვალედ დავთანხმდით ყველა, თითქოს საკამათო თუ საორჭოფო არც არაფერი გვექონია.

მაშინ მთხოვა: ოლლას ხვალ ვესტუმროთ და ტექსტი წინასწარვე გვექონდეს გამზადებული, ხომ უკვე იცი, როგორ უნდა დაინეროს და სჯობს შენ შეადგინო.

უარს როგორ გავებედავდი, მაგრამ – მოგახსენეთ – მე-ოცა კია.

თვალებიდან არ გამომდის, როგორ გაუცისკროვნდა თვალები ოლლას ჩვენს დანახვაზე, ოთხივე გადაგვკოცნა და ატირდა.

მოლაპარაკება, ცხადია, იაკობმა ითავა, მიუჯდა ახლოს, აიღო მისი ხელი და დაუწყო მოფერება. და თითქოს ბავშვს ელაპარაკებო, ისე აუხსნა – ნელა და მკაფიოდ – რისთვისაც ვიყავით მისულნი. ოლლა დამჯერი შეგირდით უსმენდა, ყურში სასმენი მილი ეკეთა, სახეზე ცრემლი სდიოდა და თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად.

შუამდგომლობაც ეს არისო, – იაკობმა, და ტექსტი წაუკითხა.

კნინას ტირილი არ შეუწყვეტია:

– ჰო, რასაკვირველია, მე თვითონაც ვფიქრობდი, მაგრამ ბებერი და ყრუ ვარ და არ ვიცოდი, როგორ რა მექნა. და წამითაც არ უყოყმანია, ისე მოაწერა ხელი.

მერე კი მივხვდები, ტექსტის შედგენა მე რატომ მთხოვა.

არ უნდოდა, ეს განზრახვა ცხოვრების მღელვარე ორომტრიალში ჩაკარგულიყო და გამოხმაურებას თვითონვე აპირებდა, რათა ილიას ქვრივის შუამდგომლობა სამაგიეროდ დაესახა საზოგადოებისათვის. სხვა თუ ვინმეც გამოეხმაურებოდა, რა სჯობდა, მაგრამ იაკობის სიტყვას მაინც განსაკუთრებული წონა და ფასი ჰქონდა და ამიტომაც სურდა საკუთარი ტვიფარით დაებეჭდა ეს ზნეობრივი აქცია.

ცხადია, მთავარი ასეთი შემთხვევისას ტექსტი კი არ არის, არამედ ის, თუ ვინ აწერს ხელს. მაგრამ მაინც იუხერხულდება, თავის მიერ შედგენილი ტექსტი ქებით რომ მოეხსენებინა. თვითონ ეცოდინებოდა და ჩვენ სამს, ვის სტრიქონებს მოაწერდა ხელს ოლლა გურამიშვილი, მაგრამ საკუთარი თავის წინაშე პირნათელი რომ ყოფილიყო, მე ამიტომაც მომანდო შუამდგომლობის შინაარსის ჯეროვნად გამართვა.

რა გაიხარა, გაზეთი „დროება“ მონონებით რომ აპყვა ამ წამონყებას: მკვლელთა სიკვდილით დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგება ღრმა კაცთმოყვარულ მიმართულებას უღმერთოდ მოკლული პოეტისასო, – და რუსული გაზეთების – „ზაკავკასკიე ობოზრენიე“ და „ნოვოსტი ზაკავკაზია“ – შესაფერისმა ექომ ხომ სულაც მოლოდინით აღავსო: აი, ნახავთ, სატახტო გამოცემებიც თუ არ გამოგვეხმაურებიანო.

ჩემსავით მოთაყვანე არა ყოფილა რუსი მწერლების და მოაზროვნეებისა, დიდად არა სწამდა მათი, მაგრამ იმას კი იმეორებდა: ამდენ ლიტერატორში ერთი წესიერი კაცი როგორ არ გამოერევა, ჯეროვნად დააფასოს ილიას ქვრივის მონადინებაო.

„რუსსკიე ვედომოსტის“ ის ნომერი ჩამივარდა ხელში თუ არა, მაშინვე იაკობთან გავვარდი. დილაადრიან

ვერასოდეს გავებედავდი მის შეწუხებას, მაგრამ ახლა რას დაგიდევდი, ისეთი საუნჯე უნდა მიმეტანა, რუსი ლიტერატორი თვისტომთ რომ შეაგონებდა და მთავრობასაც სარკეში ახედებდა: როდესაც მთელ რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის – მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე, და ლამის სასონარკვეთილების მორევში ჩაიხიხროთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, ვისაც მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც მხეცურად დაჭრეს, ივედრება, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსაო.

და სტატია ამ სიტყვებით მთავრდებოდა:

აქამდე ვიცოდით, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, ახლა კი უნდა ვთქვათ, რომ ზნეობრივმა მზემაც აღმოსავლეთიდან – საქართველოდან ამოაშუქაო.

მსახურმა რომ კარი გამიღო და მასპინძელს თავზე ვადექი, გაზეთის ეს ნომერი გაეშალა სწორედ და დაჰხაროდა. ამომხედა: ხედავ? ზნეობრივი მზე საიდან უშუქებსო რუსეთსო?

თვითონაც არ ელოდა, მის ჩანაფიქრს ასეთი შარავანი თუ დაედგმოდა, იმპერიას გადაწვებოდა და ქართველი საზოგადოების ზნეობრივ სახედ განზოგადდებოდა.

წრფელი გახლდათ იაკობი, განა არა, ილიას ხსოვნას ჩამოხრჩობილ კაცთა ხსოვნასაც ნუ გავაყოლებთ თან აწრდილივითო, მაგრამ... თან ის მიზანიც უნდა ჰქონოდა, მე ასე მგონია და, აბა, თქვენც დაფიქრდით: ოთხივე მკვლელი მოწმეებად შემოენახა. განა როდემდე იპარპაშებდნენ სოციალ-დემოკრატები, როდემდე ეყოლებოდათ დატერორებული ქვეყანა და ადრე თუ გვიან სასამართლოს წინაშე წარმდგარი მკვლელებიც გაამჟღავნებდნენ დამკვეთთა ვინაობას. დაადასტურებდნენ, თორემ გასამჟღავნებელიც რა იყო.

ჯერ კი, ვიდრე ნოე ყორდანისასა და ფილიპე მახარაძეს დიდი გავლენა მოუპოვებიათ ხალხში და მთავრობაც ძალიან ერიდებოთ, მართლა ძაან მოსარიდალნი არიან და ან იაკობს რა დაემართა და ან ვაჟა-ფშაველას, სადაც მიდგებოდა და მიდგებოდა, სოციალდემოკრატისა რომ სდებენ ბრალს – მაგათი მოკლულიაო.

ველარსად შევხვდი ველარც ერთს, ველარც მეორეს, სიფრთხილე ვურჩიო, და იქნებ ხმა მივანვდინო, ვიდრე რამე ასტეხიათ!..

### გიორგი ლასხიშვილი

ვერ გამიგია, რატომ ვერა და ვერ მოიბრუნა გული ილიამ არჩილ ჯორჯაძეზე.

ისევ თვითონ უტეხუნა მწვავე მათრახი სამშობლოში ახალდაბრუნებულ კაცს, ისევ თვითონ გააშავა საზოგადოების თვალში: არც ამის ნდობა შეიძლება, ესეც უარმყოფელობის სენითაა შეპყრობილიო, – თორემ არჩილს კრინტიც არ დაუძრავს. მას შემდეგ, რაც კოსმოპოლიტიზმს გამოეხსნა და ტოლსტოველობასაც სამუდამოდ ჩამოსცილდა, ილია იწამა და იმისი გზა და თავდადებითაც უერთგულა.

არ გაიკარა მაინც ილიამ.

ერთი-ორჯერ მე თვითონ ჩამოვუგდე სიტყვა არჩილზე: ჩემი ხომ გჯერა და არჩილი ჩემზე უკეთესი კაცი გამოდგა, თვითონ სულ არ მიილტვის პირველობისაკენ, მაგრამ რედაქციის სადავებოც მას გადავაბარეთ და პოლიტიკური მოძრაობა რომ წამოვიწყეთ, მისი წინააღმდეგობაც მას მივანდეთ-მეთქი. ხმა არ გაუღია. სულის მომჩხრეკი მზერა რომ აქვს, იმით ჩამხედა თვალებში და შევატყე, მაინცდამაინც არ იზიარებდა ჩემს ალტაცე-ბას.

ჩემი ხომ გჯერათ-მეთქი, – გავუმეორე.

ერთი შენა ხარ კიდევო, – ჩაიცინა მისე-ბური სიცილით, – რამდენს გაფრთხილებდით შენც და იმ შენი ჭკუისებსაც, ზღვარს არ გადახვიდეთ და „ივერია“ არ დაახურინოთ მთავრობას-მეთქი. არა, რასა ბრძანებო, ზღვრამდე მივალთ და იქით ნაბიჯსაც არ გადავდგამთო, სულ რომ მიმტკიცებდით და გენდეთ, ამიტომაც მიგვიკეტეს რედაქციაო.

რამდენიმე თვეში ხომ ისევ აღსადგენი გაუხდათ-მეთქი, – მეგონა სიტყვა მოვუჭერი და... კიდევ უფრო გავაძინე.

აღსადგენი, თორემ სულ თქვენი წყალობით მოხდა, მე რომ არ გადამეკლა თავი და გზები არ გამომეძებნა, ეს გაზეთი აღარც იარსებებდაო.

მე მაინც არ მოვეშვი: ერთგულ კაცად ხომ მაინც მიცნობ, თუ რაიმე გადავაჭარბე, ერთგულებას ხომ ვერ დამინუნებ და არჩილი ჩემთვისაც სანიმუშოა თავისი ერთგულებით-მეთქი.

ხომ ყოველთვის მიგდებდა ყურს, ყოველთვის ანგარიშს მინევდა, ბოლოსდაბოლოს, მთავრობამ გაზეთი შენი გულისათვის მიგვიხურაო, ესეც სიყვარულით მითხრა, თან ჭკუას მარიგებდა მამაშვილურად და თან კიდევ ძალიან მოსწონდა, დათმობა რომ არა მჩვეოდა და რუსეთის იმპერიის დანგრევა კი სულაც ჩემი სიცოცხლის აზრად მიმაჩნდა, მაგრამ არჩილზე ვერ შემოვუბრუნე გული და ვერა.

ეს კი აღარ მეგონა, არჩილის გულისათვის საქვეყნო საქმესაც თუ აღარ ინდობებდა.

სამსონ ფირცხალავას რომ არ მოეყოლა, არც დავიჯერებდი, რალაცას ასხვაფერებენ ან სულაც თხზავენ-მეთქი, მაგრამ სამსონი პატიოსანი კაცია და ილიას დიდი პატივისმცემელიც, ოდნავადაც არაფერს შეცვლიდა – რაც იყო და როგორც იყო, ისეც აღადგენდა.

აქ რომ ძალიან მოგვიჭირეს ხელი და „ცნობის ფურცელი“ ჩვენს ნებაზე ველარ გამოვეცით, მთავრობა და ცენზურა ძალიან ჩაგვიდგა კვალში და ლამის სული ამოგვხადეს, საზღვარგარეთ გადაწყვიტეთ გაზეთის გამოცემა და ცალკე ევროპული საზოგადოებრივი აზრის აყოლიება და ცალკე ქართველობის გათვითცნობიერება.

ქართული ვერსია აქ იტრიალებდა, ფრანგული – პარიზულსა და სხვა ევროპულ წრეებში. საფრანგეთი და პარიზი შევიგულეთ ნავსაყუდელად და თამამად იმიტომაც გავდეთ ხიდი იქამდე, რომ საამისოდ ორი თავდადებული კაცი გვეგულებოდა – არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი. ბედს თვითონ მოვევლინებინა ჩვენთვის ეს ორი საუკეთესო მოღვაწე და ამ წყალობის ხელიდან გაშვება დანაშაულიც კი იქნებოდა ჩვენგან, არამცთუ გულარხეინობა და მძიმე შეცდომა.

სახსარს დავით სარაჯიშვილს ვაგულვდით, ყველა ქართულ საქმეს გულით შეენეოდა ხოლმე და მითუფრო ამჯერად უნდა გამოედო თავი, რაკილა ასეთი დიდი ცვლილება უნდა მომხდარიყო ჩვენს ჟურნალისტიკასა და პოლიტიკურ ყოფაში.

სარაჯიშვილთან სიტყვა ყველაზე მეტად ილიას ეთქმოდა, თუ ვინმეს უჯერებდა, ილიასი სწამდა და სხვის თხოვნასა ან რჩევას თუ განსჯიდა და ხან საკმაოდ დროსაც ანდომებდა აწონ-დანონვას, ილიას სიტყვაზე მაშინვე დაფაცურდებოდა ხოლმე.



მხატვარი ვახტანგ მეგრელიშვილი

ამიტომაც ეწვივნენ ცნობისფურცლები ჯერ ილიას. გულითადად დახვედრია, როგორც სჩვეოდა, და სუფრაც გაუშლევინებია. ამ დიდი განზრახვის სადღეგრძელოც შეუსვამს, ძალიანაც შეუქია ჩვენები: რამ მოგაფიქრათო, მოფიქრება მოფიქრებად და რა ძალ-ღონეს პოულობთ საკუთარ თავში ამისთანას, რომ პარიზიდან გინდათ შეებათ რუსეთის იმპერიასო.

არჩილ ჯორჯაძისა გვეიმედება, უიმისოდ აზრი არ ექნებოდა ასეთ ნამოწყებასო, – რომელიღაცას უთქვამს და... კიდევ მოღრუბლულა მასპინძელი. ერთი ძვირი არ დაცდენია არჩილზე, მაგრამ შეეტყო, რომ გუნება წაუხდა და ხალისიც ნელ-ნელა ჩაეშრიტა. დაპირებითაც ორჭოფულად დაპირებია, მისებური მხურვალეებით კი არა. და ველარც ვერსიდან მივუდექით დავით სარაჯიშვილს.

სამსონსაც ის ექვი დარჩა და მეც ასე მგონია, არჩილის სახელი რომ არ ეხსენებინათ, ყველაფერი სასიკეთოდ აენწყობოდა. არადა, როგორ არ ეხსენებინათ. მერე ხომ მაინც შეიტყობდა რედაქტორის ვინაობას და კიდევ უფრო გაგვინანწყენებოდა.

ჩვენ კი ჩვენსას მაინც მივალნიეთ და არჩილმა და გიორგი დეკანოზიშვილმა კიდევ აამოქმედეს ქართული გაზეთი პარიზის შუაგულში, მონინავე ევროპული აზრიც განმსჭვალეს საქართველოს ბედითა და ტკივილით და ჩვენშიც ბევრი ახალი მკითხველი იშოვნეს, მაგრამ უილიაოდ ეს საქმე რატომ უნდა გადაწყვეტილიყო?!

გადგა განზე და გადგა.

რა მოგახსენოთ, აბა – მაინც მგონია, ნოე ჟორდანიამ აუყარა გული ასე ძალიან ახალ თაობაზე. მისი რომ არა სწამდა არაფერი, ველარც სხვებისა დაიჯერა და არჩილ ჯორჯაძე ამ განწყობილებას შეენირა.

ნოე გაუთავებლად იკვებნის, საქართველოში რომ გავბრუნდი, ილიამ თავისთან დამიბარა და „ივერიის“ რედაქტორობა და ყოველმხრივი ხელშეწყობა შემომთავაზა, მაგრამ არ ვიყაბულე, ჩვენ ხომ სრულიად საპირისპირო პოზიციაზე ვიდექით. გამომშვიდობებისას კი ესეც მთხოვა, თუ ვერ ვითანამშრომლებთ, ხელს მაინც ნუ შევუშლით ერთმანეთსო. მაგრამ არ გამოვიდა ეს შეთანხმება – ილიას თუ ხელს არ შევუშლიდით, ქვეყნის ბედი უკუღმართად წავიდოდა და რასაც ორმოცი წელია სულს უხუთავდა, ეგრე სულშეხუთული დარჩებოდა და სამუდამოდ ავცდებოდით რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულ სიარულსო.

ნოე ჟორდანიას რა დაეჯერება, მაგრამ გული მიგრძნობს, ამ შემთხვევაში არ უნდა ტყუოდეს – ის პირადი საუბარი მართლა მომხდარია მათ შორის და უკვე იმ წუთებში იგრძნობდა ილია, რომ ნოეს ცნობიერებას აღარაფერი ეშველებოდა, რუსეთის დემოკრატია და ინტერნაციონალიზმი დაესახა იდეალად და მოსვლით კი ძალიან სახიფათოდ მოდიოდა – ზეავივით, დიახ, ნამდვილი ზეავივით. არ ჩანდა ეს ის კაცი, ვინმე წინ გაეშვა პოლიტიკურ ასპარეზზე და ყოველნაირად არ ეცადა მისი ჩამოშორება.

ნეტა რა ეგონა, ილიას სიკვდილთან ერთად მისი ეროვნული მრწამსიც დასამარდებოდა? ექვიც არ ეპარებოდა და ამიტომაც შეადარა წინამურის ის დღე მოჭრილი ხიდან ნაფოტის ჩამოვარდნას. ერთხელ და სამუდამოდ მოვისვენეო, ალბათ ბედსაც შეჰხაროდა.

ახლა ლამის ხორცი დაიგლიჯოს: ხომ საბოლოოდ გაირკვა, ვინც ყოფილა და რაც ასულდგმულებდა ილია ჭავჭავაძეს, ქვეყნის გადაცდენა სურდა ჰუმანიზმისა და დემოკრატიის გზიდან და ხალხმა თვითონ გამოუტანა განაჩენი, ეს ფედერალისტები კი, პოლიტიკურად გაკოტრებულინი, ნეტა რას ებლაუჭებიან მის სახელს, თავიანთ საკუთარ წმინდანად რომ გამოაცხადესო.

ისლა ეიმედება, რომ მალე აღესრულება ფედერალისტური მოძრაობა და მასთან ერთად ილიას მზეც სამუდამოდ ჩაესვენება.

ფედერალისტებიო და, რა მიხვედრა უნდა, არჩილ ჯორჯაძეს ეჯავახება, მასზეა ასე გამწარებული, რაკილა უპირველესად მას აღუმართავს ილიას დროშა და წმინდანობამდეც მას აუმაღლებია.

გვეცლება ხელიდან არჩილი, ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ აღარ სჯეროდათ ექიმებს, სწეულებას თავს თუ დააღწევდა, და ახლა სასწაულისაც აღარავის ეიმედება.

დიდხანს სიცოცხლე აღარ უნერია.

სენს თუ გადაურჩა, ესენი აღარ დაინდობენ.

კაცი აღარა ჩანს მეორე ჟორდანიას შემჩერებელი...

### ივანე ინაშვილი

მადლიერება არავისაგან მესწავლება. თუ ვინმეს სიკეთე გაუწევია ჩემთვის, უპატივცემულოდ არ გამიშვია, როგორც კი შემთხვევა მომცემია. ესტატე ციციშვილს ხშირად რომ გაუწყვია სუფრა ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის, არასოდეს ჩამითვლია ეს მის მოვალეობად, სიკეთედ მივუთვლიდი და რამდენჯერაც მისთვის მითქვამს – ჩვენზე იყოს, ჩვენი დრო რომ დადგება-მეთქი – იმდენი შევლა მე და ჩემს ოჯახს. სიტყვაზე ითქმის ასე, თორემ რალა შევლა, გამოვკეტილვარ ამ ვიწრო საკანში და სასამართლოსა და სიკვდილის განაჩენს ველოდები.

არა ვნანობ, არა!..

ქვეყნისათვის თავდადება უზენაესი მოვალეობაა ადამიანისა და ვისაც ეს წყალობა ეღირსება, უკეთესს რალას უნდა გამოვლოდეს წუთისოფლისაგან. გადარჩენა სჯობდა, მაგრამ ავად მიმუხტლა ბედისწერამ.

ბედნიერი თუ ვყოფილვარ?

როგორ არა – ფილიპე მახარაძე რომ მინახავს რამდენჯერმე პირისპირ და დათვი რომ გავაგორეთ წინამურის ველზე.

ბედნიერების განცდის გარეშე ხომ მაინც არ მივდივარ ამქვეყნიდან.

ღვთის მადლით მოხდა ჩემი შეყრა ამხანაგ ფილიპესთან.

განა მწამსლა ღმერთი... მაგრამ ასე მზრდიდნენ, სულ მის სახელს ჩამაგონებდნენ, „ღვთის მადლსა“ და „ღვთის წყალობას“ წამდაუნუმ ჩამჩიჩინებდნენ და ახლაც უნებურად წამომცდება ხოლმე.

ამხანაგ ფილიპეს რა უნდა ეთხოვა, თვალისდაუხამხამებლად არ შემესრულებინა. გაუჩენელს გავაჩენდი მისთვის, შეუძლებელს შევძლებდი და თავადის ჩაკვლა რალა იყო. მარტოც ვითავებდი და მოვერეოდი ამ საქმეს, მაგ-



რამ დავალება იყო ასეთი, გუნდი ვყოფილიყავით, რათა ყოველგვარი შემთხვევითობა პირწმინდად გამოორიცხულიყო.

რაც მე თავადის წინააღმდეგ მიტრიალება ენა და ამიტუტუნებია გლახობა. ჭოპორტის მამასახლისობა ძალიან მიადვილებდა ხალხში მისვლა-მოსვლასა და მათ გადმობირებას. მაგრამ ტფილისელი პროპაგანდისტების სტუმრობას და განსაკუთრებით კი ფილიპე მახარაძისას სულ სხვა ძალა და გავლენა ჰქონდა.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი შემართული მარჯვენა, სახელდახელო ტრიბუნა რომ გავუმართეთ:

- ჯაშუშებისაგან უნდა გაინმინდოს ქვეყანა და თავადი ჭავჭავაძე უპირველესი ჯაშუშიაო.

ისიც რა ენაწყლიანად და დასურათხატებულად ილაპარაკა: გამწარებული ჰყავხართ გულქვაობითა და სისასტიკით, მაგის კისერზე ყველა ცოდვა, რაც ახლო-მახლო და მთელ საქართველოში ტრიალებსო.

რამდენიმე ბნელმა გლეხმა კი წამოიყვირა: რას ამბობთ, რა გულქვაობა და სისასტიკე, თავადის წყალობით გვიდგას სულიო, - მაგრამ კერძთაყვანისმცემლების ნათქვამს როდის რა მნიშვნელობა ჰქონია, მითუმეტეს, თვითონ ამხანაგი ფილიპე ირწმუნებოდა.

ადრეული დროისა რა მოგახსენოთ და ამჟამად უფრო დიდი კაცი ჩვენ არა გვყავს.

წინა ღამითაც თავადის სახლის ზემოთ ფერდობზე რომ გვექონდა თავი შეფარებული და ყოველმხრივ ვწონივით ჩვენს დავალებას, გაზეთის ის ნომერი მეჭირა ხელში, ფილიპე მახარაძის წერილი რომ მოეფინა ქვეყნისათვის, და სახარებასავით წავიკითხავდი ხმამალლა.

თუ ვინმე ჩვენგანის სულში ჯერაც კრთოდა ეჭვის ჭია, იმ წუთებში სამუდამოდ უნდა ჩაკლულიყო.

ილიასაგან მაღლი არაფერი მახსოვს?

როგორ არა, ავ-კარგიანი კაცი ვარ და არაფერი მაეინცვდება.

მამ იმ შუადღით ბუჩქებში რამ ჩამსვა?

აბა, თქვენა ყოფილხართ და -

პარტიული დავალება უზენაესი ვალია და მოკვდავს მისი განსჯის უფლება არა აქვს. თანაც, ტყვია მე ხომ არ მისვრია. მაღლიერი კაცი რომ არ ვიყო, ბერბიჭაშვილი დამასწრებდა?.. მაგრამ კაცი ყოველთვის კაცი უნდა იყო...

დავით მესხი

რამდენმა მისაყვედურა, რამდენმა ვერ დაფარა გაკვირვება, რატომ არ აცნობე ივანე მაჩაბელს ამ ბარათის შინაარსიო.

გაზეთ „ნიშაღურს“ მე მივანვდინე ილიას ეს კერძო წერილი, ჩემთან გამოგზავნილი, და კიდევ გახდა სალაპარაკო, ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა, ვანოს რომ ეს შეეტყო, ილიასთან მისი გამწვავებული ურთიერთობა ცოტაოდნავ მაინც ჩაცხრებოდა, თუ სულაც სასიკეთოდ არ შემოტრიალდებოდა, და იქნებ საზოგადოებრივი ცხოვრებაც სხვა მიმართულებით წასულიყოო.

ასე ადვილი რომ იყოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის გეზის შემოტრიალება - ერთი კერძო ბარათის გახმაურებით.

თანაც, თვითონ რა - გაამჟღავნებდნენ მის შინაარსს, ილიას რომ ეთხოვა: ეს წერილი მე და თქვენს შორის დარჩესო?..

ილიას თუ ასე ენება, მე რა, მისი საიდუმლო გამეცა?.. ვანოს „დროება“ რომ მიუხურა მთავარმართებელმა

და დიდძალი ვალიც დაანვა, მე დამევალა ქუთაისის ინტელიგენციასთან მოლაპარაკება, იქნებ ცოტათი მაინც მიშველებოდნენ მაჩაბელს. ისეთი პირშიჩაღაგამოვლებული გამომისტუმრეს, ადამიანზე ამეყარა გული და ჩემი გულისტკივილი ილიას შევჩივლე, აღარც დავფიქრებულვარ, ვანოსა და მას შორის შავ კატას რომ გაერბინა.

იმჟამად არაფერი უთქვამს, მაგრამ, ეტყობა, ძალიან დაფაცურებულა და ვილაც-ვილაცებიც შეუგულებია შემწეებად. იმათი თანხმობა რომ საიმედოდ მოსჩვენებია, ბართასაც მაშინ გამომიგზავნიდა, გულისწყრომით აღსავსეს, თითქოს მასთან დაპირისპირებულ კაცს კი არ ეხებოდა საქმე, არამედ უახლოეს მეგობარსა თუ სულაც ოჯახის წევრს.

საზოგადოების უმაღურობას ისერიგად აღეშფოთებინა, ველარაფერს დაეშოშმინებინა მისი სულიერი მღელვარება და ქვეყანას დასდებდა მუნათს: მამ აღმართის მხვენელმა ძალამ კაცი რომ გასრისოს, შველა არ უნდა? ნუთუ ყოველი მოღვაწე ღვთის ანაბარად უნდა იყოს ჩვენში მიგდებული? ნუთუ არავის, ქვეყნისათვის მოღვაწეს, იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ფეხი წამასხლეტინონ, მოძმენი ხელს მომანვდიან და ფეხზე დამაყენებენო?

ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ აქ მაინც მოვაგროვოთ ფულიო, - იმედის დაკარგვა არაფრისდიდებით არ უნდოდა და ფულის შეგროვება სამაგალითო ზნეობრივ აქციად ესახებოდა: ყველა შეიტყობს, რომ უმწეოდ არ დარჩება უსამართლოდ დასჯილიო.

ილიას ეს მონდომება უნდა დარჩენილიყო ჩვენს შორის საიდუმლოდ.

მაგალითის მიმცემი ხალხი არც ტფილისში მოიძებნებოდა და ივანე მაჩაბელს კინალამ საბოლოოდ გასრესდა ის ვალი.

საიდუმლოდ აღარ დამეტოვებინა და ვანოსათვის მეცნობებინა?

ილია გაფრთხილებით იმიტომ მაფრთხილებდა, რომ ვაითუ ვანომ იუკადრისოს ჩემგან შეგროვებული თანხა და მის ალებაზე უარი განაცხადოსო... მაგრამ რაკილა ეს მონდომება ჩაიშალა, მაჩაბელს ყურში ჩანვეთებოდა, ილია გულგრილად და უმოქმედოდ რომ არ შეჰყურებდა მის გასაჭირს.

ვასილ მაჩაბელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ვანოს ყველაზე ძალიან ილიასაგან ეწყინა ხელის გაუნძრევლობა. ძმისათვის უთქვამს: სხვა არავის იმედი არა მქონია, მაგრამ ილია როგორ გადგა განზე, ჩემს პირად საქმეს ხომ არ უნდა შეშველებოდა, „დროების“ არსებობა განა ქვეყნისათვის არ არის სასიკეთო?..

ესეც მერე გავიგე, ვანო რომ დავკარგეთ...

ან ის მაინც მომეფიქრებინა, ილიას სიცოცხლეშივე გამომექვეყნებინა.

ბოლოსდაბოლოს, იმ თხოვნაში ის იგულისხმებოდა, რომ მაჩაბელს არ შეეცყო, თორემ საზოგადოებას რომ სცოდნოდა ის გულისტკივილი და მცდელობა, სოციალ-დემოკრატებსაც ერთ ვითომდა საბუთზე ავალებინებდი ხელს – ივანე მაჩაბელი მან გაინაპირა, კვალში ჩაუდგა მონადირესავით და სიკვდილის პირამდეც მიიყვანაო.

მაგრამ რა ვქნა, იმ ფრაზამ ძალიან შემიბორკა ხელი: მე და თქვენს შორის დარჩესო, – და თავს იმით ვიშარ-თლებ, ვერც სხვანი რომ ვერ გადავიდოდნენ ილიას ნებას.

რას მსაყვედურობენ, რა გაკვირვებას გამოთქვამენ, თითქოს თვითონ უცოდველნი იყვნენ მის წინაშე.

ეჰ, გვიანია, გვიანია ყველაფერი... მონანიებალა დაგ-ვრჩენია და ამ მხრივ მაინც ნულა ვიფარისევლებო, თორემ თავის მოტყუებას ისე დავეჩვიეთ, მალე ღმერთის მოტყუებასაც არაფრად ჩავაგდებთ.

ჩემი მონანიებაც ეს არის – დაფარვა რომ მიხდოდეს, ამ ბარათს სულ არ გამოვიტანდი საქვეყნოდ და ყველას სალაპარაკოდ არ გავიხდდი თავს.

### კოლა ორბელიანი

შიში რა სათქმელია!.. ვის უნდა შევეშინებინე – ლელო ანდრონიკაშვილსა თუ დათა მიქელაძეს?.. ლელო თავზე-ხელაღებულაო. მე რა, მაგაზე ნაკლებ თავზეხელაღებუ-ლი ვარ? თანაც ქვეყანა შემომყურებდა და იქ უკანდახევა იქნებოდა?..

მე თვითონ გადავიფიქრე, თორემ გაჩვენებდით მაგათ სეირს, მერე კი ილიასი, სულ იმისი ბრაღი არ არის ყველა-ფერი? კაცი ბანკის ბაიბურში არ იყოს და არც ეშვებო-დეს!.. თანაც ვის ეცილებოდეს – ვანო მაჩაბელს, ვინც ღმერთს ჩვენს ნუგეშად და იმედად გამოუგზავნია და კი-დეც შევეფარეთ იმის კალთას, ვისაც საქართველოს მო-მავალი გვაღელვებს.

მე ისე ვინამე ამ კაცისა, თუ ვინმეს უკლავდა გულს ილიას სასტიკი თავდასხმანი მასზე, უპირველესად მე მიკ-ლავდა. გაუმწარა სიცოცხლე და ერთგულნი და თანამ-დგომნი ხომ სჭირდებოდა. ჩემზე უკეთეს თანამებრძოლს კი სად იშოვნოდა, უფრო უშიშარსა და თავგამოდებულს.

წამდაუნწამ ვუმტკიცებდი ჩემს ერთგულებას და გა-დამწყვეტი გამარჯვებისათვისაც ვაგულიანებდი. უმთავ-რეს ტვირთს მე ვიკიდებდი ჩემს მხრებზე და ვანოს ისლა დარჩებოდა, რომ მოსუფთავებულ ასპარეზს დაუფლებო-და და ბანკის კეთილდღეობისათვის მოეხმარა თავისი ჭკუა-გონება და ენერგია.

– მოიცადეთ, მე გიჩვენებთ ილიას სეირს! – ვიმეორებ-დი და ვანოსაც ნათელი გადასდიოდა სახეზე, – ნახეთ, თქვენი ილია როგორ ჩავალბო და გავჭიმო საქალამნო რუმბიელ ტყავივით!

და ველოდი ყველაზე მარჯვე შემთხვევას, ჩემი ქადი-ლის აღსასრულებლად.

ძალიც შემწევდა საამისოდ!..

და მაშინ რევოლვერი რომ გავაძრე პარტერში და სცე-ნისაკენ გავექანე, კრების თავმჯდომარეზე მეტად, ცხა-დია, ილიას ჯავრი მჭირდა და ის უნდა დამეფრთხო და და-მებორიალებინა.

ეს ლელო ანდრონიკაშვილი თითქოს მინიდან ამოძ-ვრაო. თან ხანჯალიც რომ ააპრილა!.. ფერი-ფური ძალი-ან ნაგივიდაო, ერთი-ორმა კი შემომბედა მერე, მაგრამ მე უკეთ არ ვიცი? ოდნავადაც არ შემშინებია. დათა მიქელა-ძეც მაშინ ჩაგვივარდა შუაში და, იმის ნაცვლად, ლელო-სათვის ებრძანებინა ჭკუაზედ მოსვლა, მე არ შემომიტია მისეზური გესლიანი ღიმილით?

– ბატონო, მიბრძანდით თქვენ ალაგას, როგორც ვხე-დავ, თქვენ იარაღის ხმარება არა გცოდნიათ.

მე არა მცოდნია იარაღის ხმარება? გაფრენილ ჩიტს რომელ თვალშიც გნებავთ, იმაში მოვარტყამ, ტყვიას ტყვილაში ჩავსვამ და ეს უნდა ეკადრებინა ჩემთვის?

მაგათ ვითომ რა ჰგონიათ, უკან რომ გამოვბრუნდი, ერთმა შემაკრთო თუ მეორემ? ისედაც დაბრუნებას ვაპი-რებდი და წინ მხოლოდ უნებურად მივბრბოდი. მართლა ხომ არ დაეუშენდი ტყვიებს. რაც მიხდოდა, მივალნიე, და-ვაფეთე მთელი კრება, ილიასაც დავზაფრავდი და განა როდემდე უნდა მერბინა.

შემხვდება სადმე ან ერთი, ან მეორე და მაშინ ვაჩვენებ სეირს.

ვერ გამიგია, ვანოს რატომ უნდა აეყარა გული ჩემზე. განა მაგის გულისათვის არ გამოვიწვიე ამდენი ხალხი და ავურ-დავურიე იქაურობა?.. ეტყობა, ავმა ენებმა იტრია-ლეს ჩვენს შორის და ჩემი უმანკო სურვილი, ჩემი ხალასი გული სულ სხვაგვარად მოაჩვენეს. გადამიდგა ვანო და კიდევ შეენირა ჩემს ასეთ განაპირებას – ერთგული ალა-რავინ შემორჩა და მისთვის თავისი სიცოცხლის მტლად დამდებელი.

ეცლია ჩემთვის და რასაც ვპირდებოდი, ავასრულებდი: ჩავალბობდი და გავჭიმავდი ილიას საქალამნო ტყავივითა!..

### ვასილ მაჩაბელი

თვალეებს არ ვუჯერებდი, იმ წიგნაკს რომ ვკითხუ-ლობდი. ნეტა ვანოს დაწერილი არა ყოფილიყო და სი-ცოცხლეს გავილებდი დაუნანებლად.

ყველაფერი რომ მეფიქრა, ყველაზე კომმარულ წარ-მოსახვებშიც ვერ დავლანდავდი მტრობის ასეთ გამწვა-ვებას.

ვანო, ნუთუ მართლა შენი დაწერილია-მეთქი, – და... დამიქნია თავი ნირწამხდარმა.

იაკობ მანსვეტაშვილს არაერთხელ უთქვამს: ილია ვა-ყას გამოჩენას რომ შეეგება ალტაცებით, ასეთი რამის მომსწრე არა ვყოფილვარ, სკოტისა და ბაირონის შეხვედ-რა რომ გვსმენია და სკოტის მიერ კალმის დადება, პოე-ტობას რაღას გავბედავო, ილიამაც თავისი დიდბუნებოვ-ნებით ეს უჩვეულო საქციელი გაიმეორა: ახლა მე და აკა-კიმ კალამი უნდა დავდოთ, გზა ვაყასიაო.

იმას აღარ ამბობდა, აკაკი რომ ბუზღუნებდა: თვითონ როგორც უნდა, ისე მოიქცეს, ჩემი კალმისა მე ვიცი, დავ-დებ თუ რას ვიზამო.

ეს მაინც ახალი ამბავია და ყველას იმიტომ ახსოვს, თორემ მე რა გამაკვირვებდა, ვანოს გამოჩენით აღ-ფრთოვანებული ილიას სიტყვები რომ მახსოვს: აი, ვინ იქნება ჩვენთვის დიდი ნუგეშო.

და ტოლივით ამოიყენა გვერდით ახალგაზრდა კაცი, ილიას შეგირდობითაც რომ ბედნიერი იქნებოდა, არამცთუ ერთ ჭაპანში შებმით.

ნეტა შექსპირს ჩამოეხსნან და უფრო შესაფერის საქმეს მოკიდონ ხელიო, – არ აკლებდა აკაკი მწარე-მწარეებს, „მეფე ლირის“ ის ერთობლივი თარგმანი რომ გახმაურდა და საზოგადოებამ რაღაც დიდის დასაწყისად იგუშნა ამ ტრაგედიის ქართული ვერსია.

სულ ჩემს თავს ვადანაშაულებ, ასე სამკვედრო-სასიცოცხლოდ რომ გადაეკიდნენ ერთმანეთს ილია და ეს ჩემი ძმა, რატომ უფრო მონდომებით არ ჩავერიე-მეთქი. „უფრო“, თორემ განა ცდა დამიკლია. მაგრამ შეუსმენელი გამოდგა ორივე ჩემთანაც კი – ერთი ძმა და მეორე უახლოესი მეგობარი. ილია კერპია და უჯიბათი, ვანო კი ისე იოლადა სდევს სხვათა ნათქვამს, გაიოცებ მისი გონიერების კაცისაგან.

არა, ეს მაინც რა წავიკითხე...

ჯერ კი მოვებლაუჭე იმედს – ხელმოუწერელ წიგნაკს იქნებ აბრალებენ ვანოს, რაკილა საქვეყნო გამხდარა მათი მტრობა და ქიშპი-მეთქი, მაგრამ თვითონაც რომ დამიდასტურა?!

მომეკიდა ცეცხლი და რა მომეკიდა!..

რა გამოდიოდა ვანოს სიტყვით – სადაც კი მიმდგარიყო ილია, ის საქმე ნაუმხდარი არ დაეტოვებინა.

დრამატულ საზოგადოებაში სხვათაგან ჩინებულად დანყებული საქმის უფროსობა ჩაებარებინა და მოვლავაზრდის მაგივრად სიკვდილამდე მიეყვანა და სულთმობრძავი სხვებისათვის მიეგდო საპატრონებლად.

წერა-კითხვის საზოგადოებაში თურმე ყოველ სასარგებლო აზრსა და წამოწყებას სულს უხუთავდა მოუნდომებლობითა და გულცივობით.

სათავადაზნაურო სკოლის დამფუძნებელ საზოგადოებაშიც ჩხირი არ გადაებრუნებინა.

ქართული ყოველდღიური გაზეთი გადაექცია უმნიშვნელო, უსიცოცხლო, უსულიო ქალაქის თაბახად, რომელიც მხოლოდ მის პირად ინტერესსა და წადილს ყურმოჭრილ მონასავით ემორჩილებოდა.

ბანკში ჩვიდმეტი წლის მანძილზე ვერ გაეცნო, ვერ შეეთვისებინა ანბანიც კი ამ საქმისა და არა ერთხელ და ორჯერ ისეთი დღეც გამოეტარებინა, კინალამ სულიც განეტევებინა მისთვის.

ეს ადგილები ვინმემ ხომ არ ჩაგიმატა-მეთქი.

წამოხტა, გავარდა, შემობრუნდა, ისევ გავარდა... თან გაყვევი: ველარა გცნობ-მეთქი.

განა მე კი მინდოდაო, – ბალღივით შემომკვენესა, – აკი შენთანაც მითქვამს, ჩამოცილდები ამ ბანკს და მეც მოვისვენებ და ორომტრიალსაც ჩავაცხრობ-მეთქი, მაგრამ რომ არ მომეშენე და არა? ხან ვინ მომადგებოდა და ხან ვინ, ხან ვისი ბართი მომდიოდა და ხან ვისი – როგორ თუ განზე გადავდგამ ვადგინე ვეცდებო, როგორ თუ გარბიხარ ბრძოლის ველიდან, ჩვენ სად გვტოვებ, ჩვენზე უნდა აციონო და ასეირო ჭაჭავაძისტიბიო? არა გაქვს უფლება, შენს ნებაზე მოიქცე, რაკილა გვინინამძღვრე და ჩვენც მოგენდეთ, ბოლომდე ერთგულად ვზიდოთ ჩვენი ჭაპანი და დავამსხვრიოთ ილიას ორმოცწლიანი ბატონობა – ჩვენი ცხოვრების დინების შემავაზებელი, გზა გააუხსნათ

ჭეშმარიტ მამულიშვილებს და ყველა საზოგადო ასპარეზი ისე ავამოქმედოთ, ჩვენისთანა ადამიანებს რომ შეჭფერიოთ.

შენც რალა გელონა, ლაჩრისა და მოლაღატის სახელს მოერიდე-მეთქი?

ჩაქინდრა თავი.

თუ იცი ხალხი რას ლაპარაკობს, ილიას ასეთი ლანძღვა ვერ აიტანეს და ვინც შენ გემზრობოდა და გითანაგრძობდა, ახლა ისე აღშფოთდნენ, ყველამ ილიას ბანკში გადაინაცვლა, რაც ჩაფიქრებული გქონდათ შენ და შენს წამქეზებელთ, საპირისპიროდ შემოგიტრიალდათ, ნახავ, გადამწყვეტი ბრძოლა თუ არ წააგო, შენს თავს შენვე გამოუტანე განაჩენი-მეთქი.

რა გგონიათ, რა მომიგო?

ეგ ვიცი და წინასწარაც ვგრძობდი, და ასე ძალიან იმიტომაც გავამწვავე, ილიასათვის დამეთმო ბანკი, ოლონდაც ისე, მშიშრობად და ლალატად აღარ ჩამოერთმიათ. საყვედურის გზა მოუჭერი, ვინც ჩემს დროშას აფრიალებდა – ვინ წრფელად და ვინ კიდევ ილიას სიძულვილით. რალა უნდა მითხრან – ერთი მწარე სიტყვაც არ ჩამიტოვებია გულშიო.

ნახავ, თუ მაგათ მალე თავში ხელი არ წაიშინონ, ილიას მტრობით საქართველო დავლუპეთო, მაგრამ გვიანლა იქნება და ქვეყანამ რა დააშავა-მეთქი.

ნუ გეშინიაო, – ვანომ, – აღარაფერი მოხდება, თავი იმიტომ გავწირე სათრევ-საგინებლად, ორად გაყოფილი საზოგადოება ისევ შემეერთებინა და ყველას ენერგია და სწრაფვა ერთი მიზნისაკენ მიმემართაო.

მაგას რა სჯობს, შენ კი ძალიან მენანები, მაგრამ უპირველესად ეს გავეშებული ჭიდილი უნდა მოთავებულიყო როგორღაც-მეთქი.

აჰა და მოთავებეაო.

თან დაძმარებულია, ასეთი დაძმარებული არც არასოდეს მინახავს.

ღმერთო, იქნებ მართლა დასრულდეს და საზოგადოებრივი ცხოვრებაც თავის ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნდეს.

მაგრამ ეჭვიც რომ მწინკნის და არა და არ მეშვება ვაითუ ეს წიგნაკი ხელზე დაიხვიონ, და ამჯერად კი იზეიმოს ილიამ ტრიუმფი, მაგრამ საბედისწეროდ ამოჩნდეს ადრე თუ გვიან მისი შინაარსი-მეთქი. ასეც ვუთხარი ვანოს და გაიღიმა, ბავშვობისას რომ სჩვეოდა, იმ ღიმილით:

განა ვინ უნდა დაიხვიოს, ახლაა ეს ლაპარაკი და ორომტრიალი და, ხანი რომ გავა, ყველაფერი დავინწყებას მიეცემა, ეგაა, მე თუ აღვიდგინე ძალ-ღონე და ისევ წავადექი რაიმეში ჩემს ქვეყანასო.

ვის უნდა დაეხვია, ეს არ ვიცოდი, მაგრამ გული მიგრძობდა ცუდს და ამ ლაპარაკმაც ვერ ჩამიქრო ნაკვერჩხალივით მსუსხავი ეჭვი.

არ ჩაივლიდა ეს წიგნაკი ასე უამბოდ. საბედისწეროდ გახვეულიყო ვანო საშიშ მოვლენებში და მისი განზე გადავრეცე უკვე ველარაფერს შემოატრიალებდა სასიკეთოდ.

ეს რა ცუდად აგვიბრუნდა ნუთისოფელი...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში საქართველოს სამეფო სრულიად კავკასიურ ქრისტიანულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა; მისი დიდება და ძლევამოსილება ვრცლად აისახა, როგორც აღმოსავლეთის ისტორიკოსთა ნაწერებში, ასევე ჯვაროსნული ეპოქის ევროპულ ქრონიკებშიც. საქართველოს ძლიერი სამეფოს აშკარა დაცემა XIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან დაიწყო, როცა თამარის შემდგომი ხანის შინაგანმა კრიზისმა გარეშე მტერთა შემოსევისას იჩინა თავი.

ქართველი „ჟამთააღმწერელი“ ბევრს წერს თამარის შემდგომ საქართველოში ქვეყნის უმაღლეს წრეებში ზნეობის შესუსტების შესახებ. ლაშა-გიორგის არაეკლესიურმა, მეფისათვის შეუფერებელმა ქორწინებამ, ძველი და ახალი თაობების დაპირისპირებამ, განცხრომამ და ამქვეყნიური სიამეებით ტკობობამ „ჟამთააღმწერლის“ რწმენით ღვთიურ სასჯელად მოუვლინა საქართველოს მონღოლები.

გრიგოლ აბაშიძის რომანი „ლაშარელა“ 1957 წელს გამოიცა, როგორც XIII საუკუნის ქართული ქრონიკა და ისტორიული ტრილოგიის პირველი ნიგნი. მკითხველი თავიდანვე დიდი ინტერესით შეხვდა რომანს, მაგრამ გასული საუკუნის 50-იანი წლების მკითხველისათვის გაცილებით უფრო მისაღები იყო XIII საუკუნის კატასტროფების ახსნა გარეშე მტრების მზაკვრობითა და მრავალრიცხოვნებით ვიდრე შორეულ წინაპართა ზნეობის შესუსტებით. მაშინდელი შეხედულებებიდან გამომდინარე ღვთაებრივი შარავანდედით მოსილი თამარის შვილები კიდევაც რომ ყოფილიყვნენ თავისუფალი ზნეობის ადამიანები, რომანის ავტორს ამაზე ყურადღება არ უნდა გაემახვილებინა. უსათუოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „ლაშარელას“ გამოქვეყნება დაემთხვა დესტალინიზაციის პერიოდს და 1956 წლის მარტის ტრაგიკულ მოვლენებს, როცა ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას სერიოზული გამოცდის ფაში დაუდგა.

რომანის საჯარო განხილვა 1958 წლის გაზაფხულზე მოეწყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის - „იმელის“ შენობაში, გაღიზიანებული ეროვნული თავმოყვარეობის ფონზე. ცალკეულმა გამომსვლელებმა იმხანად არსებულ განწყობილებაზე სპეკულირებითა და „არაპატრიოტი“ მწერლის „მხილებით“ ისეთი ვითარება შექმნეს დარბაზში, რომ ავტორს, ფაქტობრივად, არ მიეცა საბოლოო სიტყვის წარმოთქმის საშუალება. მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ, 1959 წლის იანვარს, საქართველოს მწერალთა ყრილობისათვის დაიწერა ვრცელი საპასუხო სიტყვა, სადაც ავტორი თვითკრიტიკასთან ერთად დასაბუთებულ პასუხს სცემს მის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს. სწორედ ამ სიტყვის ტექსტს თითქმის ნახევარი საუკუნის დაგვიანებით ვთავაზობთ მკითხველს.

გრიგოლ აბაშიძე

# რას ღალატებენ წყაროები



## „ლაშარელას“ გარშემო

ამხანაგებო! მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვითხრათ იმ ამბებზე, რომელიც ჩემი წიგნის „ლაშარელას“ გარშემო დატრიალდა. ამ ამბებზე ყრილობის ყურადღების შეჩერებას იმიტომაც ვაპირებ, რომ „ლაშარელას“ გარშემო ატეხილი აურზაური მართო ჩემს პიროვნულ ინტერესს როდი მოიცავს. ამ ამბებზე ლაშარაკი ჩემთვის მით უფრო აუცილებელია, რომ „იმელში“ გამართული დისკუსიის დროს მე არ მქონდა საშუალება ჩემი ნამდვილი დამოკიდებულება გამომეხატა კრიტიკისადმი და ჩემი მოსაზრებები მეთქვა „ლაშარელას“ ავტარგის გამო.

„ლაშარელა“ ჯერ „მნათობში“ დაიბეჭდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა. პრესა თავიდანვე ინტერესით მოეკიდა „ლაშარელას“ და როგორც გაზეთ „კომუნისტში“ ისე „ლიტერატურულ გაზეთში“ რამდენიმე ვრცელი წერილი დაიბეჭდა. ამ წერილების ავტორები ჩვენი ცნობილი მწერლები არიან და ისინი ერთხმად დადებით შეფასებას აძლევენ ჩემს წიგნს. ასეთივე შეფასება მისცა დეკადის დღეებში რუსულ „ლიტ. გაზეტაში“ ჩემს რომანს ირაკლი აბაშიძემ, ხოლო „ზარია ვოსტოკაში“ ს. ჭილაიამ.

მაგრამ „ლაშარელას“ თავიდანვე კარგთან ერთად ცუდის მთქმელიც ბევრი გამოუჩნდა და ეს მითქმა-მოთქმა ჩემამდისაც აღწევდა.

მკითხველთა ერთი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა 2-3 ადგილის გამო, რომელიც 22 თავახიან წიგნში სულ 5-6 გვერდს არ მოიცავს, მაგრამ რომელთაც მათ გულწრფელად ატკინეს გული.

ამ გულწრფელ პატრიოტთა წყენას ჩემმა ცუდისმდომელებმა ცეცხლი შეუკეთეს, ნაკლი გაბერეს და გააზვიადეს და ბოლოს „იმელში“ მომხდარ სენსაციამდე მიიყვანეს.

მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული ჩემს სიმართლეში, ამიტომ თამამად მივდიოდი ხოლმე ჩემი წიგნის გარჩევებზე, რომლებსაც ჩვენი ახალგაზრდობა აწყობდა. გულახდილ, სერიოზულ, დამშვიდებულ საუბარში მე შევხვდი სამი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს და თბილისის ერთ-ერთი რაიონის კომკავშირის აქტივს.

მათ კრიტიკას მე ყურადღებით ვისმენდი, ჩემს საბუთებს ისინი ანგარიშს უწევდნენ და ჩვენი შეხვედრა ყოველთვის მეგობრული, სასარგებლო და შედეგიანი იყო.

ასევე თამამად წავედი მე „იმელშიც“, იმ რწმენით, რომ დისკუსია აქაც ნორმალური იქნებოდა და მეცა და წიგნის ღირსების დამფასებლებსაც არა მარტო მოსმენის, არამედ აზრის გამოთქმის საშუალებაც გვექნებოდა.

მაგრამ მოხდა პირიქით. „იმელის“ დარბაზში მოხდა ხალხი, რომელთაგან ბევრს „ლაშარელა“ ნაკითხული არ ჰქონდა და მხოლოდ გაეგონა, რომ მე რაღაც დიდი დანაშაული ჩავადინე ერისა და ისტორიის წინაშე.

ასეთი აუდიტორიის წინაშე კამათში მონაწილე მწერლებსა და სწავლულებს დიდი ტაქტი და პასუხისმგებლობა მართებდათ, მაგრამ სამწუხაროდ ყველამ როდი გამოიჩინა ეს პასუხისმგებლობა. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ორატორმა დისკუსიაზე საკუთარი სახელის გათქმისათვის ეროვნული გრძობებით სპეკულაცია გასწავს, ტყუილი და მართალი განუსჯელად მომანერა, ისედაც ეკზალტირებული აუდიტორია უფრო ალაგზნო და ცოტა არ აკლდათ, კინაღამ იმისკენ მოუწონდა, რომ ლინჩის წესით გამსწორებოდნენ.

ვიდრე დისკუსიაზე აღძრულ საკითხებზე გავცემდე პასუხს, ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ იმ ისტორიულ

წყაროებსა და მასალაზე, რომელსაც მე ვეყრდნობოდი „ლაშარელაზე“ მუშაობის დროს.

უკანასკნელ წლამდე ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში ცნობილი იყო ორი წყარო, რომლებიც თამარის მეფობის შემდგომ ხანაზე – ლაშასა და რუსუდანის მეფობის დროზე მოგვითხრობდნენ – ეს იყო „ჟამთა აღმწერელისა“ და ლაშა-გიორგის – დროინდელი მემატიაანის ცნობები.

გასულ წელს აკად. კორნელი კეკელიძემ გამოაქვეყნა იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ უცნობი ნაწილი, რომელიც საქართველოს ისტორიას ეხება. ეს უკანასკნელი წყარო ჯერ შეუსწავლელია, იგი დაწერილია მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტის დასაწყისში. იგი, როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს ერთგვარ ეჭვს იწვევს ვახუშტისთან პოლემიკის გამო და ამას თუ იმ გარემოებასაც დაფუძნებთ, რომ „კალმასობა“ მაინც მხატვრული ნაწარმოებია და არა წმინდა ისტორიული წყარო, მაშინ ნათელი იქნება თუ რა სიფრთხილით უნდა მოვეკიდეთ ამ წყაროს.

ლაშას დროინდელი მატიაანე, სულ რამდენიმე გვერდს შეიცავს, იგი დაწერილია მეფის კარის მემატიაანის მიერ და ბუნებრივია, რომ ლაშას პანეგირიკს წარმოადგენს.

ამ ძეგლის კრიტიკულად განხილვისას ჩვენი დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი შემდეგს ამბობს:

„დამახასიათებელია რომ ლაშა გიორგის – დროინდელ მემატიაანეს საჭიროდ უცვნია თავის თხზულებაში ჭაბუკ მეფეზე განეცხადებინა: „ვიტყოდე ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენიოდესო – (ამ უკანასკნელ სიტყვებს ჯავახიშვილი ხაზს უსვამს) – ისტორიკოსის ეს გამონათქვამი – განაგრძობს სახელოვანი მეცნიერი – გვაფიქრებინებს, რომ მემატიაანის შექება მის თანამედროვეთაგან ბევრს შესაძლებელია, რომ ტყუილად ჩვენებოდნა, რადგან ჭაბუკი მეფის პირად თვისებებს ისეთი წუნიც ედებოდა, რომლის მცოდნეს თავისი ქებისავე უნდა შერცხვენოდა.“

დააკვირდით ამ უკანასკნელ სიტყვებს ამხანაგებო მიუხედავად ამ უნდობლობისა, მე ეს მატიაანე გამოყენებული მაქვს „ლაშარელაში“. ლაშას თაყვანისცემელი ლუხუმი თავის ცოლს პირდაპირ, სიტყვასიტყვით ამ მემატიაანეს სიტყვებით უხატავს ლაშას პიროვნებას.

მესამე ძირითადი ქართული წყარო გახლავთ „ჟამთა-აღმწერელი“.

აი როგორ გვიხასიათებს ლაშას პიროვნებას „ჟამთა-აღმწერელი“:

1. „ხოლო რა ჟამს მიიცვალა თამარი, იყო ლაშა ათრვამეტისა წლისა, და უტევა მეფობა ძესა თვისსა იყო ტანითა ძლიერი, მხნედ მოისარი, ნადირობათა შინა მოსწრაფე ლალი და თვითუნება“.
2. „იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვი და არავისთვის მოშურნე, მლოცველ, მმარხველ, მონყალე და გამკითხველ.“



არამედ უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ, თანამიყოლითა უწესოთა კაცთა, ვითარ ქვემოთ სიტყვამან საცნაურყოს, ვითარცა სოლომონისთვის წერილი არს, რომელი შეაცთუნეს დედათა, ეგრეთვე ესე უწესოთა კაცთა, ხოლო ვითარ განისვენებდა ნადირობითა და სიხარულითა, მოსმურთა თანა, მიდრკა სიბოროტემდი, ვითარცა წერილ არს ისრაელთათვის „და დასხდა ერი იგი ჭამად და სმად და აღდგეს სიმღერად“ ხოლო სმამან მღერასა და სილოდასა და ნაყროვანებამან სიბილწესა უმეტეს გარდარია. განაშორა ვაზირნი ხანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყვარნა თანა მოჰასაკენი, მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა, რომელ ესოდენ უსახურობად მიიწია. ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი, ხოლო რინდნი მეფისა მისვლასა არამგონებლნი და ღვინით უცნობო ქმნილნი, ზედა მიეტევენს და ძლიერად გვემეს, ვიდრემდე ერთი თვალი მარჯვენე ხედვისაგან დააკლეს. ამისნი მცნობელნი თავადნი საქართველოსანი, ფრიად მწუხარენი და უფროსლა ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ძე, განეყენებოდა დარბაზს ყოფისაგან.

ბილწე თვისი, ხოლო რინდნი მეფისა მისვლასა არამგონებლნი და ღვინით უცნობო ქმნილნი, ზედა მიეტევენს და ძლიერად გვემეს, ვიდრემდე ერთი თვალი მარჯვენე ხედვისაგან დააკლეს. ამისნი მცნობელნი თავადნი საქართველოსანი, ფრიად მწუხარენი და უფროსლა ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ძე, განეყენებოდა დარბაზს ყოფისაგან.

„არა თავს ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიხალესა და უწესობასა, რომელსაჰყოფ“.

3. „იყო ესე ლაშა გიორგი მხნე, ახოვანი, ძლიერი, ლალი, ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება ვითარცა გვითქვამს, უხვი, სახიობის მოყვარე, ღვინის მოყვარე და გემოთმოყვარე. რამეთუ განძღეს და იშვებდეს და მიდრკეს უწესობად სიძვათა შინა და მთვრალობათა შინა და უგუნური და უწესონი კაცი მეფისა კარსა ზედა არა ყოფისა ღირსნი და ან კარისა ზედა მყოფნი.“

დალაცათუ კათალიკოზთა ორთავე და თავადთა ამისა სამეფოთასა და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდათ საქმე ესე, არღა-რა ინებეს მასთანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თავს თვისად იყოფვოდეს, ამისთვის აღმოცენდეს ცოდვათა სიმრავლენი, მიზეზნი საქართველოს მოხრებისანი“

როგორც ვხედავთ ჟამთააღმწერელი ლაშას პიროვნებასა და მეფობას სრულიად ნეგატიურად წარმოგვიდგენს.

სანდო წყაროა თუ არა „ჟამთააღმწერელის ეს მატიაანე? ამაზე ისევ ივ. ჯავახიშვილს მოვუხმინოთ, რომელმაც სპეციალური შრომა მიუძღვნა ამ წყაროს შესწავლასა და განხილვას.

აი, როგორ ახასიათებს ჟამთააღმწერელს ჯავახიშვილი: ა) „ჩვენი ჟამთააღმწერელი საზოგადოდ განვითარებულ იყოფილა, მისი მსჯელობა ჩვეულებრივ სწორე და ფხიზელია, ამასთანავე თავისუფალი“.

ბ) „სამშობლოს უნუგემო მდგომარეობას ჩვენი ჟამთა-აღმწერელიც შეუფიქრიანებია და თავის თხზულებაში

გვიხსნის, თუ რამ ჩააგდო ქართველი ერი შემადრწუნებელ განსაცდელში. იგი აკვირდება საქმეს და საქართველოს მოოხრების მიზეზების გამორკვევას სამართლიანად წარსულში ეძებს: ლაშა გიორგის ლალობამ, ქეიფმა და უდარდელმა ცხოვრებამ ქართველთა მოწინავე წრეები დარდმანდობას, უსაქმობასა და უზრუნველობას მიაჩვია,

გ) „საყურადღებო ის არის, რომ ავტორი ქვეყნის გაოხრების მიზეზად საქართველოს მმართველი წრეების უდარდელობას, უწესობასა და ერის ზნეობრივ დაცემას აღიარებს, რომ იგი მართო გარეგან პირობებს, მტრების შემოსევას არ აბრალებს ყველაფერს და ამით არ იქარვებს დამაფიქრებელ საკითხს – განაგრძობს ჯავახიშვილი – არამედ უმთავრეს მიზეზად თვით ქვეყნის შინაურ მდგომარეობას, თვით ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ გათავსირებულ ცხოვრებას ასახელებს. – ეს არის ჩვენთვის საგულისხმიერო და ადამიანმა მართლაც უნდა თქვას, რომ ამ მხრივ ჟამთააღმწერლის აზრი სრულიად უსაფუძვლო არ არის“ და ბოლოს დაასკვნის ჯავახიშვილი:

„ჩვენი ჟამთააღმწერლის თხზულება, როგორც ირკვევა, სანდო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს“.

ვინც ჟამთააღმწერელს კარგად ნაიკითხავს, მას იგი მართლაც დიდად განათლებულ და საღად მოაზროვნე ავტორად წარმოუდგება. მას აქვს ჯანსაღი ეროვნული კონცეპცია და ფართო ფილოსოფიური თვალსაზრისი. იგი მთელი თავით მალა დგას ჩვენი მეზობელი ქვეყნების იმ მემატიალებზე, რომლებიც, აგრეთვე მეცამეტე საუკუნის ამბებს გადმოგვცემენ.

ეს წყაროები შეადგენენ ძირითადად იმ ფონდს, რომელიც, ქართულ ისტორიოგრაფიას გააჩნია მეცამეტე საუკუნის საქართველოს შესასწავლად. მაგრამ არსებობს უცხო წყაროებიც. ამათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ არაბი მემატიალე იბნ ალ-ასირი და ჯალალედინის მდივანი ნესევი.

ეს ავტორები ლაშასა და რუსუდანის თანამედროვენი არიან და დანვრილებით გადმოგვცემენ იმ ამბებს, რომლებიც მაშინ ახლო აღმოსავლეთსა და კერძოდ ამიერკავკასიაში დატრიალდა. მე აქ არ ჩამოვთვლი რაშიდედინს, ჯუვეინსა და ბევრ სხვა წყაროს, რომლებიც მე საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი. მხოლოდ ერთ ფაქტს აღვნიშნავ იმის საილუსტრაციოდ თუ რა პასუხისმგებლობით ვეპყრობოდი წყაროების შესწავლას.

იბნ ალ-ასირის მატიალე არ არსებობს რუსულად და ქართულად. მე მთლიანად ვათარგმნინე იგი ლენინგრადის ბიბლიოთეკაში რუსულად, რათა ყოველდღე სამუშაოდ მაგიდაზე მქონოდა. ასევე ჯალალედინის სამდივნოს უფროსის მოჰამედ ნესევის წიგნი „ჯალალედინის ცხოვრება“, არსებობს მხოლოდ ფრანგულ ენაზე, მე იგი მოსკოვის ბიბლიოთეკიდან ერთი თვით გამოვანერინე ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკას, საქართველოზე ძვირფასი ცნობების შემცველი ეს წიგნი მე მთლიანად ვათარგმნე ქართულად და სათანადოდაც დავამუშავე.

რას მოგვითხრობენ ეს უცხო წყაროები? არც იბნ ალ-ასირს, არც ნესევის და სხვებს მით უფრო, არავითარი ცნობა ლაშა გიორგის შესახებ არ შემოუნახავთ, სამაგიეროდ მათი მატიალეები უხვად მოგვითხრობენ რუსუდანის სამწუხარო ამბებზე.

აი, რას გვიამბობს იბნ ალ-ასირი თავის მატიალის იმ თავში, რომელსაც რუსულად ასეთი სათაური აქვს „Страшный, неподобный случай“ (საშინელი, უმსგავსი შემთხვევა)“. გთავაზობთ რუსული ტექსტის თარგმანს:

„საქართველოს სამეფო-საგვარეულოს ერთი ქალი დარჩა, რომელიც მემკვიდრე იყო ტახტისა. ეს ქალი ტახტზე აბრძანდა და ქართველებზე მეფობდა. ქვეშევრდომთ მისი საქმროს ძებნა დაიწყო, რომ სამეფო განეგო, როგორადაც მეფის მოადგილეს და მეფის შთამომავალიც ყოფილიყო. მაგრამ ქართველთა შორის ღირსეული ვერავინ ჰპოვეს. არზენ ერუმის მეფედ მაშინ იყო მოლედ იმ თოღრილ შაჰი, შვილი კილიჯ არსლანისა, რომლის გვარეულობა დიდებული იყო მუსლიმანთა უძლიერეს მეფეთა შორის, რადგან იგი სელჯუკიდების შთამომავალი იყო. მას ჰყავდა ახლად მონიფული შვილი. ქართველებს დესპანები გაუგზავნა და მათი დედოფალი ცოლად ითხოვა თავისი შვილისათვის. ქართველებმა უარი განაცხადეს და უპასუხეს: ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ, რადგან არ შეგვიძლია მეფედ მუსლიმანი ვიყოლიოთო. თოღრილ შაჰმა უპასუხა: ჩემი შვილი ქრისტიანობას მიიღებს და ისე შეირთავს თქვენს დედოფალსო. ქართველნი დასთანხმდნენ. ამისა გამო, თოღრილ შაჰმა უბრძანა თავის შვილს ქრისტიანობა მიეღო. შვილმა აასრულა ეს ბრძანება, საქართველოში მივიდა და დედოფალი შეირთო. ამის შემდეგ ქართველთა შორის დარჩა, მართავდა მათ სამეფოს და ქრისტიანებრივ სჯულს მისდევდა. ქართველ დედოფალს ერთი თავისი მონათავანი უყვარდა; ქმარს სამარცხვინო ამბები ესმოდა დედოფლისა; მაგრამ ხმა ვერ ამოეღო, სისულტისა გამო. ერთ დღეს დედოფლის ოთახებში შევიდა და ისა და მისი მონაც მძინარნი ჰპოვა ერთსა და იმავე ხალხზედ. იწყინა და დედოფალს დაუშალა ამგვარი ქცევა; მაგრამ მან მიუგო: თუ ჩემი ყოფა-ქცევა მოგწონს, ხომ კარგი, თუ არა და ხომ იცი, რაც მოგელისო? მეფემ უპასუხა: ჭეშმარიტად, არ მომწონსო. მაშინ დედოფალმა სხვა ქალაქში ნააყვანინა იგი და დარაჯები მიუჩინა, რომ არსად გაეშვათ. მერე აღანელების ქვეყანაში დესპანები გაგზავნა და იქიდან ორი კაცი მიაყვანინა, რომელნიც მისთვის ექოთ სილამაზის გამო. ამ კაცთაგან ერთი შეირთო და ცოტახანი მასთან იცხოვრა, რის შემდეგ ისიც მიატოვა, განჯიდან ერთი კაცი მოაყვანინა, რომელიც მუსლიმანი იყო და სთხოვა: ქრისტიანობა მიიღე, რადგან შენი შერთვა მინდაო, იმან უარყო. დედოფალმა მანაც არ დაიშალა და უნდოდა შეერთო, თუმცა მუსლიმანი იყო, მაგრამ ყველა ვეზირი გადაუდგა დედოფალს, აგრეთვე ივანე მხედართმთავარი ქართველი ჯარების, და უთხრეს: „ჩვენ ისეც შერცხვენილი ვართ მეფეთა შორის შენი ყოფაქცევით და ახლა გინდა მუსლიმანი შეერთო. ეგ უკუნიითი უკუნისამდე შეუძლებელიაო“. საქმე ამით გათავდა და განჯელი კაცი კი ქართველთა შორის იმყოფებოდა და თუმცა ქრისტიანობის მიღებაზე უარს ამბობდა, დედოფალს მაინც უყვარდა იგი.

აი რას გადმოგვცემს ნესევი ჯალალედინისაგან თბილისის აღების აღწერისას: „იბერთა სამეფო ამ დროისათვის დასუსტდა, რადგანაც იგი იმყოფებოდა ერთი ქალის რუსუდანად ნოდებულ თამარის ასულისა და ლაშას დის ხელისუფლების ქვეშ. იგი იყო გემოთმოყვარე და აღვირახსნილი, ავხორცი სემირამიდას მსგავსად. მას არ მოსწონდა

ქმრად შემოძლეული მამაკაცები, მრავალთან ცხოვრობდა და ბოლოს დარჩა თითქმის უქმროდ“.

ამ უცხო წყაროებს ზოგიერთი ეჭვის ქვეშ აყენებს: ქართველები რუსუდანის მეფობის ხანაში სამუსლიმანოს ავიწროებდნენ და გასაგებია, რომ მათი მემკვიდრეები ქართველ მეფეს ცუდად მოიხსენიებდნენ. ჯერ ერთი ქართველები რუსუდანის მეფობის ხანაში ჯერ ჯალალედინისა და შემდეგ მონღოლების უღელქვეშ იყვნენ და არა თუ სამუსლიმანოს შევიწროების თავი ჰქონდათ, არამედ თვითონ იყვნენ შევიწროებულნი და დამონებულნი. დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის დროს საქართველო მართლაც ძლიერ ავიწროებდა სამაჰმადიანოს, მაგრამ არაბ და სპარსელ მემკვიდრეებს, რომლებიც ქართველებს წყევლიან და აგინებენ, ერთი სიტყვაც არ დაცდენიათ დიდი თამარის, მისი მამისა და პაპის ზნეობაზე, და ბოლოს იბნ ალ-ასირისა და ნესევის ამ გადმოცემებში, რომლებიც სრულიად ეთანხმებიან ქართველ ჟამთააღმწერელს, იმდენად დამაჯერებლადაა სიტუაციები აღწერილი და ისეთი დეტალებით, რომელთა გამოგონება და შეთხზვა შეუძლებლად გვეჩვენება.

ყველა ამ წყაროს ეთანხმება ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ლაშას მემკვიდრეზე საუბრისას ამბობს: „ამ სტრიქონების დაწერის დროს მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რაოდენ ვნებას მოუტანდა სახელმწიფოს რუსუდანის თავშეუკავებელი ვნებათაღელვა და უდარდელი მართვა-გამგეობა“.

ასეთია ის წყაროები, რომელთაც მე ვეყრდნობოდი ჩემი რომანის წერის დროს. მე ისტორიკოსი არა ვარ. ვწერდი რა მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ თემაზე, მეტი უფლება მქონდა თავისუფალი დამოკიდებულებისა მასალისადმი, ვიდრე იმ მეცნიერ-მკვლევარს, რომელიც ერის ისტორიას წერს. მე შემძლო მიმედო და გამომეყენებინა, ან არ გამომეყენებინა ესა თუ ის წყარო, თუმცა აქვე დავსძენ, რომ მე ყველა წყარო გამოვიყენე და ყველა კრიტიკულად. კერძოდ მე კრიტიკულად მივუდექი ჟამთააღმწერელს და ლაშა გიორგი ალექსანდრე ბევრი ისეთი დადებითი თვისებით, რომელთათვის მემკვიდრეებს მოტივი არ გააჩნია.

როცა მეცამეტე საუკუნის ქრონიკის წერას ვიწყებდი, ჩემთვის მთავარი ინტერესი იყო, ამეხსნა საქართველოს უძლიერესი სახელმწიფოს დაცემის მიზეზები, გამეცოცხლებინა ის ადამიანები, რომლებსაც ბედმა არგუნათ ყოფილიყვნენ პასუხისმგებლები ქვეყნის მომავლისათვის, საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკულ ხანაში. მე ამ ადამიანების ბედს, მათი სახის დადებითად თუ უარყოფითად ჩვენება, იმდენად მაინტერესებდა, რამდენად მათმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ არგო, ან ავნო ჩვენი სამშობლოს მომავალს.

მე ვხედავდი აღელვებული ეპოქის კარგსა და ავს, და რაკი თანამედროვე რეალისტურ რომანს ვწერდი, საჭიროებისამებრ კარგიც უნდა დამეხატა და ცუდიც. ჩვენ არა მარტო მარქსიზმი გვასწავლის, რომ ისტორიას შელამაზება არ სჭირდება, თანამედროვე დასავლეთის ბურჟუაზიული მწერლებიც კი აღარ ცდილობენ ისტორიის შელამაზებას და ხშირად უკიდურესობამდე ამიშვლებენ ფაქტებს. მე-13 საუკუნის მასალაზე რომანის წერისას მე სახელმძღვანელოდ მქონდა ჩვენი დიდი ილიას შეხედულება ისტორიაზე. აი რას სწერს ილია ჭავჭავაძე: ჩვენს ერს ორი-თასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით, ბევ-

რი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუგდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყო დამყარებული მერმისის ასაგებად. რომ მართლა ეს ასეა, ამისი საბუთი თვალნინ გვაქვს. რა შეგვიწინაგვდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს ნალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში, მაგარ ქვასთან ერთად, უვარგისი დაფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინათ ჩვენს ისტორიაში. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია და თუ იგი დავივიწყებთ, მამ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ეს ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო ჩვენი მერმისი?“

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ წერილში ივანე ჯავახიშვილი ასე სწერს ჩვენს დიდ მწერალზე: „ჩვენს დაუფიქრებელ მოამბეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთენელი შეფასება აინტერესებდა“.

ჩემთვის, როგორც მწერლისთვის ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის ეს უაღრესად სწორი შეხედულებები ისტორიაზე იყო სახელმძღვანელო და ამოსავალი ისტორიული რომანზე მუშაობისას. სწორედ მე-13 საუკუნეში ჩაიყარა ჩვენი ისტორიის საძირკველში ის უვარგისი და ფხვნილი ქვა, სწორედ ჩვენი ისტორიის ამ საბედისწერო ეპოქაში გამოჩნდა ქვეყნის პატრონთა ის სისუსტე და სიფუყე, რომელზედაც დიდი ილია ლაპარაკობს და რომლის ახსნასა და გარკვევას იგი ისტორიის მთავარ ამოცანად თვლის.

მასალის შესწავლამ საქართველოს ძლიერების დამხობის მიზეზები იმ სოციალურ ურთიერთობაში დამანახვა, რომელიც იმ ეპოქაში არსებობდა: ფეოდალთა შუღლი და თავაშვებულობა იყო ის მთავარი მიზეზი, რომელმაც ძლიერი საქართველო შეარყია და ძირს დასცა. მმართველი წრეების უზრუნველობაში ჩვენი ჟამთააღმწერელი სამართლიანად ხედავს საქართველოს დაუძლიერების ერთ-ერთ ფაქტორს, მემკვიდრის ამ შეხედულებას სრულიად ეთანხმება ივანე ჯავახიშვილი და ბუნებრივია, რომ ეს შეხედულება მეც გავიზიარე. მეფე ლაშა-გიორგის ბრძოლა ფეოდალების უფლებათა განუსაზღვრელობის წინააღმდეგ, მისი მისწრაფება აბსოლუტიზმის განმტკიცებისაკენ მე წარმოვადგინე, როგორც პროგრესული მხარე მეფის მოღვაწეობისა, მეფემ თავისდა უნებურად ჩაიდინა ხელმწიფისათვის შეუფერებელი საქციელი, როცა თავის ყმას წაართვა ცოლი. ამით მან დაასუსტა თავისი პოზიცია დიდგვაროვანთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დაკარგა რა ქვეყნის მთავარი ბურჟუის – გლეხობის ნდობა და სიყვარული.

ყველაფერი ეს მოცემულია პირველ ნიგნში „ლაშარე-ლაში“. პირველი ნიგნი მხოლოდ შემზადება იმ ამბებისა, რომელიც უნდა გაიშალოს მეორე ნიგნში.



მე „ლაშარელაში“ მხოლოდ ზოგიერთის ის წინაპირობა ვაჩვენე, რომლებმაც საქართველოსათვის უფრო კრიზისულ მდგომარეობაში იჩინა თავი. ლაშარელა თავდება ლაშას სიკვდილით. ლაშა 1222 წელს გარდაიცვალა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ, საქართველოს შემოესივნენ ხვარაზმელები და ჯალალედინმა გარნისის ბრძოლაში საქართველოს ძლიერი მხედრობა გაანადგურა. გარნისის ომის წაგებით ფაქტიურად მოიშალა ძლიერი საქართველოს სახელმწიფო. ჯალალედინმა გადასწვა და ააოხრა საქართველო, მისმა თარეშმა საქართველოს მოსახლეობა მეთავეზე დაიყვანა და როცა ხვარაზმელების შემდეგ ჩვენს ქვეყანას მონღოლები მოადგნენ, საქართველოს უკვე სერიოზული წინააღმდეგობის განევაზე ფიქრიც აღარ შეეძლო, იგი უკვე უსახელოდ დამარცხებული ჩაბარდა ჩინგიზის ურდოებს.

რაკი ჩემს პირველ წიგნში – გარნისის ომში საქართველოს ძლიერების დამხობა ნაჩვენები არ არის, „ლაშარელას“ მიხედვით ავტორის კონცეპციაზე ლაშარაკი ნაადრევია, რადგან ყველაფერი, რისთვისაც ეს პირველი წიგნი დაიწერა და მეორეც იწერება, თავის ახსნას სწორედ გარნისის ტრაგედიაში პოულობს, სადაც ქართველ ფეოდალთა შინააშლილობამ, მმართველი წრეების უპასუხისმგებლობამ და სოციალურმა დაპირისპირებებმა ყველაზე ნათლად იჩინეს თავი.

„იმელში“ გამართულ დისკუსიაზე გამოვიდა ორი ისტორიკოსი დავით გვრიტიშვილი და შოთა მესხია. მათ გამოსვლებში ბევრი რამ იყო საგულისხმო და საყურადღებო. კერძოდ. პროფ. შოთა მესხიამ, რომელიც არის სწორედ ჩემს რომანში აღებული ეპოქის სპეციალისტი ბევრი ანგარიშგასანაწივი და ჩემთვის მისაღები კრიტიკული მოსაზრება წარმოადგინა.

პროფ. მესხიამ მიუდგომლად შეაფასა ჩემი წიგნის ავტორი და თავის სიტყვაში შემდეგი განაცხადა (ვკითხულობ სტენოგრაფიდან): „გრიგოლ აბაშიძის რომანი უდავოდ ავტორის დიდი შრომისა და მისთვის ხელმისაწვდომი ყველა წყაროს გათვალისწინებითაა დაწერილი, აქ ასახვას პოულობს არა მარტო ლაშას დროინდელი და მისი შესახები წყაროები, არამედ სხვა, ამ ეპოქასთან ახლომდგომი ხანის წყაროებიც – დავითის, თამარის და უფრო ადრინდელი წყაროები, არა მარტო ნარატიული, არამედ დოკუმენტური.“

ასევე ავტორი გულმოდგინედ გასცნობია მეზობელი თუ მოსული, მაგრამ იმ დროინდელი საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ხალხების ისტორიის ძირითად საკითხებს.

ყველაფერი ეს უდავოდ ცოდნასა და დიდ შრომას მოითხოვდა. ცხადია ასეთი შრომის შედეგის გარეშე, მრავალმხრივი წყაროების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება შექმნილიყო ასეთი ნაშრომი“.

დისკუსიაზე გამოსული პროფ. ალ. ბარამიძე ჩემს წიგნს საბოლოოდ ასეთ შეფასებას აძლევს:

„მე პირადად დიდი ინტერესით, დიდი ყურადღებით და გატაცებით წავიკითხე თავიდან ბოლომდე ეს წიგნი. ეს წიგნი დიდად საინტერესო, მიმზიდველი უთუოდ ფასეული და მშვენიერი წიგნია. მიხედვლობაში მაქვს ავტორისეული ენა, მაგრამ როდესაც საქმე დიალოგებზე მიდგება, მაშინ ავტორი აჭარბებს, იგი ცდილობს ილაპარაკოს მე-13 საუკუნის ენით, დარღვეულია ძველი ქართული ენის ნორმები

და არც ახალი ქართულია. ავტორისეული ენა მშვენიერია. ავტორი შესანიშნავი ოსტატი არის ხასიათების გამოკვეთისა, მშვენივრად ახერხებს გამოკვეთოს ტიპები, ხატვის ოსტატია. ავტორი კარგი მხატვარია სიუჟეტისა, ამბის განვითარებისა. ერთი სიტყვით, როგორც მხატვრული ნაწარმოები საინტერესოა და თუ ავტორი მიხედვლობაში მიიღებს ამ ნაკლულოვანებებს, რაც წიგნს ახასიათებს, ეს წიგნი საქართველოს ფართო საზოგადოების ერთ-ერთი საყვარელი წიგნი იქნება“.

ალ. ბარამიძე უმთავრესად შეჩერდა „ლაშარელას“ გმირთა ზნეობრივ მხარეზე და კერძოდ რუსუდანზე. მე „იმელში“ საშუალება არ მქონდა ამის გამო რამე მეთქვა.

როგორც ზემოთ მოტანილ წყაროებიდან დაინახავდით, მე საკმაოდ მდიდარი მასალა მქონდა ცდუნებისათვის. ამ მასალამ დამძლია, მისი გავლენის ქვეშ მოვყევი და ნაწარმოებში რუსუდანი წარმოვადგინე იმ სახით, რომელიც მკითხველთა უმრავლესობამ არ მიიღო. ეს მე სრულიად არ მჭირდებოდა ჩემს წიგნში და გვიან მივხვდი ამ ჩემს შეცდომას. რუსუდანის სახის დახატვისას, მასალის გავლენით, როგორც ჩანს, მე მილაღატა ზომიერების გრძობამ. ახლა, როცა წიგნის დაწერის შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა, ეს ნაკლი ჩემთვის ნათელი გახდა. მაგრამ წიგნის ამ ნაკლის გასწორება სრულიად ადვილია. უმტკივნეულო ქირურგიული ოპერაციით „ლაშარელადან“ სულ ადვილია აბანოსა და დევის ხვრელში მომხდარი სცენების ამოღება.

არც ერთი ეს სცენა სიუჟეტის განვითარებაში როლს არ თამაშობს, მოცულობით უმნიშვნელოა და მე რომ დროზე ამომეღო იგი წიგნიდან, ალბათ ბევრი უსიამოვნება ამცდებოდა.

„იმელის“ დისკუსიაზე გამოვიდა მწერალი დემნა შენგელაია, რომელმაც ჩემი წიგნი გააჩნია პროფესიულად, კვალიფიციური და მიუდგომელი ლიტერატორის თვალსაზრისით. მის კრიტიკაშიც ჩანდა ავტორისადმი კეთილისმდომლური დამოკიდებულება, ლიტერატურული ინტერესი და არა პირადი გაბოროტება.

დისკუსიაზე გამოსულთაგან ყველაზე მკაცრი იყო პროფ. ვ. თოფურია. მის სიტყვაში ჰპოვა გამოხატულება ყველაჭორმა და მითქმა-მოთქმამ ჩემი წიგნის გამო. ამიტომ „იმელის“ აუდიტორიაზე მისმა გამოსვლამ ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ახლა, როცა ვნებები დაცხრა და მე დამშვიდებულად ვკითხულობ თოფურიას სიტყვას, იგი ყველაზე დაუსაბუთებელია და გაუგებრობაზეა აგებული.

როცა პროფ. თოფურია ტრიბუნაზე ავიდა, მე ვფიქრობდი, რომ იგი ილაპარაკებდა ნაწარმოების ენაზე, ეს მისი სფეროა და ჩემთვის ეს სასარგებლო იქნებოდა. სამწუხაროდ, მან ის სფერო აირჩია, სადაც იგი ძლიერი არ ყოფილა და თავისი დაუსაბუთებელი მსჯელობა ჩემი უშვერი გინებითა და ლანძღვით გაამაგრა. პატივცემულ აკადემიკოსს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჭეშმარიტება გინებით კი არ ირკვევა, არამედ დინჯი, აკადემიური მსჯელობით.

პროფ. თოფურია „ლაშარელას“ შეფასებისას გამოდის შემდეგი დებულებიდან: წიგნის კონცეპცია ყალბია, მისი ავტორი შავრაზმელი და ერის შეურაცხმყოფელია და აქედან დასკვნა – ჯვარს ვაცვათ იგი ვნახოთ, რამდენად მართალია თოფურია ჩემი წიგნის გაგებაში.

მე ვეკითხულობ სტენოგრაფს: „ეს არის მთავარი იდეა – ლაშას დროს საქართველომ დაკარგა თავისუფლება და მონა გახდა უცხო ტომებისა ლაშას დროს საქართველო კარგავს თავისუფლებას, მიზეზი ამისა ლაშა კი არ არის, არამედ დიდებულებია, რომლებმაც მას მხარი არ დაუჭირეს და მეორე მხრივ გახლავთ სიყვარული, რომელმაც უხორცოსავით აქცია ლაშა. ეს არის მწერლის კონცეპცია. ამაზეა აგებული მთელი ნაწარმოები“.

ეს არის ბატონებო თავიდან ბოლომდე ცილისწამება, მე ასეთი კონცეპცია ნიგნში არ მაქვს, არც შეიძლება მქონოდა და იგი მხოლოდ თოფურიას ღვარძლიანი წარმოსახვის ნაყოფია.

სად, ნიგნის რომელ გვერდზე მიწერია მე რომ საქართველო ლაშას დროს დაიღუპა, სად მაქვს ნათქვამი, რომ საქართველო ლაშას დროს უცხო ტომთა მონა გახდა. ის რაც ნიგნში არ სწერია, ავტორს შეიძლება მიაწერო მხოლოდ გარკვეული ბოროტი მოსაზრებით.

ლაშას სიკვდილის შემდეგ, საქართველო კიდევ ხუთი წლის განმავლობაში იყო უძლიერესი ქვეყანა მთელს ახლო აღმოსავლეთში და იგი შიშის ზარს სცემდა მთელს სამაჰმადიანოს.

საქართველო ლაშას სიკვდილიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ დამორჩილდა ჯერ ხვარაზმელებსა და შემდეგ მონღოლებს. რა შუაშია ხუთი წლის წინათ მკვდარი ლაშა-გიორგი გარნისის დამარცხებაში? და რატომ მანერს თოფურია თავის გამოგონილ რაღაც კონცეპციას, რომელიც მე არ დამისიზმრებია და აზრადაც არ მომსვლია?

საქართველომ ლაშას მეთაურობით მძიმე ომი გადაიხადა მონღოლებთან. ეს ომი მონღოლების ყველა ისტორიაში მოიხსენიება, როგორც ერთ-ერთი უსასტიკესი, ამ ომში ქართველობა არ დამარცხებულა და მონღოლებმა საქართველოს გაცლა არჩიეს.

ეს ომი ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, საპატიო ყაიმით დამთავრდა, რაც ფაქტიურად ქართველების დიდი გამარჯვება იყო.

შემდეგ მე ვწერ: მონღოლების საქართველოში მოსვლაც და წასვლაც დაუჯერებელ მოჩვენებას ჰგავდა: ამ მოჩვენების გამოქროლებამ საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს ბჭენი შეანჯღრია, მაგრამ კი ვერ დაანგრია

ნიგნი იხურება სიტყვებით: აქ თავდება „ლაშარელა“ ძლიერი ფეოდალური საქართველოს მზის ჩასვლის დასაწყისის ნიგნი“.

მაშასადამე „ლაშარელაში“ ძლიერი საქართველოს დაისია, მხოლოდ მზის ჩასვლის დასაწყისი და საიდან მოიტანა პროფ. თოფურიამ, რომ საქართველო უცხო ტომების მონა გახდა და რომ ამაში დამნაშავე ლაშაა.

როგორც ხედავთ, პროფ. თოფურიას ამოსავალი დებულება სრულიად უსაფუძვლოა, მისგანვე შეთხზული და გამოგონილი იმისათვის, რომ ცილი დაენამებინა ჩემთვის აუდიტორიის წინაშე და დავეზღუდებინე ისედაც ალეკვებულ მსმენელებთან.

პროფ. თოფურიამ უნდა იცოდეს, რომ ერის შეურაცხყოფლისა და შავრაზმელის დარქმევა მწერლისათვის უბრალო ბრალდება არ არის. ეს სასიკვდილო განაჩენზე მეტია და როცა საამისო საბუთი და საფუძველი არ არსებობს, ასეთი მოქმედება ხულიგნობას უდრის. მე ისიც უნდა ვუთხრა

თოფურიას, რომ მას უფლება არ აქვს ასეთი ეპითეტების განუსჯელად ხმარების მწერლის მიმართ. რაც უნდა დაამციროს მან ჩემი მოკრძალებული წვლილი ქართულ მწერლობაში, არა მგონია, რომ მისმა ღვანლმა იმდენად გადასწონოს იგი, რომ მას ჩემთან ასეთი დამოკიდებულების უფლება ჰქონდეს. ძირითადი დებულება, რომელზედაც თოფურიამ თავისი მსჯელობა ააგო, ყალბია. თავისი მსჯელობის განვითარებაში თოფურიამ გამოამყლავნა, რომ მას „ლაშარელას“ მეტი რომანი საერთოდ წაკითხული არ ჰქონია.

როცა მან ალექსეი ტოლსტოი დაიმონმა, მე რეპლიკა მივეცი, როგორ დახატა ტოლსტოიმ პეტრე-მეთქი. მან მოკლედ მომიჭრა: სინამდვილე დახატა დაიხ, ტოლსტოიმ სინამდვილე დახატა და რაკი თოფურიას ეს რომანი წაკითხული არ ჰქონია, მე მინდა გავახსენო, როგორი სინამდვილე დახატა. ტოლსტოი სრულიად მოურიდებლად ალგვიწერს ახალგაზრდა პეტრეს წრეგადასულ დროსტარებას, მის ორგებებს კუკუის სლაბოდაში, „მეფეს მაღალი ტანით ცნობდნენ სახე ან ფერადი რიდიტ ჰქონდა ახვეული ან გრძელი სასაცილო ცხვირი ჰქონდა ზედ ჩამოკიდებული. რაც უფრო დიდგვაროვანი იყო მასპინძელი, მით უფრო ახირებულ ხუმრობას იგონებდნენ. თავად ბელოსელსკის ჭირვეულობისათვის ტანთ გააძრეს და ბაყვებში ქათმის კვერცხებით სცემდნენ. ბობორიკინი, იმის გამო, რომ მსუქანი იყო, ისეთი სკამის ქვეშ გააძვრინეს, რომელშიაც გამხდარი კაციც ვერ გაეტოვდა. თავად ვოლკონსკის უკანა ნაწლავში სანთლები შეურჭეს, სანთელი აანთეს და ირგვილი სიმღერით უვლიდნენ, ვიდრე სიცილით ყველანი არ წაიქცნენ. თხუპნიდნენ კუპრითა და ფისით, თავდაყირა ჰკიდებდნენ. აზნაური ივანე აკაკის ძე მისანი უკანა ნაწლავიდან საბერველით გაბერეს, რითაც იგი მალე მოკვდა

ტოლსტოი არ ერიდება აჩვენოს პეტრეს სიმხდალევაც და როცა მის წინააღმდეგ სოფიოს მიერ მოწყობილ შეთქმულების ამბავს გაიგებს, ტოლსტოის პეტრე შეშინებული, პერანგისამარა ცხენით გარბის ტროიციკის ლავრისაკენ. ტოლსტოის არ ეშინია, აჩვენოს პეტრეს დამარცხება აზოვის ბრძოლაში, სადაც მან უამრავი ხალხი დაღუპა თავისი ჟინიანობით და მოუფიქრებელი სტრატეგიით. მწერალმა აღწერა სიკვდილით დასჯის რუსული წესის ამაზრზენი სცენები, როცა ადამიანებს ცოცხლად ფლავენ მინაში და სხვ.

კენიგსბერგში პეტრესთან ერთად ელჩებად ჩასული მისი დიდებულები ვაჭრის სახლში ჩერდებიან და აი რას წერს ტოლსტოი რუსეთის არისტოკრატის ამ ნაღებზე: „ვაჭრის სახლში სადაც გაჩერდნენ, არაფერი არ იყო ჩაკეტილი, კარგი ნივთები ღიად ეწყო. გიჟი არ წაიღებს. პეტრემ თვალი მოავლო სურათებით, ჭურჭლით, ჯიხვის რქებით მდიდრულად მორთულ სასადილოს და ჩუმად უთხრა ალექსაშკას:

– ყველას მკაცრად უბრძანე, თუ რომელიმეს, თუნდაც წვრილმანზე ხელი წაუცდებო, ჭიმოკარზე ჩამოვკიდებ.

– და მართალიც იქნები ჩემო ბატონო, სხვას კი არა მეც მიჭირს თავის შეკავება. სანამ მიეჩვევიან, ვუბრძანებ, ჯიბეები ამოიკერონ. ღმერთმა ნუ ქნას და რომ დათვრებიან, თვალი არ წაუვიდეთ

აი რას ნიშნავს მკაცრი რეალიზმი. ასე შეუფერადებლად ხატავს მეფესა და მის დიდებულებს დიდი მწერალი ალ. ტოლსტოი. და მერე როგორ მეფეს – პეტრე დიდს, რო-

მელმაც რუსეთის იმპერია შექმნა და რომელიც სამართლიანად ითვლება რუსი ხალხის სიამაყედ. ამიტომ არის მისი პეტრე ესოდენ ცოცხალი და სისხლსავსე. ამ პირდაპირობისთვის რუსეთში აზრად არავის მოსვლია ტოლსტოი ერის შეურაცხყოფელად და ანტიპატრიოტად გამოცხადებინა, პირიქით, მან სამართლიანად დაიმსახურა მკითხველის მონონება და საყოველთაო სიყვარული, მაგრამ რადღეს დააყრიდნენ ამ წიგნისთვის მწერალს, იგი ჩემსავით რომ თოფურიასთანა შემფასებლებს ჩავარდნოდა ხელთ.

ასევე ცოცხლად ხატავენ თავიანთ გმირებს დიდი გერმანელი მწერლები ჰაინრიხ მანი და ფეიხტვანგერი. ჩემი რომანის გმირი ლაშა ნანარმოებში სრულიად ახალგაზრდაა ნაჩვენები. მან საერთოდ მხოლოდ ოცდაშვიდი წელი იცოცხლა და ვერ მოასწრო იმ ჰასაკში შესვლა, როცა მეფეები დიდ საქმეებს აკეთებენ. მე მისაყვედურებენ, რომ ლაშა გამოვიყვანე ქალების მოყვარე და ფუქსავაჭ ქაბუკად, და რომ მე ამ შემთხვევაში ვითომ მთლიანად დავეყრდენი ჟამთააღმწერელის ცნობებს.

არსად, არც ჟამთააღმწერელს და არც სხვა რომელიმე მემატანეს არა აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი ვარსკვლავთმრიცხველია, რომ ფილოსოფიურ ლექსებსა და ტრაქტატებს წერს და სხვა ვაჟკაცისა და ბრძენი ჭაბუკის ყველა ეს თვისება მე მივანერე ლაშას და ყველაფერი ეს ისეთი თვისებებია, რომლებიც არაჩვეულებრივ, დიდ ადამიანებს გააჩნიათ. რაც შეეხება ქალებით გატაცებას, ეს ბუნებრივი უნდა ყოფილიყო 18-20 წლის ჭაბუკი მეფისათვის. მოიგონეთ ბიზანტიის მეფეების პორტრეტები შარლ დილის წიგნიდან, ან ვენეციელი დოჟები და ფლორენციელი მთავრები, რომლებიც სატრფობის აივნებზე ცოცხდებოდნენ ხოლმე და ფანჯრებიდან ხტებოდნენ. გაისხენეთ შ. მანის ჰენრი მეოთხე, რომლის კარიც სავსე იყო საყვარლებით, მაგრამ ქალთა მოყვარეობამ სრულიად არ შეუშალა ხელი ჰენრი მეოთხეს ჰასაკში შესვლისას დადინჯებულიყო და უდიდესი სახელმწიფო საქმეები ეკეთებინა. და ბოლოს გავიხსენოთ ბატონებო ბიბლია, რომელიც დღემდე მორწმუნეთათვის წმინდა წიგნად ითვლება. ამ წმინდა წიგნში ისეთი გმირიც კი, როგორც დავით წინასწარმეტყველია, ნაჩვენებია მთელი თავისი ცდუნებებითა და გატაცებებით. იგი მოხუცებაშიც კი აღივანება სიყვარულით, ჰურია ქეტელს ცოლს ართმევს, ბერსაბეს ქმარს ომში გზავნის და აკვლევინებს უდანაშაულო ადამიანს, რათა მისი ცოლი დაინარჩუნოს.

თუკი ამ საღვთო წიგნში შეიძლება ასეთ ამბებს დაეთმოს ადგილი, ნუთუ ჩვენ ესოდენ პურისტები ვართ, რომ 20 წლის მეფის ჭაბუკური ვნებების ჩვენება მკრეხელობად მოგვეჩვენოს?

ლაშას მე ვხატავდი ისე, როგორც მას ვხედავდი, წინააღმდეგობებით, ავითა და კარგით, ცოცხალსა და სისხლსავსე ჭაბუკს და არა ბიზანტიური ფრესკასავით მკვდარსა და უსიცოცხლოს. იგი ომში ვაჩვენე უებრო გმირად, ხოლო ლილესადმი წმინდა რაინდულ სიყვარულში უაღრესად კეთილშობილ ვაჟკაცად. წიგნი თავიდან ბოლომდე ლაშასადმი სიმპათიითაა დაწერილი და ამის საუკეთესო გამოხატულება ისიც არის, რომ მე წიგნს ვუწოდებ „ლაშარელა“ – ფოლკლორიდან შემოტანილი მზის ღვთაების მოფერებითი სახელი.

ვისაც „ლაშარელა“ ყურადღებით წაუკითხავს, იგი დაინახავს როგორი მოკრძალებით ვიხსენიებ მე თამარსა და დავით აღმაშენებელს. თამარს ყველგან ნეტარსა და წმინდას ვუწოდებ. ლაშას მოქმედების მაგალითად მე ყველგან დავითი მყავს, რადგან იგი იყო უბრძნესი და უძლიერესი მეფე საქართველოსი, ლაშა ყველგან მას ბაძავს საქმეების გადნეყვეტისას და თუ იგი თავისი დიდი პაპის მსგავსად ვერ ახორციელებდა თავის მიზნებს, ამაში იმდენად თვითონ კი არ იყო დამნაშავე, რამდენადაც მისი გარემო პირობები, სწორედ ამიტომ იყო ლაშა ტრაგიკული პიროვნება და მე მას კი არ ვკიცხავ, ყველგან თანაგრძნობითა და სიყვარულით ვხატავ.

ამხანაგებო! მე როდი ვიცავ ჩემს წიგნს იმ კრიტიკისაგან, რომელმაც სამართლიანად აღნიშნა მისი ბევრი ნაკლი, მასში მე თვითონ უფრო მეტ ნაკლს ვხედავ. მაგრამ მე ვერ შევურიგდები წიგნის იმ შეფასებას, თითქოს იგი ანტიპატრიოტული და ერის შეურაცხყოფელი იყოს. მე ამაში ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რადგან მთელი ჩემი სიცოცხლე და შემოქმედება ჩემი ქვეყნის სიყვარულისა და შეძლებისამებრ მისი სამსახურისთვის მინდა. მე აქ არ ვაგახსენებთ ჩემს პოემებსა და ლექსებს, სადაც მე საქართველოს გმირი მეფეებისათვის მიმღერია. მე ქართველ მეფეებზე მაშინ ვწერდი ქებას, როცა მათი ხსენება ბევრს არც ეპიტინავებოდა. ამის გამო, მე მომხვედრია კიდევ კრიტიკისაგან.

ახლა, როცა ჩვენი მეფეებისადმი ლექსების მიძღვნილ და მათი ხსენებით სხვები პატრიოტების გვირგვინს იდგამენ, მე გიჟი უნდა ვყოფილიყავი, რომ ქართველი მეფეები მეგინებინა და დიდი თამარის სახელი შეურაცხმეყო, როგორც ამას ჩვენი თამადაები სუფრაზე ჩემი სახელის თრევისას ამტკიცებენ. ფორმულეზად ჩემი ლანძღვა პროფ. თოფურიაძე ჩამოაყალიბა. გულუბრყვილო, საქმის უცოდინარმა ადამიანებმა დაუფერეს მას, რადგან აკადემიკოსის სახელი ჩვენში პატივისცემით სარგებლობს.

ჩემი შრომის ესოდენ ბოროტად შეფასება პროფესორ თოფურიაძის სინდისზე იყოს. მე მას მინდა გავახსენო, რომ მხატვრული წიგნის შეფასებაში შემცდარა ხოლმე ისეთი ავტორიტეტული დაწესებულებაც კი, როგორც საფრანგეთის აკადემია იყო და საფრანგეთის უკვდავთა აკადემიას თოფურიაზე ცოტა უფრო განათლებული და საქვეყნოდ აღიარებული სწავლულები ჰყავდა თავის ნევრებად. რაკი სინდისი ვახსენე, აქ ერთი ამბავი უნდა მოვიგონო, თუმცა არ ვიცი რამდენად შესაფერისია მისი აქ გამოტანა: პროფ. თოფურიაძის „ლაშარელა“ მე გავუგზავნი. ერთი კვირის შემდეგ, მან ტელეფონით დამირეკა და აღბათ, არ უარყოფს რომ დიდი მადლობა გადამიხადა, მომილოცა შესანიშნავი წიგნის დაწერა, მითხრა რომ აღფრთოვანებულია „ლაშარელათი“ და მისურვა კიდევ ბევრი ასეთი წიგნის დაწერა. შემდეგ პირადად შეხვედრისასაც პროფესორმა იგივე გამიმეორა ხოლო „იმელში“, როგორც გახსოვთ, უკანასკნელი სიტყვებით მაგინა. ამ მოქმედებას მე თავის სახელს არ დავარქმევ და ესეც პროფ. თოფურიაძის სინდისზე იყოს.

იქნებ ვინმე ჩემი წიგნის გაბიაზრებით პატრიოტული კაპიტალის შოვნას ფიქრობს, მაგრამ არა მგონია, ჩემი ლანძღვით მოპოვებული სახელი დიდხანს შერჩეთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ამ სენსაციით იშოვეს საეჭვო დაფინანსებები.

თუ ჩემი წიგნი მართლაც ცუდია, მას არავის დაცვა არ უშველის, მაგრამ თუ იგი ისეთია, როგორც მე მინდოდა ყოფილიყო, მას მომავლის მიუდგომელი მკითხველი შეაფასებს, მეც ჯეროვანს მომიზღავს მისი ნაკლისა და სიკეთისათვის და ჩემი მსაჯულების მოქმედებასაც თავის სახელს დაარქმევს.

ამხანაგებო, მაპატიეთ ჩემს სიტყვაში, თუ რამ გადავაჭარბე და რაიმე ნორმებს გადავცდი. მაგრამ მე ისეთი წყენა და ტკივილი მომაყენეს, რომლის მსგავსი ხშირად სიკვდილს უდრის. ამ დიდი სულიერი კრიზისის პირობებში, მე აღმომაჩნდა იმდენი სიმტკიცე, რომ გამეგრძელებინა მუ-

შაობა: ახლახან დავამთავრე დრამატული პოემა „ლეგენდა პირველ თბილისელებზე“ და ამჟამად ვმუშაობ „ლამარელას“ მეორე წიგნზე. მე მჯერა, რომ მეორე წიგნი ნათელს მოჰყვინს პირველი წიგნის ბევრ მხარეს და მასში ცვლილებებსაც შემატანინებს.

მეორე წიგნის დამთავრებასთან ერთად მე წარუდგენ მკითხველს „ლამარელას“ ახალ რედაქციას, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა სამართლიანი შენიშვნა და გასწორებული ყველა ის ნაკლი, რომელზედაც მიუდგომელმა ბატონებმა მიმითითეს და რომელთაც მეც თვითონ კარგად ვხედავ.

როგორ ვკითხულობთ პლანისას

ეკა ჩიკვაძე

თვითშეამცნება – ქრონოტოპის განმსაზღვრელი



მიხაილ ჯავახიშვილის „ჯავახ სიხანის“ მიხედვით

თვითშეამცნება, დრო და სივრცე ის ცნებებია, რომელთაც სტანდარტული ახსნა, აქსიომატური განმარტება არ მიესადაგება. თითოეული მათგანი ისეთია, როგორც კონკრეტული ადამიანის აღქმა-გააზრების უნარი.

და მაინც, რა არის ქრონოტოპი? მიხაილ ბახტინისეული ტერმინი ქრონოტოპი (ქრონოც-დრო და ტოპოც-ადგილი) რაიმე მოვლენაში დროისა და სივრცის თანხვედრასა და ერთიანობას გულისხმობს. კაცობრიობამ, სასუფეველში „პატივსა შინა მყოფმა“, უკვე დაცემის, „განძარცვა-განშიშვლების“ შემდგომ გაიცნობიერა, რომ ეს პატივი „ვერა გულისხმა-ჰყო“ და, შემცოდე ბუნებისა და ხორცის განშიშვლებით დარცხვენილმა, დაიწყო ფიქრი, თუ სად იყო და სად აღმოჩნდა. დროისა და სივრცის ურთიერთმომართება რელიგიურ ლიტერატურაში, ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა თუ მხატვრულ ნაწარმოებში ძალზე რთული და მნიშვნელოვანი საკითხია. მსოფლიოს ყველა ხალხს აქვს გუშინ, დღეს, ხვალ, მაშინ, ახლა და მერე, ე. ი. წარსული, აწმყო და მომავალი. ყველამ იცის (ან იცოდა) ნუთისოფელი და საიქიო (სულეთი), იცის აქ და იქ. მსოფლიოს ყველა მწერლის ნააზრევს აქვს სამოქმედო დრო და სივრცე (რეალური თუ ირეალური, კონკრეტული თუ ილუზიური). რადგან მწერლობა სწორედ ცხოვრების (ფიზიკურის თუ მეტაფიზიკურის) ასახვაა, დრო-სივრცის (ქრონოტოპის) განსაზღვრაც მნიშვნელოვანია მწერლის-

თვის და, ამავე მიზეზით, პერსონაჟის (პროტაგონისტის) ფსიქო-ფილოლოგიური ანალიზისთვისაც.

რა არის თვითშეამცნება? დ. გურამიშვილს დავიმონებთ: „ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“... კითხვათა ამ ჯაჭვზე გაცემული პასუხია სწორედაც თვითშეამცნება. საკუთარი თავის შეცნობა იწყება იმის გააზრებით, თუ ვინ ხარ და საიდან მოსული, რასაც სად ხარ და სად წახვალ კითხვებზე პასუხის გაცემა მოსდევს. თავის შეცნობა საფეხურებრივი, თანდათანობითი თვითჩაღრმავებაა, უკანმიმართული მზერაა, საკუთარი მდგომარეობის, ცოდვის, სისუსტის, მნიკვლის, მოთხოვნილება-საჭიროებათა გაცნობიერება (ე.ი. აღსარებაა, ერთ-ერთი შვიდ ქრისტიანულ საიდუმლოთაგან, აღსარება კი იგივეა, რაც სინანული). და, რამდენადაც პარადოქსული უნდა იყოს, ეს უკანმიმართული მზერა პირდაპირპროპორციულია ზეცისკენ, უფლისკენ გავლილი გზისა. ეს ის შემთხვევაა, როცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეტროსპექტივა და პერსპექტივა ერთმანეთს უდრის. ეს არის არა ილუზიური, თუმცაღა წარმოსახვითი, არა ხილული, არამედ შეგრძნებადი, მეტაფიზიკური სივრცე, სიბრტყე, სადაც მოქმედება თანადროულად ორ პლანზე – უკან და წინ, სულის სიღრმისა და ზეცისკენ ვითარდება. თუკი უპასუხოდ დატოვებ კითხვებს, ვინ ხარ და საიდან მოსული, ვერც იმას მიხვდები, სად წახვალ, რაც პრინციპულია ქრისტიანთათვის. ხოლო თუკი ამგვარად აზროვნებ და იღვნი, შეიძლება სულიერი თვალის, ცნობიერება, გონება, ფიქრი ორმხრივ, თანადროულად ორი მიმართულებით – საკუთარი სულისა და პირველმიზეზისკენ – წარმართო. ამგვარი თვითჩაღრმავებით შეიძლება „ნეტარი ავგუსტინეს აღსარებისა“ თუ იოანე სინელის „სათნობათა კიბის“, ან აგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებიც დაინეროს, „დავითიანის“ ტიპის საეროც (თუ საერო-სასულიერო?! ) და „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ცალსახად საერო-სამიჯნურო თხზულებაც (სადაც უმთავრესი სიყვარულით შექმნილი სამყაროს პირველხატის, კოსმოსის პირველმოდელის სიყვარულითვე აღდგენაა, იმ სამყაროსი, სადაც „თხა და მგელი ერთად“ მოძოვენ). წარმართო, ე. ი. ამოძრაო. დრო კი მოძრაობაა. თუმცაღა, ამ შემთხვევაში მოძრაობა იქნება წრფივი. ამიტომაც შენიშნავენ, რომ „ქრისტიანებისთვის დრო სწორხაზოვანია“ (ოქტავიო პასი). მაგრამ თუკი არ

ფიქრობ, არც შინაგანად, ანუ სულიერად მოძრაობ, ე. ი. „ცოცხალი მკვდარს ემსგავსები“ (ნ. ბარათაშვილი), ან „გძინავს“ ლეიდილშიც (ილია), ე. ი. ხარ „უგრძნობი“ და ამ „უგრძნობელობით უსაზარლესი მკვდარზე“ (ვაჟა), „ბიოლოგიურად მოდუნებული და სულიერ-პოტენციალურად გაბერებული“, სიკვდილივით მატარებელი სიცოცხლისა, კისერზე ჩამოკიდებული (გაძალღებული ცხოვრების) ლეშისა (მ. ჯავახიშვილი), რომელიც იმიტომ, რომ არ (ვერ) იმარხება (იძულებითი არსებობის და ამ არსებობის სისაზიზღრის გამო) დღითიდღე ყროლდება.

„ჯაყოს ხიზნებს“ 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვავა ჩემი სულის“, – წერდა ნეორეალისტი მიხეილ ჯავახიშვილი. თანამედროვე რომანებს „სულის ბიოგრაფიებსაც“ უწოდებენ (მაია ჯალიაშვილი). სულის, მხოლოდ უსუსური, უმწეო, უსაფუძვლო, უნიადაგო... ნაკაცარის უღონო სულის ბიოგრაფიაა „ჯაყოს ხიზნები“. შემოქმედებითა თვალთახედვამ ნეორეალისტი მ. ჯავახიშვილი დიდ რეალისტ წინამორბედთან – ილიასთან დააკავშირა („ნეორეალიზმს საფუძვლად უდევს იგივე კლასიკური რეალიზმი შემდეგი გამეორებით, დამატებითა და განმარტებებით: განუკვეთელი კულტურული მთლიანობა წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა. შენახვა ჯანსაღი კულტურული ტრადიციებისა და დაცვა თანამიმდევრობის პრინციპისა... კულტურა ადამიანისა და ადამიანებისა“ – მიხეილ ჯავახიშვილი), მისი რომანი „ჯაყოს ხიზნები“ კი, – „კაცია-ადამიანთან“ თათქარიძეობას არაფრობა უწოდა აკაკი ბაქრაძემ. არაფრობა არა მხოლოდ თათქარიძის, არამედ იმ საზოგადოების მახასიათებელია, რომელმაც ლუარსაბი შვა. ამ თვალსაზრისით, არაფრობაა ის საზოგადოებაც, რომელმაც თეიმურაზები და ჯაყოები წარმოშვა. ლუარსაბობა არაფრობაა უპირველესად იმიტომ, რომ იგი ხორცში შთაფლული სულია, რომელმაც დაკარგა მიმართულება, სწრაფვა უფლისკენ, იქცა ხორცად, მინად, რომელიც მინამევე შთანთქა. თუკი ჯაყო-თეიმურაზის სახეთა გენეზისს დავუბრუნდებით, ისიც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ არაფრობა-ლუარსაბობა „ჯაყოს ხიზნებში“ ორ სხვადასხვა სახეში გადავიდა: არაფრობა-თეიმურაზსა და არაფრობა-ჯაყოში, სწორედ დროისა და სივრცის შესაფერისად. ამიტომაც „არაფრობის უარყოფა“ (ა. ბაქრაძე) „ჯაყოს ხიზნებში“ ისევე გრძელდება, როგორც (რატომღაც) გაგრძელდა უნაყოფოდ გადაგებული არაფრობა-ლუარსაბობა არაფრობა-ნაკაცარ, ბრინკადექვეულ თეიმურაზსა და არაფრობა-ჯაყოში. ერთი სახე თითქოს გაიშალა და განვითარდა დრო-სივრცის შესაფერისად, შეიძლება ითქვას, რომ ესაა (მათი სახე-ხასიათი და სულიერ-ზნეობრივი მდგომარეობა) არა მხოლოდ მოძრაობა რეგრესში, არამედ, პროგრესი რეგრესში. უბედურება კი ის არის, რომ, თუკი არაფრობა-ლუარსაბობა არ ჰყავს გამგრძელებელი, ჯაყო-თეიმურაზის უცნაური ჰიბრიდი ხევისთავის გვარისაა! ხდება სრული და ლოგიკური, თუმცაღა ამაზრზენი ჩანაცვლება. ჩანაცვლება ხდება დროითი (რადგან ჯაყოა ხევისთავთა წარსულის მიმთვისებული და მოძალადე მემკვიდრე, აწმყოს განმკარგველი და მომავლის მიმცემი. თითქოს საგანგე-

ბოდ ირღვევა „აწმყო, შობილი წარსულისაგან“... დროის განკარგვა ჯაყოს ხელშია, რადგან თეიმურაზი იოლად თმობს ასპარეზს), სივრცული (რადგან ჯაყო ითვისებს ხევისთავის ვალმოხდილ წინაპართა მამულს, ყოფილი ბატონი კი მხოლოდ ხიზნის მდგომარეობაშია), მიზეზი, როგორც ერთის, ისე მეორისაც (დროითი და სივრცული ჩანაცვლებისა), ღირებულებათა კომპრომისია, ფასეულობათა დათმობაა, არასწორად წარმართული ძალისხმევია, ფუჭად დაკარგული ენერჯიაა, რომელიც საკუთარი თავის განდიდებისკენაა მიმართული და არა ქვეყნის საშველად, უქმი ცოდნაა, რომელიც არავისთვისაა შედეგის მომტანი – არც მცოდნისა და არც მსმენელისთვის, ის ძველი ამპარტავენება-დაუდევრობა-უდარდლობა-გულგრილობაა..., რამაც ილიას არაერთხელ ათქმევინა: „იმიტომ, რომ ქართველია!“ და რამაც განაპირობა თეიმურაზის ჩივილი – „უბედურებაა, რომ საქართველოში დავიბადე!“ პრინციპულად სწორია, რომ ლუარსაბიცა და თეიმურაზიც უშვილონი არიან. კაცმა რომ თქვას, მათ არც უნდა ჰყავდეთ შვილი, რადგან ერთის სურვილი „დავითის გამოჯავრებით“ არის განპირობებული, მეორისა კი მხოლოდ იმით, რომ ასეა ყველა ოჯახი. თავის მხრივ, საინტერესოა ფუნქციური უნაყოფობის ხაზი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში სათავეს რუქას სახეში იღებს, ხოლო ძირი ბიბლიაში აქვს. რუქა უნაყოფო სიბრძნეა, ლუარსაბი უნაყოფო ხორცი, გვამი, ცოცხალი ლემი, შედეგი უმოქმედობისა. თეიმურაზი კი ურწმუნოება, უსუსურობა, ნიჰილიზმი და უპრინციპობა. თეიმურაზს არ ჰყავს მემკვიდრე, მაგრამ, სამწუხაროდ, მ. ჯავახიშვილი ხედავს სამნაცოლარი და მრავალშვილიანი ჯაყოს პერსპექტივას. იგი და მისი ნაშეიერები კიდევ დიდხანს იქნებიან ჟამისმფლობელები! ისინი იპყრობენ სივრცეს, იმ სივრცეს, რომელსაც უბრძოლველად ტოვებენ უმოქმედო, უსუსური და ლაჩარი თეიმურაზები. ხოლო ისევე და ისევე იმიტომ, რომ დრო მოძრაობაა, უმოქმედო ხევისთავის ყოფნაც არყოფნაა. იგი იყო და არც იყო, მაგრამ ეს ზღაპრული „იყო და არა იყო რა“ კი არ არის, ყოფნა-არყოფნა „კაცისა, ადამიანისა(?)“, რომლის „არც მოსვლით შემატებია ქვეყანას რამე და არც წასვლით დააკლდება“, ლუარსაბის მსგავსად. ამ ორი სახე-ხასიათის რეგრესულ პროგრესს თუ გავითვალისწინებთ, ჯაყო-მარგო-თეიმურაზის ნაშეიერი „მშობელთა“ „ღირსეული“ მემკვიდრე და საქმიანობის გამგრძელებელი იქნება. რას ნიშნავს მოძრაობა რეგრესში, ან პროგრესი რეგრესში? მოძრაობა რეგრესში „ცოდვის მორევში ტრიალია“, ხოლო პროგრესი რეგრესში – უსასრულო ვარდნა ცოდვის მორევისკენ, საიდანაც ამოსვლა ძლიერი ნებელობის გარეშე ძალზე ძნელია და რაც ლუარსაბის ადამიანობისგან დაცლილი პოტენციის განვითარებად გვესახება ამ კონკრეტულ შემთხვევაში. თუკი სახარებისეულ მოდელს გავიხსენებთ, ესაა პატივი – დაცემა – სინანული – აღდგომა (სწორედ ამ თვალსაზრისით ავლებენ პარალელს უძლები შვილის სახარებისეულ იგავთან. გავიხსენოთ ფსალმუნიც: „კაცი პატივსა შინა იყო და ვერა გულისხმაჰყო“). თეიმურაზიც იყო პატივში (ამ პატივს შეენირა მისი და არამარტო მისი ცხოვრება. ამ თვალსაზრისით, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეიმურაზი საზოგადო მოღვაწის, ე. ი. ისევე და ისევე კაცის,

ადამიანის, ილიასეული იდეალის ანტიიდეალია, ანტინომიური სახეა, რადგან ილიასეული საზოგადო მოღვაწე ქვეყნის ზვარაკია, ხოლო, საპირისპიროდ, საზოგადო მოღვაწე თეიმურაზის ზვარაკი – უპატრონოდ დაგდებული სამშობლო). რა ემატება ლუარსაბის სახე-ხასიათს თეიმურაზის ან ჯაყოს შემთხვევაში? რატომ არიან, ერთი მხრივ, „ნიგნის ჭია“ თეიმურაზი და, მეორე მხრივ, გაუნათლებელი, თმაგაბურძგნული და სუნიანი ჯაყო უნიგნური ლუარსაბის მეგვიდრენი? თეიმურაზი თვითკმაყოფილი, ინდიფერენტული, ბედისა და უბედობის თანაბრად აღმქმელი, ბედთან შემგუებული ადამიანია. ეს ინდიფერენტობაში ამაზრზენია, ხოლო ამაზრზენი ინდიფერენტობის ფონზე თვითკმაყოფილება – გასაოგნებელი. „მორწმუნე“ ლუარსაბი ცრურწმენებით ცდილობს ნაყოფიერების აღდგენას (ცრურწმენა ურწმუნოების გარკვეული გამოვლინებაა), ჯაყო საკუთარი შვილებით მანიპულირებს, ნაწილს ნათლავს (ყოველი შემთხვევისთვის), ნაწილს კი უნათლავად ტოვებს (ვინ იცის, რაში გამოადგეს!) (ცხადია, არც ჯაყოა სარწმუნოების მსასობელი!), თეიმურაზი ჩივის, რომ „რწმენისა და ურწმუნოების ორლობეშია გაჩხერილი“. მიუთითებენ, რომ „რომანში მთავარი სწორედ რწმენისა და ურწმუნოების პრობლემაა...სწორედ ურწმუნობა...ქმნის თეიმურაზ ხევისთავის სახის იდეას, ხოლო საკუთრივ სახე, ხასიათი, ხასიათის კონკრეტული თვისებები...მისი სატირული პროექციაა“ (**თამაზ ვასაძე**). უჭკუო ლუარსაბი ჭკუაში „ატყუებს“ პირფერ და გაიძვერა დათიკოს, უჭკუო და გაუნათლებელი ჯაყო კი მართლაც ახერხებს ბრიყვი თეიმურაზის გაბითურებას და ნათავადარ ნაკაცარს ხიზნად აქცევს. ლუარსაბს არ ადარდებს მომავალი, ცხოვრებას (ჯაყოსავით) გამძღარი კუჭით აფასებს; ჯაყო წინ მუშტით, ძალადობითა და გაიძვერობით იყურება (მას არაფრის ეშინია!), თეიმურაზი კი წუხს, რომ „წარსულმა მოატყუა, აწმყო აწამებს, მყობადი აშინებს“ და ბეც თვალს ინტიტიტურ ხედვასაც უქვემდებარებს, რომ არაფერმა შეაწუხო. ის არა მარტო ბრმა, ყრუცაა, უფრო სწორედ, თითქოს ძალით იყრუებს თავს, რომ არაფერი გაიგოს, არც მარგოს მხილება და არც დროსმორგებული ნამდვდლარის, ივანეს, „შემგონებლური“ სიტყვები. ნიშანდობლივია, რომ დროის კატეგორიის მიზანმიმართულ აღქმა-გააზრებას თხზულებაში სათანადო ლექსემური ფორმები, გაარსებითებული ნამყო დროის მიმღობები ამძაფრებს. მ. ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებში“ ყველას და ყველაფერს ნა-არ (//ნა-ვე) კონფიქსს უქვემდებარებს: ნაბატონარი ხევისთავი ნაკაცარი და ნაქმრევი, ჯაყო –



მიხეილ ჯავახიშვილი

ნამოჯამაგირალი, ნაყმევი, ნამოურავალი, ივანე – ნამლვდლარი, მარგო – ნაცოლარი, თვით სოფელიც ნაშინდარია... წინავითარების სახელთა მეშვეობით ავტორი ზუსტად აღწევს მიზანს, აღრმავებს ლექსემური ძირების შინაარსს. (ცნობილია, რომ წინავითარების სახელთა ფუნქციაა, საგანი დაასახელოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ, ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით (**აკაკი შანიძე**). ამ თვალსაზრისით, თეიმურაზის მთელი ცხოვრება ნა-არ//ნა-ვე კონფიქსშია მოქცეული და გასააზრებელი). ნეორეალისტი მწერალი თითქოს ამითაც გვეუბნება: აი, რა იყო ის ყველაფერი, რაც აღარ არის! (თითქოს გვეძლევა შედარების საშუალება ყოფილსა და ახლანდელს შორის). ხოლო აღარ არის იმიტომ, რომ არავინ იბრძვის მისი შენარჩუნებისთვის. ამიტომაც, ხევისთავობა უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ლუარსაბობა. თეიმურაზობა ჯაყოსთვის ასპარეზის დათმობაა, არაფრობაა აღმატებულ ხარისხში, რადგან თუკი ლუარსაბმა არაფერი იცის წიგნისა (ცოდნისა), ყოვლისმცოდნე თეიმურაზი წიგნის ჭია და ჩრჩილია (იგი უნდა იყოს მცოდნე, მაგრამ რაც მან იცის, არასოდეს არავისთვისაა საჭირო). ლუარსაბი ცხოვრობს იმისთვის, რომ ჭამოს და სვას და მის სულს ხორცი ნთქავს. ამგვარსავე ფუნქციას აკისრებს ცხოვრებას ჯაყოც (იგი მოძალადეა, მიმთვისებელია, მაგრამ არც იცის, რაში შეიძლება გამოიყენოს მიმთვისებელი ქონება. ამიტომაც ეამყება: „სუქდები და სუქდები“). ხოლო თეიმურაზის სული გაზეთის ნაგლეჯებმა შეიწირა (თუმცაღა ცოდნის რელიგიუზების უწარო არ შესწევს. უნაყოფობა მისი სულიერ-ფიზიკური მახასიათებელია, რადგან თეიმურაზის ცოდნაც უქმია, მისივე სხეულივით). თეიმურაზობა ხან უსუსურობით განპირობებული უმოძრაობა-უქმობაა, ხანაც მოძრაობა რეგრესში, ხან კიდევ უფრო მეტად დაცემა, პროგრესი რეგრესში, უსასრულო ვარდნა უფსკრულში, წინ, (!) ჯოჯოხეთისკენ. თეიმურაზი ცოდნამიღებული და დამშეული, ცხოვრებისგან უარყოფილი და დაშინებული ლუარსაბია, ჯაყო კი ცხოვრებისალოლებული, გაგაიძვერებული და კარგად გამოკვებილი თათქარიძე. თეიმურაზი დაგვაფიქრებს, რა მოხდებდა ლუარსაბს სწავლა-განათლება რომ მიეღო, ჯაყო კი გვიჩვენებს, რა შეუძლია მგლურინსტინქტვალვიძებულ თათქარიძეს. ერთის დრო წასულია, მეორე კი ჟამისმფლობელია, თუმცაღა (და კიდევ კარგი, რომ), – უნიგნური (რადგან წიგნი კიდევ ერთი იარაღი იქნებოდა ჯაყოს ხელში). ხოლო, როგორც ვთქვით, ამ რეგრესული პროგრესის სათავედ სწორედ ლუარსაბი გვესახება.

ყველა ადამიანი კონკრეტულ დროს და ადგილას იბადება და ცხოვრობს, ე. ი. მოქმედებს, მაგრამ თუკი ამ მოქმედებას (ილიასეული „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა...“) არ ახლავს ფიქრი საკუთარი ცხოვრების არსზე, ის კვდება, ცოცხლად ლპება (თეიმურაზის მსგავსად გაძალღებული ცხოვრება კისერზე ლეშად ჩამოეკიდება) ან ჯაყოსავით ცხოველად (პირგაპარსულ თუ გაუპარსავ მაიმუნად) იქცევა (თუმცაღა ჯაყო არაფრად ქცეულა, ის იმთავითვე ცხოველი იყო). ძლიერი პიროვნება თვითონ განსაზღვრავს ქრონოტოპს. მას შეუძლია, თქვას: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“ („ნაპოლეონი“) **(ნიკოლოზ ბარათაშვილი)**, ან კიდევ „მე ვარ ის სივრცე, სადაც ვარ“ **(გასტონ ბაშლარი)**. უსუსური კი ჩივის, რომ იქ არ დაიბადა, სადაც უნდა დაბადებულიყო („ჩემი უმთავრესი უბედურება ისაა, რომ ქართველად გამაჩინა... ღმერთმა დამსაჯა, რომ საქართველოში დავიბადე“) და უარყოფს ფესვებს, გენეტიკას, ხოლო ამითივე, – საკუთარ თავს. იგი საკუთარ ქვეყანაში ხდება „უცხო, უცხო შჯულით“. რადგან ფესვებს მონყვეტილია და უცხო (ხოლო გაუცხოვება ხდება არა მხოლოდ სულიერ სიბრტყეში), უცხოა მისი მსოფლმხედველობაც. მისი უბედურება არა მხოლოდ ის არის, რომ გაუცხოვებულია, გარემოსთვის უცხოა მისი სიტყვაც კი (რითაც თავმომწონებს კიდევც), არამედ ის, რომ მის სიტყვას არასოდეს მოსდევს საქმე (მისთვის უცხოა „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“, – სულხან-საბა). ხოლო რაკი უცხოა, ტრადიციების უარყოფელიცაა, ანუ სწავლობს სწავლისა და თავმომწონებისთვის, და არა თვითშემეცნებისთვის, ანუ უფლის გზაზე დასაყენებლად (რაც ოდინდელი ქვემარტება ყოფილა ქართველთათვის: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა ნყობისა“, – რუსთველი). რაკი თვითშემეცნება ან არ ხდება, ან თუკი მცდელობა ჩანს, წარმართულია არასწორად, მამ დრო-სივრცის პრობლემა რეალური და ილუზიური ყოფის, არსებობის უარყოფიდან „ვარდისფრად დანისლულ დასავლეთზე“ ფუჭი ოცნებების სამყაროსკენ, ე. ი. არაფრობამდე მიმყვანი პრობლემაა ამ გმირისთვის. თუკი მ. ჯავახიშვილის სიტყვებს დავიმონებთ, „მხოლოდ რწმენა და განვითარებული გონება განასხვავებს მეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისგან“ **(მიხეილ ჯავახიშვილი)**. თეიმურაზს მხოლოდ მეორე აქვს. ე. ი. ხევისთავს ჯაყო-ლურასაბისაგან განვითარებული გონება გამოარჩევს, მაგრამ ურწმუნოება მის „კაცად, ადამიანად“ აღქმას აძნელებს. ამიტომაც არის იგი „ცალხელა და ცალფეხა“, ამიტომვე უწოდებს თავის გმირს ავტორი ნაკაცარს. ილიას გროტესკით წარმოთქმული „კაცია-ადამიანი?!“ ამ პერსონაჟებთან მიმართებით კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს. გიორგი მერჩულე ერთმანეთისგან გამიჯნავს ორი სახის ცოდნას: ფიზიკურს („უნყებას“) და სულიერს, რომელიც უფლის სმენას, „მეცნიერებას“ გულისხმობს (გრიგოლმა „არა უწყოდა“, სად მიდიოდა, თუმცა, „არა უმეტარ იყო“). აქ პირიქითაა. თეიმურაზმა ყველაფერი იცის, მაგრამ უმეტარია, არაფერი იცის სინამდვილეში. ხევისთავი შორს, ზანზიბარისა და ახალი ზელანდიისკენ იხედება და ახლოს კი ვერავის და ვერაფერს ამჩნევს. ვერც ჯაყოს დაპყრობა-მოტყუებისა და ვერც

„ჯვარცმული ანგელოზის“ – მარგოს ჯვარცმა-მოკვიდნების პროცესს. ვერ ხედავს და კლავს მარგოში ადამიანს. ვერ ხედავს, სად არის, რადგან არც არასდროს უცდია დახევა. ვერ ხედავს, რადგან არასდროს უსწავლია საკუთარი თავის შესაცნობად. მისი ცოდნა ფუჭი და უქმია, არავისთვის არაფრის მიმცემი. ბეცი ნაკაცარი „შორს იხედება“, მცოდნე კაცის პოზით მსჯელობს ინგლისის პოლიტიკაზე და არ ინტერესდება ანმყოთი და მომავლით საკუთარი ქვეყნისა, ე. ი. საკუთარი თავისა, რადგან თვითწაღრმავება წარსულიდან ანმყოს გავლით მომავლის დამკვიდრებაა, თვით მყოფობაა, იმედია მყოფობისა („ანმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მყოფობისა“, – ლაიბნიცი) და არა სიკვდილი, მით უმეტეს, თვითმკვლელობა (თუმცაღა ხევისთავს არც თავისმოკვლა შეუძლია). ის ბეცია, რადგან ვერ იცნობიერებს, „ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, ნავა სადაო“ და, პირიქით, ვერ იცნობიერებს იმიტომ, რომ ბეცია. ეს ის სიბეცეა, ის სულიერ-ფიზიკური სიბრმავეა, რაც სახარებისეულ იგავებში გვაქვს, სადაც თვალის ახელა ორივე სიბრტყეში ხდება და ხორცთან ერთად სულიც იკურნება. მაგრამ განკურნებას წინ უსწრებს სრული დაცემა-განადგურება. ასევეა აქაც. ხევისთავი რწმენადაკარგული ქართველია, რომელსაც არ სჯერა ეროვნული ენერჯის, ნიჰილისტია, რომელიც საკუთარი დამოკიდებულების გამო სულით მიწაზე ჯოჯოხეთს გამოსცდის. ჯოჯოხეთს კი გამოსცდის იმიტომ, რომ უნიადაგო და უმოძრაოა. ხოლო რაკილა ბუნებაში სტატიკაში არაფერი გვხვდება, მისი ეს გარეგნული უმოძრაობა სულიერი რეგრესისა და უსასრულო ვარდნის ტოლფასია. თეიმურაზი ბრძოლას უბრძოლველად აგებს, უსაზარლესი ფორმით კარგავს ყველაფერს და გახდება ხიზანი, ღირსება, თავ- და ნებადაკარგული ადამიანი, უსარგებლო მონა გაიძვერა „ნათლიამისა“. ნებადაკარგული ადამიანი კი ველარ ახერხებს უფლის შვილობას, რადგან ვერ იცნობიერებს საკუთარ მდგომარეობას, ველარ ხვდება, რა მოიმოქმედოს, რომ აღადგინოს ხიდი, კავშირი უფალთან, გადოს „რე-ლიგა“. და როცა ყოფისთვის თვალის გასწორებას შეეცდება, აღმოაჩენს, რომ ნაცოლარისა და ნამოჯამაგირალის შვილი მისივე ნებართვით მისივე გვარის მატარებელია. უსუსური პროტესტით დათანხმდება უცნაური „მემკვიდრის“ გაზრდაში მონაწილეობაზე, ოღონდაც მარგოს ნახვის უფლება და ნება მისცენ (მისმა სულმა შეუჭირვებლად განვლო გზა ბატონობიდან ხიზნობამდე!), მის სიახლოვეს იყოს!!! მზადაა, იყოს „სულიერი ქმარი“ ცოლყოფილისა, ხოლო როცა მიხვდება, რომ ჯაყოს ფიზიკური ცოლის სულიერი ქმარი ველარ იქნება, „სულიერი ქმრობის“ სურვილს „სულიერი ქმობა-მეგობრობის“ სურვილი შეენაცვლება. დრო-სივრცის აღქმა (მხოლოდ სრული დაცემის შემდეგ) მძიმედ, უსასტიკესი ტკივილებით ხდება, რასაც მზერის უკან, საკუთარი თავისა და განვლილი ცხოვრებისკენ მიმართვა, თვალის ახელა მოჰყვება. მხოლოდ სრული დაცემა-განადგურების შემდეგ დასვამს კითხვებს (უნინ პატივისა შიგან მყოფი) ნათავადარი თეიმურაზი: რატომ? როგორ? რასაც ჯერ პროგრესული რეგრესის (ანუ ცოდვაში ვარდნის) შეჩერება მოჰყვება, ხოლო შემდეგ, – თვით ცოდვის მორევში ტრიალისაც (ე.ი. რეგრესში მოძრაობისაც). ხე-



ვისთავი ნელ-ნელა იცნობიერებს დანაშაულს უფლისა და მოყვასის წინაშე. ამიტომაც მიუსადაგებს საკუთარი აღსასრულის ფაქტს სიტყვას „ჩაძალდა“. ამიტომაც იტყვის: „წარმავალი ხარ, საბრალო, სუსტი და მომაკვდავი, იმიტომ შეგიზიზღა!“ სწორი გზის მოძებნა მძიმედ, ნელ-ნელა მოხდება, რადგან უშედეგო აღმოჩნდება მცდარი, ცრუ-გზის მიდევნა და ვითომ ფეხზე წამოდგომა თავის მიერვე შედგენილი „მგლური კანონებით“. სიბეცე ორჯერ დატოვებს თეიმურაზს, ორჯერ ჩამოშორდება ჯერ ლეკვის, ხოლო შემდეგ ძაღლის ლეშის სუნი. ორივეჯერ სულის ძიების, სინამდვილისთვის ბეცი თვალის გასწორების, სიმხდალე-უსუსურობის დაძლევის, უფალთან მისვლის მცდელობის, უფლისკენ სავალ გზაზე დადგომის შემდეგ; როცა იწყებს ფიქრს, ოღონდ უკანმიმართული მზერით („მეც ვნახე, მეც განვიცადა, ეხლაც მწამს, ეხ-

ლაც ვსტირი“); როცა თავმოწონებობას შეცვლის დაეჭვება, დაეჭვებას – საკუთარი მდგომარეობის გაცნობიერება და სახელდება, რომ „საბრალო და სუსტია“, თვითკმაყოფილებას კი, – სინანული; ხოლო როცა ინტუიტურად ბეც, ძლივსახელილ თვალებს მიაპყრობს საკუთარ თავში შეურაცხყოფილ ღმერთს, დაიწყებს ლოცვას („ცრემლით ლოცულობს თეიმურაზ ხევისთავი“!), რომ გადარჩეს (ამოიღებს ხატს მამაპაპისეული ძველი კილოზნიდან, ე.ი. შეურიგდება და დაუბრუნდება ფესვებს); სწავლობს ფეხზე დგომას, როგორც დავრდომილი და იმკვიდრებს ადგილს იმ დროსა და სივრცეში, სადაც დაიბადა („გარეთ...სივრცეში ასვეტილა...კომკი, იმ კომკიდან მოსჩანს იმედის სანთელი“ და თეიმურაზ ხევისთავი დიდი ხნის შემდეგ „იმედნაკრავი“ „გულშეებით გაიღიმებს“, რადგან „აღარსად სჩანან ძაღლის მძორები!“).

ღიალოგი

# იაპონური ქიეზები ქართული მატინაესათვის

კაკა გუჯიაშვილს ესაუბრაბა ჰიროტაკე მაედა



– 1995 წელს ტოკიოს უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩავაბარე, – მიაბობს ბატონი ჰიროტაკე, – ვმუშაობდი თემაზე სეფიანთა ირანში მოღვაწე კავკასიური ელემენტის შესახებ. ჩემმა ხელმძღვანელმა, მსოფლიოში ცნობილი ირანისტმა, პროფესორმა ჰამედამ მითხრა: სპარსულ წყაროებში ბევრი ცნობაა საქართველოს და ქართველების შესახებ. იქნებ ეს ენა შეისწავლო და საკითხსაც ჩაუღრმავდეო. ასე ჩამოვედი იმ წელს პირველად თქვენს ქვეყანაში და სამი თვე დავრჩი. შემდეგ უკვე ორწლიანი მივლინებით ვმუშაობდი თბილისში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ჩემი ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები გრიგოლ ბერაძე და კარლო კუცია. ვსწავლობდი ენას, ვეცნობოდი მე-18 საუკუნის ქართულ ლიტერატურას და ისტორიულ წყაროებს. ვაქვეყნებდი სამეცნიერო სტატიებს იაპონიაშიც, ევროპაშიც და საქართველოშიც. დავუმეგობრდი ჟურნალ „არტანუჯს“. ისედაც, ბევრი ქართველი მეგობარი შევიძინე. ახლა უკვე ყოველწლიურად ჩამოვდივარ

ის ახალგაზრდა იაპონელი მკვლევარია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

პროფესიით ირანისტია და იკვლევს თემას: „კავკასიური წარმოშობის მოღვაწეები სეფიანთა ირანის შაჰის კარზე“.

ამ საკითხებზე მუშაობისას გაეცნო საქართველოს, თუმცა ჩვენი ქვეყნის სახელი მას უფრო ადრე, ჯერ კიდევ სტუდენტობისას გაუგია.

მერე საქართველოსაც ესტუმრა.

ჯერ 1995 წელს, ენის შესწავლის მიზნით.

შემდეგ 1999-2001 წლებში.

მას მერე ჰიროტაკე მაედა ყოველწლიურად ჩამოდის ჩვენს ყოფასთან გამინათურებული ქართულად მიაბობს იმ ახალმკვლევური ისტორიული წყაროების შესახებ, რომელშიც მეტად საინტერესო ცნობებია საქართველოზე. თუმცა წინასიტყვაობით თავი რომ არ შეგაწყინოთ, შეგიძლიათ ამ საუბარს თქვენც დაესწროთ და აი, ასეთი საინტერესო ამბებიც მოისმინოთ.

თბილისში ყოფნისას აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობს.

– ხომ იცით, ვაკეში რომ არისო, – მიხსნის და უკვე ჩვენს ყოფასთან გაშინაურებული ქართულად მიაბობს იმ ახალმკვლევური ისტორიული წყაროების შესახებ, რომელშიც მეტად საინტერესო ცნობებია საქართველოზე. თუმცა წინასიტყვაობით თავი რომ არ შეგაწყინოთ, შეგიძლიათ ამ საუბარს თქვენც დაესწროთ და აი, ასეთი საინტერესო ამბებიც მოისმინოთ.

– სპეციალისტია აზრით, თქვენს მიერ მოპოვებულ ცნობებს კავკასიის და კონკრეტულად საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს მთელი რიგი საკითხების კვლევის პროცესში. იქნებ გვიამბოთ ამ ცნობების შესახებ.

– ამ ეტაპზე ჩემი მიზანია, პირველ რიგში, გიორგი სააკაძისა და მისი აჯანყების შესახებ დაცული ცნობების შესწავლა. ვიცი, რომ შაჰ-აბას I განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა საქართველოსა და კავკასიის მიმართ. მართალია, მისი მმართველობის დროს განადგურდა და აოხრდა თქვენი ქვეყანა, მაგრამ ამავე დროს, საგრძნობლად გაიზარდა კავკასიური ელემენტის აქტივობა და გავლენა სეფიანთა ირანში.

ჩემი ნაშრომი „XVII საუკუნის ახალაღმოჩენილი სპარსული ქრონიკის ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ“ ეხება დღემდე სრულიად უცნობ სპარსულ ქრონიკას, რომელსაც ცოტა ხნის წინათ მიაკვლიეს დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. აღნიშნული თხზულება ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ ამ ქრონიკის ავტორის ბედი დაკავშირებულია მარტყოფის ბრძოლასთან.

**– როგორ მიაკვლიეს ამ წყაროს?**

– რამდენიმე წლის წინათ, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ირანისტი ჩარლზ მელვილი საკუთარ უნივერსიტეტში მანამდე ისქანდერ მუნშის ქრონიკის სახელით ცნობილ ერთ ძველ ხელნაწერს ათვალეიერებდა და მიხვდა, რომ სულ სხვა თხზულებასთან ჰქონდა საქმე. გამოკვლევის შედეგად მან დაამტკიცა, რომ ეს იყო მანამდე დაკარგულად მიჩნეული **ფაზლ იბნ ზაინ ალ-აბიდინ ხუზანის** ქრონიკის – „აფდათ ათ-თავრიხის“ მესამე ნაწილი, რომელშიც ავტორი ვრცლად გვიამბობს შაჰ-აბასის ორმოცდაორწლიანი მმართველობის ხანაში მომხდარ პოლიტიკურ ამბებს. ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მიუხედავად ეპოქის განსაკუთრებულობისა, შაჰ-აბასის ხანის ირანის ისტორია არ არის სათანადოდ შესწავლილი საკუთრივ სპარსული წყაროების სიმწირის გამო (პრაქტიკულად ერთადერთ ვრცელ წყაროდ ისქანდერ მუნშის ცნობილი ქრონიკა სახელდება)...

**– ეს წყარო ქართველებისთვის, უწინარესად, ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებული ცნობებით იქნება საინტერესო. თქვენ თქვით, რომ მისი ავტორის ბედიც ჩვენს ისტორიასთანაა გადაჯაჭვული**

– დიას, ფაზლ ხუზანი წარმოშობით ისფაჰანიდან გახლდათ. მისი კარიერა თავიდანვე უკავშირდებოდა კავკასიას და საქართველოს. ცნობილია, რომ 1608 წელს შაჰ-აბასმა ბარდავის მმართველად დანიშნა ფეიქარ-ბეგი. ეს ის ფეიქარ-ხანია, რომელიც საქართველოს ისტორიაში საკმაოდ კარგად არის ცნობილი, როგორც კახეთის მმართველი, ყიზილბაშთა ოკუპაციის ხანაში. თექვსმეტი წლის ფაზლ ხუზანმა სწორედ მის ადმინისტრაციაში დაიწყო მუშაობა. შემდეგ მისი ვეზირიც გახდა და მამასადამე, კახეთის იმდროინდელ ადმინისტრაციასაც ხელმძღვანელობდა. ის ფეიქარ-ხანთან ერთად გაათავისუფლეს თანამდებობიდან მარტყოფის ბრძოლის შემდეგ.

**– რა საინტერესო ცნობებია ფაზლის ქრონიკაში იმდროინდელი საქართველოს შესახებ?**

– ეს თემა ძალზე სპეციფიური სამეცნიერო საკითხებს მოიცავს, თუმცა შევეცდები მოკლედ აგიხსნათ:

ცნობილია, რომ სეფიანთა ირანის ისტორიის გარკვეულ პერიოდში დედაქალაქის – ისფაჰანის ტარულა ანუ მურავი, როგორც წესი, ბაგრატიონთა საგვარეულოდან გახლდათ. ეს იყო ე.წ. „კომპრომისული პოლიტიკის“ შედეგი. თუმცა აღნიშნული ტრადიციის ჩამოყალიბებაზე დღემდე არ გვქონდა ინფორმაცია. უბრალოდ ცნობილი იყო, რომ ქართლის მეფის დავით XI, იგივე დაუთ-ხანის უკანონო შვილი – ხოსრო მირზა (შემდგომში ქართლის მეფე როსტომი) შაჰ-აბასის გარდაცვალებისას ისპაჰანის ტარულა გახლდათ და დიდი როლი შეასრულა შაჰის ტახტზე სეფი I აყვანის საქმეში.

ფაზლის ქრონიკის მიხედვით კი ისფაჰანის ქართველი ტარულა ჯერ კიდევ შაჰ-აბასის მმართველობის დასაწყისში ჩნდება და ეს გახლავთ ბეჟან-ბეგი, როსტომ-ხან სააკაძის მამა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ის აქამდე ცნობილი იყო, როგორც ქართლის მეფე ბაგრატ VII-ის სახლთუხუცესი. და აი, ირკვევა, რომ მას თურმე ზემოაღნიშნული თანამდებობაც ჰქონია.

ამავე ქრონიკის მიხედვით, იმ პერიოდში ყაზვინის ტარულა იყო კონსტანტინე ბატონიშვილი, იგივე კონსტანტინე მირზა, ვინც შემდგომში მამა – კახეთის მეფე ალექსანდრე II და ძმა გიორგი ბატონიშვილი გამოასალმა სიცოცხლეს. სრულიად ახალი ცნობაა ისიც, რომ შაჰ-აბასმა მას 1602-1603 წლებში ისპაჰანის მოურავობა უბოძა.

საინტერესოა, რომ ფაზლი ბაგრატიონებს მოიხსენიებს, როგორც „დავითის მოდგმის მეთაურთ“. ჩანს, ავტორმა იცის თქმულება ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმოშობის შესახებ.

**– ჟურნალ „არტანუჯში“ თქვენ გამოაქვეყნეთ მეტად საინტერესო სამეცნიერო სტატია: „ქართველები სეფიანთა ირანში. ლულამთა ოთხი ოჯახის ეთნო-სოციალური წარმომავლობა“**

– დიას, ამ სტატიაში განხილულია ოთხი გვარი: ოთარი და მისი ოჯახი (ბარათაშვილების გვარიდან); როსტომი და მისი ოჯახი (სააკაძეთა გვარი); ალავერდი და მისი ოჯახი (უნდილაძეთა საგვარეულოდან) და სეფიყული და მისი ოჯახი (სომხეთის მეღიქთაგან მირიმანიძეთა გვარი).

საერთოდ ლულამების (მეომარი მონების) ინსტიტუტი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა, რომელიც თანმიმდევრულად ამარაგებდა ისლამური საზოგადოების პოლიტიკურ ელიტას. ამიტომ ამ ინსტიტუტის ცალკეული დეტალების საფუძვლიანი კვლევა ხელს შეუწყობს იმდროინდელი პოლიტიკური სისტემის შესწავლას და დაგვეხმარება იმის გარკვევაშიც, თუ როგორ ხდებოდა მმართველი ელიტის დაქირავება ისლამური საზოგადოების მიერ. ლულამთა ამ ოჯახების შესახებ მეტად საჭირო და საინტერესო ცნობებს გვანვდის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც სეფიანთა კარზე მსახურობდა და XVII საუკუნის მეორე ნახევარში, 40 წელიწადზე მეტი იცხოვრა ისფაჰანში.

სხვათა შორის, ერთ-ერთ სიახლედ მიიჩნევა დამცნოთ ისიც, რომ ახლახან, მოსკოვში ყოფნისას, შემთხვევით აღმოვაჩინე წერილი, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი სწერს ვინმე ლორისმელიქოვს, მე-19 საუკუნის პოლიტიკოსს რუსეთში. მას ალექსანდრე III მმართველობისას მეტად გავლენიანი თანამდებობა ეკავა.

**– იქნებ უფრო კონკრეტულად გვიამბოთ ამ წერილის შესახებ.**

– წერილს სრულიად შემთხვევით წავაწყდი. ის აქამდე უცნობი იყო ერთი უბრალო მიზეზის გამო – კატალოგში არ იყო გატარებული. ეს წერილი, სხვა ორ ქართულ ხელნაწერთან ერთად, არაბულ ფონდში აღმოვაჩინე. ჩანს არაბული ხელნაწერი ეგონათ. ამოვიკითხე, რომ წერილს გრიგოლ ორბელიანი სწერდა მიხეილ ლორისმელიქოვს. ეს გვარი უკავშირდება მირიმანიძეებს, სომხეთის მეღიქთაგან. „სომხითი“ ნიშნავდა იმ ადგილს, სადაც სომხები ცხოვრობდნენ და ეს ტერმინი ხშირად გამოიყენებოდა ქვემო ქართლის ერთ-ერთ მხარესთან მიმართებაში. მირიმანიძეები, ეთნიკურად, მართალია, სომხები იყვნენ, მაგრამ ქართლის სამეფო კარზე

ერთ-ერთ უძლიერეს ოჯახს წარმოადგენდნენ. 1801 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების შემდეგ, გეორგიევსკის ტრაქტატის დებულების გათვალისწინებით, რუსეთმა ცნო ამ საგვარეულოს თავადური წარმომავლობა. XIX საუკუნეში ისინი ცნობილი იყვნენ როგორც ლორის-მელიქოვები. და, აი, ერთ-ერთი წარმომადგენელი ამ გვარისა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთში მეტად გავლენიანი პირია – ის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრია. სწორედ მას მიმართავს გრიგოლ ორბელიანი ქართველი თავად-აზნაურობის სახელით, 1881 წელს, გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე. წერილში საყურადღებოა ორი მომენტი: პირველ ნაწილში გრიგოლ ორბელიანი ლორისმელიქოვს ატყობინებს ქართველი თავად-აზნაურობის მძიმე მდგომარეობას და დახმარებას სთხოვს, მეორე ნაწილში კი უმხელს, რომ მას დაკარგული აქვს რუსეთის იმედი და რომ ამ ერთიანობამ საქართველოს კარგი ვერაფერი მოუტანა.

სხვათა შორის, ეს წერილი აქაც მოვიხივებ ხელნაწერთა ინსტიტუტში და აღმოჩნდა, რომ მისი შავი პირი ინსტიტუტში დაცულია – ლორისმელიქოვის 11 წერილთან ერთად ინახება, თუმცა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. ვგულისხმობ იმას, რომ გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა I და II ტომებში, რომელიც აკაკი განერელიას რედაქტირებით გამოიცა წლების წინათ, ეს წერილი გამოქვეყნებული არ არის. შესაძლოა განკუთვნილი იყო მესამე ტომისთვის, რომლის გამოცემაც ვერ მოხერხდა.

იმ ორ ქართულ წერილთან კი, გრიგოლ ორბელიანის ამ ბარათთან ერთად რომ ვიპოვნე არაბულ წყაროებში, ერთ-ერთის ავტორია ზაქარია ჭავჭავაძე, მეორისა კი ვინმე მარკოზოვის ასული ივდითი სიმონოვისა.

**– მართალი გითხრათ, გაკვირვებული ვარ, საოცარი ამბავი მოგიყვებით – მოსკოვში დაცულ არაბულ წყაროებში ქართული ხელნაწერები იაპონელმა მკვლევარმა გამოარჩინა და კატალოგშიც ახლა პიროტაკე მაედას სახელით მოიხიბულ დოკუმენტად გატარდება**

– კი, ეს ცოტა უცნაურია, თუმცა მეცნიერებაში ასეთი რამეები ხშირად ხდება. თავიდან მეც არაბული ხელნაწერი მეგონა, მაგრამ რომ დაუკვირდი, ქართული ასოები ვიცანი ისე, თქვენი ენის შესწავლა ძალიან გამიჭირდა, თუმცა რუსულზე, ინგლისურზე ან ფრანგულზე უკეთ, მგონი, ქართულად ვსაუბრობ. პრაქტიკა მეტი მქონდა და იმიტომ. მიხარია, რომ თქვენს კულტურას ვეზიარე. იცით, საქართველოს სახელი პირველად სტუდენტობისას გავიგე, როცა ვნახე სერგო ფარაჯანოვის ფილმი საიათნოვაზე – „ბრონეულის ფერი“. მაშინ ცხრამეტი წლის ვიყავი. მახსოვს იმ კინოსურათში ყურადღება მიიპყრეს ადამიანებმა, კულტურამ, რომელშიც ბევრი აღმოსავლური ელემენტი იყო, მაგრამ თან რაღაცნაირად გამოირჩეოდა კიდევ – მთლად აღმოსავლურს არ ჰგავდა. მივხვდი, რომ განსხვავებულ კულტურასთან მქონდა საქმე – აღმოსავლურისა და ევროპულის ნახევრით. ეს ყველაფერი კადრებივით ჩამრჩა მეხსიერებაში. ასე გაჩნდა ჩემს ცნობიერებაში პირველად საქართველო. ეს იყო 1990 წელი. საბჭოთა იმპერია იშლებოდა და ინფორმაციაც კავკასიის შესახებ თანდათან შემოდიოდა იაპონიაში. მანამდე ამ რეგიონზე ვერანაირ ცნობას ვერ მოიპოვებდი. ის საბჭოთა კავშირის ნაწილად მოიხსენიებოდა

**– ახლა ალბათ თქვენც ბევრ საინტერესო ცნობას აწვდით იაპონელებს საქართველოს შესახებ.**

– იცით, საქართველოს სახელი ჩვენთან მეტ-ნაკლებად ცნობილია – თქვენი პოლიფონიის, ნაციონალური ბალეტის, ხელოვნების საშუალებით. ისტორიული საკითხებით უფრო სამეცნიერო წრეები ინტერესდებიან. ამ თვალსაზრისით მე მოვამზადე წიგნი კავკასიაზე. ეს არის კრებული, რომელიც სამეცნიერო ციკლის სერიით გამოიცემა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს ეხება. ამ ტომის მომზადებას მე ვხელმძღვანელობდი და მასში სხვადასხვა ავტორის 60 სტატია გამოქვეყნდა კავკასიის შესახებ.

**– როცა პირველად ჩამოხვედით, ალბათ იაპონურისგან აბოლოტურად განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდით. მხოლოდ კულტურას კი არა, ყოფასაც ვგულისხმობ. ეს ხომ ძალზე მძიმე წლები იყო საქართველოსთვის**

– პირველი სიტყვები, რომელიც ქართულად ვისწავლე, იყო „ნავიდა“ და „მოვიდა“ (შუქისა და გაზის „ნასვლა-მოსვლის“ ნყალობით). მაშინ „კავკასიურ სახლში“ ვმუშაობდი და ქართულ ოჯახში ვცხოვრობდი.

საერთოდ, ქართული საზოგადოება უფრო ღიაა. აქ სათქმელიც უფრო უშუალო და პირდაპირი იცით, ხან ზედმეტად ხმამაღალი და ემოციურიც, რაც იაპონური ტემპერამენტისთვის უცხოა.

ძალიან მომწონს მეგობრობისადმი თქვენი დამოკიდებულება. უცბად დაუუმეგობრდი ყველას და ამ ურთიერთობებში ღალატი არ მიგრძენია.

კიდევ გამორჩეულია სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია. საერთოდ, ტრადიციულობის თვალსაზრისით, საქართველო ჩემს ქვეყანას ძალიან ჰგავს. იაპონია გეოგრაფიულად შორს იდგა ძველი ცივილიზაციების ცენტრებისგან და მეტ-ნაკლებად იზოლირებულად ვითარდებოდა. ამიტომ, მაგალითად, ჩინეთისგან განსხვავებით, კარგად შემონახა თავისი ტრადიციები. ეს საკითხი, ისევე როგორც საქართველოში, ჩემს ქვეყანაშიც მნიშვნელოვანია.

ძალიან მომწონს ქართული სუფრის ინსტიტუტი. სხვათა შორის, თქვენი ენის შესწავლა სწორედ სუფრასთან დავიწყე და თავდაპირველად მგონი სულაც სადღეგრძელოების ფრაზებით ვლაპარაკობდი. საერთოდ, ვთვლი, რომ ბედნიერი ვარ საქართველოსთან, ქართველ ხალხთან ურთიერთობა რომ მარგუნა ბედმა. თავის დროზე, მეგობრებთან ერთად, თითქმის მთელი საქართველო მოვიარე. განსაკუთრებული შთაბეჭდილება თუშეთმა დატოვა. ძალიან მიწნდა ეს სილამაზე ჩემს შვილსაც ვანახო ოთხი თვის იყო მივლინებით რომ გამოვემზავრე, ხუთი თვეა არ მინახავს – თითქმის ნახევარი მისი ცხოვრება. მეუღლეს ირანისტია – ირანული ლიტერატურის სპეციალისტი. ვაპირებ ქართული ენა შევასწავლო, იქნებ ხელი მოკიდოს გალაკტიონის და ტერენტი გრანელის ლექსების თარგმნას. ეს ორი პოეტი ძალიან მიყვარს.

**– უთუოდ პროფესიული თვალსაზრისითაც გაქვთ გეგმები**

– ვაპირებ ჩემი სადოქტორო გამოკვლევა და საერთოდ, ყველა მასალა სეფიანთა ირანზე გამოვცე იაპონიაში. ამავდროულად მაინტერესებს გიორგი სააკაძის აჯანყება – მარტყოფის ბრძოლა, გაქცევა სპარსეთში და საერთოდ, სპარსული ქრონიკები ამ ამბების ირგვლივ. ამასთანავე, ვაპირებ ფაზლის ქრონიკაში კავკასიის შესახებ არსებული ცნობების თარგმნას როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე და ამ მასალების გამოქვეყნებას კომენტარებითურთ.

მარი სადღობელაშვილი

## „ბერმუდის სამკუთხედი“ – თანამედროვე ქართლის მატინა

ოთარ ჩხეიძის „ბერმუდის სამკუთხედი“ რომანია უახლესი წლების მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ზნეობრივ პრობლემებზე. საინტერესოა რომანის წინასიტყვაობა, რომელიც მკითხველისათვის ერთგვარი გზამკვლევის როლს ასრულებს. წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ძალღონე თუ მეყო, კიდევ თუ ჩაუფუჯექი რომანსა, მივუბრუნდები ძველ თემებსა, – რაც უნდა დამენერა, რაც ვერ მოვასწარი. მოვლენებს მივდევი. მოვლენები სწრაფად იცვლებოდა. მე ვერ ვასწრებდი. გამოტოვება მიხდებოდა ბევრი რამისა. იცვლებოდა თუ არც არაფერი იცვლებოდა. ადამიანი იგივე ვახლდა: თავის თავსვე იმეორებდა. რალაცასა სცვლიდა. იადვილებდა ცხოვრებასა. მეტს გაიგებდა, შეგნებით ვერაო, ვერ შეიგნებდა მეტს ვერაფერსა: იგივე რჩებოდა. იმეორებდა იგივესა: შურსა. ღალატსა. სიძულვილსა. სიყვარულსაც იმეორებდა. მაგრამ სძლევდა რო სიძულვილი, უფრო სიავეს იმეორებდა. თავმობეზრებული XIX საუკუნისაგანა XX საუკუნის დადგომას შეჰხაროდა; განამებული XX საუკუნისაგანა XXI ელოდებოდა, ისევ ნატვრითა, ისევ იმედითა, შვების იმედითა. და აი ესეცა – ეს XXI-ცა, ეს ახალი ათასწლეულის დასაწყისიცა. შუშუნები აინთო ახალწლის ღამესა და ჩაჰქრა. ეს იყო და ესა. ასე იყო და ასევე დარჩა. ასევე იქნება. ადამიანი იგივე იქნება: იგივე შურითა, იგივე აღმატების წყურვილითა, ერთიმეორეზე აღმატებისა: ოღონდ მე ვიყო, სამშობლო ესე თუნდაც ისევ სხვას ემონოსო, თუნდაც წარღვნას გადაჰყოლიაო. და ეგება ამიტომაც მიჯობდეს, მივუბრუნდე გამოტოვილ თემებსა: თუ რატომ გადაგვარდა ქართველი კაცი და როგორ გადაგვარდა. XX საუკუნეში რო გადაგვარდა, მანამდის ისე არ გადაგვარებულა. ახლაც ის მოსდევს. ახლაც ის საფრთხეა...“

„ბერმუდის სამკუთხედი“ თანამედროვე ქართლის მატინაა, დაწერილი ქართულ სინამდვილეზე. ავტორი ყოველგვარი შეფერადებისა და კორექტირების გარეშე, ფეხდაფეხ აღწერს მიმდინარე პროცესებს. იმდენად პირუთვნელია სიმართლე, იმდენად ნილაზჩამოსხნილად არის ნაჩვენები ქართული საზოგადოების ზედაფენის დეგრადაცია, რომ ნაწარმოების კითხვისას ტკივილნარევი სევდა გვიპყრობს, რამეთუ თქმულა „ანთუ ჩინს ქვასა ზედა სწერია თურმე: „ქართველს ვერ სძლევს ვერვინ ქვეყნად, ქართველს თვითონ ქართველი მუსრავს“.

„ბერმუდის სამკუთხედი“ აღსანიშნავია იმიტაც, რომ მას არ ჰყავს ერთი გამორჩეული, იდეალური გმირი. რომანის მთავარი პერსონაჟია გიზო კორძელი, იგივე გივი კორძელაძე. „გიზო. ნათელი სახითა. მოციმციმე თვალებითა: გულუბრყვილოო, მომიამიტო, ყოვლად მიმნდობი თვალებითა... რა არ იცოდა – სოკოს ჯიშებიდან გენურ-ინჟინერიამდე“. გიზო ბავშვობიდანვე რუსეთს გახიზნეს

მშობლებმა, ხოლო, როცა საქართველოში ჩამოვიდა, „გადამწვარი დახვდა თბილისი, – თბილისის გული თვალსაჩინოდა, ხალხი ჩაფერფლილი ზეზეულადა“. რუსეთიდან ჩამოვიდა, მაგრამ აქაც რუსეთი დახვდა. „რუსეთი ისევ აქ იჯდა, რუსებით აღარა, – ქართველებით იჯდა“.

გიზო კორძელი წარმოშობით ბათუმიდანაა. თბილისში ფუფუნებით ცხოვრობს. ჯერ შერატონ-მეტეხი-პალასის ბინადარია, შემდეგ მთაწმინდის უბანში გადაინაცვლებს, ბოლოს კი ღრმაღელეში დაიდებს ბინას ხნიერ ქალთან, რომელსაც ოჯახის წევრები საზღვარგარეთ საშოვარზე ჰყავს გახიზნული. მართალია, გიზო მარტოხელა ქალს პატრონობას უწევს და ამ ქალის ერთადერთი ჭირისუფალიც კი აღმოჩნდება, მაგრამ ეს გულკეთილობის გამოხატულება სულაც არ არის. არამედ გიზო კორძელის ერთ-ერთი თვისების, ამბიციურობისა და კუდაბ-ზიკობის გამოვლენაა.

გიზო თბილისის ელიტარულ საზოგადოებაში ტრიალებს და თავიდან საკმაოდ წარმატებულადაც. ის მედროვე ადამიანია და ცდილობს წარსული მემკვიდრეობის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას. გიზოს სურს ტურიზმის ბიზნესი ჩაიგდოს ხელში, წამოიწყოს ათცამეტი ასურელი მამის მარშრუტი. მისი აზრით, „საქართველო ტურიზმის ქვეყნად იქცევა. გზაი წმინდანისა დაამშვენებს გზასა აბრეშუმისასა“.

მალე გიზო ცხოვრების შარაზე დაღმასვლას იწყებს. მას არც „ბიზნეს-სამკუთხედი“ უმართლებს და არც „სასიყვარულო სამკუთხედი“. მისი სამივე ბიზნეს-საქმიანობა (ათცამეტი მამათა შპს, პოდიუმებისა და აჭარის ალტერნატიული ტელევიზია) სრულ ფიასკოს განიცდის.

რომანის ხერხემალია გიზო-ცეცილია-აიშეს სასიყვარულო სამკუთხედი, თუმცა ამას სამკუთხედსაც ვერ დავარქმევთ. აიშე ცეცილიას მეტამორფოზაა, დეგრადირებული სახეცვლილებაა. გიზოს ცხოვრებაც დეგრადაციას განიცდის და თავისსავე ფესვებს, ბათუმს უბრუნდება, სადაც ილუპება კიდევ.

რომანს ეპიგრამად წამძღვრებული აქვს ქართული ანდაზა: „მუხამა თქვა: ცული მე ვერაფერს ვერ დამაკლებდა, შიგ ჩემი ჯიში რო არ იყოს გაყრილიო“. მწერალს ეს ანდაზა მეტად მოხდენილად აქვს გამოყენებული, რათა ნათლად ამხილოს საუკუნეებიდან მომდინარე სენი ქართველთა. ქართველები „წინათ რო ყარაყორუმს მირბოდნენ, თეირანს მირბოდნენ, სტამბოლს მირბოდნენ, მირბოდნენ მოსკოვსა საჩივრებითა, ახლა სტრასბურგი გამოეყოთ საამისოდა. მაშინ იქა ჰლუპავდნენ ერთმანეთსა. ერისთავეები. ახლა აქ უნდა დაელუპათ ერთი მეორეი. ალტკინებულთა საერის-თავოდა. მდაბიურიოთა. ალტკინებულთა...“

ალტკინებულმა ქართველმა ერმა პირველი პრეზიდენტი კი ჩამოაგდო, მაგრამ მეორე კერკეტი კაკალი აღმოჩნ-

ნდა, მას ველარაფერი მოუხერხეს. „საქართველოში ყველა პრეზიდენტი, ერთი ველარ დაუძრავთ ადგილიდანა, თორემ ქამარს ბევრი ისწორებს“.

„ბერმუდის სამკუთხედში“ აქტიურ როლს თამაშობს ნინო მასწავლებელი „სიბრძნე-სიცრუისას“ ახალი რედაქციებით. ნანარმოებში სულ შვიდი იგავია ჩართული. ერთ-ერთი იგავი არის „პრეზიდენტი და მემარნე“, რომელიც აშკარად ასახავს ჩვენს თანადროულობას. იგავში მარანი სახელმწიფო ხაზინის სიმბოლოა. პრეზიდენტი, იგავის მიხედვით, მარანში შევიდა და ქვევრთან ერთი ჯამი ნახა, რომელიც მემარნის აღმოჩნდება. პრეზიდენტმა ქვევრს მეორე მემარნე დაუყენა. მაგრამ მემარნეთა ზრდასთან ერთად ჯამების რაოდენობაც თანდათან გაიზარდა. რუქა კითხულობს: „კიდევ რამდენი კაცი უნდა დაუყენოს პრეზიდენტმა, წვეთიც რომე აღარ დარჩეს მარანშიო?“ ანუ, როგორც იგავიდან ჩანს, არც მარანი გვექნება მალე, არც ჯამით ამოსაცარიელებელი ღვინო, აღარც მემარნენი დაგვჭირდება, რამეთუ დარჩება საქართველო უქართველოდ.

საინტერესოა ასევე „ლოდის დამგორებლის“ იგავი, რომელიც ტანჯვისა და სიამის, ნგრევისა და შენების სიმბოლოდ არის გამოყენებული. ლოდის დამგორებლის უთავბოლო შრომა და ამ შრომისაგან მიღებული ფუჭი სიამე ყველაზე მეტად შეესატყვისება ქართულ ხასიათს. და რაოდენ განსხვავდება ქართველი „ლოდის დამგორებელი“ ბერძენი სიზიფსაგან...

მეორე პრეზიდენტი პირველზე გამჭრიახი აღმოჩნდა, რომელიც მტერსაც და მოყვარესაც „აშოშმინებდა. აშვიდებდა. თანამდებობებს ურიგებდა. ღირსების ორდენებს ურიგებდა. ირჩევდა თბილისის საპატიო მოქალაქეებადა. თბილისი დაანგრევს და საპატიო მოქალაქეებად ირჩევდნენ დამანგრეველებსა“.

„განა კაცი ეწო არის, სულ თავისკენ მიითლიდესო“. ახლა კი ეწოდ ზედაფენა ქვეულა, რომელიც ყოველივეს თავისკენ მიითლის. ზედაფენის ანუ პოლიტიკური ელიტის მთელი გალერეა გაივლებს ჩვენს თვალწინ: ნათამე, ონიანი, წერეთელი, გიორგაძეები, ნათელაშვილი, სააკაშვილი, ბოჭორიშვილი, კიკაელიშვილი, ცომია, ზოდელავა, ინჯია, ელიავა, მანანა, მღებრიშვილი, ჯუღელი, ჟვანია თავისი „მამასადამე“ ევროპელობითა და „კენჭის ყრებით“, გოგუაძე, რომელიც დავობდა ბაგრატიონების მაგივრად, გამსახურდია ჩამოაგდო, შევარდნაძე კი ვერა.

ოთარ ჩხეიძის მახვილ მზერას არც სამარცხვინო ომის სავალალო შედეგები დარჩენია ყურადღების მიღმა და არც გაჭიანურებული და ვერშემდგარი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები გამორჩენია მხედველობის არედან. პიროვნული და ზუსტად მორგებული შედარებები „დედამინის შემოვლასთან“ და „გუდასთან მოფხაკუნე კატასთან“ დაკავშირებით. „გადაიდგა ნაბიჯი წინაო. წინაო და წინაო. წინაო და წინაო. წინაო და წინაო. რო ვინმეს დაეთვალა, დედამინას შემოუვლიდნენ ფეხითა. ოღონდ არ იძვროდა არაფე-



რი. არა. არა. ფრჩხილისოდენადაც არა. იმ არაკისა არ იყოს, მწყემსი რო გუდაში ჩააგდებს კატასა, კატა რო ფხაკუნობს, ფხაკუნობს, ფხაკუნობს, ოღონდ რო ვერ გაუღწევია გუდის იქითა“.

ეს ფხაკუნი და დედამინის უშედეგო შემოვლა, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, დღესაც გრძელდება და ისევ გოდებს მწერალი: „ჯართია ყველაფერი, რაც შემოგვრჩენია, სულიც ჯართია გასაბჭოებული, გარუსებული სულიც ჯართია“. სადარდებელი არ იღევა, რუსიზაციას ამერიკანიზაცია ენაცვლება და ცოცხალი მემატინე განაგრძობს წერას: „მოედო, მოედო, თბილისსაც მოედო კოკა-კოლაი. ლპება ხილი. ფშანები დამდგარა დამპალი ხილისგანა. პატრონი აღარ ჰყავს. იჭყიპებიან კოკა-კოლათი. ლალიძე დამშრალა... დამშრალა ხილის ნეტარი სასმელი“.

მწერლისთვის თანამედროვე საქართველო ის ქვეყანაა, სადაც უკიდურესი ვნებები, შური და გაუტანლობა ბობოქრობს. ქვეყანაა, სადაც „ევროპაცა, ამერიკაცა, იაპონიაცა აირია. დაირია“, სადაც „ქრთამი მეფობს, ხოლო პროტექცია იმპერატორობს, შაჰობს და სულთანობს“, ქართველები გამორჩეულად „ტოლერანტობენ“ და ცოცხალ ტყვეებს მკვდრებზე ცვლიან.

„ბერმუდის სამკუთხედში“ დაკნინებული ეროვნული ხასიათები ნიუანსირებულადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ეპიზოდებში. საყოველთაო სილატაკის ფონზე დამშეულ ხალხს „XX საუკუნის ლეგენდებით“ აბრუებენ, შერატონ-მეტეხი-პალასში და ზედაფენის თავშეყრის ადგილებში პომპეზური საღამოები იმართება, რაც ნათლად აჩვენს სახეს ვითომდა უზრუნველყოფილი სახელმწიფოსას, რომლის მიღმა იმალება საზღვრებჩამოჭრილი, გაღატაკებული-დაკნინებული ქვეყანა, სადაც „ბაგრატიონები ესტრადის მსახიობებად იქცნენ“, ილიას მიმდევარნი იდეგნებიან, ასპარეზს კი იპყრობენ მოპოვებულ ჯანი, მოფელეტონე ნივა და მსგავსი კარიერისტინი.

რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს, „უკვე არსებობენ შეძლებული, ლობიერებული და თანამედროვე მოქალაქენი გერმანიაში, რომლებსაც ქართველები სახლის ეგზოტიკური ცხოველებივითა ჰყავთ“.

ყოველგვარ უბედურებასთან ერთად იოანე-ზოსიმეს ჰიმნნამერი ენაც ითვლება „კოსმოპოლიტიკოსებისგან“, თუმცა მწერალი იმედოვნებს, რომ ქართული ენა ამ განსაცდელსაც გადაიტანს: „სეკვესტრი მუსირებს?.. იმუსიროს, გაჭირვების მეტი რა იცის ხალხმა, უჭირდა. უჭირს. გაუჭირდება. არ გაუკვირდება არაფერი ქართულ ენასა. არ გაუკვირდება. მოუნელებია. ბიზანტიზმებიც მოუნელებია. არაბიზმებიც. სპარსიზმებიც. თურქიზმებიც. რუსიზმებიც – ინელებს. ინელებს. მოინელებს ამერიკანიზმსაცა. ენაი ქართული. ესე საიდუმლო დამარხულ არს მასში“.

ქვეყნის შინააშლილობა და დაქუცმაცებულობა საუკეთესოდ არის წარმოდგენილი „განდაგანათი“, რომელსაც ჩოლოქს იქით და ჩოლოქს აქეთ ასრულებენ ავტონომიისა

და ქვეყნის მმართველნი. „პრეზიდენტი ეწვევა ბათუმსა. სოხუმს ეგრე ადვილად ვერ ეწვევა. მოსკოვის სურვილის გარეშე. ცხინვალსაც ვერა, – მოსკოვის დაუკითხავად და მოსკოვის დაცვის გარეშე. ბათუმს ეწვევა უფრო ადვილად“. აქაც კი „განდაგანას“ შესრულება უწევს ცირკის ჯამბაზივით.

პოლიტიკოსების „განდაგანა“ სავესეა შურით, ანგარე-ბით, დაბეზლებით, მუქართა და ურთიერთდანაშაუ-ლებით. თექვსმეტმარცვლიანი შაირით დაწერილ ლექს-დილოგს განსაკუთრებით ამძაფრებს რეფრენად გამო-ყენებული მისამღერი, სტვირის მიერ შესრულებული.

ასლანი:

**„პორტო-ფრანკოს თუ დამითმობ, არ გავინევ განდაგანა, ოქროს ზოდებს შემომიტანს, გინილადებ ხანდახანა. არ დამითმობ? – სხვაგან ვპოვებ, ვეხეტები ბანდაბანა, რუსი ვიყო, – ჰაი დედას!.. შეგებმოდინ ჯანდაჯანა“.**

ედუარდი:

**„ვალი გვანევს შინ და გარეთ, გაფრთხილებდით ხანდახანა: დროა ხელი დაიმოკლოთ. ნუ აღავებთ ქარდაქარა. აღარ მეყო წონილი სხვა ქვეყნების კარდაქარა?.. სესხზე სესხი, ვალზე ვალი, გაიბერა თანდათანა. რო არ გასკდეთ, ცოტა ჭამეთ, – მოუკელით ხანდახანა“.**

საკმაოდ გრძელი სიმღერა-დილოგი დაზავება-შერი-გებით მთავრდება: „მანყენინე, განყენინე, ახლა ვიყოთ ბარდაბარა“.

მწერლის ორიგინალურ სტილზე მეტყველებს არა მარტო ცალკეული ეპიზოდები თუ პასაჟები, უხვად გაბ-ნეული იგავთა „ახალი რედაქციები“, არამედ თვით წერის გამორჩეული მანერა. ცალკეული სიტყვები და გამოთქმე-ბი, გამეორებები, ალიტერაციები უფრო ღრმად და ექ-სპრესიულად გამოხატავს სათქმელს. არქაული ფორმე-ბისა და გართულებული წინადადებების გამო ნაწარმოები დინჯად იკითხება. ავტორის მიერ შემოტანილია მივიწყე-ბული ან სულაც ახალშექმნილი ლექსიკური ერთეულები: „უდანდარი ქვეყანა“, „დაკმედილი მზე“, „ფრთონვა“, „ჯანდაჯანა“, „იჭკუეს“ ნახმარია „ჭკუა იხმარეს“ სანაც-ვლოდ და სხვ.

ერთი სიტყვით, „ბერმუდის სამკუთხედი“ ახალი „მა-ტიანე ქართლისაი“, თანამედროვე საქართველოს მტკივნეულ თემებზე შექმნილი რომანია, რომლის წა-კითხვის შემდეგ აღარაფერი დავგრჩენია გარდა იმისა, რომ ისევ და ისევ ავტორის სიტყვებს დავესესხოთ და ყველამ ერთად ვედრებისმაგვარი სინანულით წარმოვ-თქვათ:

„ღმერთო დიდებულო, – მრავალი სიკეთე რომ მოგვანიჭე, სათითაოდ რომ გამოგვნირე ყველაფერი თანდათანო-ბითა, ეს ერთი მაინცა, ეს ერთი მაინცა, ჭკუა რო ჰქვიან, ეს ერთი მაინცა რალად გამოგვნირე?!“

# სიტყვები მღვდრობითი ფიქრებით



## ნინო თარხნიშვილის მინიატურების წარდგინება

„ჩემი ჭერი სულით ავადმყოფის იატაკია, ჩემი იატაკი – მღვდლის ჭერი...“

მე სალხინებელში ვცხოვრობ“ – ეს ახალ-გაზრდა მწერლის ნინო თარხნიშვილის სულიე-რი სამყაროა, სამყარო, რომელსაც ქალბატონი მაია ჯალიაშვილი უწოდებს „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ შეკრებაზე ასე შეაფასებს: „მდგომარეობა რწმენისა და შეშლილობის ზღვარზე – სულით ავადმყოფობა, ალბათ, მის შემოქმედებაზე მიანიშნებს, მღვდელი მის შინა-გან რაობაზე, ეს დაჭიმულობა კი ქმნის სალხი-ნებელს: „მოკლედ შუაში ვარ. და მე რა შუაში

ვარ“. ამგვარი სიტყვათა თამაშით „შუაში“ ყოფ-ნას ის მიაწერს ბედისწერას, რომელსაც წინ ვერ აღუდგება“.

შეკრება, სადაც ეს ყველაფერი მოხდა, ნინო თარხნიშვილის მინიატურების კრებულის „ქალ-თარაფერას“ წარდგინებას მიეძღვნა. ქალბატონ-მა მაია ჯალიაშვილმა საინტერესო მოხსენებით მიმოიხილა ახალგაზრდა ავტორის შემოქმედება – „ქალთარაფერას გალაქტიკა, სადაც მზე თვი-თონაა, სიცოცხლის მიმნიჭებელი, ფიგურალუ-რადაც და რეალურადაც ასეა, მწერალი თავისი ნაწარმოების ცენტრია, ხან ამელის (ჟან-პიერ ჟე-ნეს რომანტიკული კომედიის „ამელის“ გმირი) პოეტურ ნიღაბს ამოფარებული, ხან პაოლო იაშ-ვილისეულ ელენე დარიანს დამსგავსებული... მსოფლიო ლიტერატურის პარადიგმებსაც რომ ირეკლავს – ხან მშვენიერი ელენე ჩანს, ხან ამაყი ამორძალი, ხან შურისმაძიებელი მედეა, ხანაც ერთგული პენელოპე... და ამავე დროს ამ მინია-ტურებში მუდმივად მეორდება ადამ და ევას მის-ტერია. ეს წიგნი სიცოცხლით, სიყვარულით, ოც-ნებით ფეთქავს, სიკვდილს აქ არ იცნობენ“.

მაია ჯალიაშვილის ამ საინტერესო მოხსენე-ბას მალე ვრცლად გაიცნობს უწოდებს „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი, ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდნენ ახალგაზრდა ავტორის პირველ კრებულს სალონში შეკრებილები:

**როსტომ ჩხეიძე:**

საერთოდ არ გამიჯნავდნენ ხოლმე მინიატურას. ყველაფერს: ესკიზსაც, მინიატურასაც, ნოველასაც... მოთხრობის ჟანრში აქცევდნენ, რაც ცხადია გაუმართლებელია, რადგან მინიატურა დამოუკიდებელი, თავისთავად მეტად საინტერესო და პოპულარული ჟანრია მთელს მსოფლიოში. ქართული მინიატურის სათავესთან დგას ვაჟა-ფშაველა, ასევე: ნიკო ლორთქიფანიძე, სანდრო ცირეკიძე, რეზო ინანიშვილი... ნლებს წინათ ბატონმა გივი ალხაზიშვილმა და თქვენმა მონა მორჩილმა ერთად შევადგინეთ მინიატურების კრებული, რომლის პირველმა ტომმა საკმაოდ სახიერი სურათი დაგვიხატა ამ ჟანრისა.

მეორე ტომის გამოცემა ვერ მოხერხდა, თუმცა მასზე ხელი არ აგვიღია და როდესაც მომზადდება, ახალი ნიმუშებით შევსებისას მას წინო თარხნიშვილის მინიატურებიც შევმატება, რადგან ეს არის მეტად ორიგინალური და შთამბეჭდავი ნიმუშები ამ ჟანრისა.

საერთოდ მინიატურაზე ხშირად ამბობენ: ვერც კი გაგვიჩვენია პოეზიაა თუ პროზაო. ბოდლერი ასეც არქმევდა: „ლექსები პროზად“, მინიატურის ბუნება ხომ ლირიკაზეა აგებული, თუმცა არც ეპიკური სუნთქვას მისთვის უცხო. ერთი ხანობა, ათიან წლებში, იმასაც ამტკიცებდნენ, რომ იმ დროისათვის ყველაზე მობილური ჟანრი მინიატურა უნდა ყოფილიყო – ახლა რომანების დრო არ არისო. მაშინ მართლაც ისე მოხდა, რომ ვრცელი ეპიკური თხზულებანი აღარ იქმნებოდა, თუმცა ოცინი წლებიდან უკვე რომანი რომანზე დალაგდა. არჩილ ჯორჯაძე ამბობდა მაშინ: მინიატურა კარგი ჟანრია, მაგრამ ერთადერთი არ უნდა იყოსო.

წინო თარხნიშვილის მინიატურები ძალზე საინტერესოა. მათი მანერა იმით არის მომხიბვლელი, რომ პარადოქსებზეა აგებული და ამავე დროს არც ლირიზმი აკლია, არც დრამატიზმი, არც იუმორი თუ ტრაგიზმი და თანაც მოულოდნელი, ნოველური ფინალებით არის სავსე. ავტორი ახერხებს ტევად ჟანრად აქციოს მინიატურა. ამრიგად, მისი შემოქმედება ძალზე კარგი მასალაა კრიტიკისათვის. ამიტომაც არ მიკვირს, რომ მის თხზულებებს აქამდეც ბევრი გამოეხმაურა და მერეც არ დააკლდება რეზონანსი.

**წინო თარხნიშვილი:**

აქვე მინდა გითხრათ, რომ როცა ამ მინიატურებს ვწერდი, თვითმიზანი არ ყოფილა წიგნად გამომეცა. ჟურნალისტი რომ წერს თავისთვის, ამაში მგონი უცნაური არაფერია, ამიტომ არც არავის მიუნიჭებია განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ჩანაწერებისათვის. თითოეული მათგანი ჩემთვის ძალზე ძვირფასია და ყველა ერთად

ერთ ადამიანს ეძღვნება. როცა მათ ვაქვეყნებდი – ლიტერატურულ საიტებზე – მეკამათებოდნენ: პროზას ვერ წერ, ლექსს ვერ რითმავ და ამ ფორმით გვახვევ თავს აზრებს, რომელიც შეგიძლია, უბრალოდ, დღიურში ჩაინიშნოვო. მინდა გითხრათ, რომ ახლა მინიატურებს აღარ ვწერ. თითქოს მინდოდა ვილაცისთვის რალაც დამემტკიცებინა და ნოველებს მოვკიდე ხელი. ეს მინიატურები კი ჩემი ცხოვრებაა, მათში ჩემი გრძნობები და ემოციებია, ამიტომ თქვენ გნებავთ ჩემს დღიურად მიიჩნიეთ, გნებავთ უფრო სერიოზულად შეხედეთ და წიგნის მასალად ჩამითვალეთ.

**გიორგი ლობჯანიძე:**

მე ის ადამიანი ვარ, ვინც თავიდანვე უჭერდა მხარს წინოს ნაწერებს. ჩემთვის საინტერესო ცნობა იყო რომ თქვა: ნოველების წერა დავიწყეო. მე კი ვიფიქრე ლექსების წერას დაიწყებდა, რადგან ამ თხზულებების ჟანრი ჩემთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩა. უბრალოდ ვიგრძენი, რომ ეს უფრო პოეზია იყო – დახვეწილი, ნატიფი – მნიშვნელობა არ აქვს რა ფორმით მოცემული. ეს არის დღევანდელი აზრი, გამოსატული დღევანდელი სიტყვებით. წინო არ ეტანება არქაიზმს და ცდილობს, რომ ყველა სიტყვა გააპოეტუროს. მერე რა თუ აქამდე პოეზიაში არავის უხსენებია, ვთქვათ, სიტყვა „ნათურა“...



წინო თარხნიშვილი

**მაია ჯალიაშვილი:**

– ფუტურისტიები აკეთებენ ასე...

**გიორგი ლობჯანიძე:**

– კი, ოღონდ ფუტურისტიებისგან განსხვავებით წინოს ღირსება ის არის, რომ ამ მინიატურებში სული დევს.

საერთოდ სიახლე ადვილად არ ემორჩილება ხოლმე აი ასეთ პატარა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებასაც კი. წინოს წიგნმაც შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს. ეს ბუნებრივია, ოღონდ მე იმის მომხრე ვარ, კარგზე ითქვას, რომ კარგია!

და კიდევ: წინოს კრებული რომ წავიკითხე, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს უფრო მეტად შემეყვარდა ჩემი ცოლი. ეს იმიტომ, რომ წინო შესაძლოა ძალზე კონკრეტულზე წერს და მისი მინიატურები ერთგვარად ეგოცენტრულიც კი არის, მაგრამ ის რითაც დამუხტულია ეს თხზულებები თავისთავად განაზოგადებს ამ განცდებს.

**რუსუდან ნიშნანიძე:**

დღეს ბევრი წიგნი გამოიცემა და ალბათ ყველას ჰყავს თავისი მკითხველი. ამ ყაიდის გამოცემის მკითხველი მე ნაკლებად ვარ. აქ დაისვა კითხვა: რამდენად ხარ ან არ ხარ მწერალი. ჩემი აზრით მწერლობა ის არის და მწერალიც მაშინ ხარ, როცა ჩემთვის სათქმელი გაქვს. იცით, მე



რომ ჟურნალში წამეკითხა „სტუმრები“, „მატილი“, „სიტყვა“ და კიდევ რამდენიმე მინიატურა, მომეწონებოდა და დაველოდებოდი ამ ავტორის ნაწერს, მაგრამ როცა ერთიანობაში წავიკითხე, მონოტონურობის და სიმარტივის განცდა დამეუფლა. ჩემი აზრით ეს ჩანაწერები წიგნად ვერ შედგა. ისე კი, დალოდებით, ახლაც დაველოდები ნინოს ნაწერს, მითუმეტეს თუ ჟანრს იცვლის, დაველოდები უკეთესის მოლოდინით.

**ვატი ფიროუშვილი:**

მინდა ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ პერსონაჟზე. ვინ არის ქალთარაფერა?

ნინო თარხნიშვილის მინიატურების ლირიკული გმირი ნამდვილი ქალია და არა ქალის არამსგავსი, ქალი თავისი ქალური განცდებით, სიყვარულისა და სითბოს წყურვილით, ქალური ერთგულებითა და თავგანწირვით, სევდითა და მარტოსულობით. ქალი – ცოლი, ქალი – დედა, „მისის კაცობრიობა“... ქალი, რომელიც ბიბლიური გოდოლის მშენებლებს გადააწყდა გზაბნეული, ქალი, რომელმაც თავი დაკარგა, რადგან ვიღაცამ ოცნებას მოწყვიტა, რეალობაში მუზეუმის ექსპონატად აქცია და მიაწერა: „ხელით შეხება აკრძალულია“. ამიტომაც მას თავისი თავი ენატრება, თავისი დაუზოგავად განწირული არსება. ის ქალია, XXI საუკუნის ელექტრონული წერილების ეპოქაში ჩაკარგული, სალხინებელში გამომწყვდეული, რომელსაც სიყვარულთან შეხვედრის პირველი დღე დაეკარგა და თუ დაიჭირა პეპლების „საჭერი ბადით, გადმობრუნებულ ჭიქაში ჩასვამს და ტელევიზორზე შემოდგამს“. მაგრამ ასეთი ქალის არავის ესმის. ის ხომ ქალთარაფერაა, მაგრამ ამავე დროს ქალია ნამდვილი ქალური ერთგულებით, თვითშენიშვნით, სევდით, მარტოობით – ქალი ცოლი, ქალი დედა... ქალი დღისით ვატყვი სიტყვებს რომ აწებებს და ღამლამობით ტირის... აბა ვინ გაუგებს მისი სულის დავიდარაბას?

**თემურ ნადარეიშვილი:**

მე თქვენ არ გიცნობთ, მაგრამ ამ ერთ საათში მგონი კარგად გაგიცანით. მგონი იმასაც მივხვდი, რატომ დაინწყით წერა...

**ნინო თარხნიშვილი:**

– აბა თუ გამოიცნობთ!

**თემურ ნადარეიშვილი:**

– იცით, ბავშვობაში სტალინს მშობლები ეუბნებოდნენ: შენც ახლა მეფე არ ჩამოავდო, არადა, ჩამოავდო და „მეფეც“ გახდა. თქვენც გეუბნებოდნენ: პროზას ვერ წერო, ლექსს ვერ რითმავო... თქვენ კი მაინც აგრძელებდით, და ამ წინააღმდეგობებში ერთგვარად გამოიბრძმედეთ შემოქმედებითად. ეს მართლაც პროზად დაწერილი ლექსებია. აქ ისეთი სახეებია, წმინდა პოეზიაა (პოეტს შეუძლია დედამიწა გააჩეროს, დროში გადაინაცვლოს, მზე მოწყვიტოს...), ეფექტები თხრობისა ისეთია, თითქოს პროზაა, მაგრამ მოულოდნელი პოეტური ფინალები აქვს, აი, ეს არის მთელი მარტილი ამ მინიატურებისა. ის, რასაც ავტორი აკეთებს, გარკვეული გაელვებების განათებების

დაფიქსირებაა, ოღონდ, როგორც ჩანს, ყველაფერს სჭირდება დახვეწა დროში – გარკვეული ხნის მერე უნდა გარმავედეს, გართულდეს, სხვა ფორმა მიიღოს. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა ნინომ თქვა: ჟანრის გამოცვლას ვაპირებო. წარმატებებს ვუსურვებ ამ საინტერესო ავტორს.

**ნუნუ ჯანელიძე:**

ვუსმენდი დიდი ინტერესით. ზოგიერთი მინიატურა ძალიან მომეწონა, ზოგიც შესაძლოა დასახვენიც იყოს, ამ ნუთას ერთმა პარალელმა გამომიყვანა აქ – ქალთარაფერაო – ასე უწოდებს ავტორი თავის ლირიკულ გმირს. ბავშვობაში მახსოვს ხშირად მეუბნებოდნენ: რა ხელჩოგანა ხარო. რალაცნაირად ახლობელი მეჩვენა ეს ქალთარაფერა და ერთი ჩემი ლექსი გამახსენდა:

**ერთნაირად თავს რომ ვართმევდ ლექსს და ხელსაქმეს,**

**გასაკვირი ის იქნებოდა თორემ ჩემი ხელჩოგანობა სხვისგან რა გასაკვილია. ჰა, სცადოს ვინმემ და ჩემს ცას მხრით შეუდგეს წამით.**

**მაკა ჯოხაძე:**

ჩვენ ხშირად ვწუხვართ იმაზე, რომ ჩვენი შვილები, შვილიშვილები ტექნიკური ეპოქის შვილებად იქცნენ და ის უმთავრესი იკარგება, რითაც ადამიანი გამოირჩევა ამ სამყაროში. და აი საბედნიეროდ ჩვენს წინ არის ნინო თარხნიშვილი – სიყვარულით, სიკეთით, სითბოთი გალიცლიცებული ჭურჭელი ღვთისა.

კარგად მახსოვს, ალბათ ნინოს ხნის ვიქნებოდი ჩემი რამდენიმე პუბლიკაცია ზედიზედ რომ დაიბეჭდა. დიდი სიყვარულით მიიღო მწერლობამ. და მაშინ ბატონმა ოტია პაჭკორიამ (ვინც დღემდე რჩება ჩემთვის შემფასებლის მეტრად) მითხრა: ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ბავშვობა რომ დამთავრდება, მერე რას იზამო? მაშინ ძალიან აღშფოთებულმა და შემფოთებულმა ვუპასუხე: ბავშვობა არასოდეს მთავრდება-მეთქი. ეს იმ მაღანივითაა, მიწაში რომ არის ჩაფლული და თუ მოუვლი, თუ მოუფრთხილდები, დიდხანს, ძალიან დიდხანს გემსახურება. ცნობილი ფსიქოლოგი რემი დე გურმონი წერს: ბავშვობა რომ მთავრდება, მერე იწყება ადამიანის ინტელექტუალური დაქვეითება.

ამ მინიატურებიდან კარგად იკვეთება მათი ავტორის ხასიათი. ქალს, რომელიც იტყვის: სიზმარი ჩემი ძარღვიანი ხელებით დავაკალი ბალიშსო, ძალზე ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. თითოეულ ჩვენგანს ვინ იცის რამდენჯერ დავგინერია ყოველწამიერი ინფორმაციის მაუწყებელი პატარა წერილები ოჯახის წევრებისათვის. ეს თითქოს ჩვეულებრივი, არაფრით განსხვავებული მომენტია ჩვენს ყოფაში, მაგრამ ამ თაობას ეპოქალური ნგრევით დარღვეული ყოფითობის ეს ქსოვილი განსაკუთრებულად ეძვირფასება. ამ ქსოვილის ნებისმიერი უჯრედიდან სიყვარული იჭვრიტება – დაუნაწევრებელი, შეკრული, მთლიანი – როგორც მზე, როგორც კვერციხი, სიყვარულით გამთბარი

თითები თუ შეკრული გუნდა, რომ ესროლო ადამიანს, თუნდაც სრულიად უცნობს და მოახედო შენსკენ.

ავტორი სიყვარულით და ნდობით გულანთებული არსება, ამიტომ მის მიერ დახატულ ფიქრს, განცდას, ემოციას, გამჭვირვალობასთან ერთად, რალაცნაირი იდუმალეზა დაჰყვება თან. აი, დაახლოებით ისეთი, ჩვილი რომ ილიმება ძილში და გაფიქრებინებს: ანგელოზებს უღიმი-სო. ამ მინიატურებში აბსოლუტურად დამაჯერებელია, რომ ის ქალია და თავისი მდებარეობით ცხოვრებით ცხოვრობს. დამაჯერებელია მისი თხოვნაც: „ჩემო ლამაზო ქმარო, რალაც უნდა ვთხოვო: შემოდგომაზე ჩვენი სახლის ეზოში დამრგე, წყალი მისხი, ხელები რომ არ გამიმხმეს, მინა გამიფხვიერე, ჩიტები დააფრთხე, ზედ რომ არ დამასხდნენ... გაზაფხულობით ბავშვები გარეკე თითები რომ არ დამილენონ და დედებს არ მიართვან წყლიან ჭიქაში ჩასაწყობად. ხე ვარ, ატმის ხე“.

და ბოლოს: ავტორმა ამ მხატვრული სახით – „გატეხილი სიტყვების შემნებელი“ – ძალზე კარგად გამოხატა რა მნიშვნელობა აქვს მისთვის სიტყვას. თავის მინიატურებში ის ქმნის ერთგვარ სამებას – ქალი-კაცი-შვილი – ღვთისგან კურთხეულ ქვაკუთხედს კაცობრიობისა, რომელსაც ხელისგულზე გვიჩვენებს და გვეუბნება, რომ თუ ეს მთლიანობა არ დაირღვევა, მაშინ სამყაროს არაფერი იმუქრება.

**ლევან ქურციკაშვილი:**

მე არ ვიცი რა თვითრეფლექსია არსებობს ამ ყველაფრის დასაწერად. როცა ვუსმენდი, ჯერ ვიფიქრე: ეს ბავშვი პატარაობისას თუთის ხიდან ხომ არ არის ჩამოვარდნილი...

**ნინო თარხნიშვილი:**

კი, ვარ... მართლა ჩამოვარდი.

**ლევან ქურციკაშვილი:**

ან სიცხიანის ბოდეა ხომ არ არის-მეთქი. მერე ვიფიქრე: ბოდეა კი არა, კარგა მოზრდილი ტურა გყავს დაჭერილი, მიდი და აჯირითე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, სუ-ლიწმიდა გიზის თურე გვერდში და თუ ეს ყველაფერი ღვთის მაღლი არ არის, აბა საიდან, როგორ, ასეთი ასაკთან მიუდევრებელი აზროვნება.

**შოთა ბოსტანაშვილი:**

ყურადღებით ვუსმენდი, გარკვეული რაკურსი შევარჩიე და თავისთავად აღმოვჩნდი ამ რაკურსში – სიკეთისა და ბოროტების მიღმა. იცით, მოგვწონს თუ არა, ქართულ ლიტერატურაში მიმდინარეობს გარკვეული პროცესი, რომელსაც თან ახლავს შეფასება და ამ შეფასებაში მონაწილეობს ისეთი კრიტერიუმები, როგორცაა განსხვავებულ-თა დაახლოება. რეალური თუ წარმოსახვითი საგნები და მოვლენები, რომლებიც რეალობაში ერთად ვერ იქნებიან, ამ ტექსტის სივრცეში ძალიან ჩვეულებრივად და უბრალოდ უახლოვდებიან ერთმანეთს. აქ ენა გადაიქცა ტოპო-სად, იმ ადგილად, სადაც განსხვავებულთა თანხვედრა ხდება. ჰიბრიდული სიტყვაა სათაური და ჰიბრიდიც ხომ სწორედ განსხვავებულთა დაახლოვებას ნიშნავს.

ასე უახლოვდება რეალობა სინამდვილეს. და ეს შეიმჩნევა, საერთოდ, როგორც პროცესი. ყველაფერი რალაც მთლიანობისკენ მიდის. ფრაგმენტიზაციის ეპოქა მთავრდება. ეს არის მნიშვნელოვანი. ჩანს ყველა დეკონსტრუქციას მოჰყვება რეკონსტრუქცია. სალამი რეკონსტრუქციას!

**ნინო ვახანია:**

კაცობრიობას გაჩენის დღიდან დღემდე მართლაც არაფერი აქვს უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი, უფრო ამაღლებული, ვიდრე სიყვარულია. სიყვარულისთვის, საყვარელი ადამიანისთვის ყველას როდი შეუძლია ყველაფრის დათმობა, განირვა, საკუთარის დაკარგვა და იმ მეორეში ნიველირება. წერილების, გრძელი წერილების, ხელით დანერილი წერილების (და არა „აკადნუსხურით“ აკრეფილი იმილების) მილების და ნაკითხვის სურვილიც ხომ სიყვარულის, სიცოცხლის, სიხარულის განცდის სურვილი და მონატრებაა. არც ჯოჯოხეთში, არც სამოთხეში, არამედ სალხინებელში, შუაში ცხოვრობს ამ წიგნის ავტორი და გვაფიქრებს იმაზე, ნეტა ჩვენ სად ვცხოვრობთ ან ვარსებობთ?

ვის შეუძლია წარმავალის შეჩერება, დროის უკან მობრუნება, სიხარულისა თუ ტკივილის ჩარჩოში მოთავსება და სურათით შენახვა თუ არა მწერალს? ან მზის შესახებ ასეთი რამის თქმა: „მზეს ვკითხე, მარტო სალამოობით რატომ ბანაობ-მეთქი? არ ვიცი, დღისით მერიდება, ცოტა მსუქანი ვარ და საცურაო კოსტიუმს ვერ ვიხდენო“...

მინიატურებში არსად ჩანს მკითხველისთვის თავის-მონონების სურვილი და კეკლუცობა. ავტორი ჩვეულებრივი სიტყვებით ალწევს საოცარ ინტიმს, რომელიც თავის თავში იტევს ბავშვობის მონატრებას, სევდას გარდასულის გამო. მიდიან წინაპრები, ჩუმად, უხმაუროდ, თან სახლის თითო აგური მიაქვთ, ავეჯიც, სურათებიც, ხმაურიც, საყვარელი სუნიც... კარს ღიად ტოვებენ და სწორედ იქიდან მოდის მომავალი, რომელიც წარსულს ჰგავს. მოდიან პატარები და სახლი უცებ ივსება იმ ყველაფრით, რისი დაბრუნებაც შეუძლებელი გვეგონა, ამიტომ ამ მინიატურებში ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერლის, ქალის დამოკიდებულება შვილთან.

და ბოლოს: ქალთარაფერა თურმე ქალის არამსგავსს ნიშნავს, უხელთური კი ადამიანს, რომელსაც არაფერი გამოსდის. მართლა კი არა – ქალთარაფერა გაზაფხულზე აყვავებული ულამაზესი ატმის ხეა, სიყვარულის ქალღმერთია, სიტყვების ჯადოქარი, თავისი დარდით სხვის ნაღველს რომ კურნავს და ამ უთავყამო ნუთისოფელში ღვთისკენ, სინათლისკენ, სიყვარულისკენ გვახედებს.

**ნინო თარხნიშვილი:**

დიდი მადლობა ყველას იმისთვის, რომ აქ შეიკრიბეთ და თქვენი აზრი გამიზიარეთ. ამ მინიატურებში არაფერია გამოგონილი. ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრებაა. აი, თუნდაც ის: ჩემი ჭერი სულით ავადმყოფის იატაკია, ჩემი იატაკი – მღვდლის ჭერი... ჩემს ქვემოთ მართლა მღვდელი ცხოვრობს, ზემოთ – სულით ავადმყოფი. მე კი – შუაში. ეს ჩემი სალხინებელია.

დაიბადა 1967 წელს, თელ-ავივში. უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ისრაელის ახალგაზრდა მკითხველ საზოგადოებაში. კერძო თავის თხზულებებში სწორედ ახალი თაობის სამყარო, სულისკვეთება და მისწრაფებები ასახა. ყოველი მისი ნივთი ბესტსელერი გახდა და ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ, პოლანდიურ, დანიურ, რუსულ, პოლონურ, ესპანურ და კორეულ ენებზე. მწერალი დაჯილდოებულია ისრაელის არაერთი ლიტერატურული პრემიით. ასწავლის თელ-ავივის უნივერსიტეტის კინოხელოვნების სკოლაში.

ედგარ კერუთი

## ორი ნოველა

### მილაბი

მე-7 კლასში რომ გადავედი, სკოლაში მოვიდა ფსიქოლოგი და ტესტი ჩაგვიტარა. ერთმანეთის მიყოლებით შეიდი განსხვავებული სურათი გვაჩვენა და გვკითხა, თუ რა იყო მათში არანორმალური. მე ყველა საკვებით ნორმალური მეჩვენა, მაგრამ ფსიქოლოგი ჯიუტობდა და ისევ და ისევ მაჩვენებდა პირველ სურათს, რომელზეც ბიჭი იყო გამოსახული. „რა ნაკლი აქვს ამ სურათს?“ - მოქანცული ხმით მკითხა მან. სურათი აბსოლუტურად უნაკლოა-მეთქი. ის საშინლად გაჯავრდა და თქვა: „ვერ ხედავ, რომ ამ სურათზე ბიჭს ყურები არ გააჩნია?“ მართალი გითხრათ, როცა კვლავ დავაცქერდი სურათს, შევამჩნიე, რომ ბავშვს ყურები არ გააჩნდა, თუმცა ნახატი მაინც სრულიად ნორმალური მეჩვენებოდა. ფსიქოლოგმა დაადგინა, რომ „აღქმისა და აზროვნების დიდი პრობლემა“ მქონდა და სადღურგლო სკოლაში გამამწესა. იქ გაირკვა, რომ ნახერხზე ალერგია მჭირდა და შემდუღლებულთა ჯგუფში გადამიყვანეს. პროფესიას ალლო კი ავუღე, მაგრამ გული ვერ დავუდე. მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არც არაფერი მსიბლავედა.

სკოლის დამთავრების შემდეგ მიღების ქარხანაში დავინყე მუშაობა. დირექტორს პოლიტექნიკური ჰქონდა დამთავრებული. ჩინებული ყმაწვილი იყო. უყურო ბავშვის სურათი ან რაიმე მსგავსი, რომ გეჩვენებინათ, მაშინვე მიხვდებოდა.

სამუშაო საათების შემდეგ ქარხანაში ვრჩებოდი, ვანყობდი ჩემთვის დაგრეხილ მიღებს, რომლებიც დახვეულ გველებს ჰგავდნენ, და შიგნით კამათლებს ვაგორებდი. ვიცი, ეს ცოტა იდიოტურად ჟღერს, მაინცდამაინც არც მართობდა ეს საქმე, მაგრამ მაინც არ ვეშვებოდი.

ერთ საღამოს მართლა რთული კონსტრუქცია ავანყე, უამრავი ხვეული და გრავნილი დავდგი, და როცა შიგ კამათელი შევავაგორე, მეორე მხრიდან აღარ გამოგორდა. თავიდან ვიფიქრე, შუაში გაიჭედა-მეთქი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ოცზე მეტი კამათელი შევყარე, მივხვდი, რომ ისინი, უბრალოდ, ქრებოდნენ. ვიცი, რასაც ახლა ვამბობ, ცოტა სულელურად ჟღერს, რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ კამათელი არ ქრება. თუმცა, როდესაც ვაკვირდებოდი კამათლებს, რომლებიც მილის ერთ მხარეს შედიოდნენ, ხოლო მეორე მხრიდან არ გამოდიოდნენ, უცნაურად სულაც არ მეჩვენებოდა. ეს ამბავი საკვებით ნორმალურად მიმაჩნდა. მაშინ გადავწყვიტე ამეგო დიდი მილი, ზუსტად იმავე მოდელისა, სადაც შევძვრებოდი და გაუჭინარდებოდი. როცა ეს იდეა მომივიდა, იმდენად გამიხარდა, რომ სიცილი ამიტყდა. მგონი ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა გავიცი.

რად მიმაჩნდა. მაშინ გადავწყვიტე ამეგო დიდი მილი, ზუსტად იმავე მოდელისა, სადაც შევძვრებოდი და გაუჭინარდებოდი. როცა ეს იდეა მომივიდა, იმდენად გამიხარდა, რომ სიცილი ამიტყდა. მგონი ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა გავიცი.



იმავე დღეს შევუდექი საქმეს. ყოველ საღამოს ვმუშაობდი, დილაობით კონსტრუქციის ნაწილებს სანყოფინში ვმალავდი. ოცი დღე დასჭირდა მშენებლობას. უკანასკნელ ღამეს ხუთი საათი მოვუნდი მის აწყობას. მიღმა ნახევარი დარბაზი დაიჭირა.

დასრულებულს მზერა რომ შევახედე, ჩემი სოციოლოგიის მასწავლებელი გამახსენდა, რომელმაც ერთხელ თქვა, პირველი ადამიანი, რომელმაც ჯოხი გამოიყენა, სულაც არ ყოფილა ტომში ყველაზე ძლიერი, ან ყველაზე გონიერი, მათ არც სჭირდებოდათ ჯოხი, ჯოხი ყველაზე მეტად სწორედ სუსტს სჭირდებოდა, რათა თავი გადაერჩინა და თავისი სისუსტე დაეფარაო. არა მგონია, თუ კიდევ მოიქებნებოდა ქვეყნად ადამიანი, რომელსაც ჩემზე მეტად უნდოდა გამქრალიყო. ამიტომაც გამოვიგონე ეს მილი მე, მე და არა იმ გენიოსმა ინჟინერმა პოლიტექნიკურიდან, რომელიც ქარხანას მართავდა.

მიღმი შევბობდი. არც კი ვიცოდი, რა მელოდა მეორე მხარეს. შესაძლოა იქ უყურო ბავშვები ყოფილიყვნენ, კამათლების გროვაზე მოკალათებულნი, ვინ უწყის. არ ვიცი, ზუსტად რა მოხდა, მას შემდეგ, რაც მილის გარკვეული უბანი გავიარე. ვიცი მხოლოდ, რომ ახლა აქა ვარ.

მგონი, მე ახლა ანგელოზი ვარ, ანუ მაქვს ფრთები და თავის გარშემო რალაც რკალი. აქ ასობით არიან ჩემნაირები. მე რომ მოვედი, ისხდნენ და თამაშობდნენ კამათლებით, რომლებიც რამდენიმე კვირის წინათ მე შემოვყარე.

ყოველთვის მეგონა, რომ სამოთხე იმ ადამიანებისთვის იყო, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე კარგები იყვნენ, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ღმერთი უფრო მეტად მონყალე და მიმტვევებელი აღმოჩნდა. სამოთხე, უბრალოდ, ადგილი ყოფილა მათთვის, ვინც, მართლა, ვერ შეძლო ბედნიერი ყოფილიყო მიწაზე. აქ მე ამიხსენს, რომ ადამიანები, რომლებიც თავს იკლავენ, უკან უბრუნდებიან მიწას, რათა ახლიდან შეუდგნენ ცხოვრებას. ვინაიდან ის, რომ არ იყვნენ კმაყოფილი წინა ცხოვრებაში, არ ნიშნავს, რომ ვერ მონახავენ თავიანთ ადგილს ახალ ცხოვრებაში. ხოლო ისინი, რომლებიც ნამდვილად არ შეეფერებიან დედამიწას, გზას აქეთ იკვლევენ. ყოველ მათგანს სა-

მოთხისაკენ მომავალი საკუთარი გზა აქვს ამორჩეული: არიან მფრინავები, რომელთაც აქ მოსასვლელად პირდაპირ ბერმუდის სამკუთხედში ჩაყვინთეს; აქ ბრძანდებიან დიასახლისები, რომლებმაც ჩვენთან ჭურჭლის კარადის უკანა მხრიდან შემოაღწიეს; გახლავან მათემატიკოსები, რომელთაც სივრცეში ტოპოლოგიური ცდომილებანი იპოვეს და აქ შემოდრომა მოახერხეს. შენც, თუ მართლა არა ხარ ბედნიერი მანდ, ქვემოთ, და ყველა ჯურის ადამიანი გიკიჟინებს, „აღქმისა და აზროვნების დიდი პრობლემა“ გაქცეს, მონახე შენი გზა ჩვენკენ, და როცა იპოვნი, თან კარტი გამოიყოლე, მოგვებზრდა კამათლის გორება.

### კეთილი მიზნები

საფოსტო ყუთში მოზრდილი კონვერტი მელოდებოდა. გავხსენი და ფული გადავთვალე. თანხა სრული იყო. კონვერტში ბარათიც იყო სამიზნის გვარ-სახელით, პასპორტის სურათითა და ადგილით, სადაც მისი ნახვა შემძლო. შევიკურთხე. არ ვიცი, რატომ. მე პროფესიონალი ვარ. პროფესიონალს კი ამგვარი ქცევა არ შეეგნის. მაგრამ ლანძღვა, უბრალოდ, ნამომცდა. არა, მისი გვარ-სახელის ნაკითხვა არც მჭირდებოდა, სურათზე ვიცანი. გრაისი, პატრიკ გრაისი. ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. კეთილი ადამიანი. ყველაზე კეთილი, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი, და, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე კარგი კაცი.

პატრიკ გრაისის მხოლოდ ერთხელ შევხვდი. ეს იყო ბავშვთა სახლში, ატლანტაში. ჩვენ იქ პირუტყვებით, ისე გვექცეოდნენ. მთელი წელი ნაგავში ვეყარეთ, საჭმელს ძლივს იმეტებდნენ, და თუ ვინმე პირს გააღებდა, გვერდებს ქამრით უჭრებდნენ. თუმცა ქამარს არც მას აკლებდნენ, ვინც ენას კბილს აჭერდა. როდესაც გრაისი ჩამოვიდა, თავი მოიქაჩლეს და გაგვერცხეს ჩვენცა და ის სახეზეც, რომელსაც ბავშვთა სახლს ეძახდნენ. ვიდრე გვეწვოდნენ, დირექტორმა ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარა: ვინც დაიჩვილებდა, მოგვიანებით მიიღებდა. ყველას საკმარისად გვექონდა ნაგავი ის, რაც უნდა მიგველო, და ვიცოდით, რომ მოლოდინს არ გავვიმტყუნებდა. როდესაც გრაისი ჩვენს ოთახებში შემოვიდა, ცხვრებით დავედუმდით. გრაისი შეეცადა ჩვენთან გამოლაპარაკებას, მაგრამ საუბარი ვერ აენყო. თითოეული ბავშვი, რომელიც საჩუქარს იღებდა, იტყოდა: „ლამაზია, გმადლობთ“, და თავის საწოლს მიაშურებდა. მე მიზანში სასროლი მერგო. როდესაც მადლობა გადავუხადე, ჩემკენ ხელი გამოიწოდა. მე მოვიკუნტე, მეგონა მარტყამდა. გრაისმა თმა ნახად ამიჩეჩა და უსიტყვოდ ამინია პერანგი. თქმა არ უნდოდა, გრაისს შეეძლო ყველაფერი ჩემს ზურგზე ამოეკითხა. თავიდან დადუმდა, მერე რამდენჯერმე წარმოთქვა იესოს სახელი. ბოლოს პერანგი ჩამომინია და მომეხვია. დამპირდა, რომ იმ დღიდან ველარავინ მცემდა. მე, რასაკვირველია, არ დაუფერე. ტყუილუბრალოდ თავზე ხელს ვინ გადაგისვამდა. მაშინ ყველაფერი რაღაც გართობად მეჩვენებოდა. მეშინოდა, ნამიც და ქამარს გაიძრობს და დამცხებს-მეთქი. როცა მეფერებოდა, ერთი სული მქონდა, როდის ნავიდოდა. ის ნავიდა. იმ საღამოსვე გამოცვალეს ჩვენი დირექტორი და

მთელი პერსონალი. მეტი აღარავის ვუცემივარ, გარდა პატარა ზანგისა, რომელიც მერე ჯეკსონებით დავამუშავე. მაშინ ეს უფასოდ გავაკეთე. მას აქეთ ჩემზე ხელი არავის აღუმართავს.

პატრიკ გრაისის მეტი აღარ შევხვედრივარ, თუმცა გაზეთებში ბევრს ვკითხულობდი მასზე, ადამიანებზე, რომელთაც ეხმარებოდა, მის ყოველ ქველმოქმედებაზე. კარგი კაცი იყო, ალბათ, ყველაზე კარგი მსოფლიოში. ერთადერთი ადამიანი, რომლის სიკეთეც მემართა ამ წყევლ მიწაზე. ორ საათში მას უნდა შევხვედროდი. ორ საათში მისთვის ტყვია უნდა მეკრა შუბლში. ოცდათერთმეტი წლისა ვარ. ჩემი მუშაობის მანძილზე ოცდაცხრა კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. ყველა შევასრულე. ოცდაექვსი ერთი დარტყმით მოვათავე. არასოდეს დავინტერესებულვარ იმ ადამიანებით, ვისაც ვხოცავ. არასოდეს დამისვამს კითხვა „რატომ?“. ბიზნესი ბიზნესია, აკი ვთქვი, პროფესიონალი ვარ-მეთქი. კარგი სახელი მაქვს. ხოლო ჩემს პროფესიაში კარგი სახელი ყველაფერია. აქ არც საგაზეთო რეკლამებია და არც საგანგებო ფასდაკლება საკრედიტო ბარათების მფლობელებზე. ერთადერთი რამ, რასაც კლიენტი ჩემთან მოჰყავს, არის სანინდარი იმისა, რომ სამუშაო შესრულდება. ამიტომაც პედანტურად ვუპყრობი ყოველ შეკვეთას. ვინც ჩემს დოსიეს ჩახედავს, მხოლოდ კმაყოფილ კლიენტებს ნახავს. კმაყოფილ კლიენტებს და გვამებს.

ქუჩის მხარეს ვიქირავე ოთახი, ზუსტად კაფეს მოპირდაპირედ. დიასახლისს ვუთხარი, ბარგს ორშაბათს გადმოვიტან-მეთქი, და ორი თვის ქირა წინასწარ გადავუხადე. ნახევარი საათი მქონდა მისი მოსვლის სავარაუდო დრომდე. იარაღი ავანყე და ინფრა-წითელი სამიზნე ნულზე დავაყენე. ოცდაექვსი წუთი კიდევ მრჩებოდა. სიგარეტს მოვუკიდე. ვცდილობდი არაფერზე მეფიქრა. სიგარეტი ჩაიწვა. ნამწვი ოთახის კუთხეში მოვისროლე. ვის უნდა სდომოდა ასეთი კაცის მოკვლა? მხოლოდ სატანას ან შემოლილს. გრაისს ვიცნობ. ის მომეხვია, როცა ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. მაგრამ ბიზნესი ბიზნესია. ერთხელაც რომ მისცე გზა შენს გრძნობებს, გათავებულა შენი საქმე. ოთახის კუთხეში ნოსმა აბოლებს იწყო. საწოლიდან წამოვდექი და სიგარეტის ნამწვი გავსრისე. კიდევ თვრამეტი წუთი, კიდევ თვრამეტი წუთი და მორჩა! ვცდილობდი მეფიქრა ფეხბურთზე, დან მარინოზე, მეძაფე ორმოცდამეორე ავნიუდან. ვცდილობდი არაფერზე მეფიქრა.

ზუსტად დანიშნულ დროს მოვიდა. ზურგიდანვე ვიცანი, მსუბუქი სიარულითა და მხრებამდე ჩამოშლილი თმით. გარეთ ერთ-ერთ მაგიდასთან დაჯდა, ყველაზე განათებულ ადგილას, ისე, რომ ზუსტად ჩემკენ იმზირებოდა. კუთხე სრული იყო, რადიუსი – საშუალო. ამ გასროლას თვალდახუჭულიც შევასრულებდი. წითელი ნიშანი მის საფეთქელთან გამოჩნდა, მეტისმეტად მარცხნივ იყო, მარჯვნივ გავასწორე, რამდენადაც საჭირო იყო, და სუნთქვა შევიკარი.

სწორედ მაშინ ჩაიარა მოხუცმა მანანალამ ცელოფნის პარკების ზვინით, ასეთებით სავსეა ქალაქი. ტროტუარზე, კაფეს მახლობლად, ცალი სახელური გაუნყდა, პარკი ძირს დაეცა და იქიდან ათასი ხარახურა გადმოიყარა. დავინახე, რომ გრაისის სხეული წამით გახევდა, პირის

კუთხეში ოდნავი კონველსია დაეტყო, და მაშინვე დასახმარებლად წამოდგა. ტროტუარზე მუხლი მოიყარა და უკან ტოპრაკში ყრიდა გაზეთებსა და ცარიელ თუნუქის ქილებს. სამიზნე თან სდევდა მთელ გზაზე. მისი სახე ახლა ჩემი იყო. სამიზნის წითელი წერტილი შუბლის ცენტრში ტივტივებდა, როგორც მზისგარე ინდური მორთულობა. ეს სახე ჩემი იყო. და როცა მოხუცს გაუღიმა, მან მთლად გაიბრწყინა, როგორც წმინდანის ფრესკამ ეკლესიის კედელზე.

სამიზნეში ცქერა შევწყვიტე. სასხლეტ თითს დავაშტერდი. იგი დამცველის პარალელურად გაჭიმულიყო, თითქოს თაბაშირში ყოფილიყოს. ამას არ იზამს, აზრი არა აქვს თავის მოტყუებას, უბრალოდ, ამას არ იზამს. იარაღი დამცველზე დავაყენე, რაზა უკან მოვნიე. ტყვია პირიდან ამოცურდა.

კაფეში ჩავედი იარაღიანი ჩემოდნით. ფაქტობრივად, იარაღი აღარ იყო, ის კვლავ ხუთ უწყინარ ნაწილად გადაიქცა. დავჯექი მაგიდასთან გრაისის პირდაპირ და ოფიცინტს ყავა ვთხოვე. მან მაშინვე მიცნო. თერთმეტი წლისა ვიყავი, როცა პირველად მნახა, მაგრამ იოლად მიცნო. ჩემი სახელიც კი ას-

სოვდა. ფულიანი კონვერტი მაგიდაზე დავდე, ვუთხარი, რომ ვილაცამ მის მოსაკლავად დამიქირავა. ვცდილობდი თავი ცივად დამეჭირა, ისე მომეჩვენებინა, თითქოს წამითაც არ გამევილოს გულში ამ შეკვეთის შესრულება. გრაისმა გამიღიმა და მითხრა, ყველაფერი ვიცოდი, სწორედ მე გამოგიგზავნე ფული კონვერტით, რადგანაც სიკვდილი მინდოდაო. ვალიარებ, რომ მისმა პასუხმა გამაოცა. რაღაც წავილულულე. რატომ-მეთქი, უკუნებელი სენი ხომ არ გჭირთ მეთქი. – სენი? – გაიცინა მან, – დაახლოებით ეგ არის. მერე ისევ გამოესახა ოდნავი კონველსია პირზე, ისეთი, როგორიც წელან ფანჯრიდან შევამჩნიე, – და თხრობას შეუდგა: „ბავშვობიდან მჭირს ეს დაავადება. არავინ ცდილა მისგან განვეკურნე, თუმცა სიმპტომები თვალსაჩინო იყო. სათამაშოებს სხვა ბავშვებს ვაძლევდი, არასოდეს მიცრუია, არასოდეს მომიპარავს. სკოლის ეზოს კინკლაობაშიც არასოდეს ჩავრთულვარ, მუდამ მეორე ლოყას ვუშვებდი მოპაექრეს. ჩემი ჭირვეული გულკეთილობა წლებთან ერთად მძიმდებოდა, დახმარებას კი არავინ ცდილა. ვთქვათ, ცუდი და უზნეო რომ ვყოფილიყავი, მაშინვე რომელიმე ფსიქოლოგთან გამაქანებდნენ და ამ უზნეობის აღმოფხვრას შეეცდებოდნენ. მაგრამ რას იზამ, თუ კეთილი ხარ? ამ საზოგადოებას ძალიანაც აძ-

ლევს ხელს, მუდმივად იღებდეს იმას, რაც სჭირდება, ალტაცებული შეძახილისა და რამდენიმე კომპლიმენტის ფასად. თანდათან ვნადგურდებოდი. დღეს უკვე აღარ შემიძლია ლუკმა ისე გადავყლაპო, თუ ვინმე უფრო მშვიდი არ მოვძებნე, რომ საჭმელი დაამთავროს. ლამლამობით თვალს ძილი არ მეკარება. როგორ შეიძლება საერთოდ იფიქრო ძილზე, როდესაც ცხოვრობ ნიუ-იორკში და შენი სახლიდან ოცი მეტრის მოშორებით ადამიანები ქუჩაში ძელსკამზე იყინებიან“.

კონველსიამ პირის კუთხეში ისევ იჩინა თავი, მთელი ტანით კანკალებდა. „ასე გაგრძელება აღარ შემიძლია,



მხატვარი თამარ მინაშვილი

უძილოდ, უპუროდ, უსიყვარულოდ. ვის სცალია სიყვარულისთვის, როცა ირგვლივ ამდენი ტანჯვაა? კომპარია და ეგაა. გამიგე, არასოდეს მითხოვია ასეთ დღეში ყოფნა. ეს საცდური ვითარება, ოღონდ ნაცვლად სატანისა, შენს სხეულზე ანგელოზი ბატონობს. ეშმაკმა დალაზვროს, სატანა მანიც ყოფილიყო, უკვე კარგა ხნის წინ იზრუნებდა ვინმე, ჩემთვის ბოლო მოელო, ახლა კი რა? – გრაისმა ამოიოხრა და თვალები დახუჭა, – მისმინე, – განაგრძობდა იგი, – მთელი ფული აქაა. აიღე, ადი რო-

მელიმე აივანზე ან სახურავზე და დაამთავრე ეს ყველაფერი. მე ხომ ამას ჩემი ხელით ვერ ვიზამ! უფრო და უფრო მძიმდება ყოველი დღე, რაც ჩემთვის მხოლოდ ფულის გაგზავნიდა და ამგვარი საუბრის გამართვით ამოინურება, – მან სახიდან ოფლი მოიწმინდა, – ძალიან, ძალიან მჭირს. დარწმუნებული არა ვარ, კვლავ მეყოფა თუ არა ძალა ამის გასაკეთებლად. გთხოვ, ადი რომელიმე სახურავზე და დაუსვი ამას წერტილი, გვედრები!“ მივშტერებოდი მის ტანჯულ სახეს. ჯვარცმული იესო იყო, ნამდვილი იესო! არაფერი მითქვამს, არც ვიცოდი, რა მეთქვა. მეტწილად ყოველთვის მაქვს შესაფერი წინადადება ჩახმახზე შეყენებული, და სულერთია, მღვდელი იქნება, ბარის კახა თუ ფედერალური აგენტი. მაგრამ მისთვის რა უნდა მეთქვა? მასთან ისევ ის შემინებული ბავშვი ვიყავი ბავშვთა სახლიდან, რომელიც ყოველ მოულოდნელ მოძრაობაზე იკუნტებოდა. იგი კეთილი კაცი იყო, კეთილი ადამიანი, ვერასოდეს შევძლებდი მის განადგურებას. ვერაფერს გავანყობდი, თითი, უბრალოდ, არ მოიდრიკებოდა.

– ვუნხვარ, ბატონო გრაის, – ჩავიჩურჩილე ბოლოს, – მე უბრალოდ...

– შენ უბრალოდ არ შეგიძლია მომკლა, – გაიღიმა მან, – რა გავნყობა, შენ პირველი არა ხარ. შენამდე ორმა უკვე

მოასწრო კონვერტის დაბრუნება. როგორც ჩანს, ესეც წყევლის ნაწილია. შენლა მეგულებოდი, – მან მხრები აიჩეჩა, – მე კი დღითი დღე უფრო და უფრო ვსუსტდები. როგორღაც მეიმედებოდა, რომ შეძლებდი ჩემთვის ვალის დაბრუნებას.

– ვნუხვარ, ბატონო გრაის, – ჩავიჩურჩულე, თვალს ცრემლი მომდგომოდა, – რომ შემძლებოდა...

– ეგ არაფერი, – მითხრა მან, – შენი მესმის. დაივიწყე ყველაფერი, ანგარიშიც მე დამიტოვე, – გამიღიმა, როცა ხელში ფული დამინახა, – მე გპატიუებ, ნუ შემეკამათები! მე ხომ ვალდებული ვარ, დაგპატიუო. იცი შენ, ეს ავადმყოფობასავითაა.

დაკუჭული კუპიურა უკან ჩავიტენე ჯიბეში, მადლობა გადავუხადე და წავედი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, დამიძახა, იარალი დამრჩენოდა.

მივბრუნდი. ავიღე. ჩუმად შევიკურთხე. თავს ფრად ვგრძნობდი.

სამი დღის შემდეგ დაღასში ვიღაც სენატორს ვესროლე. რთული გასროლა იყო. ორასი იარდი, ნახევარი ტანი, გვერდითი ქარი. მიწამდე არ დაჰყოლია სული.

**ებრაულიდან თარგმნა  
ამამჟამა ბუცხრიკიძე**

ზოია ფირზადი

**ყვავილები  
გადასაფარებლის  
შუაგულში**

ექვსი წლისა იყო როუშანაქი, ქსოვა რომ ისწავლა. ბებომ, რომელიც წლები იყო, ტახტისთვის დიდ ჭრელ გადასაფარებელს ქსოვდა, ერთ დღეს უთხრა: „გოგო, ემპაკობის და ცელქობის მაგიერ დაჯე, აი, ასეთი ყვავილები მოქსოვე. ყვავილებს ერთმანეთს გადავაბამთ და საგებელიც უფრო მალე მოიქსოვება“.

როუშანაქმა სათამაშო კენჭები კუთხეში მიყარა, დიდდას მიუჯდა და ყვავილების ქსოვას შეუდგა – თეთრი, ნითელი, ყვითელი, ვარდისფერი ყვავილების.

პირველი ყვავილები ოკრობოკრო და დაბრეცილი გამოუვიდა, მაგრამ ბებო ეუბნებოდა: „არა უშავს რა, ამათ გადასაფარებლის შიდა პირზე მოვაქცევთ და აღარ გამოჩნდება“.

სკოლაში რომ წავიდა, „ა“-სა და „ი“-ს წერა არ გასჭირვებია. „ა“ თვლის ამოსაყვანად მოჭიმული ძაფი იყო, „ი“ კი ამოსაყვანი თვალი, დანარჩენებს რომ უერთდებოდა. **გ, ზ, თ, მ**-ს მუცლების გამოყვანა გადასაფარებლის ყვავილებისთვის ფურცლების მოქსოვაზე უფრო იოლი იყო. როუშანაქი იმ წელს საუკეთესო მონაფე გახდა, მომდევნო წელსაც და იმის შემდეგაც. ახლა უკვე ერთგვაროვან ყვავილებს ქსოვდა, მაგრამ დიდდა ამბობდა, გადასაფარებლის შუაგულისთვის ჯერ არ გამოდგება, შუაგულისთვის ულამაზესი ყვავილები უნდა მოვქსოვოთო, და თავად ისეთ ლამაზ ყვავილებს ქსოვდა, რომ როუშანაქი თვალს ვერ წყვეტდა.

ბებია და შვილიშვილი ქსოვდნენ და მუსაიფობდნენ. უფრო ბებო ლაპარაკობდა, როუშანაქი კი ყურს უგდებდა. მოხუცი ქალი, კაფანდარა გამოფიტული სხეულით, რომელსაც თეთრად გადაჰენტილი, გრძელი და ფაფუკი თმა ხის ორი სავარცხლით ზემოთ, თავზე მოექუჩებინა, ზამ-

თარში მატყლისა და ზაფხულში – მარმაშის თავშლით, წარსულში მოგ ბაურობდა და გოგონასაც თან გაიყოლებდა ხოლმე. მიდიოდნენ ბებოს მამისეულ სახლში, რომელსაც დიდი, ქვებით მოკირწყლული ეზო ჰქონდა, გარშემო ჩამწკრივებული მრავალი ოთახით. ეზოს შუაგულში, აუზთან, ერთი ბებერი ჭადარი იდგა, რომელიც, ბებიას თქმით, დიდდამისს დაურგავს. ბებია სახლში ტრიალებდა, ოჯახის წევრებს გამოელაპარაკებოდა, როუშანაქს რალაცებს უჩვენებდა, უამბობდა სახლის ბინადართა თავგადასავლებს და როუშანაქიც თავის დიდდას ისეთად ხედავდა, როგორც იმხანად იქნებოდა – ახალგაზრდას, მორიდებულს, ლამაზსა და თავგადასავლის მომლოდინეს. ემატებოდა და ემატებოდა ნაქსოვს, ბებია და შვილშვილი კი ერთმანეთს არ ეკითხებოდნენ, რა ზომისა უნდა ყოფილიყო გადასაფარებელი.

სკოლა რომ დაამთავრა, ბებია იმ წელს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ფორთოხალი მოითხოვა. ზაფხული იყო და ფორთოხალი არ იშოვებოდა. საზამთრო მიუტანეს. რა ტკბილი ფორთოხალიაო, თქვა და მოკვდა.

გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეც რომ გავიდა და მეორმოცეც, როუშანაქი ბებიას ოთახში შევიდა. გადასაფარებელს იატაკის ნახევარი დაეფარა. უკანასკნელ ყვავილს ერთი ფურცელი აკლდა. როუშანაქმა ყვავილი დაასრულა და შემდეგი ყვავილის ქსოვას შეუდგა.

ბებიას გარდაცვალებიდან ასმეორმოცე ყვავილს ქსოვდა, როცა კარზე ზარის ხმა გაისმა. რამდენიმე წუთში დედის ხმა მოჰყვა: „როუშანაქ, სტუმარი გყავს, ჩაი მოგვართვი“.

როუშანაქმა ჩაი მიართვა.

კაცი ილანძლებოდა: „ათი წელია ოჯახი გაბარია და მაინც ვერ ისწავლე ჩაის მიტანა! ზუსტად ისე გედვრება სინზე, როგორც პირველ დღეს.“

როუშანაქმა ჩვილი აიყვანა და ოთახიდან გავიდა. საშინაო დავალების რვეულების ზემოდან ორი პატარა გოგონას დამფრთხალმა თვალებმა გააცვილა.

ფერად-ფერად ყვავილებიანი გადასაფარებელი სარდაფში ეგდო. როუშანაქმა ჩვილი საგებელზე ფრთხილად

დანვინა, მისი ერთი კუთხე გადააფარა, მეორე კუთხეს კი ყაისნალი გაუყარა.

იმ დღეს, როცა ქმარი გაეყარა, მისი სამი ქალიშვილი აქოთქოთდა:

„ამ სიბერეში ბიჭი მოინდომა!“

„ამ სიბერეში ბიჭი მოინდომა?“

„ამ სიბერეში ბიჭი მოინდომა.“

როუშანაქს არც უყვირია და არც უტირია. კიბეებს დაუყვა, სარდაფში ჩავიდა. გადასაფარებლის ერთ-ერთი ყვავილი დაუმთავრებელი დარჩენილიყო. ყაისნალი აიღო. მერე ხელი უშვა. ყაისნალი იატაკზე რამდენჯერმე გაგორდ-გამოგორდა და გაჩერდა. როუშანაქმა გადასაფარებელი გაშალა, გაშალა, გაშალა... მთელი სარდაფი დაიფარა. როუშანაქი ყვავილებს შორის გზას გაუყვა. დაინახა ბებიას პირველი ყვავილები, რომლებიც მაინცდამაინც ლამაზი ვერ გამოსულიყო. მერე უფრო ლამაზები გამოჩნდა. რამდენიმე უც-



მხატვარი გიგა ზალიშვილი

ნობი ყვავილი შენიშნა და გაახსენდა, ბებია რომ ეუბნებოდა: „ესენი დედაშენმა მოქსოვა. არასოდეს ჰქონია ქსოვის ნიჭი“. მერე საკუთარი ყვავილები დაინახა. ადრინდელები – მორცხვი და მორიდებული, მერე – ნატიფი და პატარა, იმის იქით – დიდი, ლამაზი ფერისა... ერთნაირი, ერთნაირი – ზუსტად ისეთი, ბებიას უკანასკნელი ყვავილები რომ იყო. როუშანაქი იატაკზე ყაისნალს დასწვდა.

როუშანაქს თავისი არც ერთი ქალიშვილისთვის არასოდეს ქსოვა არ უსწავლებია. მისი სიკვდილიდან წლების შემდეგაც არავინ იცოდა და არც ვისმეს უკითხავს, იმ გადასაფარებლის შუაგულში რომ ყვავილები იყო, ვინ მოქსოვა – როუშანაქმა თუ ბებია?

სპარსულიდან თარგმნა  
თეა შურღია

# ოდნავი შვება რომ ვიბრძნო

„ჩვენი მწერლობის“ წლევეანდელ მე-19 ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „რას იტყოდა სელინჯერი?“ სტატია ძალიან სწრაფად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გამოქვეყნდა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ რედაქციის თითოეულ თანამშრომელს.

უნდა გითხრათ, რომ რედაქციებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება არ გამაჩნია. ამას ვაბრალებ იმ უხერხულობას (უფრო სწორად, ჩემგან დაშვებულ შეცდომას), რაც ჩემთვის ამ წერილის გამოქვეყნებას მოჰყვა. საქმე ის გახლავთ, რომ სტატიას უკან დართული ჰქონდა გამოყენებული ლიტერატურის სია. მეგობრებმა მირჩიეს, რომ რედაქციისათვის უმჯობესი იქნებოდა ისინი ტექსტში შემეტანა. ჩვენი ფიქრით, ასეც გავაკეთეთ. როგორც ჩანს, საერთოდ გაქრა და დაიკარგა ისინი. ამან გამიჩინა უხერხულობის ის განცდა, რაზედაც ზემოთ მიგანინებთ.

არადა, სტატიაში გამოყენებული მაქვს ქალბატონ დალი ფანჯიკიდის მონოგრაფიები: „ენა, მკითხველი, თარ-

გმანი“ (2002), „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა“ (1995), ვისარგებლე, აგრეთვე, გივი გაჩეჩილაძის წიგნით „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“ (1987), ნარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როცა ვნახე, რომ ჟურნალში დაბეჭდილ ტექსტში ისინი არსად იყო ნახსენები.

საერთოდ მიმაჩნია, რომ ამ წიგნების გარეშე დღეს თარგმანზე ვერავინ ვერაფერს დანერს. ქალბატონმა დალი ფანჯიკიდემ შექმნა სკოლა, ჩამოაყალიბა პრინციპები, რა როგორ უნდა ითარგმნებოდეს და ა.შ. ვთვლიდი და ვთვლი, რომ იგი არამარტო შესანიშნავი მთარგმნელია, არამედ დიდი თეორეტიკოსიც ამ საქმისა.

ერთი სიტყვით, თუ ამ სტატიის წიგნში შეტანას ველირსე, პირველ რიგში, საგულდაგულოდ შევამოწმებ გამოყენებული ლიტერატურის სიას, ელექტრონულ ვერსიას ტექსტსაც დავურთავ და თავიდან ავიცილებ ყოველგვარ უხერხულობას.

თქვენ კი ძვირფასო რედაქცია, არაფერ შუაში ხართ, ოღონდ ერთს უმორჩილესად გთხოვთ, ეს ბარათიც გამომიქვეყნეთ, ოდნავი შვება მაინც რომ ვიგრძნო.

პატივისცემით

მანანა მიქაია  
ქუთაისი

დაპარბული მომავალი

ალენ დალესს სიცოცხლეშივე უწოდეს „შპიონაჟის ასი“. თავის წიგნში „ხელოვნება დაზვერვისა“ (1963) მან ლაკონიურად და ამომწურავად დაახასიათა საბჭოთა „კაგებე“ და ეს დახასიათება, მისივე თანამშრომლების სიტყვით, ზედმინეწივით მოერგო „სი-აი-ეის“ ანუ, ჩვენში გავრცელებული რუსული აბრევიატურით, „ცერეუს“ – სწორედ იმ ორგანოს, რომელსაც თავად ედგა სათავეში.

საბჭოთა პროპაგანდის ცნობილი ტრუბადური, მწერალი და ჟურნალისტი ილია ერენბურგი დალესს ეძახდა „ყველაზე სახიფათო კაცს მთელი დედამიწის ზურგზე“. ერთხელაც ასე დანერა: „თუკი დალესი, რაიმე გაუგებრობის გამო, სამოთხეში მოხვდება, იქაც შეთქმულებებს მოაწყობს და ანგელოზთა ჟღერას შეუდგება“.

როგორც აღნიშნავს მისი ბიოგრაფი, დალესი ამაყად იმონებდა ხოლმე ამ ციტატას.

ალენ დალესმა ზუსტად იცოდა, თუ რამდენი თევზი დაცურავდა ნიკიტა ხრუშჩოვის კაბინეტში დადგმულ ვეება აკვარიუმში; მან ისიც იცოდა, დღეში რამდენ გრამს ხუხავდა ალექსეი აჯუბეი, მარიფათიანი სიძე ხრუშჩოვისა, საგარეო საქმეთა მინისტრობას რომ უმიზნებდა (ვის ახსოვდა შევარდნაძე!) და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი პირმშენიერი მეუღლის – რადა ნიკიტინას საყვარელი ფისუნიების სახელებიც კი იცოდა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი იცოდა, რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირში და რაც უნდა სცოდნოდა ამერიკული დაზვერვის შეფს.

თავისი მჩქეფარე და შინაარსიანი კარიერის მანძილზე მსოფლიოს არაერთ გამოჩენილ პიროვნებას შეხვედრია. მათ შორის ყელყელაობენ კაცობრიობის ისტორიის ისეთი ნათელი ფიგურები, როგორც არიან: ბენიტო მუსოლინი, დუჩე იტალიისა; ფრანსისკო ფრანკო, კაუდილიო ესპანეთისა და თვით ადოლფ ჰიტლერი, ფიურერი გერმანიისა.

ამერიკელ და ინგლისელ მოღვაწეთა ნუსხას ხომ ერთი სქელი წიგნი დასჭირდებოდა – რამეთუ მრავალ არიან, ლეგიონია მათი სახელი.

სხვათა შორის, ალენ დალესს შეეძლო გაეცნო ოქტომბრის რევოლუციის ბელადიც; დიახ, დიახ, გამოცანა გერგებათ – სწორედ ლენინი (ანუ ულიანოვი), მაგრამ ეს კურთხეული შანსი ხელიდან გაუშვა (ამაზე ცოტა ქვემოთ).

„შპიონაჟის ასად“ ნოდებულ ალენ დალესი (1893-1969), აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი (1953-1961), იყო შვილიშვილი ერთი სახელმწიფო მდივნისა (როგორც ეძახიან ამერიკელები თავიანთ საგარეო საქმეთა მინისტრს, დღეს კონდოლიზა რაისი რომ ჰქვია და ქართველი ხალხის დიდი მეგობარი გახლავთ) და ძმისწული - მეორისა. დიპლომატიურ ასპარეზზე ალენი გამოჩნდა 1916 წელს და, რასაკვირველია, ოჯა-



ალენ დალესი

ხური ტრადიციისამებრ, ოცნებობდა სახელმწიფო მდივნის პოსტზე, მაგრამ ვაგლახად შეეცილა უფროსი ძმა – ჯონ ფოსტერ დალესი (შემდგომში „ცივი ომის“ მედროშე რომ უწოდეს) და კიდევაც აჯობა უმცროს ძმას.

ალენ დალესი თავდაპირველად მსახურობდა ვენაში, აშშ საელჩოში. 1917 წლის გაზაფხულზე ამერიკა ომს უცხადებს გერმანიას (და შესაბამისად – ავსტრიასაც) და დალესი გადაჰყავთ შვეიცარიაში.

ერთ მშვენიერ საღამოს დალესი მორიგეობდა ამერიკელთა საელჩოს შენობაში, შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში. კაი დაღამებული იქნებოდა, ვილაც უცნობმა ტელეფონით რომ დარეკა და მორიგეს ასე გააცნო თავი: ვლადიმირ ილიჩ ლენინი ვარო. ხვალისათვის ითხოვდა შეხვედრას აშშ ელჩთან.

ალენ დალესმა უდიერად მოიშორა თავიდან დაუპატიჟებელი მთხოვნელი. იფიქრა, ფსიქიკურად გაუნონასნორებელი ემიგრანტი არისო.

მომავალი „შპიონაჟის ასი“ ეგებ ცამდე მართალიც იყო, მაგრამ...

მეორე თუ მესამე დღეს ლენინი უკვე იჯდა გერმანელთა „პლომბირებულ“ ვაგონში და მატარებელი რუსეთისკენ მიაგრიალედა რევოლუციის მოსახდენად.

ალენ დალესს, რა თქმა უნდა, არ დავიწყებია ეს აბეზარი მთხოვნელი და არც მისი ვინაობა დავიწყებია. რა დაავინწყებდა!

მრავალი წლის შემდეგ თავის შეგირდებს გულახდილად უამბობდა ხოლმე ამ დაუვინყარ ამბავს, როგორც ჩინებულ ნიმუშს იმისა, თუ რაოდენ დაუშვებელია ნაჩქარევი შეფასება გამოუტანო უცნობ ადამიანს.

ალენ დალესი კიდევ უფრო შორსმჭვრეტელი რომ ყოფილიყო, ვიდრე იყო სინამდვილეში, XX საუკუნის ისტორია, ალბათ, სულ სხვა მარშრუტით წავიდოდა და სანატრელი XXI საუკუნე გაცილებით ადრე გვესტუმრებოდა.

დიახ, ლენინი აღარ მიეყიდებოდა გერმანიას და უკეთეს გზას აირჩევდა – უფრო მდიდარსა და გულუხვ ამერიკას მიეყიდებოდა სულიან-ხორციანად. და სულ მოკლე ხანში დოლარების კოკისპირული წვიმით განოყიერებული და გალაღებული რუსეთი გადაიქცეოდა თავისუფლებისა და დემოკრატიის ისეთ ბურჯად, რომ თვით ამერიკელებსაც კი შეშურდებოდათ. ამ სიკეთის გარკვეული წილი, ცხადია, საქართველოსაც დაატყდებოდა თავზე. მართალია, მეთერთმეტე არმია 1921 წლის თებერვალში, ქართველი ხალხის მთავარი მტრების – სტალინისა და ორჯონიკიძის თაოსნობით, მაინც გადმოლახავდა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებს, ოღონდ საიმისოდ გადმოლახავდა, რათა ქართული სუფრის (ანუ აკადემიის) ზღაპრული ადათ-წესები საფუძვლიანად შეესწავლა, გულდასმით დაეზებებინა და შეუბრალებლად დაენერ-



გა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ევროპაში, ვარშავიდან ლა-მანშამდე. ჩვენს თავზე დაბერტილ სიკეთეთაგან საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში „ცოდნის ქალაქები“ გაშენდებოდა და ამერიკელი ტინიჯერები იმასლა იოცნებებდნენ, სწავლა-განათლება ღმერთმა გურჯაანისა და ოზურგეთის უნივერსიტეტებში გაგვაგრძელებინოსო.

აი, მაშინ კი მართლაც გაბრწყინდებოდა ივერია და ისე გაბრწყინდებოდა, რომ ყველა აგრესორსა და სეპარატისტს თვალს დაუბრმავებდა.

აღენ დალესის გაუგონარი დაუდევრობა საბედისწერო გამოდგა მთელი თავისუფლებისმოყვარე მსოფლიოსათვის და ბრწყინვალე მომავალი დაუკარგა, სხვებთან ერთად, ჩვენს მრავალტანჯულსა და ბედკრულ სამშობლოს.

რემბრანდტიდან – პიკასომდე

ხელოვნების ნაწარმოებთა ფალსიფიკაცია...

ამ აკრძალულ და მაინც

ფრთებგაშლილ ხელობას ჰყავს თავისი დიდოსტატები, რომელთა ნიჭი არ ჩამოუვარდება მათსავე უტიფრობას.

...ნაომარ-ნაოხარ გერმანიაში იდგა 1945 წლის შემოდგომა. ქალაქ ლიუბეკის ერთ პატარა დუქანში ორნი შეექცეოდნენ ლუდს და ტკბილად ბაასობდნენ – რესტავრატორი დიტრიხ ფეი და მხატვარი ლოტარ მალსკატი. ბოლო ხანებში ფეი ანტიკვარიადი ვაჭრობდა და ბედს არ უჩიოდა, მაგრამ ტყვეობიდან ახალდაბრუნებულ მალსკატს არც ბინა ჰქონდა და არც ფული. შლეზვიგელი ინდაურები გახსოვსო? – ეკითხება ფეი მხატვარს და ისე მხიარულად ხარხარებს, რომ მოლუშულ მალსკატსაც ეღიმება.

1937 წელს ისინი სარესტავრაციო სამუშაოებს ატარებდნენ შლეზვიგის ტაძარში. XIII საუკუნის მოხატულობა სანახევროდ გამქრალიყო და ფეიმ განიზრახა, რომ ხელახლა შეექმნათ მედალიონები ცხოველთა გამოსახულებით. ერთ-ერთ მათგანზე მალსკატმა დახატა ინდაური. და უეცრად ვიღაც სწავლულმა ალიაქოთი ატეხა, ევროპაში ინდაური მხოლოდ XV საუკუნეში გამოჩნდა და XIII საუკუნის მხატვარს საიდან ეცოდინებოდაო. მაგრამ ფალსიფიკატორებს ქომაცნიც გამოუჩნდნენ. ისინი ამაყად ამტკიცებდნენ, რომ გერმანელმა ზღვაოსნებმა კოლუმბამდე ორასი წლით ადრე აღმოაჩინეს ამერიკა და იქიდან ინდაურები ჩამოიყვანესო.

ახლა რას აკეთებო? – ეკითხება რესტავრატორი მხატვარს.

მალსკატი ამოიხრებს. მხატვრობა წინათაც ვერ არჩენდა რიგიანად და ახლანდელ ვითარებაში რისი იმედი უნდა გქონდესო.

– გულისყურით მისმინე, – ეუბნება ფეი მალსკატს. – შენ ხომ ნიჭიერი მხატვარი ხარ, კარგად გამოგდის სახელგანთქმულ ოსტატთა მიბაძვა. ჰოდა, რატომაც არ შეიძლება მიჰყიდო ისინი ბრიყვებს, რომლებიც ვერ არჩევენ

ყალბს ნამდვილისგან? ადამიანები პირდაპირ იხევენ ბიან, შენი ჭირიმე, გაგვაცურე,

გაგვაბითურეო.

მხატვარს სხვა რა გზა ჰქონდა და დათანხმდა.

რამდენიმე დღეში ფეიმ შეკვეთები გაუჩარხა და ავანსიც მიართვა.

როგორც აღნიშნავენ, მალსკატს ჰქონდა საოცარი ნიჭი – ვირტუოზულად შეეთვისებინა სხვადასხვა მხატვართა სტილი და ტექნიკა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ სულ რაღაც თხუთმეტ წუთში ამზადებდა ძალზე ეფექტურ ნახატებს, ვთქვათ, რენუარისებურად ანდა დეგასებურად და, საკმაოდ ხშირად, გამოცდილი ხელოვნებათმცოდნეც კი ვერ განასხვავებდა ნაყალბევს ნამდვილისაგან.

ფირმა „ფეი და მალსკატი“ ენერგიულად ამუშავდა.

ექვსი წლის მანძილზე ყალბისმქნელის სახელოსნოდან, მისივე ანგარიშით, ბაზარზე გამოვიდა 700-მდე ნამუშევარი.

მეცნიერული კეთილსინდისიერება, ისევე როგორც ღვთისმოსაობა, მალსკატს მაინცდამაინც არ აწუნებდა. ასე მაგალითად, მისი ფუნჯით შექმნილი ღვთისმშობელი ფრიად ნააგავდა გერმანელ კინოვარსკვლავს მარლენ დიტრიხს! შემდგომში თავადვე აღიარა, მკრეხელობა ჩავიდინეო.

მალსკატის რეპერტუარი უაღრესად ფართო იყო: რემბრანდტიდან – პიკასომდე. მხატვარი ხელის ერთი მოსმით ქმნიდა „ჭეშმარიტ“ სურათებს, რომელთა ავტორები იყვნენ: ვატო, კორო, მანე, რენუარი, დეგა, მონე, მუნკი, ვან გოგი, გოგენი, უტრილი, მატისი, შაგალი და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ – კლასიკური თუ თანამედროვე მხატვრობის ოსტატთაგან.

მალსკატის „ტკბილი ცხოვრება“, რასაკვირველია, უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ყალბისმქნელი გამოამჟღავნეს და ციხეს სასწაულად გადაურჩა.

მაგრამ ჩიტი ხომ ღირდა ბდღვნად!

ქრონიკა

მწერალი ბორის აკუნინი (გრიგოლ ჩხარტიშვილი) „ნომას“ პრემიით დაჯილდოვდა იაპონელი მწერლის იუკიო მასიმას საუკეთესო თარგმანისათვის. „გრიგოლ ჩხარტიშვილმა მასიმას ნაწარმოებები არამარტო სიზუსტით, სრული ლიტერატურული უტყუარობითაც თარგმნა“ – განაცხადა დაჯილდოების ცერემონიაზე ტოკიოს უნივერსიტეტის ასპირანტურის პროფესორმა მიცუიესი ნუმანომ.

იაპონელი მწერლის აზრით, ბორის აკუნინმა დიდი წვლილი შეიტანა რუსეთში იაპონური კულტურის პოპულარიზაციის საქ-

მეში. „ფვიქრობ, აკუნინის შრომის გარეშე ჰარუკი მურაკამისა და იაპონური სამზარეულოს დღევანდელი პოპულარობა უბრალოდ წარმოუდგენელიც იქნებოდა“ – აღნიშნა მან.

ცერემონიაზე თავის მხრივ აკუნინმა განაცხადა, მასიმას თარგმნა, ალბათ, ყველაზე სასიამოვნო პროცესი იყო ჩემი, როგორც მთარგმნელის, 20-წლიანი მუშაობის ჟამს, ამიტომ ყოველი ფრაზა შემქმლო ასჯერ მაინც გადამეკეთებინაო. მწერალს გადასცეს პრემიის ლაურეატის დიპლომი, 10000 დოლარი და ავიაბილეთი იაპონია – ევროპა.